652
1958/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 5

1958

# ოქტომბერი

# ლენინგრადი

# აჭარა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აჭარის განყოფილების ორგანო


ეროვნული ბიბლიოთეკა

## შინაარსი


შაო იან-სიანი—პეკინი (ლექსი) თარგმნა გ. სალუქვაძემ . . . . . 3

ფაჰრი ერდინჩი—კომუნისტი (მოთხრობა) თურქულიდან თარგმნა ნ. ჩიჯავაძემ 5

რიფათ ინძაია—ჭიანჭველები (ლექსი) თარგმნა ფრ. ხალვაშმა . . . . . 11

ფაიზ აჰმად ფაიზი—მითხარი (ლექსი) თარგმნა ფრ. ხალვაშმა . . . . . 12

ილფატ იდილბა—ცისფერი ფარდები (მოთხრობა) თარგმნა ნ. გვარიშვილმა . . . . . 13

ასად საიდი—რა გვინდა და რა არ გვინდა (ლექსი) თარგმნა ნ. ჯალალონიამ 17

იუსუფ ჯავჰარი—მაწანწალა კატები (მოთხრობა) თარგმნა გ. სანადირაძემ 19

აბდ-ალ-მახაბ-ალ-ბაიათი—მშვიდობა, მიწა და პური (ლექსი) თარგმნა ს. ჯაყელმა . . . . . 23


### ლენინური კომკავშირის ორმოცი წლისთავი


ლ. გელაძე—ახალგაზრდობა (ლექსი) . 24

ალ. ჩხაიძე—გზაჯვარედინზე (პიესა) . 26

ი. მელია—ჯარისკაცის ნაამბობი (ლექსი) 32

ვ. გეგელია—გმირობისა და მამაცობის წლები (სტატია) . . . . . 33


### თბილისი 1500 წლისაა


ნ. მალაზონია—თბილისის დილა (ლექსი) . . . . . 38

ალ. სამსონია—ჩვენი თბილისი (მოთხრობა) . . . . . 39

შ. შუბლაძე—თბილისი (ლექსი) . . . 47

ი. კავკაზაგი—მუნჯი მომღერალი (ბალადა) თარგმნა მ. ფოცხიშვილმა . 48



5

1958

სექტემბერი ოქტომბერი

აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა


7600

საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. შერვაშიძე — რუსეთის კულტურის გამოჩენილი მოღვაწენი თბილისის შესახებ (სტატია) . . . . . 50
ნ. ჯეიშვილი თბილისი—საქართველოს ეკონომიური ცენტრი (სტატია) . . 55
ი. სიხარულიძე — საქართველოს სახელოვანი დედაქალაქი (სტატია) . . . 59

## კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ალ. ჩავლეიშვილი—ქართულ ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის გენეზისის საკითხისათვის . . . . 65

## ლიტერატურული კალენდარი

ვ. ჯანიშვილი—„ადამიანებო, მე თქვენ მიყვარდით!“ . . . . . 76
ლ. გოგრიაგინა—აჭარის მზრუნველი და მოამაგე . . . . . 79

## ხელოვნება

ქ. კომისაროვა — საინტერესო გასტროლები . . . . . 82
ვ. გაგბისოვნია — აჭარის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის გასტროლები . . 84

## სპორტი

თ. გიორგაძე—როცა იბრძოდნენ საჭადრაკო დაფაზე . . . . . 89

## წიგნის თაროდ

მ. სვანიძე—„ქართველი პარტიზანები ფაშიზმისაგან იტალიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში“ . . . . . 92
ჰ. ხმალაძე—საინტერესო საბავშვო წიგნები . . . . . 93

## სატირა და იუმორი

ნ. მოდებაძე—ცოლის სადღეგრძელო . 95

რედაქტორი შოთა ქურიძე
სარედაქციო კოლეგია:
ხ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, პ. ლორია, გ. სალუქვაძე (პ/მგ. მდივანი), ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, გორკის ქ. №1.

Обязательный экземпляр

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაო იან-სიანი
(ჩინეთი)

# პეკინი

პეკინს მრავალი საუკუნის ჭაღარა მოსავს,
დგას იგი დიდი კედლისაკენ ზურგშექცეული,
გვახსოვს, ამ კედელს ხალხის ოფლით აგებდნენ როცა,
პეკინს სიკვდილის ეცემოდა ლანდი წყეული.
შშიერი იყო პეკინი და თანაც მდიდარი,
ის გაჰყურებდა იუნდინხეს — წყალუხვ მდინარეს,
რომელიც იმ დროს სრულიადაც არ იყო წყნარი,
არც ძველ პეკინში არ სუფევდა სრული სიწყნარე.
ვინ ააგო ეს კედლები, იკითხოთ ეგებ,
ვინ ელოდა, რომ დაემხობა ბოროტი ძალა?
შიგა ქალაქი ამქვეყნიურს მოჰგავდა ედემს,
გამოყოფილი დიდი კედლით ღატაკთა ქალაქს.
შიგა ქალაქის სასახლეში მეფე ტკბებოდა,
ღატაკთ ქოხები ჩაებღუჯა შიმშილის ცივ ხელს.
შიგა ქალაქში ბრძანებები იწერებოდა,
ღატაკთ ქალაქის მცხოვრებნი რომ დაელპო ციხეს.
ქალაქის ცხრა კარს ქვეითი ხომ ვერ გაივლიდა,
იმათ მახლობლად თვით ნიავიც კი ვერა ქროდა.
ცაში პირქუშად აღმართული ცხრა კოშკი იდგა,
თვითეულ მათგანს ცხრა საჟენი სიმაღლე ჰქონდა.
სქელ კედლებს იქით ლხინით გართულ სასახლის კარებს
ედგა დარაჯი. იქ შეღწევას ვინ გაბედავდა?
ხალხის გულში კი გროვდებოდა ნაღველი მწარე, —
იმპერატორმა ჩინეთს ყელზე ქუსლი დაადგა.
იმ დროს პეკინში ვერ ნახავდით ყაფანს და ბაზრებს, —
გახშირდა დასჯის ადგილი და ლითონის ელვა.
სისხლის მდინარე მჩქეფარებდა დაფდაფის ხმაზე, —
ადამიანებს თავსა ჰკვეთდნენ განუკითხველად.
ის, ვინც შრომობდა ბარით, თოხით და ოფლსა ღვრიდა,
იმკიდა მხოლოდ მძულვარებას, კიცხვას და კილვას.
პეკინის მკვიდრებს ყოველდამით შიშის ზარს გვრიდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიზმრად ფხიანი, სისხლიანი ფოლადის ხილვა.
სადაც ათია ჩინოვნიკი, ტანჯვაც — ათმაგი,
ათ სასამართლოს ათგზის მძიმე მოაქვს სასჯელი.
იმპერატორმა თქვა: „ავყვავდით ჩემი ამაგით“,
მაშასადამე, ჩინეთს ელის ხვედრი მტანჯველი.
მაგრამ გრიგალებრ აჯანყება მოადგა პეკინს,
დასავლეთიდან ბობოქარი მოვარდა ტალღა,
ადიდდა, ნაპირს გადასცილდა ხუანხე შლეგი,
ხალხი გმირ ჩუანს თავდადებით ბრძოლაში გაჰყვა.
რევოლუცია მიიყვანო ბოლომდე უნდა
და ვაი იმას, შუაგზაზე ვინაც დადგება.
ჩუანი იყო გონებითაც, გულითაც სუფთა, —
არ მოელოდა მოძმეთაგან მახის დაგებას.
ვერ გამოიცნო მან სან-გუის ზრახვები ავი,
რომელმაც მოძმეს უღალატა, როგორც სატანამ,
ცინის წინაშე მორჩილებით დახარა თავი,
მთის გასასვლელში მისი ჯარი გამოატარა.
ჩინელი ხალხი მოელოდა ისევ განსაცდელს.
ჩუანი თვისი რაზმებითურთ პეკინს ტოვებდა.
ღარიბ ქოხებში ჩინელები კარებს რაზავდნენ,
მომავლის შიში მხვნელ-მთესველებს კვლავ აღონებდა.
ჩუანი გაქრა სასახლიდან ფეხმარდი რამით,
მაგრამ მობრუნდა, ბჭისკარებთან შეჩერდა რისხვით,
მოზიდა მშვილდი და ისარი ჩაარჭო კარში,
რომ შვილიშვილთა, შვილთა შვილმა ცნოს მარცხი მისი.
მას შემდეგ მთვარეს აგვისტოში ღრუბელი ფარავს
და იანვარში ფარნებს აქრობს თარეშით ქარი.
მშრომელთა გარჯას, იმათ ჯაფას კვლავ თვლიდნენ არად.
ისევ სდიოდა ხალხს სისხლისა და ოფლის ღვარი.
დაბოლოს მაინც სანატრელი მზე აელვარდა —
ნაჯაფარ ხალხთან ხუნანიდან მოვიდა კაცი,
რომელიც ზამთრის ბნელ ღამეში ამ მზეს ხედავდა,
ამ მზისკენ სწორი გზა გაკაფა ნათელი აზრით.
მაო ძე-დუნის უკვდავ სახელს, დიდებით მჭექარს
ჩინელი ხალხი სასოებით წარმოთქვამს ხშირად,
მისი სახელი აწერია ჩინეთის ბჭეკარს,
ის ხალხის მზეა, მან ურღვევად შეგვაკავშირა.
თვისი წითელი მოედანი აქვს ახალ პეკინს,
როგორც მოსკოვში იგი აქაც დიდებით ელავს,
ხუთი ვარსკვლავი წითელ დროშას ციმციმით ეკვრის.
ხალხი ზეიმობს და ადიდებს მშობლიურ ბელადს.

თარგმნა **გიორგი სალუქვაძემ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაჯრი ეროდინჩი
(თურქეთი)

# კომუნისტი

თვალები ხელით მოისრისა და თავისთვის ჩაილაპარაკა: „რაკი გამომეღვიძა, ალბათ, გათენდა უკვე“.

საკანში მუდამ სიბნელე იყო. ადამიანი ვერ შეამჩნევდა გათენებასა და დაღამებას. სინათლე ვერც საკარცხულსა და ვერც სარკმელში ვერ ატანდა, ფანჯარა კი არ ჰქონდა. საკანში საშინელი სუნი იდგა, სუნთქვა ჭირდა. თვალები სიბნელეს რომ შეჩვეოდა, რამდენჯერმე დახუჭა და გაახილა. მალე კიდევაც გაარჩია კედლები და მუხლზე წამოდგა. სიბნელეში ხელების ფათურით კარები ძოძებნა და რამდენჯერმე მუშტებით შეუტია. გარედან ფეხის ხმა და ჩახველება მოისმა. შემდეგ კარის სარკმელი გაიღო და სინათლის სუსტი სხივი საკანში შემოიჭრა.

— ნუ ურჩობ, ჯერ კიდევ ადრეა!

ტუსაღი მუხლებით მიხოხდა კედელთან. ცოტა რომ გაიარა, საშინელი დაღლილობა იგრძნო. ნაცემი ფეხის ტერფების იარები ჯერ კიდევ არ მოშუშებოდა, ამიტომ მუხლებზე ხოხავდა. ლოყა ცივ კედელს მიაყრდნო. ყელში ეკალგაჩხირულივით გადაყლაპა ნერწყვი და თვალებით კედელს მიაშტერდა. ჩანდა, რაღაცას ეძებდა. კედელზე ამოფხაჭნული იყო „ტუსაღის კალენდარი“. მის ქვემოთ გამოსახული კვადრატი ოცდაათ უჯრად იყო დაყოფილი. ოთხი თებერვლიდან თექვსმეტ თებერვლამდე უჯრედი ჯვარედინად იყო გადახაზული. მან საჩვენებელი თითი მიიტანა მეჩვიდმეტე უჯრასთან და ფრჩხილით ორი გადამკვეთი ხაზი გაუსვა.

„1943 წელი, 17 თებერვალი“ — გაიაზრა და იქვე ლათინური ლექსის ერთი ტაეპი მიაწერა.

„დუმ სპირო სპერო“.

დიახ, სანამ ვსუნთქავ, ვიმედოვნებ!

შეჩვეული თვალი ჭუჭყიან კედლებზე ბევრ რამეს ამოიკითხავდა. ყველა აქ მყოფს თავისი კვალი დაუჩნევია, რაღაც თავისი წაუწერია კედელზე. რა მოსატანია ამასთან კვერცხზე ყურანის ლექსის წამწერთა ოსტატობა. მათ უნდა ნახონ როგორ გამოუხატავთ აქ მოხვედრილ განაწამებ ადამიანებს მთელი მათი ცხოვრება კედლებზე. პირველად ფანქრით უწერიათ, ფანქრის წართმევის შემდეგ ლურსმნით უფხაჭნიათ. ესეც რომ წაურთმევიათ, ფრჩხილები მოუმარჯვებიათ, შაგრამ როდესაც მათთვის ფრჩხილები დაუგლეჯიათ, სისხლით უწერიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციხის ადმინისტრაციას კედელზე რამდენჯერმე გადაუსვამს კირი, მაგრამ წარწერები მთლად ვერ წაუშლიათ. აი ვიღაცის წარწერა:

„ღმერთო, მომეც სიმშვიდე“.

მეორეს ეს სიტყვები გადაუხაზავს და ქვემოთ მიუწერია:

„არავითარი მოწყალება, მაგრად შევკრათ მუშტი“.

უფრო ზემოთ ადამიანის გამოსახულება ჩანს. შემდეგ სწორი ხაზები... ალბათ, მუსიკის მასწავლებელმა თუ დაწერა. მარცხნივ, ნოტის საწყისში, ვიოლინოს გასაღების ადგილზე გამოყვანილი იყო ჩაქუჩ-ნამგალი. შემდეგ ნოტები ფა-სიბემოლ და ინტერნაციონალის პირველი ტაეპი.

„აღსდექ კრულვითა დაღდასმულო“.

მარცხნივ სტალინის სიტყვები:

„ჩვენ, ბოლშევიკები, სულ სხვა მასალისაგან ვართ ნაშენი“.

ამ ციტატის ქვემოთ ვიღაცას მიუწერია:

„წამება ვერ გაგვტეხს, გამოგვაწრთობს!“

ტუსაღის თვალებში იმედის ნაპერწკალმა იელვა, მაგრამ უცებ სახე დაეღრიჯა. თავზე საშინელი ქავილი აუვარდა და მოეჩვენა, თითქოს ახლაც განვლილ წამებას განიცდიდა. გაახსენდა ის მძიმე დღე, როდესაც თავზე ნარდის ქვის ოდენა ადგილას სამართებლით მოპარსეს თმა, ზედ რამდენიმე მკბენარი დაუსვეს, ასანთის ყუთი დააფარეს და მჭიდროდ დააკრეს თავზე. შემდეგ თვითონაც ბაწრით შებოჭეს და იქვე მიაგდეს. თორმეტი საათის განმავლობაში მკბენარები წურბელივით წოვდნენ სისხლს. ასე ეგონა, ეს არის გახვრეტენ თავის ქალას და ტვინს მიადგებიან ამოსაჭმელადო. რამდენიმე ხნის შემდეგ მან გონება დაკარგა. იმავე საღამოს, როდესაც ეს საშინელება მოაცილეს, დასაკითხავად გაიყვანეს.

„თქვი, ვის გამოართვი ფურცლები!“

ის დუმდა.

მეორე დღეს პატიმარი „კუბოში“ ჩაამწყვდიეს. ეს იყო დაბალი მილის მოყვანილობის საკანი, რომელშიც ადამიანი ვერც კი მობრუნდებოდა. „კუბოს“ შიგნით, ჭერთან მიმაგრებული იყო ათასსანთლიანი ნათურა. მას კისერზე პატარა ჯაჭვი გამოაბეს, სახე ნათურასთან ახლოს მიატანინეს და ასე მიაბეს. ძალიანაც რომ ცდილიყო, ვერ გაინძრეოდა. კაცი ჩაჭედილივით იყო შიგ. მალე თვალებიდან ცრემლის დენა დაეწყო. ძლიერი სინათლე აბრმავებდა, ტვინს უმღვრევდა. თვალდახუჭულს ასე ეგონა, თითქოს თავში აზვირთებული ზღვის ტალღები შემართულანო. ამის შემდეგ ის დასაკითხავად წაიყვანეს, მაგრამ ამაოდ, მაინც ვერ გატეხეს მისი სიმტკიცე.

ახლა ამ მიყრუებულ საკანში „კუბოში“ გატარებული მძიმე წუთები დაუდგა თვალწინ და ნერვულობის გამო ისევ თავის ქავილი აუტყდა. ამ დროს კარის საკეტი აჩხარუნდა, ფიქრებში გართული ისე შეკრთა, თითქოს თავში ჩაქუჩი ჩაარტყესო. აი გაიღება კარი და, როგორც ძაღლს, ისე შემოუგდებენ პურის გამხმარ ნატეხს. მაგრამ ამჯერად ასე არ მოხდა. ის ძლივძლიობით წამოდგა მუხლებზე. ნახევრად ღია კარებში ჟანდარმი გამოჩნდა. მან ქაღალდში გახვეული რაღაც საგანი მიუგდო ტუსაღს და ასე უთხრა:

„დღეს თბილი პური უნდა ჭამო. შენთვის გამოაცხვეს, სულ უნდა შეჭამო, ერთი ლუკმაც არ უნდა დაგრჩეს. წინააღმდეგ შემთხვევაში... მოკლედ შენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთ იცი, რაც მოგელის!“ კარები ისევ მიიხურა. მან ვერაფერი გაიგო. ხელში აიღო პური და განცვიფრდა. ის მართლაც თბილი იყო. მაგრამ რას ნიშნავს ჟანდარმის მუქარა? პური საჩქაროდ გატეხა და ხარბად მოკბიჩა. ახლა კი ყველაფერი ნათელი გახდა. ისედაც ცომი პური მეტად მლაშე იყო, მაგრამ მაინც დაღეჭა პირველი ლუკმა.

„ჩემი მოწამვლა ხომ არ უნდათ?“

შეშინებულმა ვეღარ გაბედა გადაყლაპვა და ტალახივით ცომი ლუკმა კედელთან გამოყარა.

კარები ისევ გაიღო.

— ჭამე, თორემ შემდეგ ინანებ, — მიმართა ჟანდარმმა.

— ეგ პური მთლად უნდა შეჭამო, ასეთია უფროსის ბრძანება, დღეს მას უნდა შეხვდე.

ტუსაღი ჩაფიქრდა.

— რომ არ ვჭამო, როზგს ვერ ავცდები, ამას ნიშნავს ჟანდარმის მუქარა. დღეს ინსპექტორთან უნდა შემიყვანონ, ესე იგი პური მოწამლული არ ყოფილა, რატომაც არ უნდა ვჭამო? მაგრამ მლაშე რომაა? თუმცა რა... შეიძლება მზელავს შეცდომით მეტი მარილი მოუვიდა. ჯერ ნელა დაიწყო ჭამა, მაგრამ მალე ხარბად ილუკმებოდა და დაუღეჭავსაც ყლაპავდა. ნახევარი საათის შემდეგ ალმური შეენთო. ასე ეგონა, მკერდში ანთებული ქურა ჩაუდგეს. ამოსუნთქვისას პირში თითქოს ცეცხლის ალი ამოსდიოდა. დიდხანს იწვალა, მაგრამ ვეღარ შეძლო მეტის ატანა. კარებთან მიხოხდა და მთელი ძალით დასცხო მუშტები.

— წყალი, ვიხრჩობი, წყალი!

პასუხი არავინ გასცა.

— წყალი მომეცით, დავიწვი...

ამჯერად გუშაგმა უპასუხა.

— არა გიშავს რა, ღმერთი შეგიბრალებს.

ტუსაღი გიჟივით დაბორიალობდა საკანში.

— წყალი...

ყვირილი დიდხანს არ შეწყვეტილა.

ტუსაღის ხმა რომ არ გაეგონა, დერეფნის მორიგემ თავი კუსავით ჩაყო მაზარის საყელოში, მაგრამ საკანში ატეხილმა ყვირილმა მაინც არ მოასვენა. სამორიგეო ოთახში შევიდა, წამოავლო ხელი სურას, პირთან მიიტანა და სულ დასცალა, ტუსაღი კი...

წყურვილს დაევიწყებინა იარები და ფეხზე წამომდგარიყო. დიდრონი თვალები ჭერზე მიეპყრო და ფიქრს მისცემოდა.

— ეხ! სად არის ახლა ყინვის წვეთები, შიშველ ტანზე რიტმულად რომ მეცემოდნენ და მაგიჟებდნენ. ნეტავი ახლა წვეთავდეს... პირს შევუშვერდი! მაგრამ არა!.. მალე ფიქრები ბოდვამ შეცვალა.

წყალი სიცოცხლეა ადამიანისათვის... არა, ეს სიცრუეა, მას სიკვდილი მოაქვს! რა არის წყალი? ორი მოლეკულა წყალბადი და ერთი ჟანგბადი. რა კარგი მოთხრობა აქვს გორკის წყალზე. რამდენი წყალია დედამიწაზე. წვიმის წყალი, წყაროს წყალი, ნაკადული, ღელე, მდინარე, ტბები, ზღვები. არა, არ მიყვარს ზღვები. მე პური ვჭამე ზღვის წყლით მოზელილი! ყველაზე სუფთაა წვიმის წყალი, ყველაზე ცივია წყაროს წყალი. იზმირში ყიდიან „შამალის“,[1] ანკარაში

[1] წყლების სახელებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— „ტაშდენცს“, სტამბოლში — „ჰიმიდიეს“, აფიონში — „მადნის წყალს“. ქუჩებში წყლის დამტარებლები ხრინწიანი ხმით მოუხმობენ მუშტარს. ფანჯრებიდან, რომლებსაც ქოთნებში ჩარგული ყვავილები ამშვენებს, დიასახლისები გამოყოფენ ხოლმე თავს და წყლის მომტანს უხმობენ. ჩემს საკანს რომ ფანჯარა ჰქონოდა, მეც ხომ დავუძახებდი წყლის მომტანს და ვთხოვდი ჩემთვის სანაპიროს წყალსადენიდან მოეტანა წყალი. ოო! ჩანჩქერებო, თქვენს ცისფერ გუბეებში ბევრჯერ დამინახავს ჩემი ბავშვობის სახე. რა კარგია ქთის წყალი, მისი სუფთა შხეფები. ან ფორთოხლებს შორის მომდინარე, ან იალაღების ცივი წყაროები... მას ხალხური სიმღერა გაახსენდა:

„იალაღზე სუფთა წყარო ჩამოდის...“

პერანგი ძლივძლიობით ამოუშვა შარვლიდან, იატაკზე გაწვა და შიშველი მუცელი ცივ კედელს მიადო. რამდენიმე საათს იყო ასეთ მდგომარეობაში.

იმ საღამოს, როდესაც საწამებელ ოთახში შეიყვანეს, გრძნობა თითქმის დაკარგული ჰქონდა. დაპატიმრების პირველსავე დღეს ჯერ აქ მოათავსეს და წამების შემდეგ ცალკე საკანში შეაგდეს. ტუსაღი კარგად იცნობდა ციხის ამ საკანს. აი იგივე საწამებელი იარაღები. სხვადასხვა ზომის სახრე, ფალაყა, წყლით სავსე კასრი და სხვა. ეს ოთახი ახლაც წინანდებურად გამოიყურებოდა, მხოლოდ ამჟამად მის წინ მაგიდასთან ჩასუქებული კაცი იდგა, რომელსაც სახის მარჯვენა ნაწილი ისე ჰქონდა წამოსიებული, გეგონებოდათ პირში ლუკმა უდევსო. სახე ინდაურის კისერივით ჰქონდა დანაოჭებული. პატიმარი პირველად ხედავდა მას.

„უთუოდ ახალი გამომძიებელია“, — გაიფიქრა მან, როდესაც ტუსაღი მის წინ გაჩერეს. გამომძიებელმა გრაფინიდან ჭიქა წყლით შეავსო და დაიწყო სმა. ცარიელი ჭიქა მაგიდაზე დადგა, კბილის საჩიჩქნი პირში გაიჩხირა და დაიწყო:

— ნუ გვაიძულებ უკიდურეს ზომებს მივმართოთ. ჩვენთვის ყველაფერი ცნობილია. მხოლოდ შენი დასტური გვინდა. გვითხარი, ვინ გადმოგცა მოწოდების ფურცლები.

ტუსაღი დუმდა.

— ვის გადაეცი?

პატიმარი ხან წყლიან გრაფინს აშტერდებოდა, ხან კი წყლით სავსე ჭიქას, რომელიც ისევ შეევსო გამომძიებელს და ხელში ეჭირა. ტუსაღს არც კი ესმოდა გამომძიებლის სიტყვები, ისე ღელავდა. მან მისდაუნებურად მარჯვენა ხელი წყლისაკენ გაიშვირა ოდნავ, მაგრამ თითქოს ვიღაცა სწვდა მაჯაშიო, ისევ შეაჩერა. გამომძიებელმა დამცინავი ღიმილით გადახედა მას. შემდეგ ისევ მოისმა წყლის ბუყბუყი და ტუსაღმა პირველად იგრძნო, თუ რა სასიამოვნო მოსასმენი იყო ეს. მან წარმოიდგინა, თითქოს პირში ტყემალი აქვს, მაგრამ ამან როდი მისცა შვება. ენაგამშრალი ძლივძლიობით პოულობდა ნერწყვს. გამომძიებელმა ამჯერად წყლით სავსე ჭიქა გაუწოდა მას.

— ჩანს, ძალიან გწყურია, დაგალევინებ, ოღონდ კითხვაზე უნდა მიპასუხო. — ტუსაღმა მაგრად მოიჭირა ხელი მაჯაზე, პასუხი არ გაუცია, ისევ განუძრევლად იდგა. გამომძიებელი მიხვდა, რომ ხელი ამაოდ გაიშვირა და ამჯობინა თვითონვე დაელია წყალი.

— როგორც ჩანს, ამ საკითხს მხოლოდ ფალაყა გადაწყვეტს, — ჩაილუღლუღა გამომძიებელმა და ჟანდარმებს უბრძანა ფალაყაზე დაეკრათ პატიმარი.

იგი მშვიდად მიუახლოვდა ფალაყას. ჯალათებმა საჩქაროდ მოუგრიხეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელები და დააკრეს. ეს არ იყო რთული მოწყობილობა. ორ საყრდენს შორის გაყრილი იყო რკინის ღერძი, რომელზედაც თავდაყირავებულ ტუსაღს ფეხებით აბამდნენ. ტუსაღი შამფურზე წამოგებულ ბატკანს წააგავდა. ცემისაგან დალურჯებული შიშველი ფეხის ტერფები ჯალათებისაკენ იყო მიშვერილი.

— დაიწყეთ! — ბრძანა გამომძიებელმა და ჯალათებმაც მთელი ძალით დასცხეს. წნელებს მათრახივით გაჰქონდათ ზუილი. ჟანდარმები მხიარული მედოლეებივით იქნევდნენ ხელებს, თუმცა მედოლე ხშირად ფრთხილობს მეტისმეტი ღარტყმით არ დააზიანოს დოლზე გადაჭიმული ტყავი. ესენი კი გამეტებით იქნევდნენ წკეპლას.

— ერთი... ორი... სამი... თორმეტი...

გვერდზე დამდგარი გამომძიებელი ამ დროს პაპიროსს აბოლებდა.

ოცი დარტყმის შემდეგ ფეხის კანი დამპალი პამიდორივით გასკდა, სისხლი ჩამოიღვარა. ერთი წვეთი კი კედელზე ჩამოკიდებულ ინენიუს პორტრეტს ყურთან დაეწვეთა. ჯალათები შეჩერდნენ. ტუსაღს თმაში წაავლეს ხელი და გადმოაბრუნეს. მიბნედილს თვალებზე სისხლი წამოწოლოდა, სახე სიმწრის ოფლს დაეფარა. ის ძელსკამზე ჩამოსვეს და ფეხები მარილიან წყალში ჩააყოფინეს. ტუსაღი ვერაფერს გრძნობდა. გამომძიებელი ჭიქა წყლით მიუბრუნდა მას და დაიწყო:

—ვერსად წამიხვალ, სანამ არ ალაპარაკდები. თუ მოკვდები, მეოთხე სართულიდან ჩვარივით გადაგაგდებ და სამიოდე სიტყვით შევადგენ შენზე ოქმს, თითქოს შენ თვითმკვლელობა ჩაიდინე. თქვი, ვინ გადმოგცა ფურცლები და წყალს დაგალევინებ, წამებასაც მორჩები.

ტუსაღს თითქოს არც კი გაუგონია ეს სიტყვები, იგი წინანდებურად დუმდა. გამომძიებელი კი კვლავ შეუბრალებლად აწამებდა. გინებით რომ გული იჯერა, პატიმარს სახეში შეასხა ჭიქა წყალი და დაიღრიალა:

— ფანჯრის მოაჯირზე მიაბით, გაიყინოს დილამდე. ლაპარაკს თუ მოინდომებს, დამიძახეთ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ნახევრად შიშველი ტუსაღი ჯვარცმულივით მიაკრეს ღია ფანჯარასთან, ჩააქრეს სინათლე და წავიდნენ.

თებერვლის ყინვიანი ღამე იყო. ნავსადგურიდან ცივი ქარი ქროდა და თან გემების საყვირის ხმა მოჰქონდა. აქედან გარკვევით მოჩანდა სკუტარიის ელექტრონათურები. ბაწარი სხეულზე მჭიდროდ ჰქონდა შემოჭერილი. ტუსაღი გონს მოვიდა, მხოლოდ თავის განძრევა შეეძლო. ჯოჯოხეთურ ტანჯვას გრძნობდა. შიმშილი, წყურვილი, ფეხის ტერფებზე მიყენებული იარები, სიცივე ძნელი ასატანი იყო. რკინის ცივი მოაჯირი თითქოს ჩარჭობოდა მის ზურგს, ჩრდილოეთის ყინულივით ცივი ქარი თითქოს განგებ ქროდა. ამასთან ერთად იმედს, რწმენას და შურისძიების გრძნობას არასდროს არ ჰკარგავდა. მაგრამ აი უჩვეულო რაღაც შინაგანი ხმა მოესმა:

„ეს წამება ყველაზე მძიმეა შენთვის, რადგან დიდხანს გრძელდება. შენ არ გეყოფა გამძლეობა, არა!“

თითქოს მეორე ხმაც მოესმა:

— შენ უნდა გაუძლო ყოველგვარ წამებას, შენ გაქვს ამის ძალა. არა! შენ არ გასცემ ამხანაგებს, ისიც საკმარისია რომ თქვი, მე გადმომცესო.

— რამდენი კაცია დაპატიმრებული?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენი ჩათვლით სამოცდაოთხი, მაგრამ სამოცდამეხუთე გარეთ უნდა იყოს!

„არა! შენ არ დაეხმარები მტერს, ვერაფერს გაიგებენ ისინი შენგან!“

„მაგრამ სიკვდილი ახლოსაა, შენ კი უნდა იცოცხლო. ვის დაუტოვებ შენს ერთადერთ ბიჭუნას? შენი ცოლი ხომ უკვე გააძევეს სამუშაოდან. რა უნდა ქნას ახლა მარტოდ დარჩენილმა ქალმა? ქუჩაში გავიდეს? თავი გაანებე უაზრო ჯიუტობას, გატყდი! იცოდე, რომ ამხანაგები არ გაგამტყუნებენ. ჰო, მიდი, დაუძახე კარებთან მდგომ ჟანდარმს.

— „გუშაგი“!..

ტუსაღი დაიგრიხა რკინის მოაჯირზე.

„ვინ წარმოთქვა ეს სიტყვა, ვინ დაუძახა გუშაგს, თუ ეს სიზმარში მომეჩვენა?“

გონს რომ მოსულიყო, მან რამდენჯერმე თავი რკინას მიარტყა და სმენად გადაიქცა. მას უნდოდა გაეგო, თუ რა ხდებოდა დერეფანში.

„უთუოდ არაფერი გაუგონია დერეფანში მყოფ გუშაგს. დიახ, — მძიმედ ამოიხვნეშა მან, — როგორც ვხედავ, ნებისყოფა მღალატობს უკვე. ენაც აღარ მემორჩილება. მისი ჩაყლაპვა რომ შეიძლებოდეს... ეს პატარა კუნთი ყველაფერს ყლაპავს, დავიმაგრებდი ენას“.

მას რატომღაც მოესურვა წარმოეთქვა ახლა ძვირფასი, გულით საყვარელი სიტყვები. უნდოდა ემღერა ან რომელიმე კარგი ლექსი ეთქვა, მაგრამ მხოლოდ ორიოდე სიტყვა წარმოთქვა:

— თურქეთი, ჩემი სამშობლო! — იმ წუთში თვალწინ წარმოუდგა მისი ბიჭი, ცოლი, ამხანაგები, მთელი თურქეთი მისი ღარიბი, მხნე და უბრალო ხალხით. ბოლოს, წარმოთქვა სიტყვა „კომუნისტი“ და დროც აღარ დაუკარგავს. კბილებს შორის მოიმწყვდია ენა და მთელი ძალით დაადგა კბილი.

შუაღამისას საკანში გუშაგი შევიდა, სინათლე აანთო და ტუსაღს მიუახლოვდა, მაგრამ იქვე გაშეშდა, სისხლით შეღებილი გულმკერდი და ტუჩებს შორის ჩამოკიდებული გადაკვნეტილი ენა რომ დაინახა.

თურქულიდან თარგმნა **ნეჯათ ჩიჯავაძემ.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რიფათ ინქაია
(თურქეთი)

## ჭიანჭველები

ნუ დაივიწყებთ ჭიანჭველებს, ბატონებო,
ნუ შეიზიზღებთ ჭიანჭველებს, ბატონებო.
რა არის ციხე, არ იციან მათ,
რა არის თოფი, არ იციან მათ.
არა აქვთ ატომის ბომბები მზად
და არც წყალბადისა აქვთ.
ვიდრე მსოფლიოს მსოფლიო ჰქვია,
მხოლოდ მშვიდობას აშენებს ყველა
მშრომელი ჭიანჭველა.
ნუ შეიზიზღებთ ჭიანჭველებს, ბატონებო,
ნუ დაივიწყებთ ჭიანჭველებს, ბატონებო.

თარგმნა **ფრიდონ ხალვაშმა.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფაიზ აჰმად ფაიზი
(პაკისტანი)

# მ ი თ ხ ა რ ი

ვიდრე ბოლო სიტყვას მტერი დაგიჭერს — მითხარი!
ო, მითხარი!..
თუ ცხოვრების ძაფი არ გამწყდარა ჯერ — მითხარი!
ვიდრე ბოლო სიტყვას მტერი დაგიჭერს — მითხარი!
თუ გაცრეცილ ბაგეს კიდევ სუნთქვა სურს — მითხარი!
ჩემი ხვეწნის გრძნობა თუკი ძალუძს გულს — მითხარი!

აი, გახედე, ცხელი სანგრიდან
ჩვენებს ესროლეს ცეცხლის ენები.
მდუღარე რვალში გისვრის ჯალათი,
ფეხზე ამდგარი თუ ეჩვენები.

მშიერთა ჯოგებს ერეკებიან
და ნაღვლიანად ჟღერენ ხუნდები.
თუ გაჩუმდები, დაგაბრუნებენ,
მაგრამ შენ, ძმაო, ნუ გაჩუმდები.

ო, მითხარი!..
წუთისოფლის ერთი წუთი დაგრჩა ხომ? — მითხარი!
ერთი ნაპერწკალი თუ კვლავ გათბობს, გთხოვ — მითხარი!
სიმართლე რომ ცოცხლობს და მას ვერვინ ჰკლავს — მითხარი!
რაც სათქმელი დაგრჩა, ველი იმის თქმას — მითხარი!

თარგმნა **ფრიდონ ხალვაშმა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ილუჯ ილიბა**
(არაგთა გაერთიანებული
რესპუბლიკა)

# ცისფერი ფარდები

ძვირფასო ჩემო, სულერთია ჩემთვის რამ მომაჯადოვა, რაღაც ჯადოსნურმა ფიცმა საკუთარი სინდისის წინაშე, როგორც შენ და დედაჩემი ფიქრობთ, თუ მისმა კეთილშობილებამ, უნაზესმა ქალურობამ და მისი გულის განუსაზღვრელმა სიკეთემ. მთავარი ის არის, რომ ცამდე ბედნიერი ვარ და ნურავინ შეეცდება წამართვას ეს ბედნიერება. შენებრ გულწრფელს განა შეგიძლია იცრუო და უარყო, რომ დედაჩემის დავალებით გინდა დამარწმუნო ისეთ რაშეებში, რაც თავად მან ვერ შეძლო? — საქმე იმაშია, რომ დედაჩემი, როგორც კი მოიხელთებდა დროს, როცა რძალი სახლში არ იყო, მუდამ ჩამჩიჩინებდა: — შვილო, გული მტკივა, როცა შენს უშვილო ცოლს ვხედავ. — გულს მიღონებდა მისი სიტყვების უსამართლობა და მივუგებდი ხოლმე, მე თავად ავირჩიე იგი და არც ვნანობ არასოდეს-მეთქი. რამდენიმე თვის წინ, ვერ ამიხსნია როგორ, დავიწყე დედის სიტყვებისათვის კვერის დაკვრა და რაღაც მალული ბზარი შემეპარა გულში. თითქოს მჯეროდა მისი სიტყვებისა, რომლებიც ისევ და ისევ მესმოდა.

— ნეტავ როგორ ითმენ ამდენ ხანს უბავშვობას? ღმერთმანი, ვერ წარმომიდგენია ოჯახის ბედნიერება შვილების გარეშე. ბავშვებით ვიცხოველებთ ხოლმე ცხოვრების მაჯისცემას. მათი ლაღი კისკისით ვივიწყებთ ყოველდღიურ მოწყენილობას, მხოლოდ ბავშვებს შეუძლიათ გაჰფანტონ იგი ცოლქმარს შორის.

დედა არ სტყუოდა. მოწყენა ხშირად მოგვინახულებდა ხოლმე და ზოგჯერ მთელი საღამოს განმავლობაში უბრად ვიყავით. ის ქარგავს, მე ვკითხულობ. განა ასეთი შემპარავი ნაღველი საშინელი არ არის ახალგაზრდების ცხოვრებაში? დიდხანს შევიძელ მეტარებინა ეს მოწყენა სრულიად მშვიდად, მაგრამ ბოლო ხანებში სულ უფრო ხშირად ვღიზიანდებოდი. რატომაც არ შემიძლია მივიღო რაღაც გადაწყვეტილება? განა მე პირველი მამაკაცი ვარ, რომელიც უშვილო ცოლს სწირავს შვილების გულისათვის? ჩემამდე ასობით და ათასობით მამაკაცს ჩაუდენია ეს და არავინ დასჯილა. აწ კი მინდა გამოგიტყდე, მეგობარო ჩემო, არ მოტყუვდე შენც, ისე როგორც მე ვტყუვდებოდი დიდხანს... ყოველივე ამის უკან, რაც მე გიამბე, იდგა საოცრად მომხიბლავი გოგონა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც ერთ დღეს საბედისწეროდ გადავეყარე, ხოლო ბავშვი და მოწყენილ ჩემი გამოგონილი იყო, რომელიც ერთგვარ სიმშვიდეს მანიჭებდა ჩემი სინდისის წინაშე. მოვიგონე იმიტომ, რომ როგორმე თავი დამეღწია ჩემი საბრალო ცოლისაგან და დავქორწინებულიყავი მეორეზე, რომელსაც ჯერ ოცი წელიც არ შესრულებოდა. ხედავ? ხომ ხედავ, ძვირფასო ჩემო, ზოგჯერ სანამდე მიდის ადამიანი. ეს გოგონა დედაჩემის მეზობლად ცხოვრობდა და ყოველთვის მქონდა ბედნიერება მენახა იგი, როცა დედის მოსანახულებლად მივიდოდი ხოლმე. დედის მონახულებას თანდათან მოვუხშირე. თუ უწინ დედას კვირაში ერთხელ ვეწვეოდი, ახლა თითქმის ყოველდღე შევუვლიდი ხოლმე. ეშმაკი ქალიშვილი მახეს მიგებდა და, როცა დარწმუნდა, რომ გავები, ჩემი მბრძანებელიც გახდა. განმიცხადა, რომ იგი მზად არის გახდეს ჩემი ცოლი, მაგრამ უპირველეს ყოვლისა უნდა გავეყარო ძველს. უნდა ვაჩუქო ოქროს ათასი ლირა და საქორწილო ბეჭედი ალმასის თვლებით მოოჭვილი არანაკლებ ათასი კარატის ღირებულებისა. ყველაფერზე თანახმა ვიყავი. ერთ-ერთ ხელისშემშლელად ჩემს მშვიდსა და სათნო ცოლს ვთვლიდი, რომელიც მაშინაც ცდილობდა ვესიამოვნებინე, როცა განზრახ ვეჩხუბებოდი, რათა გაყრის მიზეზი მომცემოდა... რა გული უნდა ჰქონდეს ქალს, მოღიმარ შეკითხვაზე სასტიკად რომ გაუწყრე? ანდა წაეჩხუბო ისეთ ადამიანს, რომელიც გასაოცარი მოთმინებითა და ღია გულით მზად არის აიცდინოს შენი საგანგებო უხეშობა? საგონებელში ჩავვარდი. აღარ ვიცოდი რა მექნა. ბეჭედი ნაყიდი მაქვს, ვექსილი გამზადებული. დამრჩენია ცოლთან გაყრის საბუთი და ახალი შეუღლების ფურცელიც მზად მექნება. ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე ცოლისათვის მეთქვა, რომ სავაჭრო საქმეების გამო მივემგზავრები განუსაზღვრელი დროით და ჩემი არყოფნის პერიოდში გადადი მშობლების სახლში-მეთქი. ვიფიქრე, უფრო გვიან წერილით გავუტყდები, ვეტყვი ყოველივეს-თქო. მეგონა ასე ამრიგად გათავდებოდა ყოველივე. ჩემი გამონაგონი ხერხი საუკეთესოდ მეჩვენა და ბრაზიც მომდიოდა საკუთარ თავზე, რომ ეს აქამდე ვერ მოვიფიქრე. მეორე დილით ცოლს განვუცხადე, მივემგზავრები-მეთქი. ვცდილობდი საუბრის ტონი ძალზე ჩვეულებრივი მქონოდა, მაგრამ ის მოსმენის უმალ გაფითრდა, ძალაგამოლეული დაეშვა სავარძელში და მწარე სევდიანი ღიმილით ძლივსღა წარმოთქვა — „მე დიდი ხანია ველოდი ამას“.

კი მაგრამ, რატომ მოიწყინა ასე სასოწარკვეთით? ნუთუ ყველაფერს მიმიხვდა? თუმცა ჩვენს პატარა ქალაქში საიდუმლოდ რას დამალავ კაცი. მინდოდა კიდევ რაიმე მეთქვა, მაგრამ ვეღარ შევძელი. სასა გამიშრა. ენა აღარ მემორჩილებოდა. ცოლს გვერდით მივუჯექი... ვდუმვარ... ჯიბიდან თუთუნის ამოღება მინდოდა. სათუთუნის მაგივრად ბეჭდის ხავერდის კოლოფი ამომყვა. ბრიყვი ვარ ვარ? რად მინდოდა ჯიბეში რომ შემინახავს? თრთოლვამ ამიტანა, ისეთმა, როგორიც დანაშაულის ჩამდენთ ემართებათ ხოლმე. ცოლმა თვალი მოჰკრა ბეჭდის კოლოფს და ყველაფერი ნათელი გახდა.

თვალს ვარიდებ. იგი ისევ იმავე მდგომარეობაშია. გაყინულაო თითქო. მიუხედავად ღრმა მწუხარებისა, არ შეიძლებოდა არ შეგენიშნათ მისი ღირსებისა და სიამაყის იერი. მას ორივე ხელი მუხლისთავზე შემოედო. თითები, მშვენიერი თითები, ჯიოკონდას თითებს მაგონებდნენ, ხოლო ერთ-ერთ თითზე ჩვენი შეუღლების ბეჭედი ბრწყინავდა. რას ფიქრობს ახლა ნეტავ? ხომ არ

აგონდება, ერთ დროს მის მუხლებთან დაცემული როგორ ვემუდარებოდი სიყვარულს, როგორ სასოებით გავუკეთე ხელზე ეს ბეჭედი. ვაკოცე, სათუთი თითები ჩავიკარ გულში და განუსაზღვრელი სიხარულით სავსე თვალები მივლულე. მე ვიყავ ყველაზე ბედნიერი კაცი ქვეყანაზე. მისმა ტირილმა გამომარკვია. იგი ქვითინებდა. ღმერთო ჩემო, განა ტირილი უნდა ჩვენი ბედნიერების უმშვენიერეს წუთებს? მან გაბზარული ხმით ჩამჩურჩულა:

— ნეტავ იცოდე, როგორ მიყვარხარ და რამდენს ვწირავ სინდისის წინაშე, როცა შენს ბეჭედს ვირგებ ხელზე. მე ხომ უფროსი ვარ შენზე და თანაც ნაქბარევი? ქმარმაც იმიტომ მომიშორა, რომ უშვილო ვიყავ. ვაითუ დადგეს ისეთივე წუთები და ამ მიზეზით უარმყო მე და წამომაძრო ხელიდან ეს შენი ბეჭედი. შევძლებ კი ავიტანო ესოდენი მწუხარება? — მე ისევ მივიხუტე გულზე და დაბეჯითებით ვუთხარ:

— შენ ჩემთვის ყველაზე უძვირფასესი ხარ, ასეთი სისულელე არასოდეს გამაგონო, არასოდეს მატკინო გული ასე უღმერთოდ.—იქნებ ახლა იგონებს იმ შორეულ ამბავს? მაშ რატომ არ ტირის?.. რატომ არ მოსთქვამს დაკარგულზე?.. რატომ არ მომვარდება ლანძღვა-გინებით? ეს გაცილებით უმჯობესია ჩემთვის, ვინემ მისი მომაკვდინებელი დუმილი. მე დამებადა საოცარი სურვილი — ჩამეკრა იგი გულში და მეთხოვა პატიება, მაგრამ მაშინვე ჩავკალ ეს საოცარი წადილი. ვგრძნობდი, როგორ განვიცდიდი ყველა მძიმე წუთებს ჩვენი ცხოვრების მანძილზე. ზარის წკრიალია. თითქოს გავთავისუფლდი ამ საოცარი უხერხულობისაგან. მივაშურე ტელეფონს. რაზე ვისაუბრეთ?.. არაფერი მახსოვს. სასწრაფოდ ვიცვამ, გავდივარ გარეთ, ვჯდები მანქანაში, მივდივარ უგზოუკვლოდ, უსაქმოდ, მძიმე ნაღვლიანი ფიქრებით სავსე. ვგრძნობ, როგორ მედება სიცივე მთელ სხეულზე. ძალიან მინდა საგანგებოდ ამ მანქანით მოვკვდე, ოღონდ ყოველივე ამას გადავურჩე. სადილობამ მოატანა. ვბრუნდები შინ. ვდგავარ კარებთან განაბული და ვფიქრობ: ნეტავ რას შვება ახლა? კარებს ჩუმად ვაღებ და ქურდულად შევდივარ. განსაკუთრებული სიფაქიზე და სისუფთავე შემომხვდა. ჩემი მაგიდის ლარნაკიდან შემომყურებენ ახალი ყვავილები. საოცარია, მარტოდმარტო როგორ შეძლო ასე ფაქიზად ბინის წესრიგზე მოყვანა — მერე როგორი სულიერი დაძაბულობის დროს? იქნებ უნდა დაუმტკიცოს უჩინარ რაყიფს თავისი საუკეთესო დიასახლისობა? მაგრამ კარებთან დალაგებულმა ხელბარგმა საბოლოოდ დამაბნიეს. როგორ, ნუთუ შეკრა თავისი ბარგი? კარებთან გამოჩნდა სახეგაცრეცილი ცოლი ნაღვლიანი თვალებით. ჩემთვის არ შემოუხედავს, ისე შემეკითხა გაბზარული ხმით.

— ხომ არ შეგიძლიათ მანქანამდე მიმიყვანოთ?

— როგორც ინებებთ, — ვთქვი და თავად ვიგრძენი, თუ როგორ ჩამივარდა ხმა. მან თვალი მოავლო ხელბარგს და მკითხა:

— შენ წამაღებინებ, თუ მე თავად წავიღო?

მე ხელი დავავლე ხელბარგს და ძლივს მივიტანე მანქანამდე. თან გულში ფიქრი მაწვალებს, ნუთუ ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრდა? ცოლმა მწუხარებით გაიხურა სახლის კარები, გზაზე ნაღვლიანად მოუხედა ფანჯრებს და მანქანაში უკან ჩაჯდა. მინდოდა მეთქვა, რატომ ჩემთან არა-მეთქი, მაგრამ ზედმეტად მეჩვენა. აკანკალებული ხელებით მოვმართე მანქანა, აგუგუნდა მოტორი, მოვემზადე წასასვლელად, მაგრამ უცებ მან წამოიყვირა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოიცა, მოიცა, მე ხომ დამავიწყდა მისაღებ ოთახში დარაბების დაკეტვა? მზე ხომ გააფუჭებს ცისფერ ფარდებს,—თქვა და გაიქცა დარაბების დასაკეტავად.

საშინელი დაღლა ვიგრძენი. მოწყვეტით დავეშვი საჭეზე და თვალები მივლულე. საბრალო, გავიფიქრე, რა დროს ფარდებზე ფიქრია? თუმცა რამდენი ეძება ეს საოცრად ცისფერი ფარდები, მერე რამდენ ხანს ქარგავდა მას. ჩვენთან მომსვლელნი ერთხმად აღიარებდნენ მის მშვენიერებას.

— არა, ჩემო საბრალოვ, შენ დედა ხარ ჩემი ოჯახისა. შენ შეჰქმენი იგი და ახლაც გინდა გაუფრთხილდე ყოველგვარი შურისა და სიბრაზის გარეშე, ისევე როგორც უფრთხილდებიან პირმშოებს დედები, მაშინაც როცა მათ არ ეკუთვნიან. ოჰ! მე ნამდვილად უგულო ვყოფილვარ. ღმერთო ჩემო, ნუთუ მე ვემზადები მოვაშორო ჩემს სახლს უკეთილშობილესი მზრუნველი გული? ნეტავ მას შეეძლოს შვილის გაჩენაც. ახლა თვალწინ აღიმართა ის ახალგაზრდა ვოგონა. თითქო ჩამესმა მისი მომხიბლავი სიტყვები: — მართლაც იმიტომ ტოვებ ცოლს, რომ უშვილოა, თუ ჩემი სიყვარულის გულისათვის? — მე გამოვვარდი გახელებულივით. გადავალაჯე ხელბარგს, მივვარდი კარებს, ზღრუბლზე გადმომდგარ ცოლს გულზე ხელი ვკარი, შევაგდე შიგ, მივედი ახლოს, სახეში ჩავხედე, წავავლე ხელი, ძალად შევიყვანე ოთახში და შევემუდარე:

— არ აჯობებს ჩემს სახლში დარჩე ჩემთან და ჩვეულებრივ გაუფრთხილდე ჩვენს ცისფერ ფარდებს? — იგი მიმიხვდა ყოველივეს, იქვე მიეგდო სავარძელზე და ხმამაღლა ატირდა...

ის ამაყი იყო და მწუხარების ცრემლებს ადვილად იტანდა, ხოლო სიხარულისა ვეღარ შეიკავა. მე მეორედ ჩაუვვარდი მუხლებში, დავუკოცნე თითები და ალმასის ბეჭედი გავუკეთე მშვენიერ თითზე. სახეზე დამეცა მისი მდუღარე ცრემლები. და უცებ გასაოცარი სიმსუბუქე ვიგრძენი, თითქოს მხრებიდან ჩამომივარდა უმძიმესი ტვირთი. მშვიდობით გავედი ნაპირზე, დიახ... მაშ ასე, ჩემო ძვირფასო მეგობარო, დე ყველა მთვლიდეს მოჯადოებულად... მთვლიდნენ... მე ბედნიერი ვარ ამ ჯადოთი და არავის მივცემ უფლებას წამართვას იგი.

თარგმნა **ნანა გვარიშვილმა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასად საიდი
(ლიბანი)

## რა გვინდა და რა არ გვინდა

7600

დღე ბედნიერი, გულებს რომ ალხენს,
სურს ყველა ნაცნობს, ტოლს და ნათესავს.
მაგრამ ყუმბარა, საფლავი ხალხის,
ატომი — ქვეყნად სიკვდილს რომ თესავს:
არ გვინდა არა!
დღე, ბედნიერი, გულებს რომ ალხენს,
ფიქრია ყველა რასის და ტომის,
უნდა ხვდებოდეს ერთმანეთს ხალხი
სიტყვა „ძმითა“ და არა ატომით.
არც ბეჭდიანი, არც დაკოჟრილი
არა, არ გვინდა არავის ხელი,
აღარც მონა და აღარც ბატონი,
არც ხალხთა ომი — სიკვდილის ცელი:
არ გვინდა არა!
ჩვენ ვეტრფით დღეებს ნათელს და წმინდას,
მშვიდობას ვეტრფით, სიცოცხლეს ვეტრფით,
ქვეყნად სიცოცხლე იმისთვის გვინდა,
სინათლე იყოს ღაძეზე მეტი,
ბედნიერება ვარგუნოთ შვილებს,
თავისუფალი ბრწყინავდეს აზრი.
ომზე კი ყველას აშკარად ვეტყვით,
ბრძოლის კვალი რომ სიცოცხლეს შლიდეს:
არ გვინდა არა!
დე ცოტა იყოს ლიბანის ხალხი, —
თავისუფალი ვიხილო მინდა,
დაე ნურავინ ხელს ნუღარ ახლებს
იმის სიცოცხლეს და ნამუსს წმინდას.
ვეტრფი სიმღერას,
ბავშვების სიცილს,
ჩვენ გვიხარია ჭიკჭიკი მერცხლის.



საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და უკეთესი დღეც მოვა, ვიცით,
მაგრამ ის, ვინაც შემოდის ცეცხლით:
არ გვინდა არა!
მშვიდობა გვინდა, რომ გაქრეს მწუხრი
და აღმაფრენა ეწვიოს გულებს,
მაშინ ვინ ნახავს გამრჯელის წუხილს —
შეხვდება დღეებს ნათელი სახით,
არ შეისვენებს მშრომელის მაჯა,
თუ კი მშვიდობა იქნება ქვეყნად
და ვამბობთ, სანამ დრო კიდევ დარჩა,
უმუშევრობა —
შიმშილი სახლში:
არ გვინდა არა!
ვინც ვშრომობთ, ვაგებთ ქარხანას, სახლებს,
ხალხი —
ეს მართლა ჩვენა ვართ მარტო,
მაგრამ, მკვლელებო, ვიდრე თქვენ ახლებთ
სისხლიან ხელებს ცეცხლსა და ატომს,
გაისრისებით ხალხების რისხვით,
როგორც დოლაბში ქერი და ფეტვი,
მაშინ ამ ქვეყნად ვერავინ გიხსნით.
ახლა კი მართლაც პირდაპირ გეტყვით:
არ გვინდა ომი!

თარგმნა **ნოდარ ჯალაღონიამ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**იუსუფ ჯავჯარი**
(არაგთა გაერთიანებული
რესპუბლიკა)

# მაწანწალა კატეგი

ბინდისას, როცა კაიროში საჰაერო თავდასხმის მაუწყებელი სირენა გაისმა, ჩემს გვიან სტუმარს — მას დავლიათი ერქვა — ჯერ კიდევ ვერ მოესწრო მისაღები ოთახიდან გასვლა. საფრთხის გავლამდე ერთად უნდა დავრჩენილიყავით. გოგონამ სიგარეტი აიღო, მოუკიდა და სავარძლის ზურგს მიეყრდნო. კვამლი დაიხლართა და ზლაზნით აცურდა ორი ადამიანის ზემოთ, რომლებიც ათრთოლებული იდგნენ მოახლოებული საშიშროების წინაშე.

მე მოვაცილე მას მზერა და გაზეთში ჩავრგე თავი... დავლიათი მზეთუნახავი არ იყო, მაგრამ სასიამოვნო ხელოვნური ხალი ნიკაპს ქვემოთ ძლიერ უხდებოდა და გაიძულებდათ ყურადღება მიგექციათ მისთვის. ეს პატარა და მოხდენილი ხალი იმას მოწმობდა, რომ დავლიათი წარმოშობით სოფლიდან იყო.

მას ოცი წელი შეუსრულდა. იგი უბრალო როლებს ასრულებდა ისეთ თეატრებში, რომლებიც მოულოდნელად ჩნდებოდნენ, სეზონის განმავლობაში უჩვენებდნენ რამდენიმე განმეორებით წარმოდგენას და კოტრდებოდნენ. მათი დირექტორები, ჩვეულებისამებრ, უჩინარდებოდნენ და საბრალო ჯიბეგახვრეტილ მსახიობებს ბედის ანაბრად ტოვებდნენ. ამიტომ ულუკმაპუროდ დარჩენილ გოგონას იმდენად ხელოვნების იმედი არა ჰქონდა, რამდენადაც საკუთარი მიმზიდველობისა და იმ რამდენიმე ახალგაზრდისა, რომლებიც თავისი ცხოვრების საუკეთესო წუთებს იმადადინის ქუჩაზე, ყავახანაში ატარებდნენ. ისინი მუდამ მზად იყვნენ დაეკოცნათ სასიამოვნო მწვანე ხალი ნიკაპს ქვემოთ.

მე ორი წელია ვიცნობდი მას. იგი ჩემი მეგობრის, საგზაო სამინისტროს ინჟინრის — თაგირის სახლში ცხოვრობდა. თაგირი მარტოხელა იყო და ხშირად ემუქრებოდა, უკითხავად თუ წასულხარ, სახლში აღარ შემოგიშვებო. მაგრამ დავლიათი ბედნიერი იყო და, მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცოდა ჩემი მეგობრის მტკიცე ხასიათი, ეს ამბავი ცალ ყურში შეუშვა, რადგან ქალები საოცრად ჯიუტნი არიან. ერთხელ, როცა დავლიათი შინ გვიან დაბრუნდა, თაგირმა მას ცხვირწინ მიუხურა კარები. გოგონა აქვითინებული მოვიდა ჩემთან და დახმარება მთხოვა. მაგრამ ჩემი მეგობარი კერპი იყო და დავლიათის ცრემლებს ოდნავადაც არ შეურყევია მისი გადაწყვეტილება. მან არ დამიმალა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ხანია ფიქრობდა მოეცილებინა გოგონა, რომ მან საშინლად მოაბეზრა თავი და აი საჭირო მიზეზი ნახა.

დავლიათის ფერმკრთალმა სახემ გული მომილბო. მან უპატრონო თავშესაფრის მაძიებელი კატა მომაგონა, სულით და გულით თანავუგრძნობდი და ვცდილობდი როგორმე დამემშვიდებინა იგი.

იმ დღიდან შევატყე, რომ არ გავურბოდი და მოუხშირა ჩემთან სიარულს. ყოველთვის აცრემლებული თვალებით მოდიოდა, ხოლო როცა ბედი უღიმოდა, არსად ჩანდა. მე ვჩიდავდი მის ნაწამებ სახეს და ვაძლევდი საშუალებას გული გაეხსნა, გაემხილა თავისი შიში. შევამჩნიე, რომ იგი ამით თანდათან მშვიდდებოდა, ოხრავდა, როცა სულის ყველა კუნჭულში ჩამახედებდა და გამომშვიდობების ჟამს ღიმილით მიწვდიდა ხელს: „ბოლოსდაბოლოს, ყველაფერი რიგზეა — მე მყავს მეგობარი“.

მე არ გავურბოდი დავლიათს, რადგან მან არ იცოდა თავის მობეზრება, არაფერს არ თხოულობდა და, მიუხედავად იმისა, რომ გაჭირვებას მოჰყავდა ჩემთან, იშვიათად იღებდა იმ თანხას, რომელსაც მე ვთავაზობდი. როცა ფულის გამორთმევა შერცხვებოდა, მთხოვდა, მსახური გამეგზავნა სენდვიჩებისათვის. როცა დანაყრდებოდა, უკვირდა, როგორ გადაამუშავა ასე სწრაფად მსუყე საღილი და როგორ მოასწრო ისევ მოშივება. მე კი ვუცქერდი მის მშრალ ტუჩებს, მესმოდა მისი ბილეული ხმა და ვგრძნობდი, რომ გუშინდელს აქეთ ლუკმა არ ჩაედო პირში. მისი თვალების შუქის ანარეკლი მაგონებდა ბნელსა და წვიმიან ღამეში მოხეტიალე მშიერი კატების თვალებს. დავლიათს სახლში ვტოვებდი და, როგორც კი მოვრჩებოდი პაციენტების მიღებას, მანქანით მიმყავდა რომელიმე რესტორანში. მაგიდასთან ყოველთვის მის პირდაპირ ვჯდებოდი და ვადევნებდი თვალს, თუ რა სიხარულით ფურცლავდა იგი მენიუს, როგორ ცდილობდა ჩემს შებრალებას და იაფფასიან კერძებს ირჩევდა. სიცილით ვართმევდი მენიუს, ვარჩევდი მის საყვარელ კერძებს და ვუმზერდი როგორ შეექცეოდა. თავს ისე მაჩვენებდა, თითქოს უხალისოდ ჭამდა. მაგრამ შემდეგ შიმშილის გრძნობა ძლევდა და ივიწყებდა კეთილშობილურ მანერას. მე ვუყურებდი მას და გულში მიხაროდა. რა მიხაროდა? მოწყალების გაცემა თუ ბედით გათელილი სილამაზისადმი თანაგრძნობა? არ ვიცი. მაგრამ დავლიათთან ამ უწყინარ ვახშმებს ბევრი რამ ვანაცვალე. ერთხელ საცოლემ დამირეკა, კინოში წავიდეთო. მოუცლელობა მოვიმიზეზე და უარი ვუთხარი, რადგან დავლიათთან ერთად უნდა მევახშმა. ეტყობა, საცოლე დაეჭვდა და მოესურვა ჩემს ძმასთან ერთად შემოევლო რამდენიმე რესტორანი, სადაც ჩვეულებრივად ვვახშმობდი. არც მოტყუებულა. მან მრისხანებით სავსე მზერა გვესროლა, თავისებურად შეალამაზა ეს ამბავი და ძმა დაიმოწმა, რომ მე ადამიანად მოვლენილი გველი ვიყავი.

ამაოდ ვეცადე ჩემი უდანაშაულობის მტკიცებას და შერიგებას. იგი თამამი და ნერვული ასული იყო, მან მტკიცედ გადაწყვიტა, რომ ასეთი „ღალატისათვის“ ვალის გადახდა მხოლოდ ქორწინების ჩაშლით შეიძლებოდა.

მათდა საუბედუროდ ქალები თვლიან, რომ მამაკაცი პატიების მისაღებად ქედს უნდა იხრიდეს და ეხვეოდეს მათს კოხტა და პატარა ფეხებს. მაგრამ მე ვერ ვინელებდი ასეთ სულელურ ქედმაღლობას და სიამოვნებით დავშორდი ვერ ვიტან ფარისეველთა საზოგადოებას, რომელიც ცდილობს შთანთქას „ადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიანად მოვლენილი გველი“ მაშინაც კი, როცა იგი შხამიანი არაა. ამას ვამბობ მე, ექიმი, ხშირად რომ მკურნალობს მაღალი წრის ქალებს, შეპყრობილთ ისეთი სენით, რომლის ხსენებაც თავზარდამცემია.

იმ საღამოს, როცა დავლიათი ჩემს სამუშაო ოთახში ელოდა საჰაერო თავდასხმის დასასრულს, გაისმა ტელეფონის წკრიალი. ჩემი ყოფილი საცოლე რეკავდა, ოთხი თვეა არ ვუნახივარ და ძლიერ დაინტერესა ჩემმა ძვირფასმა ჯანმრთელობამ, რადგან ჯერ კიდევ ახსოვდა ჩემთან გატარებული დღეების სიტკბო. შეიძლება იგი მიხვდა, რომ დიქტატის პოლიტიკა ამაო გამოდგა და თვითონ გადაწყვიტა გაენასკვა გაწყვეტილი ძაფი? მე ცივად გადავუხადე მადლობა.

ჩემი სტუმარი ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, დაინტერესდა ვის ველაპარაკებოდი, და, როცა გაიგო, რომ ჩემი ყოფილი საცოლე რეკავდა, გაოცებისაგან პირი დააღო. ჰო, მან არ იცოდა ჩვენი განშორება და ფიქრობდა, რომ მალე დავქორწინდებოდით. დავლიათი შეეცადა გაეგო განშორების მიზეზი. დუმილი ვამჯობინე. იგი არაფერში არ იყო დამნაშავე და ბოროტებად ჩავთვალე მეამბნა მისთვის ის, რაც გულს ატკენდა. დავლიათი მეტად მგრძნობიარე იყო. გულთან მიჰქონდა ყველაფერი. მან სეტყვასავით დამაყარა შეკითხვები და, როცა დარწმუნდა, რომ ჩემი გადაწყვეტილება ურყევი იყო და სამუდამოდ დავშორდი საცოლეს, დადუმდა.

ოთახში სიჩუმე გამეფდა, კაიროს თავზე ისევ ზუოდნენ თვითმფრინავები.

შევატყვე, დავლიათს რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ სიტყვა არ დასცდენია მის ბაგეს. ბოლოს, დიდი წვალებით წარმოთქვა:

— ესე იგი შენ თავისუფალი ხარ?

— ჰო, — მივუგე მე.

მაშინ იგი სირცხვილისაგან მოიკუმშა და განაგრძო:

— შენ მე ყოველთვის კარგად მექცევი. ბევრჯერ, როცა გიგონებდი, ვცდილობდი ამომეგდო თავიდან თვითმკვლელობის აზრი. შენ ჩემი უკანასკნელი იმედი ხარ. მომისმინე, შენ მარტო ცხოვრობ, რატომ არ შეგიძლია მოსამსახურედ ამიყვანო, მე ყოველთვის დამჯერე ვიქნები, წინათ არ გეუბნებოდი ამას, რადგან საცოლე გყავდა. შეიძლება მითქმა-მოთქმას უკმაყოფილება გამოეწვია. ახლა კი გთხოვთ მიხსნათ ქუჩისაგან. როგორ ვოცნებობ პატიოსან ცხოვრებაზე, როგორ მინდა გამოვისყიდო ჩემი ბნელი წარსული...

მე აღვშფოთდი, მაგრამ თავი შევიკავე. ის კი მძიმედ სუნთქავდა და მალე გული წაუვიდოდა. აი გველი! იგი ცდილობს შემოიჭრას ჩემს სახლში, კარგი რეპუტაციის მქონე ადამიანის სახლში, რომელსაც სინდისი წმინდა აქვს და მასთან ერთად მხოლოდ ღამის სიბნელეში ბედავს გამოსვლას.

მან არ იცოდა, რით აეხსნა ჩემი დუმილი. არ იცოდა, დავტოვებდი თუ არა ჩემთან და ათრთოლებული ხმით მოჰყვა თავგადასავალს.

მისი დედა წარმოშობით საიდიდანაა, ოჯახიდან, რომლის ერთადერთ ღირსებას პატიოსნება შეადგენს. როცა მამა მოუკვდა, დავლიათი შვიდი წლის იყო, დედა კი ოცდაათის. იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო. გავრცელდა ხმები, თითქოს იგი დანაშაულებრივი სიყვარულის გზას დაადგა. ნათესავებმა გადაწყვიტეს სიკვდილით დაესაჯათ. დასჯის ადგილიც დანიშნეს, მაგრამ რომელიღაც ბიჭუნამ შემთხვევით გახსნა ეს შეთქმულება. დავლიათის დედა გაიქცა სოფლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან და გადარჩა. და აი უკვე ცამეტი წელია იგი კაიროში ცხოვრობს.

შვილი ვერ აცდა მის გზას. დედა და შვილი ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ და ხშირად ერთმა არ იცოდა, სად ცხოვრობდა მეორე. „მუშაობის“ პირობები და ლუკმა-პურისათვის ბრძოლა თიშავდა მათ.

დავლიათი ჩურჩულით განაგრძობდა:

— ნათესავებმა მოაგნეს ჩვენს კვალს. ყური მოვკარი, რომ ისინი ახლა კაიროში არიან. თუ გვიპოვეს, ვერ გადავრჩებით... ამიტომ გთხოვ, შემიფარო. მე მინდა დავიმალო... არასოდეს გარეთ არ გამოვალ, მე ხომ სიცოცხლე მინდა...

მაგრამ მე მაინც ვერ დავმშვიდდი, ვიღაც ჩამძახოდა: — დავლიათი თეატრში თამაშობდა... ხომ არ სარგებლობს იგი ჩემი სიკეთით და ხომ არ ამჟღავნებს თავის ნიჭს ჩემს მისაღებ ოთახში? ამ აზრმა მაიძულა ულმობელი კილოთი მოეხადა ბოდიში და უარი მეთქვა მის წინადადებაზე.

...ისევ მოვიდა, მხოლოდ ხუთი კვირის შემდეგ. იგი თრთოდა.

ნათესავებმა იპოვეს დედა... ისინი სამნი იყვნენ და ჰქონდათ დანა. მზად იყვნენ ყველას თვალწინ გაეგმირათ მისთვის მკერდი, მაგრამ ეს არ ჩაიდინეს, თქვეს, რომ აპატიებდნენ, თუ იგი თავს დაანებებდა სხეულით ვაჭრობას და დაბრუნდებოდა სოფელში. დედას არ ჰქონდა სხვა გამოსავალი და დაემორჩილა მათ. ისინი მოვიდნენ ქალიშვილის წასაყვანად და მოითხოვეს, რომ თუ ისიც წაჰყვებოდა, აპატიებდნენ. დედას მძევლად დაიტოვებდნენ, თუ დავლიათი უარს იტყოდა. რა უნდა ექნა მას? განა დავლიათს შეეძლო წინააღდგომოდა ბიძაშვილის მზერას: „შენ გახდები ჩემი ცოლი და მე დავფარავ შენს წარსულს. თუ შენ გაიქცევი, გიპოვი და ამ დანით გაგაყოლებ დედაშენის კვალს“.

მე ვკითხე: რა იქნება, რომ პოლიციას მიმართო?

მან გაიცინა, თითქოს რაღაც სისულელე ვურჩიე, და თქვა:

— შურისძიება გადადის შთამომავლობიდან შთამომავლობაზე და შურისმძიებლებს კატორღისაც კი არ ეშინიათ.

დავლიათმა დამშვიდობების ნიშნად ხელი გამომიწოდა. იგი აუღელვებლად მიდიოდა სიკვდილთან შესახვედრად. დედის გადარჩენის სუსტი იმედი კარნახობდა საკუთარი სიცოცხლეც ჩაეგდო საფრთხეში. ნათესავებმა ოთხი დღის ვადა მისცეს. ამის შემდეგ დედამისს მოჰკლავდნენ.

მე გავიხედე სარკმელში, რათა უკანასკნელად მაინც დამენახა დავლიათის გამხდარი ტანი, და მომეჩვენა, რომ თვით ბედმა განსაზღვრა ის გზა, რომლითაც ახლა მიდიოდა.

დავლიათი დამპირდა, რომ მომწერდა წერილს, თუ შურისმძიებლები სიტყვას არ გასტეხდნენ და არ შეუდგებოდნენ სისხლით სირცხვილის ჩამორეცხვას.

და აი, გავიდა დრო, დიდი დრო, მაგრამ მისგან ერთი უბრალო სტრიქონიც არ მიმიღია.

ცოცხალია ნეტავ, თუ მოჰკლეს?

თარგმნა **გიორგი სანადირაძემ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბდ-ალ-ვაჰაბ-ალ-ბაიათი
(ერაყი)

## მშვიდობა, მიწა და პური

ჩვენი ლოზუნგები ლაჟვარდივით წმინდა,
ჩვენი მეგობრების სისხლით შეღებილა.
ჩვენ სიცოცხლე გვინდა,
მეგობრობა გვინდა,
გვინდა პური,
მიწა
და მშვიდობის დილა.

ერაყის ბავშვები —
მომავლის ვარდები
კვლავ გაწამებულან მტარვალებისაგან.
და მართალი ხალხით ინკვიზიტორები
კვლავ ავსებენ ციხეს,
საპყრობილეს,
საკანს.

ჩვენი ლოზუნგები ბრძოლის დიად გზაზე
გასაგები არის ყველა ხალხისათვის.
ვმღერით მშვიდობასა და მეგობრობაზე
ჩვენ, ბაღდადის შვილნი,
თავისუფალ,
ნათელ,
დიად ხვალისათვის!

თარგმნა **სერგო ჯაყელმა.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან გელაძე

## ახალგაზრდობა

მე დავჰკარ ჯიქურ მყინვარზე ქუსლი
და ვთქვი: ეს ერთი და სხვა ათასი,
მე ვთქვი, ამ ღელეს დინებას ვუცვლი
და გამარჯვების დავცალე თასი.
მე ვთქვი, მოვტაცებ მთვარეს მეფობას
და ავისრულე წადილი უმალ,
შემდეგ ვირწმუნე — არც ეს მეყოფა
სიცოცხლის მწყურვალს,
და გავუფატრე მთას რიხით მკერდი
და დავაწვინე გორაზე გორა,
ვთქვი, დავაჩოქე მუხლებზე ბედი;
მაინც რაღაცა მეჩვენა შორად.
მაინც არ ჩადგა საგულეს გული,
მაინც არ დაცხრა ლტოლვა და ნდომა,
არ დადრკა ქედი გამტანი უღლის,
ვერ დამაბერა ჟამმა და დრომა.
მე ვერ ჩამიკლა ოცნება ომმა,
მწამდა, დადგება დროება ლხენის,
ყველგან,
ყოველთვის
მივდევდი ლენინს.
მუდამ მაძლევდა ძალას და რწმენას,
მუდამ მიჭრიდა აზრი და თვალი,
ის მასწავლიდა ცხოვრების ენას,
წინ მიმიძღოდა სულ მისი კვალი.
მე ეს ცხოვრება შევიტკბე მართლაც,
სულში ჩამიდგა ამ მიწის მადლი,
მე ვიცი ხმიან ჩონგურის გათლა,
მე ვიცი ქართულ სიმღერის ყადრი.
მე ვიცი სუფთა ტრფიალის ფასი,
მე ვიცი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წყლის,
ამ ღვინოს გემო,
მე მწამს მომავალ ცხოვრების არსი,
მე მსურს სიმართლეს ღვიძლივით ვეძმო.
მე ვარ აპრილში ყვავილთა თოვა,
მე ვარ მზიანში კვირტების ხეთქვა,
მე ვარ, ვინც ამ მთათ ძუძუი წოვა,
ვამბობ წინაპარს რაც სურდა ეთქვა.
მე ვარ ჭოროხის და თერგის ზათქი,
მე ვარ ქარაფით ჩანჩქერთა ხტომა,
მოვდივარ ჭექით,
მოვდივარ ზავთით,
მომაქვს:
დოვლათი,
მშვიდობა,
შრომა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ჩხაიძე

# გზაჯვარედინზე

ალ. ჩხაიძის პიესა „გზაჯვარედინზე“ მოგვითხრობს საშუალო სკოლა-დამთავრებული ჭაბუკებისა და ქალიშვილების მიზნებსა და მისწრაფებებზე, ახალგაზრდულ ოცნებასა და მეგობრობის დიდ გრძნობაზე.

პიესა დადგა ბათუმის სახელმწიფო თეატრმა, და იგი საიუბილეო თარიღს — ლენინური კომკავშირის მე-40 წლისთავს მიუძღვნა.

ზაფხულია. მაგნოლიებისა და კვიპაროსების ხეივანი ზღვისპირა პარკში. მხარმარჯვნივ, ფანჩატურში, ხეების ჩრდილში დგას მრგვალი მაგიდები და დაწნული სკამები.

ხეივანში შემორბიან გელა, მაყვალა, არჩილი, თენგიზი და მარიკა.

**არჩილი.** რახან მე უკვე სრულუფლებიანი მოქალაქე ვარ, ისე მინდა გავატარო დღევანდელი დღე, როგორც ნამდვილ ვაჟკაცს შეეფერება. იცით, რა ვქნათ?

**გელა.** არ ვიცით.

**მაყვალა.** ქალაქგარეთ გავისეირნოთ.

**არჩილი.** არა.

**მარიკა.** კინოში წავიდეთ, „ჩვენი ეზო“ ვნახოთ.

**არჩილი.** არა.

**მარიკა.** მაშ რა ვქნათ, ნიუტონის ბინომი გავიმეოროთ?

**არჩილი.** რა ვქნათ და დავლიოთ.

**მარიკა.** (გაკვირვებით). რა?!

**არჩილი.** დავლიოთ.

**მარიკა.** რა დავლიოთ?

**არჩილი.** რა თქმა უნდა, ღვინო.

**გელა.** სწორია.

**თენგიზი.** მე თანახმა ვარ.

(მიემართებიან მაგიდებისაკენ. სცენა ტრიალებს. წინა პლანზეა ფანჩატურში განლაგებული მაგიდები და სკამები. მეგობრები ერთ-ერთ მაგიდას უსხდებიან).

**თენგიზი.** რა მოვითხოვოთ?

**არჩილი.** დღეს მე მინდა მოვიმოქმედო ყველაფერი, რაც აკრძალული მქონდა როგორც მოსწავლეს.

**მარიკა.** არც წინათ აკლებდი ხელს.

**არჩილი.** აქამდე ნამალევად იყო, დღეს კი კანონიერად. აი აქ მე ბევრჯერ შევქცევივარ ნაყინს, ლიმონათს; მხოლოდ ერთხელ გავსინჯე ლუდი და მაშინაც მამაჩემი მახლდა. დღეს კი მსურს დავლიო ღვინო. დიახ, ღვინო! მარიკა, ნუ მიყურებ ასე გაოცებული, დათრობას არ ვაპირებ. მინდა მოვწიო პაპიროსი, დღისით, მზისით... ყველას დასანახად. მგონი მაქვს ამის უფლება.

**გელა.** რა თქმა უნდა, გუშინ არ გქონდა, დღეს კი გაქვს.

**არჩილი.** (ეძახის ოფიციანტს). ამხანაგო, გვინახულეთ ერთი!

**აბესალომი.** (რომელიც ამ დროს მაგიდებსა და ბუფეტს შორის დაჰქრის). ამ მინუტში, ბატონო!

**არჩილი.** (იღებს ჯიბიდან პაპიროსს). მიირთვით!

(გელა იღებს, თენგიზი — არა. აბოლებენ).

**მარიკა.** ბიჭებო, დირექტორი!

(შეშინებული არჩილი და გელა პაპიროსებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგიდის ქვეშ მალავენ. აქეთ-იქით იხედებიან, მაგრამ არავინ ჩანს).

**მარიკა.** (იცინის). სრულუფლებიანი მოქალაქეები!..

**გელა.** ესე იგი, ჯერ კიდევ არ გვქონია დღისით, მზისით პაპიროსის მოწევის უფლება.

(აგდებს პაპიროსს).

**არჩილი.** ბიჭოს, ეს ოფიციანტი, ეტყობა, ჩვენ არაფრად გვაგდებს! ამხანაგო, ერთი წუთით გვინახულეთ, თუ შეიძლება!

**აბესალომი.** (შორიდან). ამ მინუთში, თქვენი ჭირიმე.

**არჩილი.** ამ კაცის ერთი მინუთი ერთი საათი არ ყოფილა!

**აბესალომი.** (მოდის). რას გვიბრძანებთ, თქვენი ჭირიმე?

**არჩილი.** ღვინო და საუზმე მოგვიტანე.

**აბესალომი.** რომელ ნომერს მიირთმევთ, ყმაწვილებო?

**არჩილი.** (ყოყმანშია, ბიჭებს გადახედავს). რომელი გაქვთ?

**აბესალომი.** პირველი ნომერი, შენ ხარ ჩემი ბატონი, მეხუთე გინდაო, მეექვსე, მერვე... ოცდაერთი, ოცდაორი, ოცდასამი...

**არჩილი.** (ხმადაბლა გელას). ხედავ რამდენი ნომერი ღვინო ყოფილა. ტყუილად გვისწავლია თერთმეტი წელი.

**გელა.** ყველა ნომერი ღვინო რომ შეისწავლო, კიდევ ხუთი წელი სასოფლოში უნდა დაამრგვალო.

**თენგიზი.** თქვენი გემოვნებით შეგვირჩიეთ, რომელიც ჯობდეს.

**აბესალომი.** როგორ გითხრათ, ჩემო ბიძიებო. შავი ღვინო, როგორიცაა, მეორე ნომერი, მეხუთე, ოცი, ოცდაორი გაბმულ სმაში — ქორწილში ან სხვა დიდ წვეულებაში არ გამოდგება, მძიმეა. ასეთ შემთხვევაში უფრო თეთრ ღვინოს ეტანებიან — ცოლიკოურს, სვირისას; ამ ბოლო ხანებში ქედის ღვინომაც ისახელა თავი. სასმელად სასიამოვნოა და სიმაგრეც არ აკლია. მერვე ნომერსაც ძაან გასავალი აქვს, მაგრამ აქაურ ჩამოსხმას არ გირჩევთ. ჩემი აზრით, უფრო ჯობია...

**თენგიზი.** (მოუთმენლად აწყვეტინებს). ჩვენ არც ქორწილი გვაქვს, ბიძაჩემო, და არც დღეობა. მოგვიტანე კარგი ღვინო, თუნდაც ხუთი ნომერი.

**მარიკა.** დღევანდელ დღეს შამპანური უფრო შეეფერება.

**არჩილი.** გაუმარჯოს შამპანურს!

(მეზობელი მაგიდიდან გაისმის: „ოფიციანტო!“).

**აბესალომი.** (უპასუხებს). ამ მინუთში, ბატონო! ნება მიბოძეთ, ჩემო ბიძიებო, გავიგო რა ზეიმი გაქვთ ასეთი.

**მაყვალა.** დღეს უკანასკნელი გამოცდა ჩავაბარეთ, ბიძია, საშუალო სკოლა დავამთავრეთ.

**აბესალომი.** თქვენ კი გაიხარეთ! ჩემმა ბიჭმა შარშანწინ დაამთავრა და ახლა საინჟინროზე სწავლობს თბილისში. დღევანდელ დღეს მართლაც შამპანური შეეფერება.

**არჩილი.** მაშინ მოგვიტანე.

**აბესალომი.** რამდენი ბოთლი მოგართვათ, ახალგაზრდებო?

**არჩილი.** რამდენი? (ყოყმანობს). ჯერჯერობით სამი ბოთლი გვეყოფა, შემდეგ ვნახოთ. (თენგიზი სახელოზე ექაჩება). თან ერთი „ყაზბეგიც“ მოაყოლე.

**აბესალომი.** ამ მინუთში მოგართმევთ ყველაფერს. (მიდის).

**არჩილი.** ქალიშვილებისათვის ნაყინი და ლიმონათი არ დაგავიწყდეს.

(თენგიზს მიუბრუნდება). რას მექაჩები, რა გინდა?

**თენგიზი.** ბიჭო, სამი ბოთლიო რომ იძახი, იცი შენ რა ღირს შამპანური?

**არჩილი.** რა უნდა ღირდეს ამისთანა? (ათვალიერებს მენიუს). ბიჭოს, მართლა ძვირი არ ყოფილა! აბა, ვის რამდენი გაქვთ? (ყველანი იჩხრეკენ ჯიბეებს და აგროვებენ ფულს).

**თენგიზი.** ორ ბოთლს ძლივს ეყოფა.

**არჩილი.** სამი ვაჟკაცი და ორი ქალი ვზივართ. სირცხვილი იყო ნაკლების მოთხოვა.

**თენგიზი.** ჰოდა, დარჩი მძევლად.

**მარიკა.** ჩვენ ნაყინის ფული გვაქვს; თქვენ იკითხეთ.

**გელა.** უკვე მოაქვს. რაც გინდა, ის მოიგონე.

**აბესალომი.** (მოდის და სუფრას აწყობს). მიირთვით, თქვენი ჭირიმე. (ხსნის შამპანურს).

**არჩილი.** (მესამე ბოთლის გახსნას არ ანებებს). მე მგონი, ბიჭებო, მაინც ოცდაორი ნომერი ჯობს.

**გელა.** მეც ასე ვფიქრობ.

**არჩილი.** მაშინ ბიძაჩემო, ჯერჯერობით ეს ორი ბოთლი დატოვეთ, დანარჩენი შემდეგ ვნახოთ.

**აბესალომი.** როგორც გაგეხარდებათ, ახალგაზრდებო! (მოისმის ძახილი: „აბესალომ!“) ამ მინუთში, ბატონო! (მიდის).

**არჩილი.** თამადა, რა თქმა უნდა, მე ვარ. მაშ ასე, პირველი სასმისით მე მინდა შევსვა ჩვენი სკოლის მასწავლებლების, იმ თერთმეტი წლის სადღეგრძელო, რომლებმაც გაგვზარდა, დაგვაახლოვა და დაგვამეგობრა.

**გელა.** ბიჭოს, შენ სუფრას ისე ხელმძღვანელობ, როგორც ქორწილში გამობრძმედილი თამადა!

**არჩილი.** გელა, ნუ მაწყვეტინებ. მთელ კლასში ყველაზე არასერიოზულ მოსწავლეს დღეს სურს სერიოზულად ილაპარაკოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მაყვალა.** დირექტორმა რომ დაგინახოს, ალბათ, ვერ გიცნობს.

**გელა.** გოგოებო, სტენოგრამისათვის ქაღალდი და ფანქარი მოამზადეთ.

**თენგიზი.** შთამომავლობას არ დაუკარგოთ არჩილის სიტყვა.

**არჩილი.** დღეს ჩვენ ჩავაბარეთ უკანასკნელი გამოცდა, დავამთავრეთ საშუალო სკოლა. ერთდროულად სიხარულსაც განვიცდით და გულიც გვწყდება; ყველას ერთნაირად — მე, ვისი შიშითაც ყველა მასწავლებელი თავს არიდებდა ჩვენი კლასის ხელმძღვანელობას, თენგიზს, რომელმაც ოქროს მედალზე დაამთავრა სკოლა, მარიკასაც, რომელსაც ატესტატში ერთადერთი ხუთიანი ექნება და ისიც სკოლის ნომერი.

**მარიკა.** არა, ორი ხუთიანი, ერთიც — დაბადების წელშია.

**მაყვალა.** ხომ სიხარულით ველოდი ამ დღეს, მაგრამ როცა იგი დადგა, გული მწყდება, თითქოს უფრო მოხარული ვიქნებოდი, რომ სკოლას კი არ ვამთავრებდე, არამედ შემდეგ კლასში გადავდიოდე.

**გელა.** მე კი მიხარია. მიხარია იმიტომ, რომ უკვე პატარა აღარ ხარ და შენ არ გეხება წარწერა კინოს კარებთან — „მოსწავლეები მესამე სეანსზე არ დაშვებიან". აღარაა სავალდებულო მხოლოდ დღის სპექტაკლებზე იარო თეატრში და პაპიროსით სახელო გამოიწვა დირექტორის დანახვისას.

**თენგიზი.** მე კი მეგონა შენ უფრო დიდ რამეზე ოცნებობდი.

**არჩილი.** და ეს ძალიან კარგია — დიადი, ლამაზი ოცნება. მე რომ განათლების მინისტრი ვიყო, აუცილებლად დავნიშნავდი ოცნების გაკვეთილს, კვირაში ერთხელ მაინც.

**მარიკა.** მაგ საგანში მართლაც არ ამცდებოდა ხუთიანი.

**მაყვალა.** აი მე ძალიან მინდა ოცნებით წარმოვიდგინო, როგორი ვიქნებით ჩვენ, ვთქვათ, ხუთი წლის შემდეგ.

**მარიკა.** ეს ძალიან საინტერესოა, ბავშვებო, რა გველის ჩვენ ხუთი წლის შემდეგ.

**არჩილი.** მე შემიძლია გირჩიო, ლამაზო. მიჩვენე შენი ხელი. ოო... შენ გაივლი დიდი და შინაარსიანი ცხოვრების გზას. იცოცხლებ ზუსტად ას წელიწადს.

**გელა.** ყოველად წარმოუდგენელია მარიკა ასი წლის.

**არჩილი.** მე ხელის გულის ნახაზებზე ისე ვხედავ შენს მომავალს, როგორც სარკეში საკუთარ სახეს; მაგრამ, მოიცა, ლამაზო!.. მე აქ ვერ ვხედავ ინსტიტუტს.

**მარიკა.** (შეშინებული). რას ამბობ!.. ვერც ერთ ინსტიტუტს?

**არჩილი.** ვერც ერთს. უფრო სწორად, თითქმის ყველას, მაგრამ მათი კარები დახურულია შენთვის.

**თენგიზი.** არჩილ, მანდ ხომ არ ჩანს მარიკას ბიძა — მინისტრის მოადგილე, რომელიც ბოლოს მაინც მოახერხებს რომელიმე ინსტიტუტის კარის გაღებას?

**არჩილი.** არა, პატივცემული მინისტრის მოადგილე არ ჩანს.

**გელა.** ნამდვილად მოხსნიან.

**მარიკა.** რას ამბობ? დედა გადაირევა, სულ ბიძაჩემის იმედი აქვს.

**არჩილი.** ნუ დაღონდები, ლამაზო, სამაგიეროდ აქ მე ვხედავ წარმოსადეგ ახალგაზრდას ზღვისფერი თვალებით. აი, დაუკვირდით, ბიჭებო, ხომ ხედავთ?

**თენგიზი.** ნამდვილად. სხვათაშორის, კარგი ოჯახის შვილი ჩანს.

**მაყვალა.** არჩილ, შენ პირობა დადე, რომ დღეს სერიოზული იქნებოდი.

**არჩილი.** ეჰ, ძნელი ყოფილა ამ პირობის შესრულება.

**თენგიზი.** კარგია ოცნება, თითქოს ძალას გმატებს იგი.

**არჩილი.** (წამოხტება). მე გენიალური აზრი მომივიდა!

**მარიკა.** აბა, მოვისმინოთ არჩილის გენიალური აზრი.

**არჩილი.** რა ვუყოთ, რომ ჩვენ დავამთავრეთ საშუალო სკოლა; მოდი, მაინც შემოვიღოთ ოცნების გაკვეთილი.

**თენგიზი.** დაუსწრებლად.

**არჩილი.** დღეს თხუთმეტია ხომ? ყოველი თვის თხუთმეტ რიცხვში, ზამთარი იქნება თუ ზაფხული, მზის ჩასვლისას, აი ამ ხეივანში შევიყაროთ თავი. ვინც სხვა ქალაქში წავა საცხოვრებლად თუ სამუშაოდ, მან წერილით აცნობოს აქ დარჩენილებს, როგორ ცხოვრობს ან რას ფიქრობს მომავლისათვის.

**მაყვალა.** ასე, რომ ჩვენ მაინც ერთად ვიქნებით.

**მარიკა.** თვეში ერთი გაკვეთილი! ამას როგორმე გავუძლებ.

**თენგიზი.** მოდით, ახლავე ჩავატაროთ პირველი გაკვეთილი.

**არჩილი.** და იგი მივუძღვნათ თემას — თუ რას ფიქრობს თვითეული ჩვენგანი მომავალში, რა გზას ადგას.

**მარიკა.** ბავშვებო, მხოლოდ საშინაო დავალების გარეშე.

**არჩილი.** დაიწყე მაყვალა, როგორია შენი გეგმები?

**მაყვალა.** მე?.. როგორ გითხრათ.., მე ვფიქრობ დავრჩე აქ, ჩვენს ინსტიტუტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე. მინდა მასწავლებლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავუბრუნდე ჩვენს სკოლას.

**არჩილი.** მარიკა!

**მარიკა.** მე მგონი არც ამ გაკვეთილისათვის ვარ მზად.

**თენგიზი.** გვითხარი, რას ფიქრობ, სწავლას აპირებ, მუშაობას თუ გათხოვებას.

**მარიკა.** რა იქნება, ბავშვებო, რომ არ დავშორდეთ ერთმანეთს? ყველანი ერთ ინსტიტუტში შევიდეთ!

**თენგიზი.** მაგალითად, ზოოვეტერინარულში.

**მარიკა.** ფიჰ... შენ ლამაზად ოცნებაც არ შეგიძლია. მოდი, შევიდეთ თეატრალურზე. გელა პიესას დაწერს, თენგიზი დადგამს, არჩილი ხომ შესანიშნავად ხატავს, მე და მაყვალა ვითამაშებთ.

**გელა.** რა ადვილად აეწყო საქმე.

**მარიკა.** ან კინემატოგრაფიის ინსტიტუტში. აი სად შეიძლება გახდე სახელოვანი. ერთი-ორი როლით ათასების წინაშე წარსდგები და... ყვავილები, ოვაციები, თაყვანისმცემლები... გამგზავრება საზღვარგარეთ, კინოფესტივალებზე.

**არჩილი.** ერთი წუთით წარმოიდგინეთ ასეთი სურათი. ქალაქის ქუჩები მოფენილია უზარმაზარი აფიშებით—„მშობლიურ ქალაქს საგასტროლოდ ეწვია გამოჩენილი მსახიობი მარიკა ბარბაქაძე“.

**გელა.** ეს გვარი მაშინ აღარ გამოდგება.

**არჩილი.** სწორია, არ გამოდგება. მარიკა, გვარის გადაკეთება მოგიხდება, მაგალითად, ბარბანელად. რითია ცუდი? მარი ბარბანელი მარგარიტა გოტიეს როლში. სპექტაკლის დღეს ყველა ბილეთი გაყიდულია. ჩვენ — მარიკას მეგობრები ყურადღების ცენტრში ვართ და პროტექციით სხვებისათვის ვშოულობთ ბილეთებს.

**თენგიზი.** საღამოს კი მარიკას გამოგზავნილი ბილეთებით პირველ რიგში ვზივართ და ანტრაქტებში სხვების გასაგონად ვიგონებთ ბავშვობის წლებს, სხვადასხვა შემთხვევას.

**გელა.** მხოლოდ ყველაფერს არა. გამოჩენილ ადამიანებს არ უყვართ, როცა მათ ყველა წვრილმანს მოაგონებენ.

**მაყვალა.** და ჩვენ, რა თქმა უნდა, უფლება გვაქვს ანტრაქტების დროს შევიდეთ კულისებში...

**არჩილი.** და მოვინახულოთ ფერდაკარგული მარგარიტა გოტიე.

**მარიკა.** და ეს ყველაფერი მხოლოდ ოცნებაა.

**თენგიზი.** რატომ? რაც მე მახსოვს, შენ მუდამ თეატრალურზე ოცნებობდი!

**მარიკა.** არა, მე სამედიცინოზე უნდა შევიდე.

**გელა.** უჰ, ხელი გავიჭერი (ჭიქას განგებ აგდებს მაგიდაზე. იღებს ჯიბიდან ცხვირსახოცს). მარიკა, გენაცვალე, შემიხვიე.

**მარიკა.** რას ამბობ! მე სისხლის დანახვაზე გული მიმდის.

**თენგიზი.** ექიმიც ასეთი უნდა, სისხლის დანახვისა ეშინია.

**მარიკა.** რა ვქნა? დედაჩემს დაუჩემებია, ჩემი მარიკა მაინცა და მაინც ექიმი უნდა გამოვიდესო.

**მაყვალა.** შენ თუ არ გინდა?

**მარიკა.** მე ვინ მკითხავს. ჩემი ატესტატით და ცოდნით ერთნაირად ძნელია ყველა ინსტიტუტში მოწყობა. სამედიცინოზე კი ბიძაჩემს შეუძლია...

**თენგიზი.** შენ ნუ დათანხმდები.

**არჩილი.** მარიკას საკითხი ღიად რჩება.

**გელა.** მიეცეს მარიკას საშინაო დავალება — მოელაპარაკოს სახლში მშობლებს და შედეგი მოგვახსენოს ოცნების მორიგ გაკვეთილზე.

**მარიკა.** მაგ დავალებას ნამდვილად შევასრულებ. ისეთ ამბავს ავტეხ სახლში, ისეთს, რომ...

**მაყვალა.** შენ რაღას იტყვი, არჩილ?

**არჩილი.** მე გავემგზავრები თბილისში, შევიტან განცხადებას სამხატვრო აკადემიაში. მხოლოდ იქ, სადაც მე მსურს სწავლა. დარწმუნებული ვარ, მისაღებ გამოცდებს ვერ ჩავაბარებ.

**მაყვალა.** წინასწარ რა იცი, რა მოხდება? იქნებ ჩააბარო.

**არჩილი.** მაყვალა, გულს ნუ მიკეთებ. მაგრამ მე ვიბრძოლებ იმისათვის, რომ ჩემი ადგილი არ დაიკავოს იმან, რომლისთვისაც სულერთია სად ისწავლის — სამხატვრო აკადემიაში, ნავთობის ინსტიტუტში თუ საბუღალტროზე. მე დავამტკიცებ, რომ სხვებზე მეტი უფლება და მისწრაფება მაქვს ვისწავლო სამხატვრო აკადემიაში. და თუ მე გეოგრაფიაში ვერ ვუპასუხე ქვანახშირის რამდენი წლის მარაგია დონბასის მიწაში, და ამიტომ დამაკლდა ერთი ქულა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ განცხადება უნდა გადავიტანო, მაგალითად, ზოოვეტერინარულზე, სადაც სწავლა სასჯელად მიმაჩნია. თუ საჭირო იქნა, ამის შესახებ მე მივწერ მოსკოვში, ვისაც ჯერ არს. ვიბრძოლებ უმაღლესში მისაღები წესების რეფორმისათვის.

**მარიკა.** არჩილ, შენ დღეს ვეღარ გცნობ, მსჯელობ როგორც მოზრდილი.

**თენგიზი.** გელა რას იტყვის?

**გელა.** აუცილებელია ყველას გამოვკითხოთ პირველ გაკვეთილზე?

**თენგიზი.** ჩვენ ისედაც ცოტანი ვართ.

**გელა.** რვა წლის რომ ვიყავი, ძალიან მომწონდა მეხანძრის სპილენძის პრიალა ჩაჩქანი. საათობით შევცქეროდი მათ ვარჯიშს, ხშირად სკოლაში წასვლა მავიწყდებოდა. შემდეგ ვოცნებობდი მფრინავობაზე, მხოლოდ ისეთზე, როგორიც ჩკალოვი იყო. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ბავშვური გატაცება იყო და რაც უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ვიყავი, მით უფრო რეალურად მიმაჩნდა ჩემი ოცნება. ახლა კი, როცა საშუალო სკოლა დავამთავრე, მე გარკვეულად ვერც წარმომიდგენია ჩემი მომავალი.

**არჩილი.** გამოდის, რომ გელამ გაკვეთილი არ იცის.

**თენგიზი.** არა, **გელას ჰგონია,** ჩვენ ვერ გავუგებთ.

**გელა.** შეიძლება ასეც იყოს. თუმცა მე მაინც ვიტყვი. აი თქვენ ყველამ გამოთქვით საკუთარი აზრი, მაგრამ განა ასე ოცნებობენ? ასეთივე გზით მიდიან ათასები, ათი ათასები. ადამიანმა კი უნდა იოცნებოს არაჩვეულებრივზე, კი არ შიბაძოს სხვას, არამედ გამონახოს დიდი მიზნისკენ მიმავალი საკუთარი გზა.

**არჩილი.** მაშინ მთელი ქვეყანა არაჩვეულებრივი ადამიანებით გაივსებოდა.

**თენგიზი.** მე ვიცი, შენ ოცნებობ გახდე სახელოვანი მწერალი.

**გელა.** მე მაქვს ამაზე ოცნების უფლება. ცხრამეტი წლის ლერმონტოვმა ხომ დაწერა „მასკარადი“, ხოლო ოცდაშვიდი წლისა იგი უკვე ცოცხალი აღარ იყო. დობროლიუბოვმა ოცდახუთი წლისთავზე დაასრულა თავისი დიდი ცხოვრება, ხოლო ბარათაშვილმა ოცი წლის ასაკში შეჰქმნა თავისი პოეზიის შედევრები; და განა ცოტაა ასეთი მაგალითი? ისინი ხომ ჩვენისთანა ადამიანები იყვნენ!

**არჩილი.** მწერლობაც ძნელი საქმეა. გამიგონია, ლევ ტოლსტოიმ თავისი „აღდგომა“ საკუთარი ხელით რვაჯერ გადაწერაო.

**თენგიზი.** მას არც შეეძლო სხვანაირად მოქცევა. ეს მისი სულიერი მოთხოვნილება იყო და არა გენიოსად გახდომის საშუალება.

**გელა.** თენგიზ, შენ ყოველთვის ამბობდი, რომ საშუალოს დამთავრების შემდეგ ქარხანას მიაშურებდი.

**თენგიზი.** მე ჩემი გადაწყვეტილება არც შემიცვლია.

**მარიკა.** ოქროს მედლით ქარხანაში! გადაირიე?

**არჩილი.** აფსუს, მარიკა, შენ მოგცა ეს მედალი!

**გელა.** მერე რა არის ეს — გმირული გადაწყვეტილება, თუ სულიერი მოთხოვნილება?

**თენგიზი.** საღი განსჯით მიღებული გადაწყვეტილება, და, სხვათაშორის, არც თუ ისე იოლი გზა, რადგან მე უნდა ვიმუშაო და ინსტიტუტში ვისწავლო დაუსწრებლად.

**მარიკა.** ბავშვებო, დღეისათვის კმარა, თორემ მომავალ გაკვეთილზე აღარაფერი დაგვრჩება სათქმელი.

**არჩილი.** ამოიწურა ჩვენი პირველი გაკვეთილის დრო (ჩანგალს ბოთლზე აკაკუნებს). ამოიწურა ღვინოც.

**მარიკა.** წკრრრ... დიდი შესვენება, ბავშვებო!

**არჩილი.** ოფიციანტო!

(აბესალომი მოირბენს. ასწორებს ანგარიშს).

**მარიკა.** (გაიჭრება ბექობზე, აიღებს კენჭს და გატყორცნის ზღვისკენ). აბა, ვინ უფრო შორს!..

(სხვებიც გარბიან ზღვისპირისკენ).

**მაყვალა.** გელა, **მოიცა.**

**გელა.** (ჩამორჩება). ჰო.

**მაყვალა.** ჩვენი ოცნების გაკვეთილი არ გამოვიდა გულწრფელი.

**გელა.** რატომ? ყველამ თქვა, რაც აწუხებდა, რაც...

**მაყვალა.** შენს გარდა.

**გელა.** შეიძლება.

**მაყვალა.** გეშინია, რომ მეც ვერ გაგიგებ?

**გელა.** არა, მაყვალა. მე იმას ვშიშობ, რომ შენ შეიძლება ისევ თენგიზი მოგეჩვენოს მართალი. ვთქვათ, გულწრფელია თენგიზის განზრახვა — წავიდეს ქარხანაში, გახდეს კარგი მუშა; მაგრამ ასეთები ხომ უთვალავი არიან. ვის გაკვირვებ ჩვენს ქვეყანაში გეგმების შესრულებით!

**მაყვალა.** თენგიზი ინჟინერი იქნება. რატომ გგონია, რომ იგი ვერ შეჰქმნის დიდ რამეს, ვერ გამოიგონებს ახალ მანქანას.

**გელა.** დიდი ოცნების გარეშე შეუძლებელია დიდი მიზნის მიღწევა. თენგიზი კი მე მეოცნებეს დაცინვით მეძახის.

**მაყვალა.** იმიტომ, რომ შენ გულში მარხავ ოცნებას. თითქოს გეშინია...

**გელა.** ეჰ!.. (ხელს ჩაიქნევს). იქნებ ასე სჯობს.

**მაყვალა.** აი ხომ ხედავ, შენ ჩემთანაც არა ხარ გულწრფელი.

**გელა.** არა, მაყვალა. მე უფლება არა მაქვს სავარაუდოდ გავხადო ჩემი მომავალი. გესმის, არა მაქვს-მეთქი!.. ამიტომ შევალ ინსტიტუტში, გამოვალ თუნდაც მასწავლებელი, ჩავატარებ დღეში ოთხ-ხუთ გაკვეთილს, საღამოობით კი წითელი მელნით ვასწორებ საკონტროლი ნაწერებს.

**მაყვალა.** (მიუხვდა ირონიას). შენ საკუთარ მომავალს დასცინი.

**გელა.** შეიძლება იგი მეტის ღირსი არ იყოს.

**მაყვალა.** რა უნდა გელაპარაკო!

(პლაჟის მხრიდან მოისმის: „გელა! მაყვალა!“ გაბრაზებული მაყვალა მიატოვებს გელას და გარბის. გელა მარტო რჩება. აბესალომი სუფრას ალაგებს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გელა.** ბიძაჩემო, თქვენი ვაჟიშვილი საინჟინროზე სწავლობს?

**აბესალომი.** მაშ, მეორე კურსზეა. სულ მალე ველი. ზაფხულს აქ გაატარებს.

**გელა.** კმაყოფილი ხართ?

**აბესალომი.** იმე, ამას როგორ მეკითხებით, თქვენი ჭირიმე?! რატომ არ ვიქნები კმაყოფილი! შვილი ინჟინერი მეყოლება.

**გელა.** როგორც კი დაამთავრებს, ალბათ, მუშაობას თავს დაანებებთ, შვილი მოგივლით.

**აბესალომი.** ღმერთმა ნუ გამხადოს ჩემი შვილის სარჩენი. იქით ვარჩენ, არაფერს მივაკლებ, მხოლოდ ინჟინრის დიპლომი ჩამომიტანოს მტრის გულის მოსაკლავად. (მიდის).

**გელა.** ესეც იმაზე ოცნებობს, რომ შვილი სახელოვანი ჰყავდეს. მაგრამ ამისთვის ინჟინრის დიპლომიც საკმარისია.

(შემორბიან მაყვალა, მარიკა, არჩილი და თენგიზი).

**მარიკა.** სადა ხარ, გელა? რატომ არ წამოდი ზღვაზე? ისეთი სასიამოვნოა, ისეთი, რომ...

**გელა.** შენ და არჩილმა იკითხეთ, აქედან რომ მიემგზავრებით, თორემ ეს ზღვა ჩვენთან არ რჩება? კიდევ მოვესწრებით.

**არჩილი.** რაღაც ორი ჭიქა დავლიე, თითქოს თავში შემიჯდა, ამ ბანაობამ კი სულ ერთიანად გამომინელა. მინდოდა მთვრალი მივსულიყავი სახლში, ეგრძნოთ, რომ უკვე მოსწავლე აღარ ვარ.

**მაყვალა.** ჩვენ ისე გავერთეთ, რომ სახლი სულ გადაგვავიწყდა. ჩვენები, ალბათ, მოუთმენლად გველიან. უკვე ღამდება.

**მარიკა.** შეხედეთ, ბავშვებო, მზე ჩადის.

**მაყვალა.** რა მშვენიერია! აგერ იქედან კარგად მოჩანს.

(სცენა ტრიალებს. მეგობრები გადიან ბექობზე, რომლის იქით მოჩანს ზღვა, ჩამავალი მზის სხივებისაგან მეწამულისფრად შეფერადებული დასალიერი).

**მარიკა.** თითქოს ჰორიზონტს ხანძარი გასჩენია.

**არჩილი.** ბიჭებო, რაღაც პოეტურ გუნებაზე ვარ. ერთი ლექსი მაინც ვიცოდე ზეპირად. „წარვედ წყალის პირს, სევდიანი, ფიქრთ
გასართველად“...

**თენგიზი.** არ გამოდგება. ძირს სევდა!

**არჩილი.** გელა, მეტი გზა არაა, უნდა გაიხსენო შენი სიყმაწვილის დროინდელი ლექსები.

**გელა.** ეჰ, სადღა მახსოვს.

**მაყვალა.** მე მახსოვს.

გვახარებს მზე და რიყრაჟის ფეთქვა,
გული სიამით ტოკავს და გვიცემს;
სკოლის კედლებში შრომასთან ერთად,
ჩვენ მეგობრობაც ვისწავლეთ მტკიცე.

**გელა.** (აგრძელებს).

რომ დაგვაშოროს შემთხვევით ბედმა,
არ გაიკარო წუხილი გულთან;
გახსოვდეს ჭირში, ლხინში, საქმეში,
შენ მეგობარი გვერდით გყავს მუდამ.

**არჩილი.** მეგობრებო, ხომ გახსოვთ „ახალგაზრდა გვარდიაში“ ფიცის სცენა. მე იგი ძლიერ მაღელვებს. დღეს არც ომია, მომავალიც ნათელი გველის, მაგრამ მოდი, ისე როგორც ახალგაზრდა გვარდიელებმა, ჩვენც შევფიცოთ ერთმანეთს განშორების წინ.

**თენგიზი.** თუ დაბრკოლებას წავაწყდებით ცხოვრებაში, ან მძიმე წუთებს გვარგუნებს ბედი, მყისვე ვაუწყოთ ერთმანეთს, ხელი გავუწოდოთ, გავამხნევოთ მეგობრული სიტყვით.

**მარიკა.** ყოველი თვის თხუთმეტ რიცხვში, აი აქ...

**მაყვალა.** ოცნების ხეივანში.

**არჩილი.** ეს კარგად მოიფიქრე, მაყვალა, გენიოსი ხარ! ოცნების ხეივანში!..

**მაყვალა.** დაე ეს საღამო, ეს მზე, გზას რომ გვინათებს, იყოს ჩვენი ფიცის მოწამე.

**არჩილი.** მაშ შევფიცოთ ერთმანეთს!

**ყველანი.** ვფიცავთ!

ფ ა რ დ ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაკობ მელია

## ჯარისკაცის ნაამბობი

რა ქარი ქროდა წყეული!
ცას ედებოდა ხანძარი,
მტრის რკალში გამომწყვდეული
იბრძოდა ჩვენი ლაშქარი.
ცეცხლს სანამ გაუმაგრდები,
კვამლით გარუჯულ სანგრებში,
კვლავ განგაშებდნენ ნაღმები
და ალი გვცემდა სახეში.
— დაგვნებდით, თორემ დაგლეწავთ! —
იყო მუქარა აფთრების,
მაგრამ ჭიდილი გაგრძელდა,
მესამე ღამეს ვათევდით.
ცისკრის ხანს მაცნე დაღლილი,
ასე ამბობდა, მე მახსოვს,
ერთგან გასავლელ გზა-ბილიკს
მტრის ამბრაზურა კეტავსო.
სიკვდილის ცელი ბასრია,
განსაცდელს ძნელად აცდები!
ერთ წუთს საოცარ დუმილში
ჩაფიქრდნენ ჯარისკაცები.
და ჰა! წამოდგა ყმაწვილი,
საერთო აზრი შეკონა,
გინახავთ მთების არწივი?
ისიც არწივი მეგონა.
ფიცხლავ გაფრინდა ვაჟკაცი,
თითქოს აისხა ასი ფრთა, —
და მტრის შენიღბულ ტყვიამფრქვევს
პირქვე დაემხო მაღლიდან.
ცეცხლი ჩააქრო გულმკერდით,
გზა ჩაკეტილი გაგვიხსნა.
შეიძრა ჩვენი ლაშქარი,
ქარიშხალს ჰგავდა, ქარიშხალს!
დავძახეთ ბრძოლის ყიჟინა,
გულში იმედი გადიდდა,
აღვმართეთ ხიშტი პირბასრი
და მტერს ვეკვეოეთ ფლანგიდან.
მივძარ-მოვძარით მურდლები,
ვერსად გაგვექცნენ ვეღარა.
სამი რომ მოვკალ მოქიშპე
ცოფიანი და მკვეხარა,
ძმისკენ მოვბრუნდი საჩქაროდ,
ამბრაზურასთან მივედი,
ვაჰმე, სულ გადაეცხრილა
ტყვიამფრქვევს ჩემი ძმის მკერდი,
გადაეცხრილა გულიც და
კომკავშირული ბილეთიც.
იქვე შევგროვდით ყველანი
დუმილში წარბშეკრულები,
კომკავშირელი გმირის წინ
ჩვენ მოვიხადეთ ქუდები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ გეგეჭია

# გმირობისა და მამაცობის წლეგი

29 ოქტომბერს საზეიმოდ აღინიშნა ორმოცი წლისთავი ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირისა, რომელიც მშრომელთა დიდი ბელადის, კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ინიციატივით შეიქმნა.

ორმოცი წლის წინათ, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ქარცეცხლში დაბადებული კომკავშირი ყოველთვის იყო და დარჩება კომუნისტური პარტიის ერთგულ თანაშემწედ და საიმედო რეზერვად.

კომკავშირის ისტორია მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის ისტორიაა. სამამ�დიდებით შევა ისტორიაში სამოქალაქო ომში, სოციალიზმის მშენებლობის წლებში, სამამულო ომის ფრონტზე კომკავშირის მასობრივი გმირობის მაგალითები.

ჩვენი სახელმწიფოს ისტორიის ყველა ეტაპზე კომკავშირი წარმოშობდა ათასობით ახალ გმირებს, რომლებიც თავდადებული შრომითა და შეუპოვარი ბრძოლებით ასახელებდნენ მათ აღმზრდელს — კომუნისტურ პარტიას. მათს გმირობასა და თავდადებას არასოდეს არ დაივიწყებს კომკავშირის მომავალი თაობა.

აჭარის კომკავშირი —საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთი მოწინავე და მებრძოლი რაზმი, რომლის რიგებში ოცდაათხი ათასზე მეტი წევრი ირიცხება, აქტიურად მონაწილეობს სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში, თავისი წვლილი შეაქვს კომუნისტურ მშენებლობაში. რესპუბლიკის ქალიშვილები და ჭაბუკები ღირსეულად შეხვდნენ ლენინური კომკავშირის სახელოვან იუბილეს.

აჭარის კომკავშირული ორგანიზაცია დაიბადა მენშევიკებისა და უცხოელი ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლის სუსხიან წლებში. ბათუმის რევოლუციური პროლეტარიატის ყოველდღიური ხელმძღვანელობითა და დახმარებით გამოიწვრთო იგი ხალხის საძულველ მტრებთან ბრძოლაში. ბათუმის კომკავშირული ორგანიზაცია აჭარის ახალგაზრდობის მედროშე და გზის გამკვლევი იყო. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, ახალი ქარხნებისა და ფაბრიკების მშენებლობა, წითელი ფლოტის შეფობა, რელიგიურ ცრურწმენათა წინააღმდეგ ლაშქრობა, პირველი შაბათობანი, სოფლებში გზის გაყვანა — აი, რა მრავალფეროვან მუშაობას ეწეოდა აჭარის კომკავშირული ორგანიზაცია თავისი დაბადების პირველ წლებში.

როდესაც მთელ საბჭოთა კავშირში პარტიის მოწოდებით ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება, სოფლის ახალგაზრდობის მოწინავეთა პირველ რიგებში კომკავშირელი მეჩაიეები ა. გურგენიძე და მ. ფუნდუკიდი იყვნენ. მათ ახლებურად დაიწყეს მუშაობა და მალე აჭარის ჩაის პლანტაციებში ასობით ქალიშვილი აქტიურად ჩაება საკავშირო შეჯიბრებაში.

ახალგაზრდა მუშა მემედ ფაღავა ორთაბათუმიდან მოვიდა ბათუმის ნავთობგადამმუშავებელ ქარხანაში სამუშაოდ. ქარხნის დანადგარების რთულმა ტექნიკამ ვერ შეაშინა კომკავშირელი ჭაბუკი. რამდენიმე წლის შემდეგ იგი უკვე ოპერატორად მუშაობდა. ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი გაგზავნა აჭარის კომკავშირმა ქალაქის ფაბრიკებსა და ქარხნებში. კომკავშირის ინიციატივით შეიქმნა ტექნიკური მინიმუმის წრეები, ნოვატორული მუშაობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცდილების სკოლები. ახალგაზრდობა ხარ-ბად დაეწაფა ტექნიკურ ცოდნას. ინგრეოდა მუშაობის ძველი ნორმები, კომკავშირელები შრომის რეკორდსმენები გახდნენ.

თუ მეფის რუსეთისა და მენშევიკების ბატონობის დროს აჭარაში და განსაკუთრებით მაღალმთიან რაიონებში თითო-ოროლა სკოლა იყო გახსნილი, აჭარის კომკავშირის თაოსნობით გამოცხადდა დამკვრელი სამწლიური; ახალგაზრდა კოლმეურნეებმა გაცხოველებული მუშაობა გააჩაღეს ყოველ სოფელში სკოლის აშენებისათვის.

ახალგაზრდობა — სოციალისტური მშენებლობის ყველაზე მძიმე და მოწინავე უბნებზე მიდიოდა სამუშაოდ და ყველგან თავდადებული შრომის მაგალითს იძლეოდა.

1941 წელს საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომა და ცხოვრება ჰიტლერული გერმანიის ავაზაკურმა თავდასხმამ დაარღვია. დაიწყო დიდი სამამულო ომის მძიმე წლები. რუსეთისა და უკრაინის ტრამალებზე, ყირიმში, კარპატებში, ბალტიისა და შავი ზღვის სანაპიროებზე — ყველგან, სადაც ჩვენი დიადი სამშობლოს ბედი წყდებოდა, თავგანწირვითა და შეუდრეკლად იბრძოდნენ აჭარის კომკავშირის წარგზავნილები.

კომკავშირელი იური ნინიძე და ჯემალ კომახიძე დაუნდობლად ანადგურებდნენ მტერს სევასტოპოლის მისადგომებთან. სტალინგრადის ქუჩებში რუს და უკრაინელ მეომრებთან ერთად გმირულად იბრძოდა ბათუმელი დავით თავაძე. აქვე სტალინგრადის ცას იცავდა საზენიტო არტილერიის სერჟანტი ვახტანგ შარაბიძე. მტრის ზურგში, ლეგენდარული კოვპაკის რაზმში იბრძოდა სულეიმან ხახვა. აჭარის კომკავშირი სიამაყით და დიდებით იხსენიებს საბჭოთა კავშირის გმირს — კომკავშირის აღზრდილს, მამაც მფრინავს ისრაფილ ჯინჭარაძეს, რომელმაც სიცოცხლე შესწირა სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

როდესაც ფრონტზე აჭარის კომკავშირის აღზრდილები სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ებრძოდნენ მტერს, ზურგში, ქალაქის ფაბრიკებსა და ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებში აჭარელი ახალგაზრდობა თავდადებული შრომით სჯედდა გამარჯვებას.

კომკავშირის ისტორია სავსეა გმირული საქმეებით. ხუთი ორდენი ანათებს მის დროშაზე, რაც სამშობლოსადმი კომკავშირის დიდი დამსახურების საყოველთაო აღიარებაა.

კომუნიზმისათვის ბრძოლის მრავალი წლის და შეუპოვარი, ჰეროიკით სავსე წლების განმაკლობაში კომკავშირი ნათლად ინახავს და ამდიდრებს კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხის გმირულ რევოლუციურ და შრომით ტრადიციებს.

ეს ტრადიციები კომკავშირის სულიერი და მაორგანიზებელი სიმდიდრეა და სიამაყე.

მსოფლიო პროგრესულმა ახალგაზრდობამ ზეიმით აღნიშნა კომკავშირის დაბადების 40 წლისთავი, მთელი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობასთან ერთად აჭარის ჭაბუკები და ქალიშვილები დიდი წარმატებებით შეხვდნენ სახელოვან თარიღს.

„გაუსწარი დროს!“

„ჩვენი ლოზუნგი ტემპია!“

ასეთი დევიზით მუშაობდნენ გემთმშენებელი ქარხნის ახალგაზრდები. სულ რამდენიმე თვის წინათ ქარხნის ერთ-ერთ საამქროში უჩვეულო გამოცოცხლება სუფევდა. აქ მოსულიყვნენ ქალაქის საწარმოთა მოწინავე მუშები, წითელყელსახვევიანი პიონერები, მოსწავლეები. საფუძველი ეყრებოდა ხომალდს ანუ, როგორც გემთმშენებლები ამბობენ, მომავალი გემის რკინის პირველი ფურცელი დაიდვა. ქარხნის ხუთმა ახალგაზრდულმა ბრიგადამ დაიწყო გემ „ბორის ძნელაძის“ მშენებლობა...

ამ გემს განსაკუთრებული სიყვარულით, მზრუნველობით და მონდომებით აშენებდნენ ახალგაზრდა მუშები და დღეს შავი ზღვის ლაღ ზვირთებში ამაყად დაცურავს თოვლივით თეთრი ხომალდი, რომელიც საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთი ორგანიზატორის სახელს ატარებს.

სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის კომკავშირული სარეიდო ჯგუფები, საკონტროლო საგუშაგოები დიდ დახმარებას უწევენ ქარხანას ნავთობპროდუქტების დანაკარგის ლიკვიდაციაში; რკინიგზის კვანძის ახალგაზრდები ვაგონების მოცდენის შემცირებისათვის მოძრაობის პიონერები არიან.

ბათუმში რკინიგზით და საზღვაო ტრანსპორტით ყოველდღე მოდის სახალხო მეურნეობისათვის საჭირო დიდი ტვირთი. ნავსადგურისა და რკინიგზის კვანძის კომკავშირელთა შრომითი ვახტის დევიზია „არც ერთი წუთით არ დაყოვნდეს ტვირთის დანიშნულებისამებრ გაგზავნა!“.

საღამოობით ხშირად შეიძლება დაინახოთ ასეთი სურათი: მთავარნავთობგასაღების ბათუმის სასაქონლო-სატრანსპორტო სამმართველოში ტვირთავენ ღია ვაგონებს. ვადაზე ადრე მიდის ბითუმი სტალინოს ოლქში, „აზოვსტალის“ მეტალურგებთან, სადაც უკრაინელი ახალგაზრდები კომკავშირულ ბრძმედებს აგებენ.

ასე რომ აჭარის ახალგაზრდობის მჩქეფარე

ენერგია მთელი კომკავშირის მაჯისცემაში იგრძნობა.

თუ ორი-სამი ათეული წლის წინათ სიტყვა „მოწინავე“, „ნოვატორი“, „მრავალდაზგოსანი“ ათეულების და ასეულების შრომით თავდადებას აღნიშნავდა, ახლა კომკავშირი ახალგაზრდობის მასობრივი გმირობის, საერთო ენთუზიაზმისა და საყოველთაო შრომითი აღმავლობის სათავეში დგას.

ყველგან — აჭარის მაღალმთიან სოფლებში, სუბტროპიკულ რაიონებში, საბჭოთა მეურნეობებში, ქარხნებსა და ფაბრიკებში გაჩაღებულ დიდ შემოქმედებითს შრომაში ახალგაზრდობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი პირნათლად ასრულებს ვ. ი. ლენინის ანდერძს: ყოველ დღე, ყოველ სოფელში, ყოველ ქარხანაში ახალგაზრდობა პრაქტიკულად უნდა სწყვეტდეს საზოგადოებრივი შრომის ამათუიმ ამოცანას, თუნდაც სულ მცირეს, სულ უბრალოს.

აჭარის ახალგაზრდობას შორის არიან კომუნიზმის საქმისათვის თავდადებული ათასობით მგზნებარე მებრძოლები, ჭეშმარიტი ლენინელები. ვინ არ იცნობს ტყავის ქარხნის მოწინავე ახალგაზრდა მუშას ჯემალ გოგიტიძეს, ქობულეთელ გულიკო კაკალაძეს, რომელმაც პლანტაციებში სამი წლის კეთილსინდისიერი შრომის შემდეგ სწავლა განაგრძო უმაღლეს სასწავლებელში; ნაღვარეველ თავდგირიძეს, რომელიც უნარიანად ხელმძღვანელობს სოფლის ახალგაზრდებს; შრომაში პირად მაგალითს იძლევა ზედა ჩხუტუნეთის კომკავშირული კომიტეტის მდივანი ნაგერავაძე; ქების ღირსნი არიან პაქსაძელი კომკავშირელები რამიზ და შუქრი ბოლქვაძეები, მუხამედ გელაძე, რომლებმაც სხვა ახალგაზრდებთან ერთად ააგეს 45 ტონა ტევადობის სასილოსე კოშკი, დაასილოსეს 160 ტონა საკვები.

ახალშენის მეურნეობა საბჭოთა ხელისუფლების დროს შექმნილი სახელმწიფო მეურნეობაა. აქ მცირერიცხოვანი კომკავშირული ორგანიზაციაა, მაგრამ თვითეულ კომკავშირელს მკერდში ენთუზიასტის მჩქეფარე გული უცემს და თავში სულ მუდამ ახლის ძიების აზრი უტრიალებს. მრეწველობის კომკავშირელები და ახალგაზრდები მომჭირნეობისა და გამოუყენებელი რეზერვების გამონახვის ოსტატები არიან. რამდენი ათეული ძვირფასი წამოწყება დაიბადა მოსკოვის, ხარკოვის, ლენინგრადის ფაბრიკებსა და ქარხნებში. ნუთუ სოფლის ახალგაზრდობა განზე უნდა იდგეს ამ პატრიოტული მოძრაობისაგან? განა სოციალისტურ სოფელში არ არის წარმოების ზრდის გამოუყენებელი რეზერვები, მომჭირნეობის საშუალებები!

დაიწყო შეუპოვარი კომკავშირული ძიება.

ყოველგვარი გაზვიადების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ 1957 წლის იანვარში ახალშენის საბჭოთა მეურნეობაში ჩატარებული კომკავშირული კრება ღირსეულ ადგილს დაიკავებს კომკავშირის ისტორიაში. ახალშენელებმა დაიწყეს სოფლად კომკავშირული ყულაბის შექმნისათვის ბრძოლა.

90 ათასი მანეთი მივცეთ სახელმწიფოს მომჭირნეობისა და გამოუყენებელი რეზერვების გამოძებნის გზით! — გადაწყვიტა საბჭოთა მეურნეობის 13 კომკავშირელმა. ცოტა ხნის შემდეგ საოლქო კომიტეტში დაიწყო პატაკების დენა რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებიდან. მალე ამ მოძრაობას შეუერთდა კოლმეურნე ახალგაზრდობა და ახლა, როდესაც საოლქო კომიტეტმა წინასწარ შეაჯამა სოფლის კომკავშირულ ყულაბაში შეტანილი თანხა, იგი ხუთ მილიონს აჭარბებს.

ახალშენელების ინიციატივამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა საქართველოს სოფლის ახალგაზრდობაში, ხოლო კომკავშირის XIII ყრილობამ თავის გადაწყვეტილებაში მოიწონა იგი და წინადადება მისცა რაიონულ კომიტეტებს ფართო გასაქანი მიეცათ სოფლად კომკავშირული ყულაბის შექმნისათვის.

ასეული მილიონობით მანეთია შეტანილი სოფლის ახალგაზრდობის ყულაბაში.

განა ეს ახალი დროის რომანტიკა არ არის?

ორი თვის წინათ ბათუმის პიონერთა პარკის მწვანე თეატრში თავი მოიყარა აჭარის კომკავშირული ორგანიზაციის სამასმა წარმომადგენელმა. მათ შორის იყვნენ სტუდენტები, მუშები, კოლმეურნეები, ახალგაზრდა ექიმები, ტექნიკოსები, მოსწავლეები. ტრიბუნაზე ერთ-ერთი მათგანი მგზნებარედ კითხულობდა:

„...ნებაყოფლობითი რაზმი აგებულია შემდეგ პრინციპებზე:

ა) თავდადებული და შეუპოვარი შრომა

ბ) რკინისებური დისციპლინა

გ) ყოველგვარი სიძნელის შეუპოვრად გადალახვა

დ) კომუნისტური პრინციპულობა

ე) მეგობრული ურთიერთდახმარება...

თუ რაზმის რომელიმე წევრი სიტყვით ან საქმით დაარღვევს ზემოჩამოთვლილ ვალდებულებებს, დაივიწყებს დამკვრელი რაზმის პრინციპებს, მას მოელის ამხანაგების გაკიცხვა და დაუყოვნებლივი განდევნა რაზმის შემადგენლობიდან.“....

ეს სიტყვები ამოღებულია კომკავშირის ორმოცი წლისთავის სახელობის აჭარის კომკავშირის რაზმის წესდებიდან. რაზმი სალაშქროდ მიემგზავრებოდა ნაყამირალ მიწებზე, შორეულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაზახეთში. სამასი ჭაბუკი და ქალიშვილი გულდასმით უსმენდა წესდების მკაცრ მოთხოვნებს და გულში ყოველი მათგანი ფიცს სდებდა, რომ პირნათლად შეასრულებდა ყველა პუნქტს.

ამ დროს უნებლიედ მოგაგონდებათ სამოქალაქო ომის პერიოდში მოხალისე კომკავშირელთა ფიცი, მაგნიტკისა და ამურზე კომკავშირული ქალაქის მშენებელთა პირველი სოციალისტური ვალდებულებები.

ესეც ხომ ახალი დროის რომანტიკაა და მეხუთე ორდენიც კომკავშირს ხომ ყამირზე სახელოვანი შრომისათვის მიენიჭა.

თუ დონბასის ახალგაზრდები თავდადებით შრომობენ ქვანახშირის ამოღებისათვის, „უზბეკეთში — ბამბის უხვი მოსავლისათვის, აჭარის კომკავშირელები ენერგიულად იბრძვიან „მწვანე ოქროს“ — ჩაის მოსავლის გადიდებისათვის. ჩაის კრეფა შრომატევადი და ფაქიზი სამუშაოა. საბჭოთა სახელმწიფო ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი სამამულო ჩაით და იძულებულია იგი უცხოეთიდან შემოიტანოს. სწორედ ამიტომ საქართველოს მშრომელებმა პატრიოტული ვალდებულება იკისრეს—უახლოეს წლებში მთლიანად უზრუნველყონ სამშობლო სამამულო ჩაით. ამ დიდ საქმეში განსაკუთრებული როლი ენიჭებათ აჭარის მეჩაიეებს. ძნელია იმათი გვარების ჩამოთვლა, ვინც თავი ისახელა წელს ჩაის კრეფაში. თუ შარშან ქობულეთისა და ბათუმის რაიონების ახალგაზრდა მეჩაიეებმა 14 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს, წელს სახელმწიფოს ჩააბარეს 17 ათას ტონაზე მეტი ნედლეული. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად გეგმის გადაჭარბებით მოკრეფილია ათასი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

ესეც ხომ ახალი დროის რომანტიკაა?

* * *

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რათა ახალგაზრდობა აღიზარდოს შრომისმოყვარე და ჯანმრთელი, მხნე, სიცოცხლისმოყვარული, განათლებული და კულტურული, რომ კომკავშირმა შემდგომშიც აღზარდოს ყველა ჭაბუკი და ქალიშვილი კომუნისტური ეპოქის ადამიანის კეთილშობილური სულისკვეთებით.

250 პოლიტწრეში ორი ათასზე მეტი კომკავშირელი და ახალგაზრდა იმაღლებს იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონეს. წელს პირველად შეიქმნა კომკავშირულ ორგანიზაციებში აჭარის კომკავშირის ისტორიის შემსწავლელი წრეები; საკ. ალკკ 40 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით ჩატარებულია ორასი ლექცია და მოხსენება.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ახალგაზრდობის კულტურულ დასვენებას. დიდხანს ემახსოვრება ჩვენს ახალგაზრდობას პირველი ფესტივალის დღეები. ფესტივალი არა მარტო კომკავშირელების, არამედ ქალაქის და რაიონების ყველა მშრომელის დღესასწაულად გადაიქცა. მან ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გამოავლინა, გამოაცოცხლა კულტურულ-მასობრივი მუშაობა სოფლად. დიდი წარმატებები ხვდათ წილად აჭარის ახალგაზრდობის მხატვრულ თვითმოქმედ კოლექტივებს თბილისში — საქართველოს ახალგაზრდობის პირველ ფესტივალზე და მოსკოვში — VI მსოფლიო ფესტივალზე.

ხშირად ეწყობა ახალგაზრდობის საღამოები, დისპუტები, ლიტერატურული გარჩევები. ახალგაზრდობა ხარბად ეწაფება წიგნს. წარმატებით ჩატარდა საკ. ალკკ ორმოცი წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნის ერთთვიური.

აჭარაში შეხვდებით საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ყველა ეროვნების წარმომადგენლებს. ისინი ქართველ ახალგაზრდებთან მხარდამხარ შრომობენ დაზგებთან, აგრეგატებზე, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში. აჭარელი ახალგაზრდები ფართო მიწერ-მოწერას აწარმოებენ უცხოეთის ქვეყნების სტუდენტებთან, ფეიქრებთან, ნავსადგურის მუშებთან, მოსწავლეებთან.

აი რას სწერს საკონდიტერო ფაბრიკის ახალგაზრდა მუშა ზაირა სამათაძე თავის გერმანელ მეგობარს: „...ფაბრიკა, სადაც მე ვმუშაობ, ტკბილეულს ამზადებს. ხშირად მიფიქრია, რომ მსოფლიოში ყველგან ისეთი ფაბრიკები და ქარხნები უნდა იყოს, რომლებიც მხოლოდ ხალხისათვის საჭირო და სასიამოვნო პროდუქციას გამოუშვებენ. 15 წლის წინათ გერმანიაში კრუპის ქარხნებში დამზადებულმა ქვემეხებმა დაანგრიეს ჩემი სამშობლოს მრავალი ქალაქი და სოფელი. ეს აღარ უნდა განმეორდეს!“

კომკავშირის 40 წლისთავის აღსანიშნავად ბათუმელმა ახალგაზრდებმა ჩამოაყალიბეს კლუბი „ქვეყნის ირგვლივ“, რომელიც აჭარელი ახალგაზრდების ინტერნაციონალურ კლუბად გადაიქცა. აქ ეცნობიან უცხოეთში ახალგაზრდობის ცხოვრების პირობებს, სწავლობენ ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ენებს, სოლიდარობას უცხადებენ აღმოსავლეთის ქვეყნების თავისუფლებისმოყვარე ახალგაზრდობას, არჩევენ საზღვარგარეთის ლიტერატურის ახალ ნაწარმოებებს.

რესპუბლიკის სკოლებში 40 ათასზე მეტი პიონერი და კომკავშირელი სწავლობს. ისინი კომკავშირის იუბილეს ბეჯითი სწავლითა და საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში აქტიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაწილეობით შეხვდნენ. ქალაქის პიონერებმა ამ თარიღს მიუძღვნეს ექსპედიციები მშობლიური მხარის შესასწავლად. ქობულეთელი მოსწავლეები ზაფხულში უფროსებთან ერთად დაუღალავად შრომობდნენ ჩაის პლანტაციებში, ქედის რაიონის ნორჩი ლენინელები მეცხოველეობის და მეფრინველეობის განვითარების პატარა შეფები არიან. პარტია და მთავრობა მზრუნველობას არ აკლებენ სკოლას. მოსწავლეთა განკარგულებაშია რაიონული და საქალაქო პიონერთა სახლები, ბიბლიოთეკები, შესანიშნავი პიონერთა და მოსწავლეთა პარკი, ნორჩ ტექნიკოსთა და ნატურალისტთა სადგურები, მოედნები და სხვ. ბავშვები ეცნობიან პიონერული ორგანიზაციის სახელოვან ტრადიციებს, კითხულობენ წიგნებს, ეჩვევიან დამოუკიდებელ მუშაობას, მონაწილეობენ სპორტულ შეჯიბრებებში.

სკოლა მჭიდროდ არის დაკავშირებული ცხოვრებასთან. ბათუმის საშუალო სკოლების მოსწავლეთა დიდი ნაწილი თავისუფალ დროს ქარხნებსა და ფაბრიკებში ატარებს; საამქროებში გამოცდილი ოსტატები ასწავლიან მათ დაზგასთან მუშაობას, მშენებლობებზე მოსწავლეებმა და სტუდენტებმა 20 ათასზე მეტი საათი გამოიმუშავეს.

* * *

არ არის სამეურნეო, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მშენებლობის არც ერთი უბანი, სადაც თავიანთი ენერგია არ დაეხარჯოს კომკავშირს. იგი კეთილსინდისიერად და პატიოსნად ემსახურება სოციალისტურ სამშობლოს, კომუნიზმის საქმეს, მყისვე ეხმაურება პარტიის მოწოდებას. ეს კომკავშირის ცხოვრების კანონად იქცა.

თავისი საბრძოლო და შრომითი საქმეებით კომკავშირმა საყოველთაო პატივისცემა და ხალხის სიყვარული მოიხვეჭა.

სიცოცხლეზე უფრო ძლიერ უყვარს ახალგაზრდობას კომუნისტების პარტია. მასშია ჩვენი ძალა და დიდება. ის არის ჩვენი ცხოვრების მასწავლებელი და გენიალური მშენებელი. ის არის ჩვენი აღმზრდელი და ბელადი. პარტიამ ახალგაზრდა თაობას დაუსახა დიადი და ნათელი მიზანი — კომუნიზმი! ის ხსნის ახალგაზრდობის წინაშე სულ ახალ და ახალ ჰორიზონტებს, ენდობა კომკავშირს დიდი სახელმწიფოებრივი საქმეების განხორციელებაში და სწორედ ამაში მდგომარეობს საბჭოთა ახალგაზრდობის ბედნიერება.

ახალგაზრდობას სჯერა პარტიისა, მიჰყვება პარტიას, რადგან ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის თქმით, პარტიაში ხედავს ჩვენი ეპოქის ტვინს, ღირსებასა და სინდისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნესტორ მაღლაფერიძე

## თბილისის დილა

ხომლი თითქოს კანკელია თბილისზე,
ძილს მოუცავს საბუდარი არწივთა.
მაგრამ ლურჯი ცა გამოსწვა დილის მზემ
და ხანძარში აილეწა მთაწმინდა.

სიომ ჭადარს ჩასჩურჩულა ალერსი,
მტკვარზე ნაპირს შესთამაშეს ზვირთებმა.
ცა იცინის, ქალაქს უცქერს თვალებში,
უხარია — ყვავილებით ირთვება.

რა დილაა, რა ნიავის ფრენაა,
ცვარს თბილისი ასე როდის უმოსავს!
ყოველი დღე მზის ახალი ფენაა
და ქვეყანას ახალ შვებას ულოცავს.

ჭაღარა ხარ, მაგრამ გული ჩაუქობს,
პირს ღიმილი არ გშორდება სალაღო.
მზეს და დილას მოგილოცავ ჩაუქრობს,
ჩემო დედავ, ჩემო თბილის-ქალაქო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე სამსონია

# ჩვენი თგილისი

სოფლის შარაგზა თავდება თუ არა, ერთბაშად იწყება ზღვა. ზღვის ნაპირას დგას მწვანეში ჩაფლული სახლი. ეს მოხუცი მებადურის — ბაბუა სულეიმანის ოდაა. აივანი ლურჯად შეუღებავთ, მაგრამ ეტყობა დიდი ხნის წინათ, რადგან ალაგ-ალაგ წვიმას ჩამორეცხავს და ფერი გადასვლია.

სახლი თითქოს ზღვაზე დგას, ისე ახლოსაა. როცა ფანჯრები ღიაა, ოთახში ტალღების ხმაური შემოდის და მიძინებულ ოდას სიცოცხლე უბრუნდება.

დანარჩენ დროს ოთახებში მხოლოდ სიჩუმეა. ბაბუა სულეიმანი დილიდან ზღვაზე მიდის და, სანამ დაბრუნდებოდეს, ეზო-კარის დარაჯი მურა-ძაღლია, რომელსაც პატრონივით შეპარვია სიბერე და გაუთავებელი დარდით თუ ლოდინით ავსებია ჭკვიანი თვალები.

საღამოს, როცა ზღვაში ჩაეკიდება დაღლილი მზე და საოცრად დაგრძელდებიან პალმების ჩრდილები, სულეიმანი ჭიშკარს ააჭრიალებს და დინჯად, თითქოს ყოველ ნაბიჯს ითვლისო, ოდა-სახლისაკენ გასწევს.

ჭრიალს გაიგონებს თუ არა, ძაღლიც წამოდგება ლაფაროდან და ისიც ნელა გაემართება პატრონისაკენ. ბერიკაცი დაკოჟრილ ხელს თავზე გადაუსვამს და ეტყვის:

— დავბერდით, ჰა, მურია?

მურია ალერსით ელამუნება სულეიმანს. მოხუცს სველ ტანსაცმელზე ეკვრის მისი ბეწვები. ერთხანს ბერიკაცი და მურია ერთად მიდიან. მერე ძაღლი ჯდება და უყურებს, როგორ ადის პატრონი კიბეებზე და შემდეგ როგორ აღებს ძთელი დღით დაკეტილ ფანჯრებს.

შეუმჩნევლად მოდის სიბნელე. მოხუცი სინათლეს ანთებს და რადიოს რთავს. მერე ბაღში სკამლოგინზე წამოწოლილი უსმენს, თუ რას ამბობს თბილისი.

ვახშმობის შემდეგ სულეიმანთან კარის მეზობელი მირიანი გადმოდის. შუაღამემდე სხედან ბერიკაცები, აბოლებენ სახლში მოყვანილ თუთუნს და მასლაათობენ.

— რადიომ თქვა, თბილისში საჰაერო გზას აშენებენო, — ამბობს სულეიმანი, — აი ჭიათურაში რომ არის, ისეთს, შენ არ გექნება ნახული.

— რავა არა, შე კაცო, — წყინს მირიანს, — ჭიათურაში მოყვრები მყავს, მაგის მეტი რა ძინახავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კი მაგრამ ყველგან მოყვრები როგორ გყავს, მირიან! — იცინის სულეიმანი.

ლაპარაკში შეუმჩნევლად გადის დრო. ირგვლივ სიწყნარეა. მხოლოდ ხახდახან, თითქოს ცუდი სიზმარი ნახაო, ამოიოხრებს ზღვა და მერე ისევ მიიძინებს.

ბერიკაცები აბოლებენ ყალიონს და საუბრობენ.

— ძაან დიდი ქალაქი გამხდარა თბილისი, — ამბობს სულეიმანი.

— ვერც კი იცნობ, კინაღამ დავიბენი შარშან რომ ვიყავი. ჩემი ბადიში სწავლობს უნივერსიტეტში.

— ჩემმა ძაძუკამ უკვე დაამთავრა უმაღლესი, ახლა სახლებს აშენებს. მამამისიც ინჟინერი იყო. წერილი მომწერეს, ახალ ბინაში გადასულან საბურთალოში.

— რამდენი ხანია არ ყოფილხარ თბილისში? — ეკითხება მირიანი.

— ბიჭი რომ დამეღუპა, მას მერე უფრო ხშირად ჩავდივარ, მაგრამ წელს არ ვყოფილვარ, — უპასუხებს სულეიმანი და, თუმცა ყალიონში ცეცხლი არ ჩაქრობია, ხელახლა უკიდებს.

— ჩასვლით უნდა ჩახვიდე, სულეიმან! ნუ გეშინია, დასაკარგავში არ იყოს, ამაღამ მატარებელში ჩაჯდები და ხვალ თბილისში გაითენებ. ხომ უნდა ნახო როგორ ცხოვრობენ შენი რძალი და შვილიშვილი? თან კიდევ ახალი ბინა მიუღიათ, ჭერი უნდა დაულოცო.

— ვიცი, ვიცი, ძირიან ჩემო, მაგრამ რა ვქნა. ყოველ დღე ვაპირებ ვითომ წასვლას, ვერ ძივიცალე. ძნელია მარტოხელა კაცისათვის...

ზაფხულში თბილისიდან რძალი და შვილიშვილი ჩამოდიან. აი მხოლოდ მაშინ უბრუნდება ძიყრუებულ ეზო-კარს სიცოცხლე, მოხუცის გულს კი სიხარული.

თვალსა და ხელს ძუა გაიპარება ერთი თვე. თბილისელები კვლავ თბილისში წავლენ, სულეიმანი კი ისევ მარტო რჩება. წავლენ და ბერიკაცი მხოლოდ მაშინ იგრძნობს წლების სიმძიმეს, კიდევ უფრო უდინჯდება ნაბიჯი, გვიან საღამოს სახლში დაბრუნებული სვენებ-სვენებით ადის კიბეებზე.

ბებერი ძურია კი წევს ლაფაროში და წყლიანი თვალებით უყურებს თავის პატრონს.

უჭირს მოხუცს, უჭირს, მაგრამ არ იმჩნევს.

რამდენჯერ თხოვეს გაეყიდა ყველაფერი, წასულიყო თბილისში, მაგრამ არ იქნა და არა, გული თავის ძველ ბუდეს ვერ მოშორდა, ვერ დატოვა მწვანეში ჩაფლული პატარა სახლი... აქ დაიბადა და გაიზარდა სულეიმანი, აქ შეიყვარა ზღვა, აქ არიან მისი მეზობლები.

სამუდამოდ ქალაქში დასახლებას კი არა, ორიოდე დღით ჩასვლასაც ძლივს ახერხებს. ისევ თბილისელები ახარებენ სტუმრობით. მაგრამ ეს მხოლოდ ზაფხულობით. წავლენ და მერე მთელი წელი ლოდინი. შემოდგომა და ზაძთრის გაუთავებელი ღამეები, თითებზე თვეების თვლა და თბილისიდან გამოგზავნილი წერილების კითხვა: „ჩამოდი, გვინახულე“.

ჩვეულებრივზე ადრე გაირბინა წლევანდელმა ზაფხულმა. მოხუცს ძალზე გაუჭირდა სტუმრების გაძვება. როცა სადგურზე აცილებდა, თავი ვეღარ შეიკავა და უნებურად ცრემლი მოადგა თვალებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიდიხარ ხომ? იქნებ მეტი ველარ გნახო, ბიჭო, — უთხრა შვილი-შვილს.

— რას ამბობ, ბაბუა, — დააწყნარა მამუკამ, — ჩემს ქორწილში უნდა ითამადო.

— ეჰ, დავძაბუნდი, შვილო, დრო იყო...

მართლაც იყო დრო. სულეიმანს მკლავი ერჩოდა და თვალი უჭრიდა. წავიდნენ წლები სიხარულით თუ ნაღვლით სავსე, მაგრამ მაინც ტკბილად მოსაგონარი წლები. მოვიდა სიბერე და სიკვდილი მოუახლოვა.

მატარებელი ნელა დაიძრა ბაქნიდან. ვაგონიდან ცხვირსახოცებს იქნევდნენ. მოხუცი იდგა ხელაწეული და თვალებიდან ღაპა-ღუპით ჩამოდიოდა ცრემლები. თავისიანების წასვლას და მარტო დარჩენას დარდობდა. ან იქნებ გაფრენილ ახალგაზრდობას მისტიროდა ბერიკაცი.

შეუმჩნევლად მოვიდა შემოდგომა. ყველაზე ადრე მსხლის ხეებს დაცვივდათ ფოთლები, შემდეგ ვაშლსაც გაუშიშვლდა ტოტები, მაგრამ დარები დაიჭირა თუ არა, ხელახლა გამოიღო ყვავილი.

კარგახანს ტკბილი, უღრუბლო და უქარო დღეები იდგა. შემდეგ კი, ყანები მოტეხეს თუ არა, ერთბაშად შეიცვალა ამინდი. ქვენა ქარმა ღრუბლები წამორეკა და წამოვიდა თქეში. ატალახდა სოფლის გზები, ჭალაში გაშვებულმა საქონელმა ისევ პატრონს მიაშურა.

ოქტომბერში ისე აცივდა, რომ ბაბუა სულეიმანმა ბუხარში ცეცხლი დაანთო.

წვიმა კი გადაღებას არ აპირებდა. ცასაც ბერიკაცივით შეეკრა შუბლი, მოხუცის გულივით დამძიმებული ღრუბლები ჩამოწოლილიყვნენ ზღვაზე და წვიმდა, წვიმდა შეუჩერებლივ. ზღვა თითქოს აღარ იყო, წვიმის ხმაური ყველაფერს ფარავდა. ასეთ ამინდში არათუ საქმის გაკეთება, გარეთ გასვლაც კი ძნელი იყო.

ტკბილად ღუღუნებდა ცეცხლი ბუხარში, ტკაცანით იწვოდა შეშა, წვიმა კი ეხეთქებოდა ფანჯრებს. იჯდა ბერიკაცი სახლში და ვერ მოეფიქრებინა რა ექნა.

მთელი დღე თბილისიდან გამოგზავნილ წერილებს ათვალიერებს. სულ გადაიკითხა შარშანდელი, შარშანწინდელი თუ სულ ახლახან მიღებული. მერე მოდის საღამო. ლაპარაკს იწყებს თბილისი და, სულეიმანს თითქოს ახლობელი წვეოდეს, ისე უმსუბუქდება დარდი.

რადიო ათას რამეს ყვება. მოხუცი სულგანაბული უსმენს ყველაფერს. იცის მან, რამდენი ახალი სახლი აშენდა თბილისში, როგორი მოსავალია ყაზახეთში და ისიც იცის, რომ ჩვენს საზღვრებს გადაღმა იარაღს აყღარუნებენ ბადამთიელი ავაზაკები, რომ ხალხს მშვიდი ძილი დაუფრთხონ, ნგრევა და სიკვდილი მიუტანონ... თბილისი კი შენდება, ყაზახეთში ოქროს ზღვა თავთავებს იღებენ...

ყვება რადიო. სულეიმანი უსმენს. გარეთ კი კვლავ წვიმს და წვიმს. და როცა ლოდინი აუტანელი გახდა, ერთბაშად [illegible] მოვიდა სურვილი წავიდეს თბილისში, ერთი ან ორი დღით მაინც წავიდეს, თავ[illegible] [illegible]ავისიანები ნახოს და ახალი ჭერი დაულოცოს. მართალია, ძნელია სახლის დატოვება, მაგრამ ორიოდე დღით არაუშავს, მეზობელი მიხედავს.

სადგურამდე მირიანმა გააცილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წასვლის წინ სულეიმანმა ოთახებში სინათლე აანთო.

— იყოს ასე, ნურავინ იფიქრებს წავიდა და სახლი მარტო დატოვაო.

მურიამ ჭიშკრამდე მიაცილა მოხუცი. ერთგული ძაღლი გაუნძრევლად იდგა, სანამ პატრონის ზურგი თვალს მიეფარებოდა.

აი მატარებელიც.

— აბა შენ იცი, ძირიან, როგორ უპატრონებ სახლს, მე დიდი-დიდი ორი დღე დამაგვიანდეს, — ვინ იცის, მერამდენედ ეუბნებოდა ფანჯრიდან სულეიმანი. ძირიანიც, ვინ იცის, მერამდენედ ამშვიდებდა.

— ნუ გეშინია, ყველაფერს მოვუვლი, ორი დღე კი არა, თუ გინდ ორ კვირას ნუ ჩამოხვალ.

თვალს მიეფარა ნაცნობი სადგური. ვაგონის ფანჯარაში ციცინათელებივით გაიელვებდა სინათლის შუქი. მერე ისევ წყვდიადი დგებოდა. მატარებელი მიაპობდა სიბნელეს და თბილისისაკენ მიიჩქაროდა.

დილით თბილისში იყო სულეიმანი. არავინ დახვედრია, რადგან თავისიანებისათვის არ შეუთვლია, მოვდივარო.

არა უშავს, არ დაიბნევა ბერიკაცი, მისამართი ხომ აქვს, ტაქსში ჩაჯდება და მონახავს.

მაგრამ არც ისე ადვილი აღმოჩნდა მისამართით ბინის პოვნა. იმ ქუჩაზე, სადაც სულეიმანის შვილიშვილი ცხოვრობს, ყველა სახლი ახალია, ჯერ ნომრებიც კი არ არის დადგენილი და სანამ მიასწავლიდნენ, ბევრი გამოკითხვა დასჭირდა.

ბოლოს, როგორც იქნა, იპოვა. მაგრამ სახლში არავინ დაუხვდა. მეზობლის ქალმა უთხრა, მამუკა სამსახურშიაო, ხოლო დიასახლისი — ბაზარში. მათ დაბრუნებამდე თავისთან მიიპატიჟა, დაღლილი იქნები და მოისვენეო. მოხუცმა მადლობა გადაუხადა. ეზოში, მზის ყურში ჩასვლა არჩია.

ერთ კუთხეში ცარიელი ყუთები ეყარა და სულეიმანი ზედ ჩამოჯდა. ოთხსართულიანი სახლი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. შიგნიდან შელესვა აკლდა. ეზო სავსე იყო ხარა-ხურით, მაგრამ ბავშვები მაინც გატაცებით თამაშობდნენ. როგორც კი ბაბუა სულეიმანი შენიშნეს, თამაშს იმწამსვე თავი ანებეს და მოხუცს ცნობისმოყვარეობით შემოეხვივნენ, თითქოს საახალწლო თოვლის პაპა ძოსულიყო და საჩუქრებს არიგებდა.

— ბაბუ, თქვენც ამ სახლში ცხოვრობთ? — შეეკითხა ცეროდენა გოგონა.

— არა, შვილო, მე აქ არ ვცხოვრობ, — ღიმილით უთხრა მოხუცმა.

— მაშ სად ცხოვრობთ? — არ ეშვებოდა ბავშვი.

— სად და შორს აქედან, ზღვაზე.

— თბილისის ზღვაზე? — ჩაერია ლაპარაკში შავტუხა ბიჭი, რომელსაც ხელში დიდი წითელი ბურთი ეჭირა.

— არა, მე ნამდვილ ზღვაზე ვცხოვრობ, აი თუ გინახავს, ბევრი, ბევრი წყალია და ზედ ამ სახლისოდენა გემები დაცურავენ.

შავტუხამ ბურთი მიწაზე დადო და ხელები გაშალა.

— თბილისის ზღვაზეც ბევრი წყალია და ნამდვილი გემებიც არის. მე ვნახე, მამიკომ წამიყვანა.

იმ ღამეს სახელდახელოდ პატარა ვახშამი მოაწყვეს. არავისთვის დაუძახნიათ, მხოლოდ კარის მეზობელი მიიპატიჟეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს ბორისია, — გააცნო მამუკამ ბაბუას, — ომამდე მამასთან ერთად მსახურობდა, შემდეგ ჯარშიც ერთად იყვნენ.

ხიჩაბივით ფართო ხელი გაუწოდა ბორისმა. ვიწრო ხალათში არ ეტეოდა მისი ვეება ხელები. ლურჯი, უწყინარი თვალები ჰქონდა ამ დევკაცს და გულუბრყვილო, ბავშვური ღიმილი.

— მე ძალიან კარგად გიცნობთ, — უთხრა ბორისმა, — მართალია, არ მენახეთ, მაგრამ ბევრი მსმენია თქვენზე.

მოხუცს გაუკვირდა, როგორ სუფთად ლაპარაკობდა რუსი კაცი ქართულს.

ბორისმა აუხსნა.

— თბილისში დავიბადე და გავიზარდე, ჩემი მშობლებიც ქართულად ლაპარაკობდნენ. თქვენ უნდა გენახათ, თბილისში ახალჩამოსულ ლევანს ქართულს მე რომ ვუსწორებდი. არ წყინდა, პირიქით, უხაროდა კიდევაც.

— მაშ ახლოს იცნობდი ჩემს ლევანს? — შეეკითხა მოხუცი.

— როგორ თუ ახლოს, ძმებივით ვიყავით. ჯერ იყო და თბილისში ერთად სამსახური, შემდეგ ფრონტზეც ერთად მოვხვდით.

ოთახში სულგანაბული უსმენდნენ. ბორისმა პაპიროსი ამოიღო, მაგრამ კოლოფი ცარიელი აღმოჩნდა.

— მოსწიე, ჩვენებური თუთუნია, — მიაწოდა სულეიმანმა, — მართალია, მაგარი არაა, მაგრამ თავს მაინც შეგვაქცევინებს.

ბორისმა გაზეთის ქაღალდში გახვია თამბაქო, მოუკიდა და ხარბად მოქაჩა.

— აი მესმის! რაც ომი დამთავრდა, მას შემდეგ აღარ მომიწევია გაზეთის ქაღალდში გახვეული თამბაქო. იქ, ფრონტზე, სანგარში ჰქონდა ასეთ პაპიროსს გემო. ვეწეოდით და თითქოს ჩვენი მიწის სურნელს ვსუნთქავდით. თამბაქოს ბოლივით აიშლებოდნენ ჩვენი ფიქრები და ნაცნობ მხარეში გადავყავდით.

— ახლა დილაა, — ამბობდა ლევანი, — ზღვაზე ჯერ კიდევ ბურუსი დგას. შამაჩემი ნავს ხსნის და სათევზაოდ მიდის.

მეც თვალწინ წარმომიდგებოდა ქარხანაში ადრიანად მიმავალი მამა, ბეჭებში ოდნავ მოხრილი, გაჭაღარავებული, მაგრამ ჯერ კიდევ დაუბერებელი, ჯანიანი კაცი.

გვათოვდა და გვაწვიმდა. ყინულივით ცივი წყალი იდგა სანგარში, ჩვენკი მშობლების გახსენება, მშობლიური მიწის სიყვარული გვათბობდა.

ვიგონებდით ჩვენს თბილისს. ეს იყო რაღაც ტკბილისა და მიუწვდომელის მოგონება, ჩვენგან შორს, ძალიან შორს, მდინარეებსა და მთებს იქით, ნგრევასა და ცეცხლს იქით იდგა ჩვენი თბილისი თავისი მზიანი ქუჩებითა და შენობებით, რომლებსაც ომის საშინელება არ ენახა.

— როცა ომი დამთავრდება და თბილისში ჩავალ, — მეუბნებოდა ლევანი,—პირველად მთაწმინდაზე უნდა ავიდე და ქალაქს გადავხედო. ასე მგონია ვერ ვიჯერებ გულს მისი ცქერით. ვიქნები ასე უხმოდ დიდხანს. ქალაქში ჩიტრაღდნებს აანთებენ. ცაზე კი ამოვა მთაწმინდის მთვარე.

— კიდევ რას იზამ? — ვეკითხები ლევანს.

— კიდევ ვივლი რუსთაველის პროსპექტზე, ვივლი სანამ დავიღლებოდე... კიდევ მტკვარში ვიბანავებ...

— შემდეგ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შემდეგ სამსახურში, რასაკვირველია. სახლები, ბევრი სახლები უნდა ავაშენო. სადაც კი ქოხმახები დგას, მათ ალაგს მრავალსართულიანი კორპუსები უნდა აღვმართო. დიდ აივნებს გავუკეთებ, რომ როცა კაცი გარეთ გამოვა, ჩვენი ქალაქის მშვენებით დატკბეს, დიდ ფანჯრებს — რომ ოთახებში უხვად შედიოდეს მზე, სახლებს დიდი ეზოები ექნებათ, რომ ჩვენმა ბავშვებმა ითამაშონ...

ვიწექით სანგარში და ასე ვსაუბრობდით თბილისზე. ჩვენს თავზე ზუზუნებდნენ ტყვიები. აფეთქდებოდა ნაღმი და მისი ხმაური ყველაფერს აყრუებდა. ჩამოვარდებოდა ისევ სიჩუმე და ჩვენ განვაგრძობდით ლაპარაკს. მერე კი...

ბორისმა აღარ დაამთავრა. არავინ ხმას არ იღებდა. ოთახში სიბნელე იდგა და არ შეიძლებოდა დაენახათ, რა ეხატა ერთმანეთის სახეებზე. სინათლის ანთებას კი არავინ არ აპირებდა.

* * *

მეორე დღეს სულეიმანმა მამუკას უთხრა:

— ერთი უნივერსიტეტში მიმიყვანე, ჩვენი მირიანის შვილიშვილი უნდა ვნახო, ბაბუამისმა წერილი და ფული გამომატანა, საქმის დროზე მოთავება ჯობია.

სახლთან იქვე მანქანების გაჩერება იყო. მამუკამ ტროლეიბუსში ჩაჯდომა შესთავაზა, მაგრამ მოხუცმა იუარა, ფეხით მირჩევნია, კარგად მინდა ვნახო ქალაქი, ნელ-ნელა ვივლი და არ დავიღლებიო.

შემოდგომა იყო, ოქტომბერი — ყველაზე უფრო ლამაზი თვე თბილისში. ქარვისფერ მზეს მოევარაყებინა შენობათა კედლები, ჭადრების ფოთლებსაც ოქროსფერი დაჰკრავდათ, მხოლოდ კენწეროში ალაგ-ალაგ წაჰკიდებოდათ ცეცხლი. ნიავის ოდნავ წამოქროლაზე წყდებოდნენ ფოთლები და ეცემოდნენ დაბლა. ისე ლამაზად ეფინა ქვაფენილს ეს ოქროსფერი ფოთლები, რომ გამვლელები ფეხს არ აბიჯებდნენ და გვერდს უვლიდნენ.

დასასრული არ უჩანდა ფართო ქუჩას და არა მარტო ამ ქუჩაზე, ყველგან, სადაც კი თვალი წვდებოდა, წამომდგარიყვნენ სახლები, ზოგი მოპირკეთებული და დამშვენებული, ზოგიც კიდევ ხარაჩოებით შეკრული. ახლა უხსნიდნენ არტახებს, ხოლო მის გვერდით ახალი სახლის საძირკველი იჭრებოდა. სხვა ადგილას ნელ-ნელა მიიწევდნენ კედლები ზევით, თითქოს თავის მოძმეებს სიმაღლეში შეჯიბრებოდნენ.

მოხუცი დაიღალა ცქერით. სახლებისა და ხარაჩოების ტყეებს კი ბოლო არ უჩანდა.

გუგუნით მოდიოდნენ სატვირთო მანქანები. მოჰქონდათ ქვა და ცემენტი, რკინა და ხე-ტყე. ვეებერთელა ამწეები იტაცებდნენ მერე მაღლა და ნაფოტივით მიაქანებდნენ. გამალებით მუშაობდნენ კალატოზები, ქვის მთლელები, დურგლები, მშენებლები, ახალი ტანსაცმლით მოსავდნენ თბილისს.

სულეიმანს პატარა ბავშვივით ყველაფრის გაგება სურდა. შვილიშვილი უხსნიდა რა იყო ამ ახალ შენობებში — სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი, საცხოვრებელი ბინები და საბავშვო სახლები, უყვებოდა რა გაშენდა და კიდევ რა უნდა გაშენდეს თბილისში.

ვარაზისხევის ქუჩას აუყვნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ალბათ, გახსოვს, — უთხრა მამუკამ, — წინათ აქ უზარმაზარი ხევი იყო, მერე ეს ხევი ამოავსეს და ქუჩა გააკეთეს.

— არც ეს ხეივანი იყო, არა?

— აბა საიდან, ყველაფერი შემდეგ გაკეთდა.

ვარაზისხევის თავზე დგას უნივერსიტეტის სამსართულიანი თეთრი შენობა. უნივერსიტეტის მთელი ეზო ბაღია. სტუდენტებს გარდა, აქ სხვებიც დადიან, დედებს ჩვილები დაჰყავთ.

ბაღში თავისუფალი სკამი არსად იყო. მოხუცი რომ შენიშნა, ვიღაც ახალგაზრდა წამოდგა და ადგილი დაუთმო. მამუკა მირიანის შვილიშვილის მოსასაძებნად წავიდა.

სულეიმანი სკამის კიდეზე იჯდა. მის გვერდით სტუდენტები რაღაცაზე ცხარედ კამათობდნენ. მოხუცმა ყური დაუგდო, მაგრამ ვერაფერი გაიგო. აკვირდებოდა სულეიმანი მათ აღგზნებულ სახეებს. ერთი მათგანი, სათვალე რომ ეკეთა, აშკარად არ გავდა ქართველს.

— ეგ ბიჭი ჩვენებური არ უნდა იყოს, — გაუზიარა თავისი ეჭვი გვერდით მჯდომ ახალგაზრდას.

— მონღოლია, — უთხრა სტუდენტმა.

— მონღოლიო? — გაიკვირვა სულეიმანმა.

— ჰო, უნივერსიტეტში სწავლობს, ერთ კურსზე ვართ. ჩვენთან ჩინელებიც სწავლობენ, ჩეხებიც, უნგრელებიც.

მოხუცს დაწვრილებით უნდოდა გამოეკითხა, მაგრამ ამ დროს ზარი დაირეკა და სკამზე მსხდომნი წამოიშალნენ.

ვიდრე მამუკა მირიანის შვილიშვილს მონახავდა, სულეიმანს კარგა ხანს მოუხდა ლოდინი. ბოლოს, როგორც იქნა, მოიყვანა...

მოხუცმა წერილი და ფული ჩააბარა და თანაც ბაბუას დანაბარები გადასცა: ჭკუით იყოს, ტრამვაის არ შეახტეს, ლექციები არ გააცდინოს და წერილები ხშირად მოიწეროს.

* * *

სულეიმანს გადაწყვეტილი ჰქონდა მეორე დღესვე დაბრუნებულიყო სახლში, მაგრამ სამი დღე გავიდა და ისევ თბილისში იყო. რაკი ჩამოვიდა, ყველაფერი უნდა ნახოს, რაც თბილისში ახალი გაკეთდა. ამხელა ქალაქის ერთ დღეში დათვალიერება კი არ მოხერხდა.

მთელი დღე სეირნობს ბაბუა ქალაქში, დილით წასული მხოლოდ საღამოს ბრუნდება სახლში. გარეთ დაღლას ვერ გრძნობს მოხუცი, საზრუნავიც ავიწყდება. მხოლოდ საღამოს, როცა დასასვენებლად წამოწვება, იმაზე ფიქრიც კი აშინებს, რომ სახლი ამდენხანს უპატრონოდ დატოვა. ვინ იცის, რა მოხდება. მართალია, მირიანი მოვლას არ მიაკლებს, მაგრამ პატრონის ხელი მაინც სხვაა.

სიზმარიც კი ნახა — სინათლე ჩამქრალიყო მის სახლში და ირგვლივ სიბნელე იდგა. ცუდად ენიშნა მოხუცს. ამღამვე უნდა წავიდეო, განუცხადა თავისიანებს დილით.

დიდი ხვეწნითა და მუდარით ერთი დღით გადაადებინეს წასვლა. ამღამ ფუნიკულიორზე ავიდეთ და თბილისს გადავხედოთო, უთხრა მამუკამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

— აი ჩვენი თბილისი, — შეესიტყვა მამუკა, — როცა მთაწმინდიდან გადახედეს ქალაქს.

შემოდგომის უღრუბლო ღამე იყო. ვარსკვლავებით მოჭედილი ცა დაჰყურებდა თბილისს. თითქოს დაბლაც ცა იყო — ელნათურების უთვალავი ვარსკვლავი ციმციმებდა ყველგან, სადაც კი თვალი გაუწვდებოდა.

იდგა მოხუცი და გადაჰყურებდა გაჩირაღდნებულ ქალაქს. ათასი ფერებით იყო მოხატული თბილისი ღამით.

ყველგან ელნათურები კიაფობდნენ, დღესავით ნათელი იყო. მხოლოდ შორს, მთების გადაღმა იდგა წყვდიადი.

მერე მოხუცმა დაინახა: იქაც აინთო შუქი. ზღაპრულად გაშალა ქალაქმა მხრები, გაფართოვდა და გაიწია. ახლა ძნელი იყო იმის თქმა, სად იწყებოდა ან სად თავდებოდა თბილისი. ყველგან უთვალავი ჩირაღდანი ენთო.

და მერე გამოჩნდა ზღვა, — წყნარი და მშვიდი ზღვა. ტალღები ნაზად ეალერსებოდნენ ნაპირს. ზღვის ნაპირას იდგა მწვანეში ჩაფლული სულეიმანის პატარა სახლი და ოთახებში სინათლე ენთო.

...გადაჰყურებდა ბერიკაცი გაჩირაღდნებულ ქალაქს და გრძნობდა, როგორ შორდებოდა თანდათან გულის წუხილი და რაღაც სასიამოვნო, ენით უთქმელი გრძნობა ეუფლებოდა.

— თბილისი, ჩვენი თბილისი, — ჩურჩულებდა მოხუცი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა შუბლაძე

# თ ბ ი ლ ი ს ი

გაჩენის დღიდან შენი სახელი
სულში მინთია როგორც კანდელი.
მას დროთა ბინდი არ ეკარება,
ის წმინდა არის, ვით უკვდავება.
იმ ტკივილების ახლაც მკლავს ჯავრი,
ალალი გული რომ გაგიბზარეს,
შენს უბედობას გოდებდა ქნარი,
ბედზე ჩიოდა ჩონგური მწარედ.
ბრბოს მიდენიდი ურიცხვ ურდოთა,
ბევრგზის ტანჯული და ნაწამები.
მტრებს შენი სისხლის შესმა უნდოდათ,
მაგრამ გაწბილდნენ გარეწარები.
კრწანისის ველის მწუხარე თალხი
ჩრდილოეთისკენ გიხმობდა შენა.
აი, თერგს გაღმა გაიჭრა კახი
დედა-სამშობლოს გადასარჩენად...
მას აქეთ დღე-დღე უფრო ახლდები,
ჩაუქრობელი ბრწყინავს შენი მზე.
რამდენ სიკეთის გახდი მნახველი,
რამდენ სიკეთეს კვლავაც შეიძენ!
ქართველი ერის გულის ლარებით
გამოკვეთილა შენი სახელი.
სიბრძნით, სიმართლით,
კაცთმოყვარებით
მარად ბრწყინავდე დაუძრახველი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ილია კავკაზაგი

# მუნჯი მომღერალი

იყო ერთი მომღერალი,
ჯადოქარი ამო ხმათა,
ღიღინებდა და გულიდან
იადონი ამოჰყავდა.
დადიოდა, უგალობდა
მზის ჩასვლას და ამოსვლასა,
ცად აღმაღლდა და სიმღერით
ღმერთს ღმერთობა გამოსტაცა.
მას ელოდნენ ყველგან ისე,
როგორც მზეს და სინათლესა,
დადიოდა და ქოხებში
ლექსით მყნიდა სიმართლესა.
მაგრამ ქვეყნად მართლის მთქმელებს
მტერი სდევს და არ ასვენებს...
ჰოდა, ერთხელ გული მისი
თითქოს დანით გადასერეს:
დაამუნჯეს, ჩააჩუმეს,
დაუნისლეს გზა და კვალი
და უსულო ქვად აქციეს
ერთ დროს დიდი მომღერალი.
ყოველივე ჩაჰკლეს მასში,
დაუსეტყვეს სევდით გული.
დადიოდა ნაღვლიანი,
ვით მუნჯი და მთვარეული.
უგზოკვალოდ ხეტიალში
გადიოდა დრო და ჟამი.
დადიოდა აღმა-დაღმა
ვაჟი დარდით მონაშხამი.
და, ამბობენ, ერთხელ, თურმე,
მიაღწია ცეცხლთა მხარეს,
ბილიკებმა მუნჯი, თურმე,
მთაწმინდაზე აიყვანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უეცრად მოხდა რაღაც
უეცარი, ულოდნელი;
მუნჯმა ენა ამოიდგა,
გაისველა ლექსით ყელი.
ამეტყველდა გული ისევ,
სულმა საზრდო მისცა ხმასა,
იქუხა და კვლავ მიუზღო
კარგი — კარგს და ავი — ავსა.
და, ამბობენ, რომ მას შემდეგ
მღერის ვაჟი გულნათელი
და უსმენენ ქვეყნად იმ ვაჟს
სითბოთი და ყურადღებით.
დგას ამაყად მთაწმინდაზე
და მადლობით გალობს გული,
ვით მარადი გაზაფხული,
ვით უკვდავი სასწაული.

* * *

ძველად ჩემთვის ეს ამბავი
უამბიათ ბევრჯერ პაპებს,
იმ პაპებმა ძლიერ ბევრი
სინამდვილე გამიზღაპრეს...
და მეც, როგორც ნამდვილ ზღაპარს,
დავეძებდი მიწას, სადაც
ყველა კარგი სიმღერა და
მგალობელი დაიბადა.
დიდხანს ვძებნე და სულ ბოლოს
უცებ ვპოვე მე ის მხარე:
დაგრეხილმა ბილიკებმა
მთაწმინდაზე ამიყვანეს.
გადმოვხედე თბილის-ქალაქს,
გადამცილდა ყველა დარდი,
და, როგორც ის მომღერალი,
ავმღერდი და კვლავ ავმაღლდი!

თარგმნა **მორის ფოცხიშვილმა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამირან შერვაშიძე

# რუსეთის კულტურის გამოჩენილი მოღვაწენი თბილისის შესახებ

თბილისის 1500 წლისთავთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის დიდი როლი, რომელიც ჩვენმა მშობლიურმა დედაქალაქმა შეასრულა მოძმე ხალხების, განსაკუთრებით რუსი ხალხის გამოჩენილ მოღვაწეთა ბიოგრაფიაში. ბევრი მათგანის შემოქმედებითი აკვანი თბილისში დაირწა, ბევრმა მათგანმა თბილისის შთაგონებით და თბილისში შექმნა თავისი შესანიშნავი ნაწარმოებები.

„უცნაური ამბავია, — წერდა ბელინსკი,— კავკასიას (უნდა ვიგულისხმოთ უმთავრესად თბილისი—ა. შ.) თითქოს ბედად უწერია გახდეს ჩვენი პოეტური ტალანტების აკვანი, მათი მუზის შთამაგონებელი და ძიძა, მათი პოეტური სამშობლო“...

გრიბოედოვის, პუშკინის, ლერმონტოვის, ბესტუჟევ-მარლინსკის, ოდოევსკის, კუხელბეკერის, პოლონსკის, ტოლსტოის, ოსტროვსკის, ჩაიკოვსკის, გორკის, მაიაკოვსკის და მრავალი სხვა დიდი რუსი მოღვაწის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი საყვარელი დედაქალაქის სახელთან.

თბილისელია სომეხი ხალხის შესანიშნავი შვილი და ამიერკავკასიის ხალხების ბულბული საიათ-ნოვა, რომელიც გმირულად დაიღუპა მშობლიური ქალაქის თბილისის დაცვის დროს აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისას.

თბილისში ცხოვრობდა, მოღვაწეობდა და თბილისშივე გარდაიცვალა ახალი აზერბაიჯანული ლიტერატურის ფუძემდებელი დიდი აზერბაიჯანელი მწერალი მირზა ფატალი ახუნდოვი. თბილისთან არის დაკავშირებული ახალი სომხური ლიტერატურის ფუძემდებლის ხაჩატურ აბოვიანის ცხოვრება და მოღვაწეობაც.

საქართველოს დედაქალაქში დაიბადა და მოღვაწეობდა სამშობლოწარმომეული მოძმე სომეხი ხალხის საზოგადო მოღვაწეთა და მწერლების დიდი ნაწილი.

მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოსთან, განსაკუთრებით თბილისთან დიდი რუსი მწერლის ალექსანდრე გრიბოედოვის ცხოვრება და შემოქმედება. მან აქ შექმნა თავისი „ვაი ჭკუისაგან“.

ქართველი ხალხის სახელოვანმა მეგობარმა გრიბოედოვმა, რომელიც მკაცრად გმობდა კავკასიის მართვა-გამგეობის კოლონიურ მეთოდებს, ბევრი რამ გააკეთა თბილისისა და მთელი ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ. მან შეადგინა „ბარათი ქალაქ თბილისის აშენების უმჯობეს საშუალებათა შესახებ“. პირველი რუსული გაზეთი ამიერკავკასიაში „ტიფლისკიე ვედომოსტი“ გრიბოედოვის ინიციატივით დაარსდა. მისივე ზრუნვის შედეგი იყო, რომ თბილისის სასწავლებელი გადაკეთდა თბილისის გიმნაზიად.

თბილისელებმა, ქართველმა ხალხმა, საქართველოს წარმტაცმა ბუნებამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს გრიბოედოვზე. დიდი რუსი მწერლის ბევრი ნაწარმოები, მათ შორის დაუმთავრებელიც, დაკავშირებულია თბილისთან, საქართველოსთან. თბილისში შეჰქმნა მან თავისი ოჯახი. როგორც ცნობილია, შესანიშნავი ქართველი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილისა და გრიბოედოვის მეგობრობა და სიყვარული ქორწინებით დაგვირგვინდა. ალექსანდრე გრიბოედოვმა და ნინო ჭავჭავაძემ 1828 წლის 22 აგვისტოს ჯვარი დაიწერეს სიონის საკათედრო ტაძარში. იმავე წლის 9 სექტემბერს ირანში სრულუფლებიან მინისტრ-რეზიდენტად დანიშნული გრიბოედოვი თეირანს გაემგზავრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1829 წლის 11 თებერვალს კი ინგლისელი დიპლომატების მიერ წაქეზებულმა თეირანელ ფანატიკოსთა ბრბომ მხეცურად მოკლა გრიბოედოვი და რუსეთის საელჩოს ყველა თანამშრომელი. ტრაგიკულად დაღუპული დიდი პოეტის ნეშტი თბილისში გადმოასვენეს. შესრულდა გრიბოედოვის სურვილი, რაც ირანში გამგზავრების წინ გაანდო მეუღლეს: „არ დატოვო ჩემი ძვლები სპარსეთში: თუ იქ მოვკვდე, თბილისში დამმარხე, მამადავითის მონასტერში“.

თბილისმა წარუხოცელი შთაბეჭდილება დატოვა აგრეთვე უდიდეს რუს პოეტზე ალექსანდრე პუშკინზე. პუშკინი საქართველოში 1829 წელს ჩამოვიდა.

პოეტი კმაყოფილებით იხსენებს არზრუმში გამგზავრების წინ თბილისში გატარებულ ორ კვირას: „ტფილისში ორ კვირამდე დავყავი და იქაური საზოგადოება გავიცანი. სანკოვსკიმ „ტიფლისკიე ვედომოსტის“ გამომცემელმა ბევრი რამ საყურადღებო მიამბო აქაურ მხარეზე, თავად ციციანოვზე, ა. პ. ერმოლოვზე და სხვ. სანკოვსკის უყვარს საქართველო და ფიქრობს, რომ მას ბრწყინვალე მომავალი აქვს... ქართველები მეომარი ხალხია. მათ გონებრივ ნიჭიერებას დიდი განათლება მოელის“.

არზრუმიდან პუშკინი ისევ თბილისში დაბრუნდა.

თბილისიდან წასვლის წინ ადგილობრივმა საზოგადოებამ პუშკინს გულთბილი გაცილება მოუწყო. ზღაპრულად მორთულ ორთაჭალის ბაღში დიდი პოეტი ყვავილების გვირგვინით მორთეს. თვალცრემლიანმა პოეტმა ასეთი სამადლობელი შესვა: „მეგობრებო, მე ეს დღე არ დამავიწყდება არასდროს. ეს ერთ-ერთი უბედნიერესი დღეა ჩემს ცხოვრებაში. მე ვიცი, რომ თქვენ გიყვარვართ და ეს აღტაცებასა და სიხარულს მგვრის“.

თბილისში ყოფნისას (1829 წ.) პუშკინმა რუსული პოეზია გაამდიდრა ისეთი ლექსებით, როგორიც არის „საქართველოს სერებზე“, „კავკასია“, „მონასტერი ყაზბეგზე“ და „ზვავი“.

პუშკინის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ „გამოჩნდა ახალი დიდი ტალანტი —და კავკასია ხდება მისი მხურვალედ საყვარელი პოეტური სამშობლო. კავკასიის მარადიულ თოვლის გვირგვინოსან მიუწვდომელ მწვერვალებზე პოულობს იგი თავის პარნასს“ (ბელინსკი). ეს ტალანტი იყო მ. ი. ლერმონტოვი, რომელიც პუშკინის მკვლელობაზე დაწერილი ლექსის გამო გადმოასახლეს კავკასიაში. მ. ი. ლერმონტოვი ბავშვობიდანვე განიმსჭვალა კავკასიის, საქართველოს სიყვარულით. ამ მხარის საოცრად ლამაზი ბუნება, გმირული წარსული და ლეგენდები გენიალური რუსი პოეტის შემოქმედების წყაროდ იქცა.

საქართველოში, კერძოდ, თბილისში ლერმონტოვი მოწინავე ქართველ საზოგადოებაში მოხვდა. იგი ხარბად ადევნებდა თვალყურს ქართველთა ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებას, რაც შემდეგ გამოიყენა თავის ნაწარმოებებში.

დიდხანს ცხოვრობდა თბილისში შესანიშნავი რუსი პოეტი ი. პოლონსკი, რომელმაც მრავალი ლექსი და პოემა მიუძღვნა თბილისს, საქართველოს, მათ შორის „გასეირნება თბილისში“.

თბილად იხსენიებენ თავიანთ ნაწარმოებებში თბილისს აქ გადმოსახლებული რუსი დეკაბრისტი მწერლები ოდოევსკი, კუხელბეკერი და ბესტუჟევ-მარლინსკი.

ამგვარად, გრიბოედოვმა, პუშკინმა, ლერმონტოვმა და პოლონსკიმ, ოდოევსკიმ, ბესტუჟევ-მარლინსკიმ და კუხელბეკერმა, აგრეთვე XIX საუკუნის პირველი ნახევრის სხვა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა თბილისში ყოფნით დიდი როლი შეასრულეს რუსი და ქართველი ხალხების კულტურული ურთიერთობის განმტკიცებაში.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის პირველ წელსავე (1851 წლის შემოდგომაზე) თბილისში ჩამოვიდა უდიდესი რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი, რომელიც თავის წერილებსა და დღიურებში ყოველთვის დიდი პატივისცემით იხსენიებს კავკასიის ხალხებს, თბილისს და აღფრთოვანებულია საქართველოს ბუნების მშვენიერებით.

ლ. ტოლსტოიმ თბილისში დაამთავრა თავისი პირველი ნაწარმოები „ბავშვობა“ და აქედან გაუგზავნა იგი ნეკრასოვს ჟურნალ „სოვრემენიკისათვის“, სადაც დაიბეჭდა კიდევაც თავმდაბლური ხელმოწერით — ლ. ტ.

დიდი მწერალი თავისი დეიდის — ტატიანა ალექსანდრეს ასულ ერგოლსკაიასადმი 1851 წლის 12 ნოემბერს მიწერილ ბარათში ასე ახასიათებდა თბილისს: „თბილისი ძალზე ცივილიზებული ქალაქია, რომელიც ძლიერ ბაძავს პეტერბურგს და ეს ძალუძს კიდევაც“.

1852 წელს ლ. ტოლსტოი წერდა: „ყოველ შემთხვევაში მე არასოდეს არ ვინანებ, რომ კავკასიაში ჩამოვედი; ეს იყო აზრი, რომელიც დიდ სარგებლობას მოიტანს. არასოდეს არ მიცხოვრია იმაზე უფრო საუცხოოდ და არ მიგრძნია თავი ზნეობრივად ისე დამაკმაყოფილებლად, როგორც იმ რვა თვეს, რომელიც თბილისში გავატარე“.

იმ მოწინავე რუს მოღვაწეთა შორის, რომლებზეც თბილისმა წარუშლელი კვალი დატოვა და თავისი წვლილი შეიტანა მათ შემოქმედებითს ბიოგრაფიაში, ა. ნ. ოსტროვსკი ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა. მას დიდი ღვაწლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუძღვის რუსული და ქართული თეატრალური ხელოვნების დაახლოებაში.

1883 წლის ოქტომბერში მოწინავე ქართველი საზოგადოება გულთბილად შეხვდა თბილისში ჩამოსულ დიდ რუს დრამატურგს.

გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების ინიციატივით 20 ოქტომბერს თბილისში ოსტროვსკის გაუმართეს დიდი საზეიმო საღამო, რომელზეც ქართულმა დასმა მისი „შემოსავლიანი ადგილის“ მეორე მოქმედება წარმოადგინა.

ამ საღამოზე გულთბილი სიტყვა წარმოთქვა ქართული თეატრის სიმაყემ ვასო აბაშიძემ.

ოსტროვსკის შემოქმედებამ მძლავრი გავლენა იქონია ქართულ დრამატურგიასა და თეატრალურ ხელოვნებაზე. თავის მხრივ საქართველომაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა რუს დრამატურგზე. იმ აღფრთოვანებული მიღების გავლენით, რაც ოსტროვსკის საქართველოში, კერძოდ თბილისში მოუწყვეს, მან დაწერა შესანიშნავი დრამა „უდანაშაულოდ დამნაშავენი“. „მის დახვეწაზე, — წერს ოსტროვსკი ჩანაწერებში, — ბევრი შრომა და ენერგია დამეხარჯა. იგი დავწერე კავკასიაში მგზავრობის შემდეგ, იმ აღფრთოვანებული მიღების გავლენით, რაც თბილისის საზოგადოებამ მომიწყო“.

რუსული და მსოფლიო მუსიკალური კულტურის სიამაყეს პეტრე ილიას-ძე ჩაიკოვსკის ძლიერ იტაცებდა თბილისი და მან აქ შექმნა მრავალი მსოფლიო მნიშვნელობის მუსიკალური ნაწარმოები.

ჩაიკოვსკის უყვარდა საქართველო, უყვარდა თბილისი, ისეთი სიყვარულით, როგორითაც პატიოსან პატრიოტ ადამიანს უყვარს თავისი სამშობლო. დიდი რუსი კომპოზიტორი თბილისის ხშირი სტუმარი იყო.

„თბილისი შევისწავლე ბევრ ადგილობრივ მცხოვრებზე უკეთესად“, სიამაყით წერდა ჩაიკოვსკი.

კომპოზიტორის ძმა მოდესტ ჩაიკოვსკი კმაყოფილებით აღნიშნავს: „თბილისი პირველი ქალაქი იყო რუსეთში, სადაც პ. ი. ჩაიკოვსკის ზეიმითა და გულთბილი პატივისცემით შეხვდნენ“.

ჩაიკოვსკიმ თბილისში დაწერა „მოგონება ფლორენციაზე“. იგი ყოველთვის ფლორენციას იხსენებდა, როდესაც თბილისში ჩამოდიოდა. ფონ-მეკისადმი მიწერილ ერთ-ერთ ბარათში კომპოზიტორი წერს: „ძზე ბრწყინვალედ ანათებს, ბაღებში ყველგან ყვავილებია... თბილისი მაგონებს იტალიის ზოგიერთ ქალაქს, განსაკუთრებით ფლორენციას“.

თვითონ კომპოზიტორი არასოდეს და არც ერთი ქალაქით არ იყო ისე აღფრთოვანებული, როგორაც ჩვენი თბილისით.

თბილისში დიდი წარმატებით მიდიოდა ჩაიკოვსკის ოპერები „მაზეპა“, „ევგენი ონეგინი“, „ორლეანელი ქალწული“.

1886 წლის 6 აპრილს, ფონ-მეკისადმი გაგზავნილ ბარათში ჩაიკოვსკი წერს: „ყველაფერი ეს („მაზეპას“ წარმატება—ა. შ.) ძალიან მსიამოვნებს და ამან კიდევ უფრო შემაყვარა თბილისი, რომელიც ისედაც ძლიერ მიყვარს“... ჩაიკოვსკიმ აქ დაწერა „მოცარტიანა“ (დაამთავრა გერმანიაში, აახენში). 1890 წელს ჩაიკოვსკიმ თბილისში შექმნა სიმფონიური ბალადა „ვოევოდა“. 1889 წელს კი თბილისში ბალეტ „მძინარე მზეთუნახავზე“ მუშაობდა.

ბალეტ „შელკუნჩიკის“ მეორე მოქმედების ერთ-ერთ ნომერში კომპოზიტორმა ქართული „იავ-ნანას“ მელოდია გამოიყენა. ჩაიკოვსკი კარგად იცნობდა ბევრ ქართველ მუსიკალურ მოღვაწეს და დიდ ქართველ პოეტს აკაკი წერეთელს.

„ძლიერ მომწონს თბილისი თავისი სამხრეთის კლიმატით და თავისი უკიდურესი ორიგინალობით“... „თბილისში გატარებული დრო სამუდამოდ დარჩება ჩემს მეხსიერებაში“. ასეთი აღფრთოვანებული სიტყვებით იხსენიებს ჩაიკოვსკი თბილისს მეგობრებისადმი მიწერილ ბარათებში.

თბილისმა დიდი როლი შეასრულა რუსული და ქართული თეატრალური ხელოვნების შემოქმედებითი კავშირის განმტკიცებაში. თბილისში ჩამოდიოდა რუსეთის თითქმის ყველა დიდი მსახიობი, ბევრმა მათგანმა კი აქ დაიწყო არტისტული კარიერა, მათ შორის ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკომ, ა. ა. იაბლოჩკინამ, თ. ი. შალიაპინმა და სხვ.

ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკო მოგონებებში „წარსულიდან“, სადაც ალ. სუმბათაშვილის შესახებ ლაპარაკობს, ასე თბილად იგონებს თავის საყვარელ თბილისს: „ჩვენ ერთად დავიწყეთ თამაში სცენაზე ჩვენს მშობლიურ თბილისში“. ასევე აღტაცებული იყო თბილისითა და ქართველი ხალხის გულთბილობით გამოჩენილი რუსი მსახიობი ქალი სავინა, რომლის გასტროლები თბილისში ნამდვილ ზეიმად გადაიქცა.

თბილისში გატარებული დღეების შესახებ სავინა აღტაცებით წერს: „არასოდეს არ დავივიწყებ, ისევე, როგორც არ დავივიწყებ თბილისს და მის მცხოვრებთ. ბედნიერი ვიყავი.. რა შესანიშნავი მხარეა, რა საყვარელი, გულთბილი და ჭკვიანი ხალხი“.

რუსეთის დიდ ადამიანთა რიცხვში, რომელთა სახელი თბილისთანაა მჭიდროდ დაკავშირებული, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია მ. გორკის ნათელ, უკვდავ სახელს.

1891 წლის ნოემბერში, იმ დროს ყველასათვის უცნობი ახალგაზრდა მოხეტიალე ალექსი

პეშკოვი ფეხით ჩამოვიდა თბილისში. ამ ქალაქში დასრულდა რევოლუციის „ქარიშხალას“ ხეტიალი და დაიბადა სოციალისტური კულტურის სიმამაყე მაქსიმ გორკი. „მართლაც გორკის ცხოვრებისათვის თბილისი გახდა მთელი ეპოქა, აქ განიცადა მან „უამრავი რამ“, აქ შეაჯამა თავისი შთაბეჭდილებების დაულეველი მარაგი და ის წრთობა და სულიერი სიცხადე მიიღო, რომლებმაც განსაზღვრეს მისი შემდგომი გზა“, — წერს ი. გრუზდევი წიგნში „გორკი და მისი დრო“. გენიალურ მწერალს ხიბლავდა საქართველოს ბუნების მშვენიერება. „მე მხურვალედ მიყვარს ეს მშვენიერი ქვეყანა, — წერდა იგი 1905 წელს,—სილამაზისა“ და ძლიერების განსაზიერება, მისი თოვლიანი მთები, სწრაფად მოჩუხჩუხე მდინარეთა მხიარული ხმაურით სავსე ბინდვრები და ხეობები, მისი ლამაზი ამაყი შვილები“.

1928 წელს საზღვარგარეთიდან დაბრუნებისთანავე გორკი კვლავ ეწვია თბილისს, სადაც მას მხურვალე შეხვედრა მოუწყვეს. „ხალისიანად ხმაურობს საყვარელი ქართველი ხალხი — რომანტიკოსი, შეყვარებული თავისი ქვეყნის სილამაზეზე, თავის ანკარა ღვინოზე და მშვენიერ სიმღერებზეო“, — სიყვარულით აღნიშნა გორკიმ თბილისში ჩამოსვლისას. მ. გორკის მხურვალედ, სათუთად უყვარდა თბილისი, საქართველო, ქართველი ხალხი.. „თვითეულმა მხატვარმა აუცილებლად უნდა ნახოს კავკასიაო“, — ამბობდა ახალგაზრდა გორკი და ამიტომ სპეციალურად ეწვია თბილისს გამოჩენილ რუს მოღვაწეებთან ერთად. მაშინ მას თან ახლდნენ ა. ჩეხოვი, მხატვარი ვ. ვასნეცოვი და სხვები.

აი რას წერდა გორკი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლისთავზე ქართველი ხალხისადმი გამოგზავნილ წერილში: „შესანიშნავი დღესასწაულია, რომელსაც მე ძლიერ მსურდა დავსწრებოდი, როგორც მოკრძალებული მაყურებელი და ერთხელ კიდევ მომეგონებინა საქართველო, ისეთი, როგორიც ვნახე იგი ორმოცი წლის წინათ, მომეგონებინა თბილისი, ქალაქი, სადაც დავიწყე ლიტერატურული მუშაობა. არასოდეს არ დამავიწყდება, რომ სწორედ ამ ქალაქში გადავდგი პირველი გაუბედავი ნაბიჯი იმ გზაზე, რომლითაც მივდივარ აი უკვე ოთხი ათეულია წელია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სწორედ მისი ქვეყნის დიდებულმა ბუნებამ და მისი ხალხის რომანტიკულმა სილბომ — სწორედ ამ ორმა ძალამ მოშცა მე ბიძგი, რომელმაც მოხეტიალისაგან ლიტერატორი გამომიყვანა“... და ბოლოს დასკვნის: „ჩემს თავს ცოტაოდენი ლირიკის ნება მივეცი, რითაც მსურდა რამდენიმე სიტყვა მეთქვა ჩემი დაუცხრომელი სიმპათიის შესახებ თქვენდამი და თქვენი ქვეყნისადმი“. ქართველმა ხალხმა ღირსეულად დააფასა დიდი მეგობრის ამაგი — უკვდავი ძეგლი აუგო მას თავის გულში.

„სისულელეა:
სამოთხე, ედემი,
მაგრამ თუ კაცმა
ამაზე
იოცნება,
ალბათ საქართველო
და მისი ქედები
იგულისხმეს მგონსნებმა“.

წერდა ჩვენი საბჭოთა ეპოქის უნიჭიერესი პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი, რომელიც საქართველოში დაიბადა და ქართველ მეგობრებს შორის გაიზარდა. „ჩემი სამშობლო სოფელი ბაღდადია, საქართველო. მე დაბადებით ქართველი ვარ“, წერდა ავტობიოგრაფიაში ვლ. მაიაკოვსკი. მოსკოვში გადასვლის შემდეგ (1906 წ.) დიდი საბჭოთა პოეტი ოთხჯერ იყო თბილისში, რომელიც მას განსაკუთრებით უყვარდა. პირველად იგი 1914 წელს ჩამოვიდა ჩვენს საყვარელ დედაქალაქში. მას თან ახლდნენ პოეტი და მხატვარი დავით ბურლიუკი და ცნობილი პოეტი ვასილ კამენსკი. მეორედ ვლ. მაიაკოვსკი 1924 წლის აგვისტოს ჩამოვიდა თბილისში და მაშინ დასწერა შესანიშნავი ლექსი „ვლადიკავკაზი — თბილისი“. ეს ლექსი პირველად თბილისშივე გამოქვეყნდა გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“. თბილისში დაწერა მან თავისი საუცხოო ლექსი „თამარი და დემონი“. სწორედ ამ ხანებში დაიბეჭდა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ ფურცლებზე მისი ლექსები „საიუბილეო“ და „აჯანყებათა ხმაური“... ვლ. მაიაკოვსკი ამ დროს ბევრ ქართველ პოეტს დაუმეგობრდა. მას საქმიანი მეგობრობა აკავშირებდა კოტე მარჯანიშვილთანაც.

დიდ ქართველ რეჟისორს განზრახული ჰქონდა დაედგა ვლ. მაიაკოვსკის „მისტერიაბუფო“ ღია ცის ქვეშ, მამადავითის მთაზე, ისე, რომ ეს დადგმა მთელ თბილისს ეხილა. ვლ. მაიაკოვსკი ხშირად გამოდიოდა თბილისის თეატრებში, კლუბებში, სასწავლებლებში და საწარმო-დაწესებულებებში... კითხულობდა ლექსებსა და მოხსენებებს. მესამეჯერ იგი 1926 წლის თებერვალში ეწვია თბილისს.

თბილისში დაწერა ლექსი „სერგეი ესენინს“, რომელიც პირველად თბილისშივე დაიბეჭდა „ზარია ვოსტოკას“ ფურცლებზე. ამჯერადაც ხშირად ხვდებოდა იგი თბილისელ პოეტებს, სტუდენტებს, მუშათა აუდიტორიებს. თბილისში გამოვიდა პირველად ცალკე წიგნად მაიაკოვსკის შესანიშნავი ლექსი „საუბარი ფინინსპექტორთან პოეზიაზე“. მეოთხეჯერ და უკანასკნელად დიდი საბჭოთა პოეტი 1927 წელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესტუმრა თბილისს. ვლ. მაიაკოვსკიმ კარგად იცოდა ქართული ენა, უყვარდა იგი. პოეტი გიორგი ლეონიძე გადმოგვცემს: „მე მას გავეცანი ერთ-ერთი მისი გამოსვლის შემდეგ, იგი ქართულად მელაპარაკა. შემომჩივლა, რომ ქალაქის ქუჩებში ზოგჯერ მას ესმის დამახინჯებული ქართული ენა, ქართული და რუსული სიტყვებისაგან შედგენილი დომხალი. მან მითხრა ერთი ფრაზა, რომელიც დამამახსოვრდა: „სლესარს კალესო წაუღე გასაკრასკავად“. თან დასძინა, რომ სწორედ თქვენ, ქართველი პოეტები, ვალდებული ხართ იბრძოლოთ ენის სიწმინდისათვისო“.

ერთხელ თბილისში მაიაკოვსკის პატივსაცემად გამართულ სუფრაზე უფროსი თაობის ქართველი პოეტები დიდი მოწიწებით ლაპარაკობდნენ ფრანგული პოეზიის შესახებ. „მაიაკოვსკიმ მცირე ხანს უსმინა მათ და შემდეგ წამოიძახა: „ჯანდაბას ისინი, რას გაგიჟებულხართ ამ ფრანგებზე, თუ გახსოვთ, რაიმე ქართული ხალხური ლექსი წაიკითხეთ, რომელიც მე გაგიჟებით მიყვარსო“, იგონებს სიმონ ჩიქოვანი.

თბილისში ჩასვლისას, თავის ქართველ მეგობარ პოეტთა წრეში, მაიაკოვსკი ხშირად წარმოსთქვამდა ხოლმე ბავშვობიდანვე შესწავლილ ქართულ ხალხურ ლექსებს. ვლ. მაიაკოვსკის მგზნებარედ უყვარდა თბილისი და ნატრობდა ქართველთა დედაქალაქის კულტურისა და მრეწველობის უფრო მეტად აღორძინებას, ვიდრე მის დროს იყო.

ასრულდა დიდი საბჭოთა პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის ნატვრა. დღეს ჩვენი მშობლიური დედაქალაქი თბილისი მსოფლიო მნიშვნელობის კულტურისა და მაღალგანვითარებული სოციალისტური მრეწველობის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო ჭეიშვილი

# თბილისი—საქართველოს ეკონომიური ცენტრი

საქართველოს დედაქალაქს — მშობლიურ თბილისს 1500 წელი შეუსრულდა. ქართველმა ხალხმა მომმე ხალხებთან ერთად დიდი ზეიმით აღნიშნა ეს სახელოვანი ისტორიული თარიღი.

ბევრი მწარე დღეების მომსწრეა თბილის - ქალაქი. იგი საუკუნეების მანძილზე გმირულად იგერიებდა უცხოელ დამპყრობლებს.

თბილისს, როგორც ცნობილია, საფუძველი ჩაუყარა სახელოვანმა ვახტანგ გორგასალმა. გამჭრიახმა მეფემ კარგად განჭვრიტა მომავალი დედაქალაქის სტრატეგიული და ეკონომიური უპირატესობა. მაგრამ მან ვერ მოასწრო დაწყებული საქმის დამთავრება და მხოლოდ მისმა შემკვიდრემ დაჩიმ „განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი, და, ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეუფოდ“ („ქართლის ცხოვრება“ ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. 1, გვ. 205).

ეს ის დრო იყო, როცა მონათმფლობელობის გადავარდნასთან ერთად დაეცა ქართლის დედაქალაქი მცხეთა. ახალი ეკონომიური ურთიერთობის წარმოშობამ კი განაპირობა ახალი ფეოდალური დედაქალაქის თბილისის აღმოცენება. VI საუკუნის დამდეგს მცხეთამ პირველობა დაუთმო თბილისს. იგი საკმაოდ გაიზარდა და დიდი მოვაჭრე ქალაქის სახელი გაითქვა.

VI საუკუნიდან თბილისის მოსახლეობა სწრაფად იზრდებოდა, ხოლო ტერიტორია ფართოვდებოდა. თბილისი გაცხოველებით აწარმოებდა საშინაო და საგარეო ვაჭრობას მეზობელ სომხეთთან, ირანთან, აგრეთვე სირიასთან, ეგვიპტესთან და სხვა ქვეყნებთან. VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოფი კესარიელის ცნობით, იბერიას (ქართლს) თავისი ნაწარმი გაჰქონდა ქალაქ დვინში და იქ სხვა ქვეყნებიდან ჩასულ ვაჭრებთანაც აწარმოებდა გაცვლა-გამოცვლას.

საგარეო და საშინაო ვაჭრობის განვითარების მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ VI საუკუნის დასასრულსა და VII საუკუნის დამდეგს საქართველოს ერისთავებმა თბილისში საკუთარი ფული მოჭრეს. ასე, მაგალითად, ჩვენამდე მოაღწიეს სტეფანოზისა და სხვა ერისთავების მოჭრილმა მონეტებმა. ცხადია, რომ ფულის მოჭრა ფართოდ განვითარებული აღებ-მიცემობით იყო ნაკარნახევი.

VII საუკუნის დამდეგს ბიზანტიელებმა და ხაზარებმა თბილისი აიღეს და ხელთ იგდეს უამრავი სიმდიდრე. გასაგებია, რომ მათმა ბატონობამ და მძიმე ხარკმა საქართველოს ეკონომიური წინსვლა საგრძნობლად შეაფერხა, განსაკუთრებით დააზარალა ქართლი და თბილისი.

IX-X საუკუნეებში ჩრდილოეთთან დაწყებულ ვაჭრობაში, ამიერკავკასიის სხვა ქალაქებთან შედარებით, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისს. ამის დამადასტურებელია ჩრდილოეთ რუსეთში ნაპოვნი დვინი კურაპალატის დროს (1001 წელი) მოჭრილი ფული. თბილისს აგრეთვე სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა აღმოსავლეთის, დასავლეთის და სამხრეთის ქვეყნებთან.

იმდროინდელი მწერალი უხტანესი თბილისს უწოდებს საქართველოს „დიდებულ ქალაქს — განსაცვიფრებლად ნაგებს, საუცხოოსა და საკვირველს“, ხოლო არაბი გეოგრაფი ისთახრი მოგვითხრობს: „თბილისი... სიმდიდრით სავსე ადგილია, მრავალხილიანი, ნათესებიანი, მრავალგვარი საქონელი და თაფლი მტკვრით მოაქვთ“.

იმავე საუკუნის 80-იანი წლების არაბი ვაჭარი და გეოგრაფი იბნ-ჰაუკალი თბილისის შესახებ წერს: „თბილისი ნაყოფიერი და გამაგრებული ქალაქია. იქ უხვად მოიპოვება პროდუქტები... თავისი კეთილმდგომარეობით იგი სჯობს (სხვებს).თბილისში უცხოელთათვის უშიშრობა და სტუმართმოყვარეობა სუფევს“.

თბილისში საქონელი მოჰქონდათ არაბეთიდან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირანიდან, ბიზანტიიდან, სომხეთიდან, ეგვიპტიდან და სხვა ქვეყნებიდან. ასე, მაგალითად, XI-XII საუკუნეთა მასალების მიხედვით, ბაღდადიდან და სხვა სამაჰმადიანო ქალაქებიდან შემოჰქონდათ სხვადასხვა სახის ბაღდადური ქსოვილები და სურნელოვანი ნივთიერებანი — ბალასანი (ბალხაში), მუშკი, ქაფური და სხვა, თათრული (სადაფით) შემკული აღვირები — ცხენის აღაჯმულობა, შაქარი, ძვირფასი თვალმარგალიტი, ლალი, იაგუნდი, ფირუზი, სადაფი, ბროლი და სხვა. ამავე ქვეყნებიდან ზოგჯერ შემოჰქონდათ ოქრო ზოდებით. ბიზანტიიდან შემოდიოდა ოქროს ქსოვილი, სამღვდელმსახურო, საეკლესიო ნივთები, ხატები, სურათები და ა. შ.

XII-XIII საუკუნეებში საქართველოში, ფეოდალური ხანის კვალობაზე, ფართო საშინაო ვაჭრობა იყო: „საქართველოში, — წერდა ივ. ჯავახიშვილი X-XIII საუკუნეების შესახებ, — არ მოიძებნება ისეთი საგანი, რომელიც ბაზარზე არ ტრიალებდა, რომელიც სოფლიდანაც არ გაყიდულიყოს". ჰყიდდნენ ცხენს, უნაგირს, ლაგამს, სხვადასხვა საშენ მასალას, სამეურნეო იარაღს, სახნისსა და სხვ. X-XIII საუკუნეებში თბილისი წარმოადგენდა არა მარტო ვაჭრობის, არამედ ხელოსნურ საწარმოთა ცენტრსაც — განვითარებული იყო მეჭურჭლეობა, ძვლის, თიხის, სპილენძის, ვერცხლისა და ლითონის ჭედვა. ყოველივე ეს არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა.

ვენეციელი მარკო პოლო, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებში დიდხანს მოგზაურობდა, თბილისის შესახებ წერდა: „ამ ქვეყანაში (საქართველოში—**ნ. ჯ.**) არის მშვენიერი ქალაქი—სახელწოდებით თბილისი, რომელიც გარშემორტყმულია გარეუბნებითა და მრავალი ციხე-სიმაგრით... ადგილი აქვს გაცხოველებულ საშინაო და საგარეო ვაჭრობას, ხელოსნური წარმოების მაღალ დონეს, მოსახლეობის დიდ რაოდენობას, ქალაქის ტერიტორიის ზრდას, ახალი უბნებისა და გარეუბნების გაჩენას".

მონღოლეთის ბატონობის დროს საშინელი ექსპლოატაციის გამო თბილისი საგრძნობლად დაუძლურდა. მონღოლებმა განსაკუთრებული გადასახადი გააწერეს ყველა ხელოსანს ქალაქად და სოფლად — მეთევზეებს, მემადნეებსა და მჭედლებს; გააკოტრეს ვაჭრები. მონღოლებმა თავი მოუყარეს ოქროს, ვერცხლს, ძვირფას ქვებს, უამრავ განძეულობას. სომეხი ისტორიკოსის კირაკოს განძაკელის მოწმობით, ყოველივე ამან გამოიწვია თბილისის ვაჭრობა-ხელოსნობის დაცემა.

გიორგი ბრწყინვალის დროს საქართველოში მონღოლთა ბატონობა მოისპო. ამის შემდეგ თბილისსაც დაეტყო ეკონომიური დაწინაურება. XIV საუკუნის 30-იან წლებში იგი ხალხმრავალი, კეთილმოწყობილი და მდიდარი ქალაქი იყო, მაგრამ XVI საუკუნის დასასრულს მას თავს დაატყდა საშინელი კატასტროფა. ეს იყო თემურ-ლენგის შემოსევა.

XV საუკუნიდან თბილისის ეკონომიურ დაქვეითებას ხელი შეუწყო საქართველოს ერთიანი სამეფოს პოლიტიკურმა დაშლამ. მან განავითარა ფეოდალური კარჩაკეტილობა და ნატურალური მეურნეობა. ხოლო მას შემდეგ, რაც თურქებმა კონსტანტინეპოლი აიღეს (XVI ს.) საქართველო მოწყდა კულტურულ მსოფლიოს და გადაიკეტა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები, დაეცა აღებ-მიცემობა და ხელოსნობა. ყოველივე ამან ძალზე დააქვეითა თბილისის საქალაქო ცხოვრება. ეს მკაფიოდ ჩანს უცხოელ მოგზაურთა ცნობებიდანაც. ასე, მაგალითად, ვენეციელი კონტარინი, რომელიც 1475 წელს იყო საქართველოში, გადმოგვცემს: „წინათ იგი (თბილისი — **ნ. ჯ.**) სახელგანთქმული იყო თავისი სიდიადით, ამჟამად კი დანგრეულია".

XVI საუკუნის თბილისს ისევ ნგრევა და აოხრება დაატყდა თავს. იგი ირანისა და ოსმალეთის გამუდმებულ ბრძოლის ასპარეზად გადაიქცა. ქართლის მეფეებს ლუარსაბ I და სიმონ II არაერთი ბრძოლა უწარმოებიათ ოსმალთა და ირანელთა ხელიდან თბილისის დასახსნელად. გამუდმებული ბრძოლა თბილისისათვის XVII საუკუნის 30-იან წლებამდე გაგრძელდა. თბილისი დაქვეითების გზას დაადგა. 1597 წლისათვის მოსახლეობა მხოლოდ 10.000-ს აღწევდა.

XVII საუკუნის დამდეგიდან თბილისმა აღორძინება იწყო და მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა განაახლა მეზობელ ქვეყნებთან, იზრდებოდა მოსახლეობის რიცხვი, დიდი ყურადღება ექცეოდა ქალაქის კეთილმოწყობას, მშენებლობას და ა. შ. 60-იანი წლების თბილისის შესახებ მისიონერი სერაფინო მელიკო-კანელი წერს: „(თბილისში) ერთმანეთს განუწყვეტლივ ხვდებიან ყველა მხარის ვაჭრები — სპარსეთიდან, ალეპოდან, სმირნიდან, კონსტანტინეპოლიდან და მთელი საქართველოდან... თუმცა აქ ყველაფერი უხვად არის, აუარებელი ვაჭრებიც არიან და ყოველდღე დატვირთული ქარავნებიც შემოდის, მაგრამ მაინც საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით აქ ყველაფერი ძვირია".

70-იან წლებში შარდენი იხსენიებს თბილისს, როგორც მნიშვნელოვან სავაჭრო პუნქტს: „იგი დიდ ვაჭრობას აწარმოებდა აბრეშუმით თურქეთთან, არზრუმში და სხვა ადგილებში"...

იზრდებოდა მოსახლეობა. 1700 წლისათვის თბილისში უკვე ოცი ათასი მცხოვრები ყოფილა.

XVIII საუკუნის დამდეგს თბილისი კიდევ უფრო დაწინაურდა. ამას ხელი შეუწყო ვახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანგ VI მიერ „საქალაქო წესდების“, „საკუთრების ქალაქური წესების“ შესახებ დებულების გამოქვეყნებამ. ვახტანგ VI მეფობის ბოლოდროინდელი თბილისის შესახებ სომეხი ისტორიკოსი ესაია წერს: „მტრებს დიდი ხნიდან არ შეუწუხებიათ და მშვიდობით ტკბებოდა უმდიდრესი და საუკეთესო ქალაქი თბილისი. მამაკაცები აქ შრომისმოყვარე ვაჭრებია, ხოლო მათი ცოლები და ქალიშვილები, ლამაზები და აღზრდილები, სარგებლობენ შეუდარებელი ცხოვრებით, სიმდიდრითა და ფუფუნებით. ცხოვრობენ ისინი საუცხოო დარბაზებში — მდიდრულად მორთული ავეჯით და ყოველგვარი საოჯახო ნივთებით... სპილენძის ჭურჭლეულობის მაგიერ აქვთ ოქროსა და ვერცხლის... რაც შეეხება მათ ტანსაცმელსა და ძვირფასი თვლებით მათ შემკულობას, — წარმოიდგინე შენ თვითონ რამდენადაც ამის შესაძლებლობას შენივე ფანტაზია მოგცემდეს. რა უნდა ვთქვა მე იმ დიდებულ ეკლესიათა სიმდიდრის შესახებ, რომლებიც მორთული იყო ფარჩებით და სხვა მრავალი შემკულობით“.

1722-1723 წლებში თბილისს ახალი უბედურება დაატყდა თავს. მას ოსმალები და ლეკები შემოესივნენ. თბილისმა სულის მოთქმაც ვერ მოასწრო, რომ XVIII საუკუნის 30-იან წლებში იგი ირანელმა ყიზილბაშებმა აიღეს. 1736 წელს თბილისში მყოფმა ირანის შაჰმა ნადირმა ბრძანება გასცა თბილისიდან ხორასანში 300 კომლი მცხოვრები გადაესახლებინათ... მართალია, 300 კომლი თბილისიდან არ გაუსახლებიათ, მაგრამ, სამაგიეროდ, მათ სპარსეთის შაჰის სასარგებლოდ დააკისრეს ხარკი — სამი ათასი თუმანი და ამდენივე კოდი პური. ეს ძძიმე კვალს აჩნევდა თბილისის ეკონომიკას.

თბილისი აღორძინების გზას დაადგა ერეკლე მეორის მეფობის დროს. ერეკლემ პირველ რიგში „ძნელბედობის ჟამს“ დაცემული საქალაქო ცხოვრების მოწესრიგება დაიწყო. აღადგინა ვაჭრობისა და ხელოსნობის „საკუთრების ქალაქური წესები“, მოაწესრიგა საქალაქო მართვა-გამგეობა, მტკიცედ განსაზღვრა ქალაქის მოხელეების უფლება-მოვალეობანი, მიიღო ზომები ლეკთა თავდასხმების აღსაკვეთად, მოაწესრიგა საბაჟოები და ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებას. თბილისის ზრდისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე XVIII საუკუნის შუა წლებში დიდი ხნის წინათ თითქმის გაუქმებულ დარიალის სავაჭრო გზის გახსნას... ამ გზის მეშვეობით საქართველო მჭიდროდ დაუკავშირდა რუსეთს. საბაჟო საქმე მოწესრიგდა.

XVIII საუკუნის 70-იან წლებში თბილისის ფართო აღებ-მიცემობისა და ხელოსნური წარმოების შესახებ მოგვითხრობს გულდენშტეტი. იგი წერს, რომ თბილისის მოსახლეობა მეტწილად ცხოვრობს ვენახებითა და ბაღებით, განსაკუთრებით ბლომად მოჰყავთ ბამბა, მათ შორის ბევრი ვაჭრობას მისდევს, მაღაზიებში შეიძლება ყოველთვის ნახოთ ჩვეულებრივი ქსოვილები, ყოველგვარი წვრილმანი, სურსათ-სანოვაგე და სხვა. მოსახლეობის მეორე ნაწილი ხელოსნობას მისდევს. ბევრია მეტყაველები, ფეიქრები და მჭედლები. პურეული აქ გორიდან და სურამიდან მოაქვთ მტკვრით — ფიჭვის ტივებით. ტივის ხეებსაც აქვე ყიდიან, როგორც საშენ მასალას.

იმავე გულდენშტეტის ცნობით, ერეკლე მეორეს თბილისში ჰქონდა მარილის საწმენდი ქარხანა, დენთის ფაბრიკა, ზარაფხანა, სტამბა და სხვ.

რუსეთის დიპლომატიური აგენტი კაპიტანი იაზიკოვი რუსეთის მთავრობას მოახსენებდა, რომ საქართველოს მთავარი ქალაქი თბილისი საკმაოდ ხალხმრავალიაო. ვაჭრობენ აზიური საქონლით — ფარჩით, თავთით, ტყავეულით, აგრეთვე რუსეთიდან შემოტანილი საქონლით. ბევრია ყოველგვარი ხელოსანი და ყოველი სახის ხელოსნობას აქვს ცალკე უბანი.

ქალაქგარეთ მრავალი ხეხილის ბაღია, ხარობს ვაზი, ნუში, ლეღვი, ბროწეული, ატამი, შავქლიავი, ვაშლი და ბევრი სხვა.

ამგვარად, ერეკლესდროინდელი თბილისი სავაჭრო ცენტრი ყოფილა და ქართლ-კახეთის სამეფოს ხელოსნური წარმოების ცენტრადაც ჩანს.

თბილისის მნახველს აოცებდა მის ბაზარზე ადგილობრივი ხელოსნური ნაწარმის სიუხვე. იოანე ბატონიშვილი თავის სახელგანთქმულ „კალმასობაში“ შესანიშნავად აგვიწერს XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის დასაწყისის თბილისის უამრავი ხელოსნური ნაწარმით სავსე ბაზრის სურათს.

პოლკოვნიკ ბურნაშოვის ცნობით, რომელმაც თბილისში 1783-1787 წლები დაჰყო, თბილისის ხელოსნები კავკასიის ყველა მთის ხალხსა და უახლოეს ირანელ მეზობლებს აწვდიდნენ „სპილენძის ჭურჭელს, ჩითეულს, თეთრეულ-ბამბეულს, ცხენის აკაზმულობას, ხმლებსა და ხანჯლებს, რკინის წვრილ საგნებს, ტანსაცმელს, ქუდებსა და ფეხსაცმელს“.

წყაროებით დასტურდება, რომ XVIII საუკუნის 80-90 წლებში თბილისში მუშაობდა ზარბაზნებისა და მორტირების ჩამომსხმელი ქარხანა... ერეკლე მეორის დროისათვის აქვე 500-მდე დუქანი ყოფილა, სადაც მშვენიერი საქონელი და სანოვაგე იყიდებოდა. 1808 წლისათვის თბილისში უკვე რვა ათასი დუქანი ითვლებოდა.

XVIII საუკუნის დასასრულს და XIX საუკუნის დამდეგს თბილისში თანდათან ფეხს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იკიდებდა კაპიტალიზმი. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა რუსეთთან საქართველოს შეერთებამ.

კაპიტალიზმის დამკვიდრების კვალდაკვალ თანდათანობით იდევნებოდა ადგილობრივი საუკუნეობრივი შინამრეწველური სარეწები, რომლებიც ეცემოდნენ მოსკოვური საქონლის კონკურენციის გამო. „რუსეთის კაპიტალიზმი, — წერდა ვ. ი. ლენინი, — კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს —ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს,— **ჰქმნიდა ბაზარს** თავისი ფაბრიკებისათვის“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 704).

საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის ჩანასახები თბილისში XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩნდება, რაც დაკავშირებული იყო რუსეთში სამრეწველო კაპიტალის განვითარებასთან—განსაკუთრებით ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობის შედეგად (თბილისი-ბაქოს რკინიგზის გაყვანა დამთავრდა 1883 წელს).

1850-1890 წლების მანძილზე თბილისში აშენდა 26 საფაბრიკო-საქარხნო ტიპის საწარმო. მათი უმეტესობა პრიმიტიული და განუვითარებელი ტექნიკით იყო აღჭურვილი.

1871 წელს ჩატარებული აღწერის თანახმად, თბილისში იყო 141 ფაბრიკა-ქარხანა და 1.160 წვრილი სახელოსნო.

ეს საწარმოები მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებებს ემსახურებოდნენ. საერთოდ იმდროინდელი წარმოება განვითარების დაბალ დონეზე იდგა.

თბილისის ნამდვილი ეკონომიური აყვავება დაიწყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ქართველი ხალხის გმირული შრომით, პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი ზრუნვის შედეგად თბილისი ჩვენი რესპუბლიკის მძლავრ ინდუსტრიულ ცენტრად გადაიქცა. ახლა თბილისში 1.228 მსხვილი და წვრილი სამრეწველო საწარმოა.

საქართველოს სიამაყეა ომისშემდგომ წლებში აშენებული ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა და აზოტოვანი სასუქების ქარხანა თბილისის მახლობლად, რუსთავში.

1957 წელს თბილისის მრეწველობამ მოგვცა 3,2-ჯერ მეტი პროდუქცია, ვიდრე ომამდელ 1940 წელს. საქონელბრუნვამ წელიწადში ერთსულ მოსახლეზე დაანგარიშებით 1940 წელს შეადგინა 2.324 მანეთი, ხოლო 1957 წელს — 5.176 მანეთი. ქალაქის მოსახლეობამ 12 ათასამდე ტელევიზორი, 22.700 მაცივარი, 14 ათასზე მეტი სარეცხი მანქანა შეიძინა. თუ ომამდელ 1940 წელს თბილისში 1.260 მილიონი მანეთის სამრეწველო და სასურსათო საქონელი გაიყიდა, 1957 წელს ეს თანხა 3.323 მილიონ მანეთამდე გადიდდა.

ყველაფერი კეთდება თბილისელ მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, სწრაფი ტემპით იგება საცხოვრებელი ბინები, შენდება ახალ-ახალი სკვერები და ბაღები, იზრდება და მშვენიერდება ჩვენი დედაქალაქი.

მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი და მარად ახალგაზრდა თბილისის 1500 წლის იუბილე მთელი ქართველი ხალხის ჭეშმარიტი ზეიმი იყო. ჩვენი სიხარული მთლიანად გაიზიარეს მოძმე ხალხებმა, რომლებსაც თბილის-ქალაქი მუდამ მეგობრულად და გულგაშლილი ხვდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იური სიხარულიძე

# საქართველოს სახელოვანი დედაქალაქი

„ვახტანგ აშენებდა ქალაქსა ტფილისისა და საფუძველი ოდენ დაედვაო“, — წერს ვახტანგ გორგასალის ბიოგრაფი, XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი. ამასვე ადასტურებს თბილისის დაარსების საყოველთაოდ ცნობილი ლეგენდაც. რა თქმა უნდა, V საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ვახტანგმა საფუძველი ჩაუყარა ჩვენს დედაქალაქს, თბილისის მიდამოები, ისე უკაცურ-უდაბური არ ყოფილა, როგორც ლეგენდა გადმოგვცემს, იქ სოფელი და შურის ციხეც კარგა ხანია არსებობდა, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ თქმულება ქალაქ თბილისის დაარსებას ვახტანგ გორგასალის სახელს უკავშირებს და ამ ლეგენდაში ჭეშმარიტების მარცვალიც ეს არის.

თბილისის მიწაზე ადამიანი ჩვენს ერამდე მეოთხე ათასწლეულიდან ჩანს. ეს პირველი თბილისელები თანამედროვე ქართველების ნეოლითელი წინაპრები იყვნენ. IV საუკუნის მეორე ნახევარში კი სპარსელებმა თბილისში ციხე ააშენეს. „აღაშენა ერისთავმან სპარსთამან ტფილისის კართა შორის ციხედ მცხეთისადო“, ამბობს ლეონტი მროველი.

ვახტანგ გორგასალმა (452-502 წ. წ.) კარგად შეაფასა თბილისის მოხერხებული, სტრატეგიული მდებარეობა და იქ ქართლის მეფის სარეზიდენციო ქალაქის შენებას შეუდგა. ასე ჩაეყარა საფუძველი ქალაქ თბილისს.

ვახტანგს მძიმე საგარეო და საშინაო ვითარებაში მოუხდა მეფობა. იგი ჯერ ოს-ალანებს შეება, დაამარცხა და ჩრდილო კავკასიაში გადარეკა, ხოლო შემდეგ ბიზანტიელებს ეკვეთა და აქაც გაიმარჯვა. დამარცხებული კეისარი იძულებული გახდა ხელი აეღო მიტაცებულ ქართულ მიწებზე და უკანვე დაებრუნებინა ძლევამოსილი ქართლის მეფისათვის.

გორგასალმა ბიზანტიის იმპერატორთან კავშირი შეკრა და მიზანგამართლებული უკან შემოიქცა. ეს გარემოება არაფრად ეჭაშნიკა ირანის ხელისუფლებას. შაჰმა აღზევებული ყმის დასჯა გადაწყვიტა და დიდძალი ლაშქრით საქართველოსკენ დაიძრა. ბრძოლებში გაფოლადებული ქართველებიც მედგრად დაუხვდნენ მტერს. ფიცხელი ბრძოლების ასპარეზად იქცა თბილისის მიდამოებიც. „და ოდესმე განვლიან ფონი მტკურისა, და შეიბნიან ფონსა ზედა ტფილისისა“, გვაუწყებს მემატიანე.

ომი კარგა ხანს გაგრძელდა. დაინგრა და მოოხრდა სოფელი თბილისი და მისი ციხეც.

ბოლოს, ქართველებს ბიზანტიიდან დამხმარე ძალები მოსვლიათ. სპარსელებს ქართველ-ბერძენთა შეერთებული ლაშქრის წინააღმდეგ ბრძოლის ძალა აღარ შესწევდათ და იძულებული გახდნენ თბილისს გასცლოდნენ. „აიყარა სპარსთა მეფე, — ამბობს ისტორიკოსი, — და უკუდგა რუსთავად... ტფილისი სოფელი და კალაიცა მოოხრებული იყო მაშინ“.

ამის შემდეგ ქვეყანაში ერთხანს მშვიდობიანობა დამყარდა. შექმნილი ვითარებით ისარგებლა ვახტანგ მეფემ და ქვეყნის საშინაო საქმეების მოწესრიგებას შეუდგა.

ისტორიკოს ჯუანშერის ცნობით, ამავე დროს შედგომია ვახტანგი სოფელ თბილისში ქალაქის შენებას და ირანთან ომის განახლებამდე საძირკვლების გასკვნა-ღა მოუსწრია მხოლოდ.

ოთხმოციან წლებში გორგასლის ქართლი მამაცურად შეება ირანს, მაგრამ შინაგანდგომილობის გამო ბოლოსდაბოლოს მარცხი განიცადა. თვითონ ვახტანგი ერთ-ერთ ბრძოლაში სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილოდ დაჭრეს, რამაც იმსხვერპლა კიდევაც ძლევამოსილი მეფე.

თავისი სახელოვანი მოღვაწეობით ვახტანგ მეფემ ფართოდ გაითქვა სახელი და ხალხის ღრმა სიყვარული დაიმსახურა. მომდევნო საუკუნეებში გორგასალი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სიმბოლოდ იქცა საქართველოში.

ვახტანგ გორგასალის გარდაცვალების შემდეგ ქართლის სამეფო ტახტზე ავიდა მისი შვილი დაჩი. ახალი მეფე მამისეული ენერგიულობით შეუდგა სპარსთაგან აოხრებული ქვეყნის შენებას. მემატიანის ცნობით, მან „განსრულნა ზღუდენი ტფილისისანი“ და, როგორც ებრძანა ვახტანგს, აქცია იგი „სახლად სამეუფოდ“ ანუ სატახტო ქალაქად.

ამიერიდან თბილისი სწრაფი დაწინაურების გზაზე შედგა. ძველი სატახტო ქალაქი თანდათან ეცვმოდა და ცარიელდებოდა, ხოლო თბილისი შენდებოდა და მრავლდებოდა. ამ მოვლენას კარგად ახასიათებს „ქართლის მოქცევის“ ქრონიკის გამონათქვამი: „მცხეთაი ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირდებოდეს და კალაი განდიდნებოდა.“

VI საუკუნის დამდეგიდან სპარსელები კიდევ უფრო აძლიერებენ თავიანთ აგრესიულ პოლიტიკას და ქართლის სამეფოს საბოლოო დამორჩილებას ცდილობენ. მონათმფლობელური ქართლის წინააღმდეგ ამხედრებულმა ქართველმა დიდაზნაურობამ ამ ბრძოლაში სპარსელებს დაუჭირა მხარი და გააფთრებით შეებრძოლა ქართლის მეფესა და მის ხელისუფლებას.

VI საუკუნის 20-იან წლებში სპარსთა თავხედობა ყოველგვარ საზღვარს გადასცდა. ქართველებს შაჰის ბრძანება მოუვიდათ: მაზდეანურ-ცეცხლთაყვანისმცემლური წესები შეასრულეთ, მკვდრები მიწაში არ დამარხოთო, ბრძანებდა კავად-შაჰი.

ამით აღშფოთებული ქართლის მოსახლეობა საბრძოველად აღდგა. აჯანყებას უკანასკნელი გორგასლიანი მეფე გურგენი ხელმძღვანელობდა. გურგენმა კარგად იცოდა, რომ საკუთარი ძალებით სპარსთა და დიდაზნაურთა წინააღმდეგ ვერაფერს გააწყობდა, ამიტომ ბიზანტიის კეისარ იუსტინეს (518-527 წ. წ.) დაუკავშირდა და დახმარება სთხოვა. შაჰის მოსისხარმა კეისარმაც მაშინვე მიიღო ზომები და ქართლის მეფეს ჯარი მიაშველა, მაგრამ ქართველ-ბიზანტიელთა მცირერიცხოვანმა მხედრობამ ვერ გაუძლო მოწინააღმდეგის მიძალებას და დამარცხდა.

გურგენ მეფე თავისი ოჯახითა და კარისკაცებით ჯერ ლაზიკაში გაიქცა, ხოლო შემდეგ ბიზანტიას შეაფარა თავი. სპარსელებმა კი ქვეყანა დაიპყრეს და ქართლში მეფობა მოსპეს.

ეს მოხდა 523 წელს.

„მეფობის გაუქმება ქართლში, — წერდა აკად. ს. ჯანაშია, — შედეგი იყო არა მარტო გარეგანი, ფიზიკურად უფრო ძლიერი ფაქტორის ზემოქმედებისა, არამედ კიდევ უფრო მეტად დიდი აზნაურების მეფის წინააღმდეგ მიმართული და ირანთან შეთანხმებული პოლიტიკისა.“

და ეს სავსებით მართებული შეხედულებაა. 523 წლის აქტი ნამდვილად აზნაურ-წარჩინებულთა სოციალური მოწიფულობის ნაყოფი იყო. ქართლის აზნაურნი ზეიმობდნენ. სპარსთა მეშვეობით მათ თავიანთი კლასობრივი საწადელი აისრულეს — ქვეყანაში მონათმფლობელური სახელმწიფო ხელისუფლება გაუქმდა. ამ გარემოებამ დიდად შეუწყო ხელი აზნაურთა შემდგომ გაძლიერებას.

ქართლი სპარსეთის პროვინციად იქცა. მეფის ადგილი თბილისში მაზრპანმა (სპარსულია, ქართულად „ოლქის მმართველს“ ნიშნავს) დაიჭირა.

მაზრპანი დიდი უფლებებით სარგებლობდა. იგი დაქვემდებარებული ქვეყნის შეუცილებელი გამგებელი და უმაღლესი მოსამართლეც იყო.

სპარსთა ბატონობა ქართლში დღითიდღე მძიმდებოდა. მტრის მძლავრობასა და გაუკითხაობა-უსამართლობას კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა სასპარსო დახარკულობა. მოთმინების ფიალა ივსებოდა, სპარსთა წამლეკავი აჯანყება ქართლში კარზე იყო მომდგარი.

სპარსელები ახლა აღარც დიდაზნაურებს ეხატათ გულზე. მოკავშირეთა შორის ძველებური თანხმობა-სიტკბოება აღარ არსებობდა. ამიტომ მათ აღარ დააყოვნეს, სახალხო მოძრაობას შეუერთდნენ და შეეცადნენ თავიანთი კლასობრივი ინტერესების განაღდებისათვის გამოეყენებინათ იგი.

ამავე დროს ბიზანტია სპარსეთს მიეძალა. საგარეო გართულებას შინაური შფოთიც ზედ დაერთო ირანში. სპარსთა პოზიციები შესუსტდა. ამით ისარგებლეს ქართველებმა, გადაუდგნენ ირანს და ბიზანტიელებს მიემხრნენ.

როგორც იმდროინდელი ბიზანტიელი ისტორიკოსი თეოფანე გვამცნობს, ქართველებს გურგენი მეთაურობდა, ხოლო მათი „დედაქალაქი მაშინ ტფილისი იყო“.

დამარცხებული ირანი იძულებული იყო 591 წელს ბიზანტიისათვის გადაეცა დაპყრობილი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორის ქართლი თბილისამდე. სპარსელებს შემდეგ ქართლის ზოგიერთ სხვა მხარეშიც ამოუკვეთეს ფეხი, მაგრამ თბილისიდან მათი გაძევება კიდევ კარგა ხანს მაინც ვერ მოხერხდა. სპარსელები თბილისიდან განიდევნენ 627 წელს. ამიერიდან ქართლი ბიზანტიის ხელისუფლებას დაექვემდებარა. ძველი ქართული წყაროს ცნობით, კეისარმა თბილისი ქართლის ერისმთავარს მისცა და მასთან მეგობრული კავშირი შეკრა. მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე სამხრეთიდან ისლამის უძლეველი ლაშქარი დაიძრა. VIII საუკუნის 50-იან წლებში არაბებმა თბილისსაც მოატანეს. არაბები ამჯერად ქართლში მხოლოდ რამდენიმე წელს დარჩნენ. მალე სახალიფო შინაშლილობამ მოიცვა. ამით ისარგებლეს დაპყრობილმა ხალხებმა, მათ შორის ქართველებმაც და განუდგნენ არაბებს.

ქართველთა ურჩობა და ბრძოლა დიდხანს გრძელდებოდა, თბილისს ისევ ერისმთავარი განაგებდა.

არაბები თბილისში ფეხს იკიდებენ მხოლოდ VIII საუკუნის დამდეგიდან. 705 წელს მაინ აქ ფულიც მოუჭრიათ.

ქართველები არ ურიგდებოდნენ მოძალადეს და ბრძოლას განაგრძობდნენ. ქვეყანა აჯანყების ცეცხლში იყო გახვეული.

აჯანყებულთა დასათრგუნავად სახალიფოდან ზედიზედ იგზავნებოდა დამსჯელი ექსპედიციები, რომლებიც დაუნდობლად ჟლეტდნენ მოსახლეობას, ანადგურებდნენ და მიწასთან ასწორებდნენ ქალაქებსა და სოფლებს. ასეთ შურისმაძიებელთა და ჯალათთა შორის ყველაზე უფრო „გაითქვა სახელი“ მურვან ყრუმ, რომელმაც 736-738 წლებში აუწერელი უბედურება და ზიანი მიაყენა ჩვენს ხალხსა და ქვეყანას. თბილისი თუმცა გადაურჩა მურვანის რისხვას, მაგრამ საერთო ქართული ფრონტის დაძაბუნებამ დიდად შეუწყო ხელი არაბთა განმტკიცებას დედაქალაქში.

მტრის ხელში თბილისი დარჩა 1122 წლამდე, ვიდრე დავით აღმაშენებელი დაიხსნიდა მას.

ამიერიდან თბილისი ფეოდალური საქართველოს სატახტო ქალაქად იქცა და სწრაფი აღმავლობის გზაზე შედგა, დამშვენდა ახალი ნაგებობებით, გაფართოვდა ტერიტორიულად, მნიშვნელოვნად იმატა მოსახლეობის რიცხვმაც და ფრიად დაწინაურდა ეკონომიურადაც. XIII საუკუნის საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიური ცენტრი წინაზიის ერთ-ერთი ულამაზესი, უდიდესი და უმდიდრესი ქალაქი იყო. მაგრამ თბილისის აღმავლობა მალე შეფერხდა. პირველი დიდი ზიანი დედაქალაქს XIII საუკუნეში ჯერ ხვარაზმელებმა მიაყენეს, შემდეგ კი მონღოლებმა. მონღოლთა მფლობელობის ხანაში აოხრდა ქალაქი, დაეცა მისი ვაჭრობა-ხელოსნობა, შემცირდა მოსახლეობა.

XIV საუკუნის 20-იან წლებში ქართველმა ხალხმა მედგარი ბრძოლით გადაიგდო მონღოლთა უღელი. ამის შემდეგ ქვეყანას მოღონიერება დაეტყო, დაწინაურდა თბილისიც. მაგრამ მალე თემურ-ლენგი გამოჩნდა. თემურის ურდოებმა არაერთხელ აიკლეს, დაანგრიეს და გაძარცვეს ჩვენი დედაქალაქი.

XV საუკუნის მეორე ნახევარში ფეოდალური საქართველო პოლიტიკურად დაიშალა. ამიერიდან თბილისი ქართლის სატახტო ქალაქი იყო.

მომდევნო ხანაში მტერი და მარბიელი არათუ შემოლევია, არამედ კიდევ უფრო გაუმრავლდა ჩვენს ქვეყანასა და მის დედაქალაქს. 1440 წელს თბილისზე ილაშქრა და მოაოხრა ირანის მპყრობელმა ჯეჰან-შაჰმა, 1477 წელს უზუზ-ჰასანი მოვიდა, 1488 წელს — იაყუბ-ყანენი და სხვ.

ამ გაუთავებელმა რბევა-აოხრებამ აუწერელი ზიანი მიაყენა თბილისს და მის საქალაქო მეურნეობას. არც XVI საუკუნე გამოდგა ამ მხრივ უკეთესი. ყოველივე ამას თბილისის უკიდურესი დაცემა-დაქვეითება მოჰყვა. „თბილისი მცირე ზომის ქალაქია, — წერდა იტალიელი თომაზო მინადოი XVI საუკუნის ბოლოს, — მცირერიცხოვანი მცხოვრებლებით და ნაგებობით დამასკოს ვერ შეედრება.“

XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან ქართლის საგარეო ურთიერთობა გაუმჯობესდა და ქვეყნად ერთგვარმა მშვიდმა ცხოვრებამ დაისადგურა. ეს გარემოება სულ მალე დაეტყო თბილისსაც. გაცხოველდა სააღებ-მიცემო ურთიერთობა, მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა ქალაქის კეთილმოწყობის ხაზით, გამრავლდა მოსახლეობა. XVII საუკუნის 70-იან წლებში თბილისი უკვე „აღმოსავლეთის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია, მჭიდროდ დასახლებული... გაჩაღებულია დიდი ვაჭრობა“ (ჟ. შარდენი).

თბილისის აღმავლობის ხანა XVIII საუკუნის 20-იან წლებამდე გაგრძელდა. 1723 წლიდან კი იგი კვლავ ნგრევა-აოხრების ქარცეცხლში მოექცა. ამიერიდან ქართლი და მისი დედაქალაქი ჯერ ოსმალთა სათარეშო ასპარეზად იქცა, ხოლო შემდეგ — ყიზილბაშთა. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში თბილისმა შეძლო ოსმალობა-ყიზილბაშობის იარების მოშუშება და ისევ აღორძინების გზაზე შედგა. მაგრამ არც ამჯერად გამოდგა ეს ხანა ხანგრძლივი. 1795 წელს თბილისს თავს დაატყდა დიდი უბე-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

დურება: კრწანისის ველზე ქართველთა დამარცხების შემდეგ თბილისი აიღო, ცეცხლს მისცა და მიწასთან გაასწორა აღა-მაჰმად-ხან ყაჯარმა.

ირანელთა წასვლის შემდეგ მეფე ერეკლე ენერგიულად შეუდგა ფერფლად ქცეული ქალაქის აღდგენას, მაგრამ ეს ადვილი საქმე როდი იყო. ფრიად დაზიანებული სახით ჩაიბარა თბილისი XIX საუკუნემ.

1801 წლიდან თბილისის ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო. ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შემდეგ თბილისი სწრაფად დაწინაურდა: გაცხოველდა ვაჭრობა, ხელოსნობა, კულტურული ცხოვრება, გაიზარდა მოსახლეობა, გაფართოვდა ქალაქის ტერიტორია. აღადგინეს ძველი უბნები და ქუჩები, გაკეთდა ახალი მოედნები, ქუჩები, უბნები, ხიდები და სხვ.

განსაკუთრებით სწრაფი განვითარება დაეტყო თბილისს რეფორმის შემდეგ ხანაში. ინტენსიური ხასიათი მიეცა ვაჭრობას, განვითარდა მრეწველობა. ამიერიდან თბილისი შევიდა თავისი განვითარების ბურჟუაზიულ პერიოდში. დიდი ცვლილებები ხდება ქალაქის სოციალურ-ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში, დაარსდა ფაბრიკები და ქარხნები, გამრავლდა სამრეწველო პროლეტარიატი, დაიწყო მუშათა მოძრაობა.

XIX საუკუნის მიწურულიდან თბილისის მუშათა მოძრაობა სტოვებს თავისი განვითარების სტიქიურ პერიოდს და თანდათან შეგნებულ-ორგანიზებული პოლიტიკური ბრძოლის ხასიათს იღებს. მუშათა მოძრაობის ამ ახალ ეტაპზე აყვანა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დამსახურება იყო.

1901 წლის ნოემბერში შედგა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის პირველი კონფერენცია. კონფერენციამ აირჩია თბილისის კომიტეტი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში საქართველო-ამიერკავკასიაში.

თბილისის აღმავლობა შეფერხდა 1917-1921 წლებში. არც ე. წ. „ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის," არც ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური კომიტეტისა და არც ქართველ მენშევიკთა მმართველობის ხანაში თბილისის წინსვლა-განვითარებისათვის არაფერი არ გაკეთებულა, პირიქით, ქალაქი და მისი მეურნეობა სულ უფრო და უფრო ეცემოდა.

თბილისის ისტორიაში, ისე როგორც მთელი საქართველოს ისტორიაში, ახალი ერა იწყება 1921 წლის 25 თებერვლიდან, როდესაც ჩვენში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა.

საბჭოთა პერიოდში არნახულად დაწინაურდა და აყვავდა საქართველოს დედაქალაქი. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელი ზრუნვისა და ყურადღების შედეგად თბილისი სულ მოკლე დროში იქცა კეთილმოწყობილ ქალაქად და ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს სამრეწველო ცენტრად.

დიდი მუშაობა ჩატარდა თბილისის გარეუბნების კეთილმოწყობისა და გაფართოებისათვის. განაპირა კუთხეებში აშენდა ქარხნები, ფაბრიკები, აიგო სკოლები, საავადმყოფოები და სხვა ნაგებობანი, გადაიგეგმა ძველი უბნები და ქუჩები, გაკეთდა ახალი ქუჩები, მოეწყო პარკები და სკვერები.

სრულიად შეიცვალა სახე ვ. ი. ლენინის რაიონმა (ძველი „ნაძალადევი"). თუ რევოლუციამდე იგი უგეგმო-უწესრიგოდ აშენებული ქოხმახებით იყო მოფენილი, საბჭოთა პერიოდში რკინიგზელთა რაიონი თბილისის ერთ-ერთ კეთილმოწყობილ რაიონად იქცა. აშენდა მრავალსართულიანი სახლები, გასწორდა, გაფართოვდა, მოიკირწყლა და მოასფალტდა ქუჩები და სხვ.

ასევე შეიცვალა დიდუბე, ვაკე და სხვა უბნები. ამ უკანასკნელად განსაკუთრებით დიდი მშენებლობა გაჩაღდა ვაკესა და საბურთალოზე. დიდი მუშაობა ჩატარდა მაიდანსა და ავლაბარშიც. დედაქალაქის ეს ორი ძველთაძველი უბანი საბჭოთა პერიოდში მნიშვნელოვნად გაიწმინდა საშუალო საუკუნეობრივი ვიწრო ქუჩებისა და ურიცხვი შესახვევ-ჩიხებისაგან.

დედაქალაქში განსაკუთრებით გაიზარდა და გამრავლდა პარკები და ბაღები. მათგან აღსანიშნავია ი. ბ. სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი ფუნიკულიორზე, კომკავშირის ხეივანი და სხვ.

გამშვენიერდა და გალამაზდა ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანი — ქალაქის ცენტრი. აქ აღმართულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის დიდებული ძეგლი.

თბილისის მშვენებაა რუსთაველის პროსპექტი. აქ არის არა ერთი მონუმენტური ნაგებობა, მათ შორის მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალი, მთავრობის სასახლე და სხვ.

საბჭოთა პერიოდში განხორციელდა თბილელთა დიდი ხნის ოცნება — აიგო მტკვრის შესანიშნავი სანაპირო.

მტკვარზე აშენდა შესანიშნავი ხიდები: ჩელუსკინელთა, სტალინისა და მეტეხისა.

ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედნად იქცა გმირების მოედანი, რომელიც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ განაპირა უბნად ითვლებოდა. გაქრა ვარაზისხევიც. უკანასკნელ დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ხევზე შესანიშნავი ქუჩა გაშენდა, რომელმაც ვაკე უმოკლესი და ულამაზესი გზით დაუკავშირა გმირთა მოედანს და აქედან საბგურის რაიონსა და საბურთალოს.

მარტოოდენ მშრალი აღნუსხვაც კი ძნელია ყოველივე იმისა, რაც სოციალისტურ გარდაქმნათა დიად ეპოქაში განხორციელდა თბილისის კეთილმოწყობის ხაზით.

თბილისი საქართველოს ერთ-ერთი მთავარი სამრეწველო ცენტრია. ახლა მისი მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში ოთხი უმთავრესი დარგი გამოიყოფა: ლითონდამუშავება (მანქანათმშენებლობითურთ), საფეიქრო, მსუბუქი და კვებისა.

პირველი და წამყვანი დარგი მრეწველობისა თბილისში წარმოდგენილია მრავალი მანქანათმშენებელი და სარემონტო-მექანიკური საწარმოებით. ამ საწარმოთა უმეტესობა საბჭოთა პერიოდში შეიქმნა. ისინი უშვებენ ლითონმჭრელ ჩარხებს, საფეიქრო მრეწველობის მანქანებს, თუჯისა და ფოლადის სხმულებს და სხვ.

თბილისის მრეწველობაში გარკვეული წილი უდევს ქიმიურ მრეწველობას. ეს დარგი დედაქალაქში ძირითადად პლასტმასის ქარხნით (ექსპლოატაციაში შევიდა 1948 წ.) არის წარმოდგენილი. ქიმიური მრეწველობის განვითარების ახალ გრანდიოზულ აღმავლობასთან დაკავშირებით დიდი პერსპექტივა უჩანს ამ დარგს საქართველოს დედაქალაქშიც.

მნიშვნელოვნადაა განვითარებული თბილისში საფეიქრო მრეწველობა. მაღალხარისხოვან პროდუქციას იძლევიან აბრეშუმსაქსოვი, შალისა და ბამბისსართავი ფაბრიკები.

ერთ-ერთი უდიდესი საწარმოა ჩვენს ქვეყანაში თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა (№ 1), რომელიც ყოველწლიურად ხუთ მილიონ წყვილ ფეხსაცმელს უშვებს.

მსუბუქი მრეწველობის უდიდესი საწარმოა სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი. იგი ტექნიკურად შესანიშნავადაა აღჭურვილი. ამავე დარგის სხვა მნიშვნელოვანი საწარმოებიდან აღსანიშნავია სატრიკოტაჟო ფაბრიკა, სასარაჯო-საგალანტერიო საწარმო და სხვ.

მრეწველობის საერთო პროდუქციაში დიდია კვების მრეწველობის ხვედრითი წონა. ამ დარგის საწარმოებიდან გამოირჩევა შამპანური ღვინის ქარხანა, კონიაკის ქარხანა, სამტრესტის ღვინის ქარხნები, შოკოლადის ფაბრიკა, მარგარინის, სარეცხი საპნის, ნახშირმჟავასა და სხვა ქარხნები.

საშენ მასალათა მრეწველობა თბილისში უმთავრესად აგურის ქარხნებით არის წარმოდგენილი. ამას გარდა, მოქმედებს საშენ მასალათა მრავალი საწარმო, როგორიცაა, მაგალითად, ვიბრობლოკების, კირპუცოლანცემენტისა და სხვ.

თბილისში თავმოყრილია აგრეთვე საქართველოს პოლიგრაფიული მრეწველობის ძირითადი კომბინატი და „კომუნისტის", „ზარია ვოსტოკას", „საბჭოთა მწერლის", მეცნიერებათა აკადემიისა და სხვა სტამბები.

თბილისი ჩვენი დიდი სამშობლოს ერთ-ერთი უდიდესი კულტურული ცენტრია.

საბჭოთა პერიოდში არნახულად განვითარდა კულტურა და მეცნიერება. აშენდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, დაარსდა სპეციალური საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები, თეატრები, კინოთეატრები, მუზეუმები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები.

მეცნიერების განვითარების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა ი. ბ. სტალინის სახელობის უნივერსიტეტმა, რომელშიც აღიზარდა და მეცნიერული წრთობა მიიღო ამჟამინდელ გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა უმრავლესობამ.

1935 წელს თბილისში დაარსდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი. მან დიდი როლი შეასრულა ქართული მეცნიერების აღმავლობაში და უნივერსიტეტთან ერთად ნიადაგი მოუმზადა მეცნიერებათა აკადემიას. 1941 წელს დაარსდა კიდევაც ქართული მეცნიერების ეს სიამაყე და უმძლავრესი კერა.

არსებობის ჩვიდმეტი წლის მანძილზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ უაღრესად ნაყოფიერი მუშაობა გასწია, რამაც დიდად შეუწყო ხელი საქართველოში კულტურისა და სახალხო მეურნეობის განუხრელ აღმავლობას.

აკადემიის სისტემაში შემავალმა ინსტიტუტებმა ფართოდ გაშალეს კვლევა-ძიება ისტორიის, ლიტერატურის, ენათმეცნიერების, მათემატიკის, ეკონომიკის, ტექნიკისა და სხვა დარგებში.

ქართველი მეცნიერები წარმატებით ამუშავებენ სოფლის მეურნეობის საკითხებსაც. საბოფლო-სამეურნეო, მებაღეობა-მებოსტნეობის, ზოოტექნიკურ-საველერინარო, მცენარეთა დაცვის, ნიადაგმცოდნეობის, აგრონომიისა და მელიორაციის ინსტიტუტების მეცნიერ მუშაკებმა დიდი მუშაობა გასწიეს სოფლის მეურნეობის ახალი მკვეთრი აღმავლობის უზრუნველსაყოფად. ამ დიდმა და მრავალმხრივმა მუშაობამ საფუძველი მოუმზადა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დაარსებას. 1957 წელს მეცნიერებათა აკადემიას თბილისში გვერდით ამოუდგა მეცნიერების მეორე დიდი კერა — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმატებით მუშაობენ ჩვენი მეცნიერები ზოოლოგიის, ბოტანიკის, სამედიცინო, ტექნიკურ და მეცნიერებათა სხვა დარგებში.

აყვავდა და გაიფურჩქნა ქართული ხელოვნება. თბილისში ამჟამად ცხრა თეატრი მუშაობს. ქართულ საბჭოთა თეატრს საფუძველი დაუდეს და ნამდვილი რეალისტური ხელოვნება შექმნეს კოტე მარჯანიშვილმა და სანდრო ახმეტელმა. სწრაფად დაწინაურდა ქართული საოპერო და საბალეტო ხელოვნებაც, განსაკუთრებით ეს უკანასკნელი, რომელსაც ხელმძღვანელობს გამოჩენილი არტისტი ვახტანგ ჭაბუკიანი.

დიდი წარმატება აქვს კინოხელოვნებას. ბევრი ქართული ფილმი პოპულარობით სარგებლობს ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ და საზღვარგარეთაც.

მხატვრული სიტყვის ქართველმა ოსტატებმა გ. ტაბიძემ, ლ. ქიაჩელმა, ი. გრიშაშვილმა, კ. ლორთქიფანიძემ, გ. ლეონიძემ, ს. ჩიქოვანმა, ი. აბაშიძემ, კ. გამსახურდიამ, ა. ბელიაშვილმა და მრავალმა სხვამ ღრმა იდეურ-მხატვრული ნაწარმოებები შექმნეს და გაამდიდრეს დიდი ტრადიციების ქართული ლიტერატურა.

თბილისი საბჭოთა საქართველოს გული და ტვინია. იქაა თავმოყრილი ჩვენი რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა უმაღლესი ორგანოები, სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ეს დაწესებულებანი წარმართავენ რესპუბლიკის კულტურისა და სახალხო მეურნეობის განვითარებას.

* * *

ცხოვრება-განვითარების დიდი და ძნელბედობით აღსავსე გზა გაიარა თბილისმა — საქართველოს დედაბოძმა. და გაიარა იგი ვაჟკაცურად, ქართველურად. კვლავ ვაჟკაცური შემართებით გაჰკვეთე ათასხუთასები, საქართველოს სიამაყევ და ბურჯო, დედავ თბილისო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ჩავლეიშვილი

# ქართულ ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის გენეზისის საკითხისათვის

სოციალისტური რეალიზმის თეორიის საკითხების სწორად და ღრმად გაშუქება მეტად აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს, განსაკუთრებით დღეს, როდესაც ბურჟუაზიული რეაქციონერები, რევიზიონისტები გააფთრებით იბრძვიან სოციალისტური რეალიზმის წინააღმდეგ. აღნიშნული საკითხების გარკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ჩვენი ლიტერატურის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით.

როგორც ცნობილია, სოციალისტური რეალიზმის თეორია ორგანულად არის დაკავშირებული სოციალისტური რეალიზმის ისტორიასთან. ეს ასეა იმიტომ, რომ საერთოდ „საგნის უისტორიოდ არ არსებობს საგნის თეორია“ (ნ. ჩერნიშევსკი). ცხადია, რომ სოციალისტური რეალიზმის ისტორიის გათვალისწინება ძალზე საჭირო საქმეა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქართულ ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის წარმოშობის, მისი განვითარების პრობლემების შესწავლა ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის გაშლილი. ამჟამად ყურადღებას იპყრობს ზოგიერთი მკვლევარის შეხედულება, მაგრამ ეს შეხედულებანი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან და ამიტომ ახლა არ არსებობს საბოლოოდ შეთანხმებული და საყოველთაოდ აღიარებული გაგება იმისა, თუ რომელი მწერლის რომელ ნაწარმოებშია მოცემული სოციალისტური რეალიზმის სათავე ქართულ ლიტერატურაში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჯერჯერობით გამოთქმულია მხოლოდ სამგვარი შეხედულება, რომლებიც ქვემოთ იქნება გადმოცემული და შეფასებული.

პირველი შეხედულება ვრცლად არის წარმოდგენილი დოც. აკაკი თოფურიას წერილებში: „სოციალისტური რეალიზმის საწყისები ლეო ქიაჩელის შემოქმედებაში“ (იხილეთ ჟურნალი „მნათობი,“ № 8, 1954 წ.) და „სოციალისტური რეალიზმის სათავეების შესახებ ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში“ (იხილეთ სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის „შრომები“, ტ. III, 1956 წ.).

აღნიშნულ სტატიებში მკვლევარ ა. თოფურიას მიერ განვითარებული შეხედულების მიხედვით ქართულ ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის წარმოშობა უნდა დაუკავშირდეს 1905 წლის კონკრეტულ-ისტორიულ ეპოქას, რომელიც უმნიშვნელოვანესი პერიოდია ქართველი ხალხის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ბრძოლების ისტორიაში. „ამ პერიოდში, — ამბობს ავტორი, — რუსეთის მოწინავე, მთელ მსოფლიოში ყველაზე რევოლუციური მუშათა კლასის მაგალითზე საქართველოშიც ჩაღდება მუშათა და გლეხთა მძლავრი რევოლუციური მოძრაობა... ქართულ რევოლუციამდელ ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის ელემენტების ჩასახვა სწორედ ქართველი ხალხის ამ ისტორიულ წარსულთანაა დაკავშირებული. ეს სათავეები... მომდინარეობს 1905 წლის ეპოქის ბრწყინვალედ გამომსახველი ნაწარმოებიდან, ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუადან“ („შრომები“, ტ. III, გვ. 212). უკეთებს რა ღრმა ანალიზს რომან „ტარიელ გოლუას“ და განსაკუთრებით ვრცლად ახასიათებს რა ტარიელ გოლუას სახეს, ა. თოფურია დასკვნის სახით ამბობს: ლეო ქიაჩელმა ტარიელ გოლუას სახის გამო-

კვეთით „რევოლუციამდელ ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთმა პირველმა აღადგინა თავის უფლებებში ქართული კლასიკური პროზის შესანიშნავი ტრადიციები, ამით მჭიდროდ დაუკავშირა ლიტერატურა კვლავ ხალხის ინტერესებს, ცხოვრებას, სინამდვილეს, და ამავე დროს **სათავე დაუდო ახალ მხატვრულ შემოქმედებითს მეთოდს — სოციალისტურ რეალიზმს.**" (იქვე, გვ. 205, ხაზგასმა ჩემია — **ა. ჩ.**). მსგავსი შეხედულებისაა კრიტიკოსი სერგი ჭილაია. იგი წერს: „ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუა" სოციალისტური რეალიზმის ერთ-ერთი **ფუძემდებელი** წიგნია". (ს. ჭილაია, „ლეო ქიაჩელი", 1954 წ. გვ. 26, ხაზგასმა ჩემია — **ა. ჩ.**). აქვე უნდა ითქვას, რომ შკვლევარ ს. ჭილაიას მიერ წარმოდგენილი დებულება შესამჩნევ თავისებურებას შეიცავს. მართალია, ა. თოფურიას მიერ მოცემული დებულების მსგავსად, მასში სოციალისტური რეალიზმის საკითხი დაკავშირებულია „ტარიელ გოლუასთან", მაგრამ მას ეს ნაწარმოები მიაჩნია სოციალისტური რეალიზმის ერთ-ერთ ფუძემდებელ წიგნად, ა. თოფურია კი „ტარიელ გოლუას" თვლის ქართულ ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის **სათავის დამდებ ნაწარმოებად.** აქ უკვე სხვადასხვა აზრია, რადგან რომელიმე ერის ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმისათვის სათავის დადება და სოციალისტური რეალიზმის ფუძისდება არ არის ერთი და იგივე ცნება. სოციალისტური რეალიზმის, როგორც შემოქმედებითი მეთოდის, ფუძისდება ერთხელ ხდება ლიტერატურის ისტორიაში და სწორედ ეს მოხდა მაქსიმ გორკის შემოქმედებაში. მაქსიმ გორკის ზოგიერთი ნაწარმოები და განსაკუთრებით მისი „დედა" ცნობილია, როგორც სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელი ნაწარმოები, პირველად აქ ჩაეყარა საფუძველი სოციალისტურ რეალიზმს რუსულ ლიტერატურაში და ამ გზით მსოფლიო ლიტერატურაშიც. რადგან მანამდე სოციალისტური რეალიზმის მეთოდით არავის უწერია მსოფლიო მწერლობაში. ფუძისდების შემდეგ სოციალისტური რეალიზმი, რასაკვირველია, განიცდის წინმსვლელობას, იგი შემოქმედებითად ვითარდება, ამ საქმეში მონაწილეობს ყველა თვალსაჩინო საბჭოთა მწერალი, მაგრამ ამით კვლავ ახალი ფუძე კი არ ედება სოციალისტურ რეალიზმს, არამედ უკვე დადებული ფუძის საფუძველზე წარმოებს ყოველივე ეს. ერთხელ და სამუდამოდ საფუძველი დაედო რა სოციალისტურ რეალიზმს მაქსიმ გორკის შემოქმედებაში, ამის შემდეგ უნდა ვეძიოთ არა სოციალისტური რეალიზმის ფუძისმდებელი საერთოდ, არამედ ამა თუ იმ ერის ლიტერატურაში **სოციალისტური რეალიზმის დამწყები.** ამიტომ გარკვევით უნდა ითქვას, რომ ს. ჭილაიას შეხედულება ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუას" მიაწერს ისეთ რამეს, რაც არ შეიძლება მას ნამდვილად ახასიათებდეს, რადგან იგი გამოქვეყნდა მ. გორკის „დედის" შემდეგ და პრიორიტეტი სწორედ რომ ამ კლასიკურ ნაწარმოებსა და მის უკვდავ ავტორს ეკუთვნის. ზემოთქმულის შემდეგ ცხადია, რომ დოც. აკაკი თოფურიას შეხედულება საინტერესო მხრიდან უდგება პრობლემას, რადგან საკითხს სვამს ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუაში" სოციალისტური რეალიზმის სათავის შესახებ. მაგრამ თუ საკითხთან უფრო ახლოს მივალთ, ვნახავთ, რომ ვერც ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს ჭეშმარიტების განმტკიცებას. მართალია, დოც. ა. თოფურიას აღნიშნული წერილები ხასიათდება ახლის ძიებით, აქტუალური პრობლემების დაყენებით, საკითხისადმი ორიგინალური მიდგომით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, მათში საბოლოოდ მაინც არ არის გადაწყვეტილი ქართულ ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის სათავეების დაძებნის პრობლემა.

არ არის გადაწყვეტილი იმიტომ, რომ მკვლევარის მიერ რომან „ტარიელ გოლუასადმი" სწორად არ არის მიყენებული სოციალისტური რეალიზმისათვის დამახასიათებელი ისეთი ძირითადი არსებითი ნიშნები, რომელთა გარეშე არ შეიძლება გადაწყდეს საერთოდ ამა თუ იმ ერის ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის გენეზისის პრობლემა. რომელიმე ერის ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის წარმოშობის, მისი სათავის განსაზღვრისას მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმ ძირითადი არსებითი ნიშნების გამოვლენას, რომელ ნიშნებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდათ სოციალისტური რეალიზმის, როგორც შემოქმედებითი მეთოდის, ფუძისდების დროს. იმისათვის, რომ ვაჩვენოთ, თუ რომელია ეს ნიშნები, საჭიროა აღვნიშნოთ სოციალისტური რეალიზმის წარმოშობისა და ჩამოყალიბების ისტორია. ეს საკითხი დღეს საკმაოდ გარკვეულია და ჩვენ მხოლოდ მოკლედ გადმოვცემთ მას.

უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას თვით სახელწოდების შესახებ. სახელწოდება სოციალისტური რეალიზმი პირველად შემოღებულ იქნა 1933 წელს. ამ წლის 26 ნოემბერს „ა. მ. გორკის ბინაზე შედგა მწერალთა თათბირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 45 კაცმა... ლიტერატურულ პრობლემებს შორის განიხილავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ შემოქმედებითი მეთოდის საკითხს. თათბირის მონაწილეებს სურდათ გაეგოთ ამ საკითხის შესახებ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა აზრი. საუბრის დასასრულს შემოქმედებითი მეთოდის შესახებ აზრი გამოთქვა ი. ბ. სტალინმა.

— ამხანაგო სტალინ, როგორი შეხედულების ხართ თქვენ მსოფლმხედველობის როლის შესახებ ხელოვნებაში, — ეკითხება ერთ-ერთი ყოფილი რაპპელი მოღვაწე.

— თქვენ ამბობთ და იმეორებთ დიალექტიკური მატერიალიზმი, დიალექტიკური მატერიალიზმი და არც კი გაგებათ რასაც ამბობთ.

— განა პოეტი არ შეიძლება დიალექტიკოსი იყოს? — ეკითხება ერთ-ერთი პოეტი.

— არა, შეიძლება, — უპასუხებს სტალინი. — და კარგიც არის, თუ დიალექტიკოს-მატერიალისტი იქნება. მაგრამ მე მსურს ვთქვა, რომ მაშინ ის არ მოისურვებს ლექსები წეროს (საერთო სიცილი). მე, რასაკვირველია, ვხუმრობ, მაგრამ, თუ სერიოზულად ვიტყვით, მხატვარს თქვენ თავი არ უნდა გამოუტენოთ განყენებული თეზისებით. მან უნდა იცოდეს მარქსისა და ლენინის თეორია, მაგრამ მან უნდა იცოდეს ცხოვრებაც. მხატვარი პირველ ყოვლისა ვალდებულია ცხოვრება აჩვენოს **მართლად.** და თუ ის მართლად აჩვენებს ჩვენს ცხოვრებას, მაშინ მას არ შეუძლია მასში არ შეამჩნიოს, არ აჩვენოს ის, რასაც იგი სოციალიზმისაკენ მიჰყავს. ეს იქნება სწორედ სოციალისტური ხელოვნება, ეს იქნება სწორედ **სოციალისტური რეალიზმი**" (ი. ბორევის წერილიდან „ესთეტიკურ თეორიაში რევიზიონიზმის წინააღმდეგ". იხ. ჟურნალი „ინოსტრანნაია ლიტერატურა", 1958 წ., № 44, გვ. 190-191).

მაშასადამე, სოციალისტური რეალიზმი — ეს არის მართლად, სწორად ჩვენება ყველაფერი იმისა, რასაც ცხოვრება სოციალიზმისაკენ მიჰყავს, ე. ი. სოციალისტურ რეალიზმში მთავარი და გადამწყვეტია სოციალიზმის იდეა. სოციალისტური რეალიზმი სინამდვილეს, რეალობას ასახავს და ამიტომ იგი რეალიზმია, მაგრამ იგი რეალობას ასახავს სოციალისტური თვალსაზრისით და ამიტომ იგი სოციალისტურია. ამ შემთხვევაში სპეციფიკური მახვილი მის სოციალისტურობას ეცემა, რადგან მხოლოდ ერთ-ერთი ამ ძირითადი ნიშნით გამოიყოფა იგი სხვა მეთოდისაგან. როგორც ვიცით, რეალიზმი სხვადასხვა სახისაა, ხოლო სოციალისტურობა ქმნის სოციალისტური რეალიზმის თავარ, ძირითად, გადამწყვეტ განმასხვავებელ ნიშანს სხვა სახის რეალიზმისაგან, მაგალითად, კრიტიკული რეალიზმისაგან.

მეორე მხრივ, სოციალისტური რეალიზმის სოციალისტურობა იმ მხრივაც არის არსებითი, რომ იგი იძლევა ყოველგვარი რეალობის — როგორც სოციალისტური, ისე არასოციალისტური რეალობის — ასახვის შესაძლებლობას. სოციალისტური რეალიზმი რომ მხოლოდ სოციალისტური რეალობის ასახვას ნიშნავდეს, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა მისი გამოყენება ისეთი რეალობის მიმართ, რომელშიც სოციალიზმი არ არსებობს. ჩვენ კი ვიცით, რომ სოციალისტური რეალიზმი მაშინ წარმოიშვა, როდესაც სოციალიზმი განხორციელებული არ ყოფილა. ამ მომენტზე მითითებას არსებითი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური რეალიზმის გენეზისის საკითხის გარკვევისათვის. აღნიშნულის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ სოციალისტურ რეალიზმს საქმე აქვს როგორც განხორციელებულ სოციალიზმთან, ისე ჯერ კიდევ განუხორციელებელი მეცნიერული სოციალიზმის თეორიასთან. სწორედ ეს უკანასკნელი მოქმედებს სოციალისტური რეალიზმის წარმოშობის დროს. მართალია, როგორც გორკი ამბობს, სოციალისტური რეალიზმი გაჩნდა სოციალისტური პრაქტიკის საფუძველზე, ეს არის მუშათა რევოლუციური მოძრაობის დაწყება, მაგრამ მაშინ სოციალიზმი ჯერ კიდევ არ იყო განხორციელებული, არამედ დაწყებული იყო მშრომელი ხალხის ბრძოლა მის განსახორციელებლად. მშრომელ ხალხს ამ საქმეში გზას უნათებდა მარქსიზმი, მეცნიერული სოციალიზმის თეორია.

სოციალისტური რეალიზმი მოულოდნელად, უცბად არ მოვლინებია ლიტერატურას. მისი წარმოშობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხური ზეპირსიტყვიერებისათვის დამახასიათებელ ჯანსაღ ტრადიციებთან, კერძოდ, რევოლუციური მოძრაობის ამსახველ მუშათა ფოლკლორთან. აგრეთვე სოციალისტური რეალიზმი განუყოფელ კავშირში იმყოფება კრიტიკული რეალიზმის ჯანსაღ ტრადიციებთან, როგორიცაა ჰუმანიზმი, პატრიოტიზმი, ხალხურობა, რევოლუციური იდეალი და სხვ. მაგრამ არ შეიძლება ხაზი არ გავუსვათ იმ არსებით თავისებურებას, რაც რევოლუციური იდეალის მიმართ სოციალისტურ რეალიზმს გააჩნია კრიტიკულ რეალიზმთან შედარებით. ამის შესახებ სწორად ამბობს მკვლევარი გიორგი მერკვილაძე: „კრიტიკული რეალიზმის საუკეთესო წარმომადგენელთა რევოლუციური იდეალი, უკეთეს შემთხვევაში, იყო **უტოპიური სოციალიზმის** იდეალი, ხოლო სოციალისტური რეა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიზმის წარმომადგენელთა იდეალი **მეცნიერული სოციალიზმის** იდეალია. კრიტიკული რეალიზმი ამხილებდა და ებრძოდა არსებულ სინამდვილეს, მაგრამ იგი ვერ ხედავდა... არსებულის დამამხობელ ნამდვილ, რეალურ ხელმძღვანელ ძალას. სოციალისტური რეალიზმის წარმომადგენლებმა კი ეს ძალა — პროლეტარიატი და მისი პარტია — დაინახეს (გ. მერკვილაძე, „პოეზია და ხალხი", 1956 წ. გვ. 47).

მაშასადამე, სოციალიზმის იდეალი არის სოციალისტური რეალიზმის სული და გული. რა საკვირველია, სოციალიზმის იდეა არ წარმოადგენს სოციალისტური რეალიზმის ერთადერთ დამახასიათებელ ნიშანს. სოციალიზმი არის მისი მსოფლმხედველობრივი საფუძველი, მაგრამ სოციალისტური რეალიზმის თავისებურებას თუ მხოლოდ სოციალისტურ იდეამდე დავიყვანთ, მაშინ იგი მხოლოდ მსოფლმხედველობა იქნება და არა მეთოდი. როგორც ცნობილია, ხელოვნებაში არსებობს არა მხოლოდ მსოფლმხედველობა, არა მხოლოდ იდეა, არამედ მხატვრული, ესთეტიკური იდეა. იდეა ლიტერატურაში დაკავშირებულია მშვენიერებასთან, ნერგავს მშვენიერების იდეას. იდეა ხელოვნებაში ჩაქსოვილია სახეთა სისტემაში, ეს ასევე სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებაშიც. სოციალისტური რეალიზმი ხასიათდება გამოსახვის თავისებური პრინციპებით, ის მწერლისაგან მოითხოვს სინამდვილის მართალ, ისტორიულ-კონკრეტულ გამოსახვას მის რევოლუციურ განვითარებაში, მაგრამ ყოველივე ეს უნდა ერწყმოდეს **მშრომელების სოციალისტური სულისკვეთებით აღზრდისა და იდეური გარდაქმნის ამოცანას.** სწორედ ამაში მდგომარეობს სოციალისტური რეალიზმის იდეოლოგიური კრედო და მისი წარმოშობის დროს სწორედ ეს მომენტი ქმნის სხვა სახის რეალიზმისაგან მისი განსხვავების ძირითად და მთავარ საფუძველს.

იმ დროს, როდესაც სოციალისტური რეალიზმი ყალიბდებოდა, მშრომელი ხალხი არ იყო გამარჯვებული და ამიტომ მაშინ მთავარი იყო მისი განთავისუფლებისათვის ბრძოლა. ხალხი მუდამ იბრძოდა განთავისუფლებისათვის, მაგრამ ეს ბრძოლა გამარჯვებით შეიძლებოდა დაგვირგვინებულიყო მხოლოდ და მხოლოდ მუშათა კლასის ხელმძღვანელობით. ეს ასევე იმიტომ, რომ როგორც „კომუნისტური პარტიის მანიფესტი" გვასწავლის, მხოლოდ მუშათა კლასია ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური კლასი, რომელსაც შესწევს უნარი და შეუძლია სათავეში ჩაუდგეს მშრომელი ხალხის გამარჯვების საქმეს. „ბურჟუაზიის ბატონობის დამხობა, — წერს ლენინი, — შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატს, როგორც განსაკუთრებულ კლასს, რომლის არსებობის ეკონომიური პირობები ამზადებენ მას ასეთი დამხობისათვის, აძლევენ მას შესაძლებლობასა და ძალას განახორციელოს ეს დამხობა. ბურჟუაზია გლეხობას და მთელ წვრილბურჟუაზიულ ფენებს აქუცმაცებს, ქსაქსავს, პროლეტარიატს კი აკავშირებს, აერთიანებს, რაზმავს. მხოლოდ პროლეტარიატს, — იმ ეკონომიური როლის გამო, რომელსაც იგი ასრულებს მსხვილ წარმოებაში, — შესწევს უნარი იყოს ბელადი **მთელი** მშრომელი და ექსპლოატირებული ფენებისა..... ექსპლოატატორთა... დაინგრევა ხელმძღვანელობა, მისი განხორციელება ძალუძს მხოლოდ პროლეტარიატს, როგორც ერთადერთს ბოლომდე რევოლუციურ კლასს, ერთადერთ კლასს, რომელსაც უნარი შესწევს ყველა მშრომელი და ექსპლოატირებული გააერთიანოს ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად, მის სავსებით დასამხობად" (ტ. 25, გვ. 494-496, 1952).

მუშათა კლასის, პროლეტარიატის როლის ამგვარი გადაწყვეტა და მისი ცხოვრებაში გატარება იყო მთავარი საქმე და სწორედ ის მწერალი, რომელიც ამ პრინციპს გაატარებდა თავის შემოქმედებაში, იქნებოდა სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელი. ეს გააკეთა პირველად მაქსიმ გორკიმ თავის მთელ რიგ ნაწარმოებებში და განსაკუთრებით „დედაში". ამიტომ არის ეს ნაწარმოები სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელი ნაწარმოები. მ. გორკის ამ საქმეში გზა გაუნათა კომუნისტური პარტიულობის პრინციპმა, რომელიც კლასიკურად არის ჩამოყალიბებული ლენინის გენიალურ ნაშრომში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა", რომელიც გამოქვეყნდა 1905 წელს. მ. გორკიმ „დედაში" გამოსახა მშრომელი ხალხის ბელადი კლასისა და პარტიის გმირი შვილი პავლე ვლასოვი. იგი რაზმავს პროლეტარიატსა და გლეხობას თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის დასამხობად. მას შეგნებული აქვს თავისი კლასის ინტერესები, მისი ისტორიული მისია. იგი გმირულად იბრძვის მუშათა მოძრაობასთან მეცნიერული სოციალიზმის შესაერთებლად. პავლე ვლასოვი ცხოვრების გმირის პირველი სრულყოფილი მხატვრული გმირული სახეა.

ახლა შეიძლება ვიკითხოთ: მაქსიმ გორკის „დედაში" რომ არ ყოფილიყო მხატვრულად თქმული და გამოხატული მეცნიერული სოციალიზმის ის იდეა, რომ მეცნიერული სოციალიზმის თეორიით შეიარაღებულ მუშათა კლასსა და მის პარტიას შეუძლიათ მშრომელი ხალხის განთავისუფლება ექსპლოატაციისაგან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ „დედა“ იქნებოდა თუ არა სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელი ნაწარმოები? რასაკვირველია, არ იქნებოდა. მაშასადამე, თუ ჩვენ გვსურს დავადგინოთ რომელიმე ერის ლიტერატურაში, და ამ შემთხვევაში ქართულ ლიტერატურაში, სოციალისტური რეალიზმის სათავე, მაშინ უნდა ვაჩვენოთ ის, თუ რომელი მწერლის რომელ ნაწარმოებშია მხატვრული სიმართლით გამოხატული მუშათა კლასი, როგორც მშრომელი ხალხის განთავისუფლების ბელადი. ასეთი რამ არ არის მოცემული ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუაში.“ და ამიტომ იგი არც შეიძლება ჩაითვალოს ქართულ ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის სათავედ, მის დამწყებად.

„ტარიელ გოლუაში“ არ არის ნაჩვენები მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი. მხოლოდ ეს უშლის ხელს იმას, რომ იგი გამოცხადებულ იქნას სოციალისტური რეალიზმის სათავედ. ამას გრძნობს თვით მკვლევარი ა. თოფურია, როდესაც წერს: ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუაში“ „შორიდან, ისიც ბუნდოვნად მოჩანს მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი რევოლუციაში. ჩვენ ამას ვგრძნობთ ქვეტექსტიდან ლევანის მორიდებულ სიტყვებში მამის წინაშე: „სირცხვილი იყო ჩვენღა ვსდუმდეთ“, ე. ი. ქალაქი რევოლუციის ალშია გახვეული და სოფელიც მის გზას უნდა გაჰყოლოდაო, მაგრამ მთლიანად ნაწარმოების სიუჟეტი № სოფლის არტახებშია ჩაკეტილი, **გლეხური რევოლუციის იდეოლოგიითაა გაჟღენთილი.** გლეხობა კი, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები გვასწავლიან, არ არის ბოლომდე რევოლუციური კლასი, იგი მერყევი და წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის მატარებელია. როგორ შევახამოთ ასეთი კლასის ინტერესები სოციალისტური რეალიზმის პრინციპებთან? **ხომ არ არღვევს ეს არგუმენტაცია ჩვენს მტკიცებას?** ვფიქრობთ, არა. საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში ლეო ქიაჩელი, როგორც მწერალი, შეზღუდული იყო მუშათა და გლეხთა **1905 წლის რევოლუციის იმ ნაციონალური თავისებურებით, რომლითაც ხასიათდებოდა ეს მოძრაობა საქართველოში.** ცნობილია, რომ შედარებით რუსეთის სინამდვილესთან, საქართველოში სამრეწველო პროლეტარიატი ჯერ კიდევ ნაკლები იყო; ამით განსაკუთრებით სარგებლობდნენ მენშევიკები და ეწეოდნენ ძირგამომთხრელ მუშაობას... ლეო ქიაჩელი გვერდს ვერ აუვლიდა ამ ისტორიულ სინამდვილეს. იგი თავისი რევოლუციური წარსულით სწორედ ამ გლეხურ მოძრაობასთან იყო დაკავშირებული. ცხადია, ყოველივე ამან განსაზღვრა მისი ნაწარმოების შეზღუდულობაც გორკის „დედასთან“ შედარებით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნაწარმოებში ისტორიული სინამდვილე დამახინჯებულად, გლეხური იდეოლოგიისათვის დამახასიათებელი მერყეობითა და წვრილბურჟუაზიული განწყობილებებით როდია მოცემული“ („შრომები“, ტ. III, გვ. 211-212. ხაზგასმა ჩემია — **ა. ჩ.**).

დოც. ა. თოფურია თავისი შეხედულების დასაბუთების ცდისას იჩენს დიდ გონებამახვილობას და ერუდიციას, მაგრამ მაინც არ ხერხდება „ტარიელ გოლუას“ სოციალისტური რეალიზმის დამწყებ ნაწარმოებად წარმოდგენა და ეს იმიტომ, რომ მასში არ არის მოცემული მუშა რევოლუციონერის სახე და არც ჩანს პროლეტარიატის ჰეგემონი როლი. ტარიელ გოლუა, როგორც ვიცით, მშრომელი რევოლუციონერი გლეხია და არა ქალაქის მუშა. მისი შვილი ლევანი, მართალია, ქალაქში დადის, მაგრამ იგი მებუხრე-ხელოსანია და არა მუშა პროლეტარი. რასაკვირველია, იგრძნობა ქალაქის გამარევოლუციონერებელი გავლენა სოფელზე, მაგრამ, როგორც ა. თოფურია ამბობს, მთლიანად ნაწარმოები „გლეხური იდეოლოგიითაა გაჟღენთილი“ და, ცხადია, რომ გლეხური იდეოლოგიით გაჟღენთილი ნაწარმოები არ შეიძლება ჩაითვალოს სოციალისტური რეალიზმის სათავედ. მიუხედავად ამისა, ა. თოფურია მაინც თვლის, რომ „ტარიელ გოლუამ“ სათავე დაუდო სოციალისტურ რეალიზმს ქართულ ლიტერატურაში და მასში ასახული რომ არ არის მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი, ეს, მისი გაგებით, ხელს არ უშლის აღნიშნულს, რადგან, თურმე, გამოწვეულია იმით, რომ ლ. ქიაჩელი, როგორც მწერალი, შეზღუდული ყოფილა „მუშათა და გლეხთა 1905 წლის რევოლუციის იმ ნაციონალური თავისებურებით, რომლითაც ხასიათდებოდა ეს მოძრაობა საქართველოში“. ჯერ-ერთი, ეს არის „ტარიელ გოლუას“ შეზღუდულობის ახსნა, მაგრამ ახსნა ყოველთვის როდი ნიშნავს გამართლებას. მოვლენა შეიძლება ახსნა და გაამართლო, მაგრამ ისიც შეიძლება, რომ ახსნა და უარყო. თუ იმაზე შევთანხმდებით, რომ სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელ ნაწარმოებს აუცილებლად უნდა ახასიათებდეს პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის აღიარება და ჩვენება, ამაზე კი ა. თოფურია თანახმაა, როგორც ეს მისი წერილის დასაწყისიდან ჩანს, მაშინ არ შეიძლება ასეთ თვისებას მოკლებული „ტარიელ გოლუა“ სოციალისტური რეალიზმის დამწყებ ნაწარმოებად მივიჩნიოთ ქართულ ლიტერატურაში.

ამასთანავე მკვლევარი აკაკი თოფურია ვერ იძლევა თვით მოვლენის სწორ ახსნას, რადგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი „ტარიელ გოლუაში“ მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის არჩევნების მთავარ მიზეზს მაშინდელ ობიექტურ პირობებსა და ნაციონალურ თავისებურებებში ხედავს. თუმცა ცნობილი კია, რომ რევოლუციის იმავე ნაციონალურ პირობებს ხელი არ შეუშლია სხვა ქართველი მწერლისთვის მოეცა პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლი მხატვრულ ნაწარმოებში და ამით გამხდარიყო სოციალისტური რეალიზმის დამწყები ქართულ ლიტერატურაში.

ამასთანავე საერთოდ არ იქნება მართებული მწერლის შემოქმედებაში ყველაფერი ობიექტური პირობებით ავხსნათ, სუბიექტურ მომენტსაც ზოგჯერ დიდი მნიშვნელობა აქვს. როგორც ჩანს, იმ დროს ლ. ქიაჩელი არ ყოფილა ჩამოყალიბებული მარქსისტი. მართალია, მისი მსოფლმხედველობა რევოლუციური იყო, მაგრამ იგი საბოლოოდ ვერ განთავისუფლებულა წვრილბურჟუაზიული, გლეხური იდეოლოგიისაგან.

ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ მას არ **განუცდია მ. გორკის „დედის“ გამანაყოფიერებელი გავლენა,** რის შესახებაც თვით ლ. ქიაჩელი წერს: „მე 1907 წლის ბოლომდე ქუთაისის ციხის პატიმარი ვიყავი. მერე ციხიდან გამოქცეული მეფის მთავრობას ვემალებოდი. 1912 წელს მოხერხდა მოსკოვიდან ჩემი გამგზავრება საზღვარგარეთ და შვეიცარიაში ვიმყოფებოდი, სადაც 1913 წლიდან „ტარიელ გოლუაზე“ მუშაობა დავიწყე. 1915 წლის დასასრულს ის დავამთავრე და 1916 წლის დამდეგს თბილისში გამოვგზავნე დასაბეჭდად. მე ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ამ ხნის განმავლობაში სადმე და როგორმე ხელში ჩამვარდნოდა „დედა“ და წამეკითხა, მაგრამ ზემოთ აღნიშნული პირობების გამო ეს ჩემთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა.

ეჭვს გარეშეა, რომ მხატვრული სიტყვის უდიდესი ოსტატისა და რევოლუციონერის მაქსიმ გორკის გამოცდილება, რაც ასე მდიდრულად არის გამომჟღავნებული მის მსოფლიო მნიშვნელობის რევოლუციურ „დედაში“, მე დიდ დახმარებას გამიწევდა „ტარიელ გოლუას“ მოფიქრებასა და დაწერაში, მაგრამ სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა“. (ლ. ქიაჩელი, იძულებითი განმარტება. იხ. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1954 წ., № 44).

ჩვენ ამასთან დაკავშირებით მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ, მართალია, მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის არჩევნება არ იძლევა შესაძლებლობას, რომ „ტარიელ გოლუა“ აღიარებულ იქნას ქართულ ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის დამწყებ ნაწარმოებად, მაგრამ ეს გარემოება ოსნაკალაც არ უშლის ხელს იმას, რომ „ტარიელ გოლუა“ მიჩნეულ იქნას უკვდავ რეალისტურ პოეტურ ქმნილებად.

იგი ასეთია ინიტომ, რომ მასში მაღალი პოეტური ოსტატობით არის ასახული სოფლად 1905 წლის რევოლუციური მოძრაობა, საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების შეჯახებისას გამარჯვებული გამოდის საზოგადოებრივი და მწერალი გვასწავლის, რომ ყველაფერზე მაღლა უნდა დავაყენოთ საზოგადოებრივი, საქვეყნო ინტერესები. რომანში ნაჩვენებია ხალხის უძლეველობა და მისი სამართლიანი საქმის გამარჯვების ურყევი რწმენა, რომანი ნერგავდა და ნერგავს ხალხის მტრებისადმი სიძულვილის გრძნობას და სიკეთის გამარჯვების კეთილშობილურ იდეას.

დოც. ა. თოფურიას სიტყვით რომ ვთქვათ, „ტარიელ გოლუა“ — ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია ქართველი ხალხის რევოლუციური წარსულის თემაზე.“

მეორე შეხედულების მიხედვით ქართულ ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის წარმოშობა დაკავშირებულია იროდიონ ევდოშვილის პოეზიასთან.

ჩვენ მოვიტანთ ამის მაჩვენებელ ზოგიერთ ამონაწერს: მკვლევარი გ. მერკვილაძე წერს: „ი. ევდოშვილმა შემოქმედებითი მუშაობა დაიწყო იმ დროს, როცა სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა მ. გორკი. 1892-93 წლებში იგი აქვეყნებს თავის პირველ ლექსებს. საზოგადოების კლასობრივი დაყოფის თემა, კლასთა შორის ბრძოლის თემა სულ უფრო მკვიდრდება პოეტის შემოქმედებაში. იგი მკაფიოდ ხატავს მშრომელი ხალხის ცხოვრების აუტანელ პირობებს და სახავს ჩაგვრის მოსპობისათვის ბრძოლის ამოცანას... ი. ევდოშვილის პოეზიაში ხშირად ვხვდებით სოციალისტური რეალიზმის ყალიბობის, მ. გორკის შემოქმედების დამახასიათებელ სახეებს. პოეტი, მაგალითად, უმღერის ქარიშხალს, როგორც რევოლუციური განთიადის მაუწყებელს“ (გ. მერკვილაძე, „სოციალისტური რეალიზმის შესახებ“, 1954 წ., გვ. 95-97).

„მუშის სახის შემოყვანა ქართულ ლიტერატურაში ი. ევდოშვილს ხვდა წილად“, — წერს კრიტიკოსი შ. ჩიჩუა, — ...მუშათა კლასში პოეტი ხედავს ძალას, რომელიც გარდაქმნიდა აწმყოს და მომავლის ფართო გზაზე გამოიყვანდა კაცობრიობას... ევდოშვილის შემოქმედება, განსაკუთრებით რევოლუციის აღმავლობის წლებისა, ატარებს მკვეთრად გამოხატულ სოციალისტურ იდეალს, რითაც მჭიდროდ უკავშირდება ქართულ საბჭოთა ლიტერატურას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირდაპირ იდეურ კავშირშია საბჭოთა ლიტერატურასთან“ (შალვა ჩიჩუა, „დადებითი გმირის პრობლემა ქართულ საბჭოთა რომანში“, 1957 წ., გვ. 49-50).

მკვლევარ გ. გვენეტაძის აზრით, „გორკის ტრადიციების განხილვა ევდოშვილის შემოქმედებაში საშუალებას იძლევა უფრო დაზუსტებით ვიმსჯელოთ ქართულ ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის საწყისების შესახებ“. (იხ. „ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები“, ტ. XI, 1957 წ., გვ. 174). მართალია, ავტორი დეტალურად არ მსჯელობს ამ საწყისების შესახებ, მაგრამ მთელი წერილის შინაარსიდან ჩანს, რომ იგი ქართულ ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის საწყისებს ი. ევდოშვილის შემოქმედებას უკავშირებს.

ამ შეხედულების შესახებ უნდა ითქვას, რომ იგი სწორად უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ კლასთა ბრძოლის თემა მტკიცედ არის დამკვიდრებული ი. ევდოშვილის შემოქმედებაში. მართლაც, ევდოშვილის შემოქმედებას თავიდან ბოლომდე გასდევს კლასთა ბრძოლის იდეა. ავტორი მხატვრული დამაჯერებლობით გვიჩვენებს, რომ მუშა, გლეხი და საერთოდ მშრომელი ხალხი განუკითხავად იჩაგრება ბატონის, კაპიტალისტის, სასულიერო წოდების და საერთოდ ექსპლოატატორების მიერ. ამასთანავე ნაჩვენებია მშრომელი ხალხის რევოლუციური ბრძოლა მჩაგვრელების წინააღმდეგ. ი. ევდოშვილის პოეზია გამსჭვალულია კლასთა ბრძოლის სულისკვეთებით, მაგრამ ეს მომენტი არ წარმოადგენს სოციალისტური რეალიზმის გადამწყვეტ განმასხვავებელ ნიშანს. კლასთა ბრძოლის იდეა მეტ-ნაკლებად ნაჩვენებია კრიტიკული რეალიზმის ყველა წარმომადგენლის შემოქმედებაში. როგორც ცნობილია, ბურჟუაზიული სოციოლოგებიც არ უარყოფენ კლასთა ბრძოლას. „რაც შემეხება მე, — წერს კ. მარქსი, — მე არ მეკუთვნის არც თანამედროვე საზოგადოებაში კლასების არსებობისა და არც მათ შორის ბრძოლის აღმოჩენის დამსახურება. ბურჟუაზიულმა ისტორიკოსებმა დიდი ხნით ჩემზე ადრე გადმოსცეს კლასთა ამ ბრძოლის ისტორიული განვითარება, ხოლო ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა — კლასების ეკონომიური ანატომია. ის, რაც მე ახალი გავაკეთე, იმის დამტკიცებაში მდგომარეობს, რომ 1) კლასთა არსებობა მხოლოდ **წარმოების განვითარების განსაზღვრულ ისტორიულ ფაზებთანაა** დაკავშირებული; 2) რომ კლასთა ბრძოლას აუცილებლად მივყევართ **პროლეტარიატის დიქტატურამდე**; 3) რომ თვით ეს დიქტატურა მხოლოდ **ყველა კლასთა მოსპობასა და უკლასო საზოგადოებისაკენ** გადასვლას წარმოადგენს“ (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, „რჩეული წერილები“, 1949 წ., გვ. 62). სწორედ ის გაგება, რომ მარქსიზმის აზრით „კლასთა ბრძოლას აუცილებლად მივყევართ პროლეტარიატის დიქტატურამდე“, არ არის ნათლად გამოკვეთილი ი. ევდოშვილის შემოქმედებაში და ეს არც არის საკვირველი, რადგან ი. ევდოშვილი არ ყოფილა საქართველოში რევოლუციური მარქსიზმის ლენინურ-ისკრული მიმართულების მტკიცე და ურყევი მიმდევარი. მართალია, ი. ევდოშვილი მონაწილეობდა ლეგალურ და არალეგალურ ბოლშევიკურ პრესაში, მათ ფურცლებზე აქვეყნებდა რევოლუციურ ნაწარმოებებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ი. ევდოშვილის შემოქმედებაში მაინც არ არის მოცემული პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის აღიარება. ცხადია, ეს ხელს არ უშლის იმას, რომ ი. ევდოშვილი მივიჩნიოთ მუშათა კლასის მგზნებარე მომღერლად ქართულ ლიტერატურაში. მან დიდი მხატვრული ოსტატობით დახატა მუშის აუტანელი ცხოვრება:

გათენდა დილა, დაჰკრა საყვირმა,
უხმოთ, უსიტყვოთ მოდის აჩრდილი,
საყვირთან ერთად სიმშილ-სიცივემ
დილა-ადრიან დაუფრთხო ძილი...
ვით გუშინ, დღესაც ქარხანაშია,
ოფლს გამოსწურავს გამოფიტულს ძვლებს,
საღამოს ჟამზე ნესტიანს სარდაფს
მოუტანს სიმშილს, მოუტანს ნაღველს.
ასე ყოველდღე... იგივ საყვირი...
ბრძოლა... ცხოვრება... სიმშილი... ტანჯვა...
(ტ. II, 1936 წ. გვ. 12).

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ი. ევდოშვილის მუშას სწამს ის, რომ თავისი ბედი მან თვითონ უნდა გამოსჭედოს. ეს ნათლად არის გამოთქმული ცნობილ პოემაში „მუზა და მუშა“...

„ჩუ! აგერ სხივმაც შეითამაშა
და მონამ მაღლა\ასწია ქედი,
ბრძოლის ხმამ დაჰკრა, დაიგანგაშა,
რომ გამოსჭედოს **მან თვისი ბედი**“.
(ტ. II, 1936 წ. გვ. 237).

აქედან მოწოდება წითელი დროშის გაშლისაკენ:

პროლეტარებო, შემოკრბით ერთად
ძმურათ!
წავიდეთ წინა წითელის დროშით.
პროლეტარებო, მტერს დაუხვდეთ
ერთგულათ
და გზა შევღებოთ სისხლით და ოფლით!
ბევრი ჩვენგანი დაეცემა, მოკვდება,
ბევრსაც მშობელი აუტირდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმებო, **ხსნა ჩვენი ჩვენივე სისხლით**
მოხდება.
შავბნელი ღამე გაგვითენდება.
(ტ. I, 1935 წ. გვ. 197).

როგორც ვხედავთ, ი. ევდოშვილი წარმოგვიდგენს მუშათა კლასის დაბეჩავებულ მდგომარეობას, ამასთანავე მის დიდ რევოლუციურ გაქანებას და იმის რწმენას, რომ **პროლეტარიატი საკუთარი სისხლით გამოსჯედავს თავის ბედს, მიაღწევს გამარჯვებას.**

ასეთივე რწმენა აქვს ი. ევდოშვილის მშრომელ გლეხსაც. მშრომელ გლეხს სწამს, რომ საკუთარი ბრძოლით იხსნის თავს მონობისაგან. აი რას მღერის მშრომელი გლეხი:

„დუმამაც“ ველარ გვიშველა,
გამოუყრიათ ყველაო,
მთავრობას დეპუტატთათვის
უსწავლებია რბენაო!
ჩვენ სხვას ველოდით, სხვა მოხდა,
ეხლა ხომ უფრო ბნელაო,
მგელი „კანონებს“ გვიწერავს,
ველარ დაგვიძრავს ენაო!
თოფ-ზარბაზანი, ხიშტები,
მუშაობს სახრჩობელაო,
ცრემლის ტბა დადგა სოფელში,
სისხლმა გაბანა კერაო!
ეჰ, ამისთანა სიცოცხლეც
დასწყევლა, შეაჩვენაო,
**იმედი ნურავისი გვაქვს,**
**ჩვენს თავს ვუშველოთ ჩვენაო“!**
(ტ. I, 1935 წ. გვ. 234).

„გლეხის ფიქრებში“ გლეხი ამბობს:

„ხომ ხედავთ, ჩვენი მშველელი
არავინ არა ყოფილა“.
(იქვე, გვ. 218).

მაშასადამე, ი. ევდოშვილის მუშას მხოლოდ თავისი თავის იმედი აქვს და აგრეთვე მშრომელი გლეხიც თავის მშველელს მხოლოდ თავის თავში ხედავს. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა უდაოდ დიდი პროგრესული გაგებაა და სწორედ ეს აძლევს ი. ევდოშვილის პოეზიას ამაღლებულ შინაარსს, მაგრამ აქ ჯერ კიდევ არ ჩანს ის, რომ მუშამ არა **მარტო თავის თავს უნდა უშველოს, არამედ გლეხსაც უნდა მიეშველოს, ხოლო გლეხმაც თავისი ნამდვილი მშველელი მხოლოდ მუშათა კლასში უნდა დაინახოს.**

აი, სწორედ ამგვარი გაგება არ ჩანს ი. ევდოშვილის შემოქმედებაში და ამიტომ არ შეიძლება მის შემოქმედებაში ვეძიოთ სოციალისტური რეალიზმის სათავე.

ი. ევდოშვილმა, მართალია, თავის შემოქმედებაში ვრცლად აჩვენა მუშათა კლასის შრომა და ბრძოლა, მაგრამ მხოლოდ მუშის გამოყვანა რომ წყვეტდეს ჩვენს საკითხს, მაშინ სოციალისტური რეალიზმის სათავე უნდა ეძებოდეს ნა არა მარტო ი. ევდოშვილის შემოქმედებაში, არამედ ჭოლა ლომთათიძის, ნოე ჩხიკვაძისა და სოფრომ მგალობლიშვილის ნაწარმოებებშიც კი.

როგორც ცნობილია, ს. მგალობლიშვილს აქვს ერთი პატარა მოთხრობა, რომელსაც ეწოდება „და შეჰფიცეს“. აქ ავტორს გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელად გამოყვანილი ჰყავს მუშა ილიკო მშველიძე. იგი ჩამოდის სოფელში და გლეხებს შორის ეწევა პროპაგანდას. მშველიძე ასე მიმართავს გლეხებს: „დღეს გვშიან ჩვენ, ვტირით და ვაებთ, იმიტომ, რომ ყოველივე წართმეული გვაქვს, ჩვენ ვმუშაობთ, ოფლს და სისხლს მიწას ვაწვიმებთ, სხვა კი ჩვენს ნამუშევარს იმკის, სხვას მიაქვს; აბა მიიხედ-მოიხედეთ, რას არ ვამზადებთ, ყველაფერი ჩვენგან არის გამზადებული, სხვა კი ძღება, სუქდება. მადლობისა და შეწყალების მაგივრად, გვლანძღავენ, გვაგინებენ, ცხვირში ძმარს გვადენენ, ყოველივე ეს ჩვენი ქალაჩუნობის ბრალია... მაშ შეეერთდეთ და მოვიპოვოთ შვება სულისა. — გაუმარჯოს ერთობას!... დაიზრიალა ხალხმა და გაქანდ-გამოქანდა.

— ჩვენ ასე უნდა მოვიქცეთ: ჩვენ უნდა ყველანი, მთლად ყველა სოფელი გადავებათ ერთობის ჯაჭვით, მაშინ ვერაფერი ვერ დაგვძლევს... გამარჯვება ჩვენია“ (იხ. „რჩეული მოთხრობები“, 1951 წ. გვ. 648-649).

აქ თითქოს ყველაფერი რიგზეა. გამოყვანილია ქარხნის მუშა, ნაჩვენებია მშრომელი გლეხობა, გამოთქმულია მშრომელი ხალხის გამარჯვების რწმენა, ი. ევდოშვილისაგან განსხვავებით, დამყარებულია მუშების კავშირი გლეხობასთან, მაგრამ მიუხედავად ამისა, მოთხრობა „და შეჰფიცეს“ მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს სოციალისტური რეალიზმის დამწყებ ნაწარმოებად. ეს ასეა ორი გარემოების გამო: პირველი ისაა, რომ მოთხრობაში არ არის ნაჩვენები ილიკო მშველიძის საწარმოო საქმიანობა, არ ჩანს ის, თუ რას აკეთებს იგი ქარხანაში, ხოლო გამოთქმა ილიკო მშველიძე „იყო მუშა“ არ კმარა იმისათვის, რომ ილიკო მივიჩნიოთ ინდუსტრიული მუშის ტიპიურ წარმომადგენლად. ამას ისიც ემატება, რომ მუშა მშველიძე თავისი სიტყვის წარმოთქმის დროს ხშირად იშველიებს ქრისტეს სიტყვებს: „დღეს მე იესოს სიტყვებით დავიწყებ ბაასსა,“ „ნეტარ ხართ თქვენ, რომელთა გშიათ აწ, რამეთუ განსძღეთ“ და სხვ. ცხადია, რომ აზრების ამგვარ ფორმაში გადმოცემა ხელს უშლის ილიკო მშველიძის მეცნიერული სოციალიზმის წარმომადგენლად აღიარებას. ამიტომაც არის, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართულ ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის სათავე არ შეიძლება ვეძიოთ არც ს. მგალობლიშვილის შემოქმედებაში.

**ქართულ ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის დამწყებად მიჩნეულ უნდა იქნას მწერალი შალვა დადიანი.** ასეთი შეხედულება ჩამოაყალიბა მკვლევარმა გ. ციციშვილმა. განიხილა რა პიესა „მღვიმეში", მან გააკეთა შემდეგი დასკვნა:

„ყოველივე ამის შემდეგ არ იქნება დაუსაბუთებელი თუ ვიტყვით, რომ შ. დადიანის „მღვიმეში" თავი იჩინეს სოციალისტური რეალიზმის ნიშნებმა" (გ. ციციშვილი, „შალვა დადიანის დრამატურგია", 1955 წ. გვ. 49).

ანალოგიური აზრი გამოთქმული აქვს კრიტიკოს გ. მერკვილაძეს თავის წიგნში „სოციალისტური რეალიზმის შესახებ", მაგრამ მისი მოსაზრება გ. ციციშვილის შეხედულებისაგან იმით განსხვავდება, რომ გ. მერკვილაძის გაგებით ქართულ ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის გენეზისი უნდა ვეძებოთ არა მხოლოდ შ. დადიანის შემოქმედებაში, არამედ ი. ევდოშვილის, ლ. ქიაჩელისა და სხვათა რევოლუციამდელ ნაწარმოებებში (გვ. 105-6), ე. ი. გ. მერკვილაძის აზრით ქართულ ლიტერატურაში სოციალისტურ რეალიზმს **მრავალი დამწყები ჰყოლია,** ნამდვილად კი სოციალისტური რეალიზმის გენეზისი ქართულ ლიტერატურაში უნდა ვეძიოთ მხოლოდ შ. დადიანის „მღვიმეში" და განსაკუთრებით მის პიესაში „როს ნადიმობდნენ". საბოლოოდ ეს შეხედულება უნდა დამკვიდრდეს ლიტერატურის მეცნიერებაში და ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ ამ საქმეს.

ყველა ის ძირითადი ნიშანი, რაც საფუძვლად დაედვა სოციალისტურ რეალიზმს, როგორც მხატვრულ მეთოდს, მთლიანად უდგება შ. დადიანის დასახელებულ პიესებს. ოღონდ გ. ციციშვილის შეხედულებისაგან განსხვავებით ჩვენ მხოლოდ ის გვსურს ვთქვათ, რომ ქართულ ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმი სათავეს ნახულობს **არა იმდენად „მღვიმეში", რამდენადაც პიესაში „როს ნადიმობდნენ".** ასეთი დასკვნა იმიტომ გამოგვაქვს, რომ, ჩვენი აზრით, პიესა „როს ნადიმობდნენ" უფრო მაღლა დგას, ვიდრე პიესა „მღვიმეში". რასაკვირველია, პიესა „მღვიმეში" ხასიათდება სოციალისტური რეალიზმის ფუძისმდებელი ძირითადი ნიშნებით, მაგრამ ყველა ძირითადი ნიშანი მასში არ არის წარმოდგენილი თანაბარი სიძლიერითა და სიცხადით. ზოგიერთი ნიშან-თვისება ვერ პოულობს სათანადო გაღრმავებასა და გაფართოებას.

სოციალისტური რეალიზმი ქართულ ლიტერატურაში თავის სათავეს იღებს — „მღვიმეში" იმიტომ, რომ ამ ნაწარმოებს ახასიათებს შეგნებული მუშის ტიპის ჩვენება. ამგვარი მუშის სახეა მაღაროელი ფიცხელა, რომელსაც „პირის სახეზე შრომისა და სიღარიბის ბეჭედი ატყვია". ფიცხელა ისეთი მუშაა, რომელსაც ღრმად შეუგნია თავისი კლასობრივი ინტერესები, სწამს ხალხის უძლეველობა და მუშათა კლასი მიაჩნია მჩაგვრელების მესაფლავედ. აი, ამის დამამტკიცებელი რამდენიმე მაგალითი. ფიცხელა მიმართავს ხავსის მოტრფიალეებს, ხალხის მჩაგვრელებს:

„— მე და ჩემისთანები ალმასის და სხვა სხივის მომცემ მაღაროებში, ჯურღმულებში ვმუშაობთ, აი იმ მადნებს და ლითონებს ვამუშავებთ, რომელიც თქვენ გაძლევთ სინათლეს და სითბოს... ვმუშაობთ იქ მთელი დღე განუწყვეტლივ წელ-აუმართავად...

**ერთი ვინმე** — ნუ თუ სრულიად არ გაქვთ თავისუფალი დრო?

**მეორე მუშა** — დიაღ, თვეში ერთჯერ, ხოლო ყოველ-დღე მხოლოდ სადილისათვის გვეძლევა რამდენიმე ჟამი. აი ეხლაც სასადილოდ მივდივართ.

**მეორე ვინმე** — მაშ, ისრე დღე და ღამ განუწყვეტლივ მუშაობთ?

**ფიცხელა** — ეჰ! ჩვენზე განა ღირს ლაპარაკი? თქვენ უფრო მაღალი საგანი გაქვთ გასარჩევი... მაგრამ არა, მოვალს ჟამი და აწვე არს, როდესაც ჩვენ დავამტვრევთ ამ პაწია ბოქლომებს, გავშლით თითებს და ოო, მაშინ გეშინოდეთ ყველას, ვინც ჩვენ ესე მოგვექცა... მაშინ, ვაი, ყველა მათ! გამოვალთ ჩვენ, შავი ხალხი, შიშველ-ტიტველნი, მაგრამ თავისუფალნი და ჩვენის გაშლილის თითებით დავლეწთ იმ ბუნაგებს, სადაც ჩვენი დამღუპველნი ჩაბინებულან, დავანგრევთ ამ მყარ კედლებს სულის შემხუთველსა, ჩამოვთხლეშთ ამ ხავსს, კედლების გამმაგრებლებს, და ჩვენვე დავანგრევთ თაღს, ესე მყარსა და მტკიცეს. ჩვენ ჩამოვშლით მას და ჩამოუშვებთ იმ საუცხოვო მზეს, რომელიც ყველას აგრე ენატრება. მაშ, გაუმარჯოს მუშა ხალხს" (შ. დადიანი, „პიესები", ტ. I, გვ. 18-19).

მუშა ფიცხელას ასეთმა გაბედულმა გამოსვლამ დიდი რეაქცია გამოიწვია მსმენელებში:

**„ნაზი-ბროლა**—ზენის! ვესმის ეს ხმები? გაიგონე რა თქვა მუშამ? არა, ეგ სულ სხვაა, მაგაში სხვა კილოვნება გამოისმის. კილო შეგნებულის ადამიანისა. ეს მე არ მეგონა. არ ვიცოდი, თუ **ხალხი** ასე გათვითცნობიერებული იყო!

**სახიერი** — მაგას არც მე მოველოდი, — თუ თვით ჯურღმულში მომუშავენიც აგრე გამოფ-

ხიზლებულნი იყვნენ! რაკი ეგენიც შეინქრენ, ეხლა კი... მართლა მშვიდობით!

**მზენათ** — მაშ რა გეგონა? საქმეც ეგ არის, რომ თვით **ხალხმა ნამდვილ გამოიღვიძა**" (იქვე, გვ. 19, ხაზგასმა ჩვენია — **ა. ჩ.**).

ფიცხელა რომ სოციალისტური შეგნების მქონე მუშაა, ეს ნათლად ჩანს მისი შემდეგი სიტყვებიდან:

„აღარ გვინდა ჩვენ მზრუნველები და გამ-ლღები. ჩვენ თვით ვიცით, **რაც მოგვიხდება... ისევ ჩვენ და ჩვენი მარჯვენა**" (გვ. 56).

ფიცხელა ჭეშმარიტი რევოლუციონერია, მან სიტყვა საქმედ აქცია. სათავეში ჩაუდგა დაჩაგ-რულ ხალხს, მოაწყო აჯანყება, რის შედეგად დაინგრა სულის შემხუთველი თაღი, მღვიმეში ჩამოეშვა მზის ცხოველმყოფელი სხივები და განათდა არემარე. „ამ მიზნის მისაღწევად, — ამბობს სახიერი, — ვინ იცის რამდენი დიდე-ბულ ადამიანის სულიერი ძალ-ღონე შეჰლევია ამ სანატრიონისათვის ბრძოლას, მაგალითად, ჩვენ შორის ფიცხელამ და მისთანებმა ბრძო-ლის ველზე დალიეს სული, მაგრამ უამისოდ ხომ არსად არაფერი არ გაკეთებულა. პირიქით მით უფრო დასაფასებელი და ძვირფასი უნდა იყოს ჩვენთვის აღსრულებული საქმე, რომ იგი ჩვენის სისხლით, ჩვენის მარჯვენით არის მოპო-ვებული" (გვ. 58-59).

პიესა „მღვიმეში" დაწერილია 1905 წელს და იგი ამ წლის რევოლუციის ნათელ სურათს იძ-ლევა. ამის შესახებ კარგად ამბობს გ. ციციშვი-ლი: „თუ ამ დიდი იდეურ-შინაარსობრივი სიღ-რმის დრამატურგიულ ნაწარმოებს გავათავი-სუფლებთ ალეგორიულ-სიმბოლიური „სამო-სელისაგან", რომელიც აუცილებელი იყო, რა-თა რევოლუციური იდეით გაჟღენთილ პიესას იმ შავბნელ დროში დაბეჭდვა ან სცენა ეხილა, — ხელში შეგვრჩება შესანიშნავი რეალისტუ-რი ნაწარმოები, რომელიც განზოგადების დიდი ძალით გვიხატავს 1905 წლის რევოლუციის მა-რთალ სურათს" (გვ. 33).

ჩვენი აზრით, პიესას გააჩნია ერთი ჩრდილო-ვანი მხარე, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მას-ში არ არის ნაჩვენები მუშათა კლასის საიმედო მოკავშირის, მშრომელი გლეხობის სახეები.

მწერალი არ გვიჩვენებს გლეხობის რევოლუ-ციურ მოძრაობას და მათზე მუშათა კლასის ხე-ლმძღვანელობას. ამიტომ ვამბობთ ჩვენ, რომ „მღვიმეში" სოციალისტური რეალიზმის ზო-გიერთი ნიშანი არ არის **ღრმად და ვრცლად** წარმოდგენილი. მართალია, „მღვიმეში" გლე-ხობა ცალკე არ გვხვდება, მაგრამ იგი შესულია საერთოდ ექსპლოატირებულ მასაში, მუშათა კლასი კი გვევლინება ამ გაყვლეფილი და და-ჩაგრული მასების ბელადად. ამდენად „მღვი-მეში" მთლიანად არ არის იგნორირებული მუ-შათა კლასის ხელმძღვანელი როლი, თუმცა, ვი-მეორებთ, ეს ნიშანი ხაზგასმული და წინ წამო-წეული არ არის, მხოლოდ ჩანასახ ვითარებაშია წარმოდგენილი. ეს ჩრდილოვანი მხარე გამო-სწორებულია პიესაში „როს ნადიმობდნენ" და ამიტომ გარკვევით უნდა ითქვას, რომ პიესა **„როს ნადიმობდნენ" წარმოადგენს პირველ ტი-პიურ სანიმუშო ნაწარმოებს, რომელშიც დასა-ბამი ეძლევა სოციალისტურ რეალიზმს ქარ-თულ ლიტერატურაში.**

ამ ნაწარმოებში საქმე გვაქვს სოციალისტუ-რი რეალიზმის არა ცალკე ნიშანთან, არამედ ყველა ნიშან-თვისების ერთობლიობასთან, რაც ქართულ ლიტერატურაში სოციალისტური რე-ალიზმის, როგორც შემოქმედებითი მეთოდის, გენეზისის მაჩვენებელია.

პიესა „როს ნადიმობდნენ" დაიწერა 1906 წელს, სცენაზე დადგა 1908 წელს, ხოლო დაი-ბეჭდა 1909 წელს.

ამ პიესაში მოცემულია ყველა ის ძირითადი ნიშან-თვისება, რაც საფუძვლად დაედვა სოცი-ალისტურ რეალიზმს მისი **გენეზისის** დროს.

თუმცა არც ეს პიესაა უნაკლო. მასში არ არის ნახსენები კომუნისტური პარტია. არც ერ-თი დადებითი პერსონაჟი არ არის კომუნისტუ-რი პარტიის წევრი და არც ამ ორგანიზაციის სახელით მოქმედებს. ამის შესახებ ის უნდა ვთქვათ, რომ, მართალია, პიესაში „როს ნადი-მობდნენ" არ ჩანს კომუნისტური პარტია და მისი საქმიანობა, მაგრამ **მასში „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" ძირითადი სახელმძღვა-ნელო აზრები მხატვრული დამაჯერებლობით არის გატარებული.** ეს გარემოება უპირველეს ყოვლისა იმაში გამოიხატა, რომ ამ პიესაში ნაჩვენებია მუშათა კლასი, როგორც განსაკუთ-რებული კლასი, რომელსაც შესწევს უნარი „იყოს ბელადი მთელი მშრომელი და ექსპლო-ატირებული მასებისა" (ლენინი). პიესაში თავი-დან ბოლომდე გატარებულია მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის მტკიცე კავშირის იდეა მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის აღიარებით. ეს ამის ბრწყინვალე მაგალითი. პი-ესაში მუშა მიმართავს გლეხს:

— „საით მიდიხარ? აქ ნადიმია და შენ კი გარბიხარ?! ვერ ხედავ როგორ შემოსხდომიან? როგორ მოუკალათნიათ! ჰმ... ნადიმობენ... (გლეხს) საით გარბიხარ, **აქ იყავ ჩემთან, გვერდს ამომიდექ.** როგორ ვერ ამჩნევ, რომ ეს სანადიმო ყოველივე ჩვენი შექმნილია, ჩვენით ნადიმობენ. შენ მოუტანე ეგ პური, ეგ ღვინო, ეგენი შენ ხელის მონაწევარია. მე კი მოვქსოვე ეს ფარჩა, ის ხავერდი, მე მოვაჩუქურთმე ეს დარბაზი ჩემის ხელებით. ჩვენ ორივემ ჩვენის

ჯაფით და შრომით შევძინეთ მათ ეს ავლადიდება და ყველა ამას მხოლოდ ეგენი მოსხდომიან, ეგენი ნადიმობენ (თანდათან იღრუბლება, შორიდან ქუხილის ხმა მოისმის ხან-დაზმით). ჩვენ კი? აი, ესე, გარედან შევცქერით და შიმშილით სული გვხვდება, სიცივით გული გვეყინება, ჯაფისაგან სხეული გვეშლება. შევცქერით შორიდან და მისვლაც კი ვერ გაგვიბედნია. შენ გარბიხარ კიდეც... ერთი შემოგიცაცხანეს და ქედ დადრეკილი აქედან გარბიხარ... აარა, ძმაო კმარა! რაც ჩვენი ხელით მოგვიწევია, რაც ჩვენ გვიკეთებია, ის ჩვენი უნდა იყოს“ (გვ. 101).

ჩვენ მხოლოდ ამ ციტატის მოყვანით დავკმაყოფილდებით, რადგან ამ ნაწარმოების დეტალური ანალიზი წარმოდგენილია მკვლევარ ვ. ციციშვილის დასახელებულ ნაშრომში, სადაც ავტორი შემდეგ ჭეშმარიტ დასკვნას აკეთებს: „შ. დადიანის პიესა „როს ნადიმობდნენ“ 1905 წლის რევოლუციის დროინდელი საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ვითარების ამსახველი რეალისტური ხასიათის დრამატურგიული ნაწარმოებია. იგი რევოლუციური სულისკვეთებით გაჟღენთილი სოციალური ტილოა, რომელიც ხალხს აქტიური ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. ამ ნაწარმოებიდან მეღავნდება, რომ შ. დადიანს უკვე მაშინ, ზოგადად და ძირითადში, სწორი წარმოდგენა ჰქონდა პროლეტარიატზე — როგორც ერთადერთ თანმიმდევრულ რევოლუციურ ძალაზე, რევოლუციის ჰეგემონზე და გლეხობაზე, როგორც მის მთავარ მოკავშირეზე“ (გვ. 62).

მოსალოდნელი იყო, რომ გ. ციციშვილი სწორედ აქ გააკეთებდა დასკვნას იმის შესახებ, რომ მას დრამაში „როს ნადიმობდნენ“ დაენახა სოციალისტური რეალიზმის სათავე ქართულ ლიტერატურაში. ასეთი დასკვნა მან მხოლოდ მაშინ გააკეთა, როდესაც პიესა „მღვიმეში“ განიხილა. ჩვენი აზრით კი სწორედ იმის გამო, რომ პიესაში „როს ნადიმობდნენ“ პროლეტარიატი წარმოდგენილია როგორც ერთადერთი თანმიმდევრული რევოლუციური ძალა, რევოლუციის ჰეგემონი და გლეხობა, როგორც მისი მთავარი საიმედო მოკავშირე, ნაწარმოები „როს ნადიმობდნენ“ იწყებს ქართულ ლიტერატურაში **სოციალისტურ რეალიზმს, როგორც შემოქმედებითს მეთოდს.**

დასასრულ მსურს ერთ გარემოებაზე მივუთითო. როდესაც ჩვენ სოციალისტური რეალიზმის გენეზისს ვუკავშირებთ მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის აღიარებას და მის ჩვენებას, ჩვენ გვაფიქრებს ის, რომ აქედან ზოგიერთმა მკითხველმა **ისეთი** ახირებული დასკვნა არ გამოიტანოს, თითქოს სოციალისტური რეალიზმი საერთოდ უნდა ვეძიოთ მხოლოდ იმ ნაწარმოებებში, რომლებშიაც მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლია ნაჩვენები. რამდენია ისეთი ნაწარმოები, რომელშიც სრულებით არ არის ნახსენები მუშათა კლასი, მაგრამ მაინც სოციალისტური რეალიზმის ნაწარმოებად არის მიჩნეული. მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის ჩვენება მხოლოდ მაშინ არის **სავალდებულო და აუცილებელი, როდესაც საფუძველი ეყრება სოციალისტურ რეალიზმს,** ან საკითხი შეეხება ისეთი **ნაწარმოების მოძებნას,** რომელიც იწყებს **სოციალისტურ რეალიზმს რომელიმე ერის ლიტერატურაში.** მხოლოდ ამ მომენტშია გადამწყვეტი მაჩვენებელი მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის აღიარება და, რაც მთავარია, **ჩვენება.**

ამის თქმა იყო მთავარი მარქსიზმში და სოციალისტური რეალიზმი სხვა რა შეიძლება იყოს, თუ არა მარქსიზმ-ლენინიზმის შეკრა მხატვრულ ლიტერატურაში.

ეს ასე იყო ოქტომბრის რევოლუციამდელ ლიტერატურაში და ასეა იგი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ თანამედროვე საზღვარგარეთული ქვეყნების ლიტერატურაში. ამ ქვეყნებში მხოლოდ ის მწერალი შეიძლება იყოს სოციალისტური რეალიზმის დამწყები და არა ფუძემდებელი, რომლის შემოქმედებაში აღიარებული იქნება პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლი. ის მწერალი კი, რომელიც სოციალიზმის გამარჯვებისათვის არ სცნობს მუშათა კლასის გამარჯვებას, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას, იგი ვერასდროს ვერ გახდება სოციალისტური რეალიზმის დამწყები. იგი რევიზიონისტი იქნება და არა მარქსისტი. სწორედ ამიტომ არის, რომ თანამედროვე რევიზიონისტები დაუნდობლად ებრძვიან პროლეტარიატის დიქტატურას და მის იდეას, ხოლო მათი დამქაში რევიზიონისტი მწერლები და კრიტიკოსები გააფთრებით უტევენ სოციალისტურ რეალიზმს. ცხადია, რომ ვინც არ სცნობს პროლეტარიატის დიქტატურას, შეუძლებელია იგი სოციალისტურ რეალიზმს იცავდეს. ჩვენი მოვალეობაა დაუნდობლად ვამხილოთ იმპერიალიზმის ადვოკატები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა ჭანიშვილი

# „ადამიანებო, მე თქვენ მიყვარდით!"

## (იულიუს ფუჩიკის დაღუპვის 15 წლისთავის გამო)

ისტორიის კაბადონები სავსეა გმირთა სახელებით. მაგრამ გმირობაც არის და გმირობაც. ერთია ბრძოლის ველზე თანამებრძოლთა ყიჟინით აღგზნებული თავგანწირვის სულისკვეთება და სულ სხვაა — არ გატყდე მაშინ, როცა ნელ-ნელა გაწამებენ ხორცითა და სულით, მაგრამ მაინც არ ტყდები, ქედს არ იხრი, ამაყად დგახარ, თვალს თვალში უყრი სიკვდილს და დასცინი მას...

ორმოცი წლის ვაჟკაცმა შესანიშნავმა ჩეხმა მწერალმა, ანთებული გულის ადამიანმა იულიუს ფუჩიკმა კაცობრიობას ანდერძად დაუტოვა: „ადამიანებო, მე თქვენ მიყვარდით, იყავით ფხიზელნი!" ხოლო ფაშისტი ჯალათის საბედისწერო გასროლამდე კიდევ ერთხელ გაამხნევა თანამოძმენი —„დაე დავიღუპოთ, მაგრამ ნუ ვუღალატებთ რწმენას, რომ ბოლოს გავიმარჯვებთ!".

და გაიმარჯვა კიდევაც.

იულიუს ფუჩიკი 1943 წლის 8 სექტემბერს ლაჩრულად, ფაშისტურად დახვრიტეს ბერლინში. 15 წელი გავიდა მას შემდეგ — ბრძოლის, გამარჯვებებისა და კიდევ და კიდევ ბრძოლის წლები. ფუჩიკი კვლავ მებრძოლთა წინა რიგებში დგას, ადამიანთა სიყვარულის ამაყი დროშა მიაქვს ძლიერი მარჯვენით და გვაფრთხილებს— მტერი ჩასაფრებულია, ფხიზლად იყავით, რათა კვლავ აღარ დაინგრეს ოქროვანი პრაღა, არ განმეორდეს ბუჰენვალდი, ადამიანები აღარ დასაჯონ ბნელ დილეგებში.

გმირობა იყო ფუჩიკის მთელი ცხოვრება. სწავლობდა თუ წერდა, ასწავლიდა თუ წერდა, იტანჯებოდა თუ წერდა მისი მახვილი მზერა, მდიდარი ნიჭი მხოლოდ ადამიანს, მის ნამოქმედარს, მის ცხოვრებას, მის მომავალს ხედავდა ყველგან. იოლი როდი იყო ასე ცხოვრება..:

1903 წლის 23 თებერვალს დაიბადა იულიუს ფუჩიკი პრაღელი მელითონე მუშის ოჯახში, სადაც ძლიერ უყვარდათ ლიტერატურა და ხელოვნება. ამის გამო პატარა იულიუსს ადრე განუვითარდა ყოველივე ამაღლებულისადმი სიყვარული — ჯერ იყო და ადგილობრივი თეატრის მგალობელთა გუნდში მღეროდა, რეალური სასწავლებლის მოსწავლე ხელნაწერ . სასკოლო ლიტერატურულ ჟურნალს უშვებდა, ხოლო თხუთმეტი წლისა თანამშრომლობდა ცნობილი ჩეხი სატირიკოსის კარელ ჩაპეკის ჟურნალში— „ნუ გეშინია".

ფუჩიკი ადრე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. 17 წლისა შევიდა ახალგაზრდა მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა კავშირში, ხოლო 1921 წელს, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის შექმნისთანავე, მგზნებარე კომუნისტი გახდა და არასოდეს არ უღალატნია პარტიისათვის, იდეისათვის, რომლის გამარჯვებამ 1917 წელს ოქტომბრის ძლევამოსილი ერა გაუთენა მსოფლიოს ერთ მეექვსედს.

„მე ომის დროს ვიზრდებოდი", — იგონებს მწერალი ყრმობისა და პუბლიცისტური მოღვაწეობის პირველ ნაბიჯებს, — ახალგაზრდობისათვის ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ვინც ომის დასაწყისში 12 წლისა იყო, ის ომის დამთავრებისას მომხდარ ამბებს ისევ ბავშვური თვალებით, მაგრამ 25 წლის ადამიანის გამოცდილებით უცქეროდა. ამიტომ მე უნდა დამენახა, რომ ყველაფერი რიგზე როდი იყო ქვეყნად, სადაც ადამიანები ოცნებობდნენ ნამდვილ ცხოვრებაზე და, თუმცა არ სურდათ, ჰკლავდნენ ერთმანეთს. მე დავიწყე მისი გაკრიტიკება. ვინაიდან წიგნები და თეატრი წარმოადგენდა ჩემთვის ამ სამყაროს დიდ ნაწილს, მე დავიწყე მათში გარკვევა და მივხვდი, რომ არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის წიგნები, რომლებშიც სიმართლე სწერია, ზოგიერთი წიგნი კი ცრუობს, ხოლო ზოგიერთი თითქოსდა მუნჯია. ჩემი აზრით, საჭირო იყო იმის თქმა, რომ არ უნდა იყოს არც ცრუ, არც მუნჯი წიგნები. მე ეს მიმაჩნდა ჩემს წვლილად უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის საერთო საქმეში“.

მართლაც, არასოდეს დამუნჯებულა ფუჩიკის სიტყვა, არასოდეს არ უცრუვნია მას. 1927 წელს ფუჩიკი რედაქტორობდა ჟურნალ „კენს“, რომელიც მკითხველებს აწვდიდა ინფორმაციებს ახალ წიგნებზე. ფუჩიკი და გამომცემლები ვერ მორიგდნენ—რევოლუციური სული ვერ შეურიგდა კომერსანტთა მოთხოვნას გუნდრუკი ეკმია ბურჟუაზიულ-ესთეტური ლიტერატურისათვის. იულიუსმა ჟურნალი დატოვა, მაგრამ ამ ჟურნალში მოთავსებულ თავის უკანასკნელ წერილში მწვავედ დასცინა რეაქციონერ კრიტიკოსებს. „თავისი ლექციებით თემაზე „ვის პურსაც ჭამ, სიმღერაც იმის უნდა დააღუღუნო“ მათ მდიდარი მასალა მომცეს კაპიტალიზმის დროს აზრების „დამოუკიდებლობის“ შესასწავლადო,—წერდა ფუჩიკი.

ი. ფუჩიკი ახალი მიმართულების ლიტერატურულ-კრიტიკულ ჟურნალს „ტვორბას“ ჩაუდგა სათავეში და ათ წელიწადს, მიუნხენის ვერაგულ გადატრიალებამდე, ხელმძღვანელობდა მას. „ტვორბაში“ გაიფურჩქნა და მოღონიერდა, დავაკაცდა მწერლის ნიჭი, მისი ორგანიზატორული უნარი. კომუნისტურ გამოცემათა — „რუდე პრავოსა“ და „ტვორბას“ რედაქციებში შედიოდნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის გამოჩენილი მოღვაწეები. „რუდე პრავოს“ დიდხანს ხელმძღვანელობდა კლემენტ გოტვალდი. მათთან ფუჩიკს მებრძოლი მეგობრობა აკავშირებდა. კომუნისტური პარტიის მაორგანიზებელი როლის გაგებამ განსაზღვრა კომუნისტი პატრიოტის გმირული მოღვაწეობის მიმართულება მისი ცხოვრების მთელ მანძილზე.

1930 წელს ფუჩიკი, ქალაქ ფრუნზეს მუშების მოწვევით, საბჭოთა კავშირს ესტუმრა. ჩვენს ქვეყანაში იგი არალეგალურად გამოემგზავრა სამ პრაღელ მუშასა და ერთ მორავიელ გლეხთან ერთად.

ნახევარი წელიწადი დაჰყო იულიუს ფუჩიკმა სოციალიზმის ხარაჩოებზე შემდგარ ქვეყანაში და საკუთარი თვალით იხილა ადამიანთა შემოქმედი ნიჭისა და უნარის ტრიუმფი, იხილა, ფენიქსივით როგორ დგებოდა, მხრებს შლიდა ხანგრძლივი ომითა და ნგრევით დაჭრილი ქვეყანა, უზარმაზარი ქვეყანა, სადაც მშრომელს საკუთარ ხელში აეღო თავისი ბედი, თავისი ქვეყნის მომავალი.

ჩეხების დელეგაციამ ინახულა მოსკოვი, ლენინგრადი, უკრაინა, დონბასი, ვოლგის მხარე, კავკასია, შუა აზიის რესპუბლიკები. მწერლის თვალმა ობიექტური სინამდვილის ნათელი შეგრძნებით აღიქვა ყველაფერი — სიძნელეცა და გაჭირვებაც, გამარჯვება და აღფრთოვანებაც, და თვითონაც იმ სულისკვეთებით განიმსჭვალა, რომლითაც სუნთქავდა მაშინ ჩვენი ქვეყანა, ერთიანი ენთუზიასტი ქვეყანა, დევგმირის ნაბიჯით რომ მიაბიჯებდა სოციალიზმის გამარჯვებისაკენ. ამ სულისკვეთებამ დააწერინა მწერალს შესანიშნავი პუბლიცისტური წერილები და ნარკვევები — „გმირებსა და გმირობაზე“, „ლენინგრადის გზაფხული“, „ნურინისა გულიამი ვირით მოგზაურობს“, „ოდეკოლონის შუშა“, „აფხაზეთი“ ფიცარნაგებზე“ და სხვ.

ფუჩიკი საბჭოთა წყობის, სოციალისტური ცხოვრების, ჩვენი ქვეყნის მიღწევათა მგზნებარე პროპაგანდისტი გახდა. ერთი წლის განმავლობაში, მაგალითად, მან 370 მოხსენება წაიკითხა საბჭოთა კავშირის შესახებ.

ევროპას თანდათან ეცემოდა ფაშისტური მუქარის ავბედითი ჩრდილი. დასავლეთის კაპიტალისტთა მიერ გამოკვებილი ჰიტლერული სამხედრო მანქანა ავად ამოძრავდა.

1938 წელს მიუნხენში ხელი მოაწერეს ჩემბერლენის, ჰიტლერის, მუსოლინისა და დალადიეს „ოთხთა შეთანხმებას“, რომლის შემდეგ ფაშისტური ჯარები ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე გადავიდნენ. ხოლო 1939 წლის 14 და 15 მარტს პრაღაში შეიჭრნენ და ჩეხოსლოვაკიის ოკუპაცია მოახდინეს. ბურჟუაზიამ გაჰყიდა ქვეყანა...

ჩეხოსლოვაკია გერმანული ფაშიზმის ბორკილებში მოექცა.

მიუნხენამდე იულიუს ფუჩიკის ანტიფაშისტური წერილები ჩეხოსლოვაკიის საუკეთესო ადამიანებს ორიენტაციას აძლევდნენ მშვიდობისათვის, ჰიტლერის კაცობრიობის ხროვის ბნელი საქმეების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციის შემდეგ კი, როცა კომპარტია აიკრძალა და ფაშისტური რეჟიმი გაბატონდა, სამშობლოს სხვა ღირსეულ შვილებთან ერთად მწერალი არალეგალურ მუშაობაზე გადავიდა. მას ბრძოლა არ შეუწყვეტია. კომუნისტების მეთაურობით შეიქმნა ერთი მთლიანი ეროვნული ფრონტი, რომელიც განსაკუთრებით გააქტიურდა 1941 წელს საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის ვერაგული თავდასხმის შემდეგ.

ოკუპაციის პერიოდში ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურმა პარტიამ ხუთჯერ დაჰკარგა თავისი ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა, დააპატიმრეს და დასაჯეს პარტიის 25 ათასი ნაცადი წევრი. მაგრამ პარტიას ფარ-ხმალი არ დაუყრია — დარტყმას დარტყმითვე უპასუხებდა.

1941 წლის გაზაფხულიდან იულიუს ფუჩი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი გონზა ზიკასა და გონზა ჩორნისთან ერთად ხელმძღვანელობდა მეორე შემადგენლობის ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც თებერვალში პირველი შემადგენლობის დაპატიმრების შემდეგ შეიქმნა.

„დიახ, ჩვენ იატაკქვეშეთში ვიმყოფებით,— წერდა ფუჩიკი არალეგალურ ბროშურაში „1 მაისი“, — მაგრამ არა როგორც დასამარებული მკვდრები, არამედ როგორც ცოცხალი ყლორტები, რომლებიც გაზაფხულის მზისაკენ მიიწევენ მთელ მსოფლიოში...

ჩვენ ჯერ კიდევ იატაკქვეშეთში ვიმყოფებით, მაგრამ იქაც ვჭედთ თავისუფლების გამარჯვებას, სიცოცხლის გამარჯვებას, საკაცობრიო აზრის ყველაზე გაბედულ ოცნებათა გამარჯვებას.

სოციალიზმის გამარჯვებას!“.

და აღარ დასცალდა თვითონაც მოსწრებოდა „სიცოცხლის გამარჯვების“ ძლევამოსილ დაგვირგვინებას. 1942 წლის 24 აპრილს, საღამოს, ი. ფუჩიკი დააპატიმრეს.

დაიწყო საშინელი არაადამიანური წამების დღეები. პანკრაცის ციხეა საპატიმრო... გოდებით სავსე, სისხლით მოთხვრილი ბერლინის საპყრობილე... დაკითხვა... ცემა... ცემა.!! დაკითხვა... წამება... წამება... ასე მიდიოდნენ დღეები. და გმირის ტიტანური ნებით კვლავ საბრძოლველად ანთებული ენით იწერებოდა სიცოცხლის ჰიმნი — „რეპორტაჟი სახრჩობელადან“.

„...ორი საათია. პრაღას სძინავს. მხოლოდ სადმე ძილში ბავშვი თუ წამოიტირებს, და ქმარი ცოლს მხარზე ხელს შეახებს.

— მიპასუხე! მიპასუხე!

ღრძილებზე ენას ვისვამ. ვცდილობ დავითვალო, რამდენი კბილი ჩამიმტვრიეს. ვერ ვახერხებ. თორმეტი, თხუთმეტი, ჩვიდმეტი? არა, ეს ამდენი გესტაპოელი „ჩვენებას მართმევს“, ზოგი, ეტყობა, უკვე დაიღალა, სიკვდილი ჯერ კიდევ იგვიანებს.

სამი საათია, გარეუბნიდან ღილა იჭრება“...

ასე თენდებოდა ყოველი დილა...

საღამოს კი ჯალათი ბემი ხანდახან პრაღაში „ასეირნებდა“.

—„მე ვიცი, შენ პრაღა გიყვარს, ნუთუ შენ არ გინდა იქ დაბრუნდე? როგორი კარგია ის და ასეთივე დარჩება, როცა შენ უკვე აღარ იქნები... ხანდახან მას საცთუნებლად ქალაქში გავყავდი. ჩვენ პატარა რესტორანის ბაღში ვსხდებოდით და თვალყურს ვადევნებდით ჩვენს გვერდით მიმდინარე ადამიანთა ნაკადს. — აი, შენ დატყვევებული ხარ, — ფილოსოფოსობდა ბემი, — მაგრამ შეხედე, შეცვლილა თუ არა რაიმე გარეთ?.. ამ გზათმიმავალთა შორის შენი მკითხველებიც არიან. ნუთუ შენ ფიქრობ, რომ მათ თუნდ ერთი ნაოჭი მოემატათ სახეზე?“...

წამება ხორციელი, წამება სულიერი, წამება და მხოლოდ წამება. მაგრამ არ ტყდებოდა ამაყი სული. პირიქით, სხვას ამხნევებდა და ფეხზე აყენებდა წამოჩოქებულს.

ასე გაგრძელდა 1943 წლის 8 სექტემბრამდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. იგი მოკვდა „ინტერნაციონალის“ სიმღერით. ფუჩიკს პირი აუკრეს, მაგრამ სიმღერა მთელმა ციხემ აიტაცა. პროლეტარული ჰიმნის ხმა ვერ დაფარა ლაჩრულმა გასროლამ.

„გმირი ეს არის ადამიანი, რომელიც გადამწყვეტ მომენტში აკეთებს იმას, რაც უნდა გაკეთდეს ადამიანთა საზოგადოების ინტერესებისათვის“, — სწამდა ფუჩიკს.

იგი საზოგადოებისათვის, კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის იბრძოდა, ადამიანის განთავისუფლების ინტერესების დაცვას ემსახურებოდა და სწორედ მის ცხოვრებას შეჰფერის სიტყვა გმირული, და სწორედ მის სახელს შეჰფერის სიტყვა — გმირი.

და ამიტომაც დაედო საფუძვლად მისი ხსოვნა ჟურნალისტთა სოლიდარობის საერთაშორისო დღის დაწესებას — 8 სექტემბერი ერთხელ კიდევ მოაგონებს ხალხებს — „ადამიანებო, მე თქვენ მიყვარდით, იყავით ფხიზელნი!“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიუდმილა გორგიაგინა

# აჭარის მფარველი და მოამაგე

## (სერგეი მესხის გარდაცვალების 75 წლისთავის გამო)

გასული საუკუნის 60-იანი წლების დამლევიდან იწყება ქართველი ხალხის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების განსაკუთრებული აღმავლობა, ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი.

მთელი სიმწვავით დაისვა საქართველოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი ერთიანობის აღდგენის, კერძოდ, თურქთა მიერ მიტაცებული საქართველოს სისხლხორცეული ნაწილის — აჭარის განთავისუფლების საკითხი.

აჭარის ეროვნული აღორძინებისა და საქართველოსთან მისი შემოერთების იდეის ერთ-ერთი მტკიცე და თანმიმდევრული დამცველი იყო ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, გაზეთ „დროების" რედაქტორი სერგეი მესხი.

მრავალი წლის მანძილზე ს. მესხი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ყოველივე იმას, რაც თურქთა მიერ მიტაცებულ საქართველოს ამ მიწა-წყალზე ხდებოდა და ქართველ საზოგადოებრიობას ამზადებდა აჭარის მოსახლეობის უფლებათა დასაცავად, საქართველოსთან ამ კუთხის შეერთებისათვის საბრძოლველად.

ს. მესხს მხედველობიდან არ გამორჩენია არც აჭარელთა უარი — თურქეთის არმიაში ებრძოლათ ბალკანელი ხალხის წინააღმდეგ, არც სულთნის ხელისუფალთა მიერ შევიწროებული აჭარის მღელვარება და არც სხვა ასე თუ ისე მნიშვნელოვანი მოვლენა. იგი ცდილობდა ყველა ეს მოვლენა მაშინვე გაეცნო ქართველი საზოგადოებრიობისათვის, პირველ რიგში კი ქართველი ახალგაზრდობისათვის, რადგან, როგორც ს. მესხი ფიქრობდა, სწორედ ამ ახალგაზრდობას მოუხდებოდა მონაწილეობა აჭარელთა ბედის გადაჭრაში. ს. მესხი მუდამ მოაგონებდა ქართველობას: „...ვის ახსოვს ჩვენში, რომ ჩვენ გვერდით, აქვე, მთებს გადაღმა ასიათასამდე ქართველი ცხოვრობს, რომ ჩვენ ერთი ქვეყნის შვილნი, ძმები ვართ, რომ ჩვენ შორის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ იმათ ძალდატანებით სარწმუნეობა შეუცვლიათ..." („დროება", 1875 წ., № 76).

საზღვარგარეთ მყოფ ქართველ სტუდენტებს ერთ წერილში ს. მესხი ატყობინებდა ქობულეთში მომხდარ აჯანყებაზე, რომელსაც მთელი აჭარის განთავისუფლების იმედებს უკავშირებდა; მეორე წერილში იგი ქართველ სტუდენტებს ურჩევდა ახლო კავშირი დაემყარებინათ კონსტანტინოპოლელ სომეხ სტუდენტებთან, ვინაიდან, მისი აზრით, მომავალში შესაძლებელი იქნებოდა მათგან მხარდაჭერა.

აჭარის განმათავისუფლებელი ბრძოლის პერიოდში, 1875 წელს, ს. მესხი ქართველ საზოგადოებრიობას მტკიცედ მოუწოდებდა ყოველმხრივ დახმარებოდა აჭარელ ძმებს: „ჩვენი ვალია ზნეობით დავეხმაროთ... ამ უთანასწორო, თავ-გამოდებულ ბრძოლაში ყოველი ჩვენგან გაგზავნილი ლუკმა პური... არა თუ თავისთავათ, არამედ როგორც ზნეობითი ნიშანი ჩვენი თანაგრძნობისა, ჩვენი ძმობისა („დროება", 1875 წ., № 105).

1877-1878 წლების ომის დაწყებიდანვე ს. მესხი აჭარას გამოემგზავრა და თავის სტატიებში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ რუსეთის არმიის ქართული ნაწილები თავიანთ აჭარელ ძმებს ეხმარებიან თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლებაშიო. ამით იგი აღაფრთოვანებდა აჭარის ტერიტორიაზე შესულ ქართულ სამხედრო ნაწილებს და ამავე დროს ხელს უწყობდა მათთან ადგილობრივი მოსახლეობის ნორმალური ურთიერთობის დამყარებას. აჭარლებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა „იციან, რომ ჩვენ იმათი ძმები ვართ, რომ ორთავეს ერთი ბედი და უბედობა მოგველის და რომ ერთმანეთს ხელი-ხელში მიცემით ჩვენ შეგვეძლება ჩვენი უღლის გაწევა და მომავალი ცხოვრების უმჯობესება“ („დროება“, 1878 წ., № 147).

მიუხედავად ამისა, ს. მესხს მაინც აუცილებლად მიაჩნდა განსაკუთრებული სიფრთხილე ადგილობრივი მოსახლეობისადმი და მოითხოვდა პატივისცემით მოპყრობოდნენ აჭარელთა ყოფაცხოვრებასა და ტრადიციებს. „...ყველა ჩვენს ნაბიჯს, ჩვენს მოქმედებას ახლა ისინი გაცეცებული თვალით დაკვირვებით შესცქერიან; ამ პირველი ჩვენი კაცების მოქმედებით უნდა შეიტყონ იმათ — თუ რა ხალხი ვართ ჩვენ, უნდა დარწმუნდნენ — მოახერხებენ ისინი ჩვენთან ერთად ცხოვრებას, გაძლებენ თუ არა...“ — წერდა იგი („დროება“ 1878 წ., № 175).

ნდობას, რომელსაც აჭარლები იჩენდნენ დანარჩენი ქართველებისადმი, ს. მესხი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამიტომ იგი აფრთხილებდა ქართველებს არ ჩაეკლათ ეს ნდობა და ყოველმხრივ ხელი შეეწყოთ მისი განმტკიცებისათვის. „საქმე იმაშია, — თუ როგორ ვისარგებლებთ ჩვენ ამათის დანდობით, როგორ დავიჭერთ იმათთან თავიდანვე საქმეს, როგორ ვეცდებით, რომ ეს დანდობა გავამართლოთ, არ გავამტყუვნოთ და, მართლა, როგორ ძმობას აღმოუჩენთ ჩვენ იმათა“ („დროება“, 1878 წ., № 147).

დემოკრატი მესხისათვის მთავარი იყო ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის, მისი ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრების აღდგენისათვის, რაც მხოლოდ და მხოლოდ ქართველი საზოგადოებრიობის მხარდაჭერით იქნებოდა შესაძლებელი. ამის გამო მას სერიოზულად აშფოთებდა ის გარემოება, რომ ახლად შემოერთებულ აჭარის ტერიტორიაზე რუსული მართვა-გამგეობის სისტემა იქმნებოდა, რაც უსათუოდ ცარიზმის კოლონიზატორულ და რუსიფიკატორულ მიზნებს გაუწევდა სამსახურს. ასეც მოხდა. ამ მხარის გუბერნატორმა არაფრად ჩაგდო ადგილობრივი ადათ-წესები და აჭარის მოსახლეობა დაუმორჩილა ბიუროკრატ ჩინოვნიკებს, რომლებიც სრულებით არ იცნობდნენ ადგილობრივ პირობებს, ხალხის ენასა და ზნე-ჩვეულებებს. მათთვის მთავარი იყო არა ზრუნვა ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისათვის, არამედ მხოლოდ ბუნებრივი სიმდიდრისა და ახალი სტრატეგიული ტერიტორიების დაუფლება.

სერგეი მესხს მშვენივრად ესმოდა, თუ რა საშიშროებას უქადდა ხალხს აჭარაში სახელმწიფო აპარატის დანაგვიანება რუსული ადმინისტრაციის ნარჩენებით, დამახასიათებელი მექრთამეობით, უკანონობითა და სხვა უმსგავსოებით.

ეროვნულობის წინააღმდეგ ტერორის მძიმე წლებში, მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ანგარიშის გასწორების წლებში ს. მესხმა გაბედულად ამხილა მეფის თვითმპყრობელური პოლიტიკა აჭარაში, კერძოდ კი მისი აგენტ-ჩინოვნიკთა თავაშვებული თარეში, რომელთაც „ყველგან თავიანთი ბოროტი სული და ბოროტი საქმე მოაქვთ“ („დროება“, 1874 წ., № 14).

გამოხატავდა რა მოწინავე საზოგადოებრიობის აზრს, ს. მესხი წერდა: „ამ თავიდანვე იქ ერთობ დიდი სიფრთხილე, ერთობ წინდახედული მოქმედება და გამჭრიახობა გვმართებს. საჭიროა ისეთი კაცების დანიშვნა გამგეებად, რომლებმაც კარგად იციან ადგილობრივი მდგომარეობა, ხალხის ზნე, ენა, ჩვეულება და სხვ“. („დროება“, 1878 წ., № 132).

ახალმა ადმინისტრაციამ ხალხს აურაცხელი გადასახადი და ბეგარა დაადო, როგორც ნატურალური, ისე ფულადი სახითაც, მათი აკრეფისას კი ისეთ ბოროტმოქმედებასა და თვითნებობას იჩენდნენ, რომ ოფიციალური პრესაც იძულებული გახდა ეღიარებინა ეს. მეფის ჩინოვნიკები თავიანთი დანაშაულებრივი მოქმედებით არა მარტო მძიმე ომისაგან განაწამებ აჭარის მოსახლეობას აყენებდნენ ზიანს, არამედ მის თვალში ახალ ხელისუფლებასაც უტეხდნენ სახელს და უკარგავდნენ ავტორიტეტს. „უფუქდება იქ სახელი მთელ რუსის მმართველობას, ახალ წესებს და ახალ გამგეობას...“, გულისტკივილით წერდა ს. მესხი („დროება“, 1879 წ., № 14).

ამ შემთხვევაში ს. მესხი დიდ იმედებს ამყარებდა ქართველ ახალგაზრდობაზე, რომლის სწორ აღზრდას ამდენი ამაგი დასდო თვითონ მან და რომელმაც არ იცოდა „რა არის ანგარება, ქრთამის ხსენება“. სწორედ ამ ახალგაზრდობას მოუწოდებდა იგი: „წადით ბათუმში, იმსახურეთ იქ, დიჭირეთ რაც უნდა მცირე თანამდებობა იყვეს, ოღონდ კი ხალხთან იქონიეთ საქმე, თქვენის კეთილშობილურის უანგარო მოქმედების წყალობით, გამაჰმადიანებული ქართველები კმაყოფილი დარჩებიან ჩვენი მთავრობისა, ნდობის თვალით გვხვედნენ ჩვენ...“ („დროება“, 1879 წ., № 14).

იმისათვის, რომ მოსახლეობა მიეზიდა და იგი ბეგებისა და მოლების გავლენაში არ მოქცეულიყო, მოწინავე ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებს შეუპოვრად უნდა ებრძოლათ და თანმიმდევრულად ემოქმედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათ. და აი თავისი გაზეთის მეშვეობით ს. მესხი დაუღალავად ეწეოდა ამ აზრის პროპაგანდას და ასეთი დიდი და პასუხსაგები ამოცანის გადაჭრისათვის მოითხოვდა მთელი ხალხის მხარდაჭერასა და ხელშეწყობას. მისი აზრით, საჭირო იყო ყველა იმ დაბრკოლების გადალახვა, რომელიც წინ ეღობებოდა აჭარის მთელი მოსახლეობის გაერთიანებასა და დარაზმვას თავისი სამშობლოს დროშის ქვეშ. „როგორ უნდა დავიახლოვოთ, რომ ჩვენ შორის ნამდვილი ძმობა, ერთგვარტომობა, ერთი მამულის შვილობა დამყარდეს?“ („დროება“, 1878 წ., № 52) — აი საკითხი, რომელიც, ს. მესხის აზრით, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდა.

ამისათვის უპირველეს ყოვლისა ს. მესხს საჭიროდ მიაჩნდა, რომ ქართველ საზოგადოებას ახლოს გაეცნო მაშინდელი აჭარის ცხოვრება და გეხსენებინა ის დრო, როცა იგი საქართველოს სახელმწიფოს ნაწილს წარმოადგენდა. ამიტომაც იგი გულმხურვალედ მიესალმა დ. ბაქრაძის წიგნს აჭარაზე: „ჩვენმა საზოგადოებამ გაგონებითაც ძლივს იცის აჭარა რაა და აჭარლები ვინ არიან. მათი საზოგადოებრიობის გასაცნობად მეტისმეტად სასარგებლო და სასიამოვნო საქმე იქნება“, წერდა იგი ამ წიგნის შესახებ („დროება“, 1873 წ., № 27).

თავის სტატიებში ს. მესხი მუდამ მოაგონებდა ქართველობას, რომ საქართველოსაგან აჭარის სამასი წლით მოწყვეტის მიუხედავად, აჭარის მოსახლეობამ მაინც შეინარჩუნა თავისი სამშობლოს ენა და ზნე-ჩვეულებანი. „ამ ქართველებში ახლაც დაცულია ქართული ენა, ხასიათი, ზოგიერთი ცრუმორწმუნეობა და ჩვეულება“ („დროება“, 1878 წელი, № 185). ისინი გარეგნულადაც კი არაფრით არ განსხვავდებიანო ქართველებისაგან: „იგივე სახე, იგივე მიხრა-მოხრა...“

ხალხთან დაახლოების ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საშუალებად ს. მესხს მიაჩნდა აჭარის ლიტერატურის, ფოლკლორის შესწავლა და ინტელიგენციის წინაშე დააყენა რთული, მაგრამ მეტად საინტერესო ამოცანა: შეეგროვებინა ხალხური შემოქმედების ძეგლები: „სახალხო პოეზიის ნაწარმოებები, იგავ-ზღაპრები, ლეგენდები, ისტორიული და სხვა გადმოცემები, სახალხო ლექსები“ და საზოგადოების ფართო წრეებისათვის გაეცნო იგი.

აჭარის მუსლიმანური მოსახლეობის საქართველოსთან კვლავ დაახლოებისა და დაკავშირების საქმეში დიდი როლი უნდა შეესრულებინათ აგრეთვე ქართველ პედაგოგებსა და ქართულ სკოლებს. ამ მიზნით, ი. ჭავჭავაძის კვალდაკვალ, ს. მესხიც ქართული სკოლების გახსნას მოითხოვდა. „უნდა გაიხსნას, — წერდა იგი, — უეჭველად ქართული შკოლები, ე. ი. ისეთები, რომლებშიაც ყველა საგნების სწავლება ქართულ ენაზე იყოს, რადგან ეს ენა ყველა მათთვის მშობლიურია, ყველასთვის გასაგები ენაა“ („დროება“, 1878 წ., № 146).

ს. მესხი არ კმაყოფილდებოდა იმით, რომ აჭარის მოსახლეობას მხოლოდ დაწყებითი განათლება მიეღო, და იგი ყოველმხრივ ცდილობდა აჭარის სკოლადამთავრებული ახალგაზრდებისათვის ფართო გზა მიეცათ ქუთაისის გიმნაზიაში შესასვლელად, იქიდან კი უნივერსიტეტში, საიდანაც დაბრუნების შემდეგ: „ამ ქვეყნისავე შვილები იმდენად მომზადებული და განათლებული იქნებიან, რომ თვითონვე დაეხმარებიან თავის ქვეყნის განათლებისა და გონებრივი წინსვლის საქმეს“ („დროება“, 1878 წ., № 52).

მაგრამ ეს პატრიოტი პუბლიცისტის მხოლოდ ოცნება იყო. მეფის ხელისუფლებს სრულებითაც არ აინტერესებდათ საქართველოს ამ კუთხის კულტურული დაწინაურება. ამიტომაც, ცხადია, მთავრობის მხრივ ს. მესხსა და მის თანამებრძოლებს არავითარი დახმარება და მხარდაჭერა არ ჰქონდათ. ქართველი ხალხის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების მთელი საქმე მხოლოდ თვით საზოგადოებას უნდა ეკისრა და ს. მესხი ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებდა მაშინდელ ქართველ ინტელიგენციაში. ამიტომაც ასეთი სიყვარულით აღნიშნა ქართველმა ხალხმა, მათ შორის აჭარის მშრომელებმა, ქართული ჟურნალისტიკის ამ თვალსაჩინო წარმომადგენლის გარდაცვალების 75 წლისთავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საინტერესო გასტროლები

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის თეატრის გასტროლები ბათუმში დაიწყო ქართული კლასიკური მუსიკის ფუძემდებლის ზ. ფალიაშვილის ოპერით „აბესალომ და ეთერი.“

დიდი პოეტი ა. ს. პუშკინი მუდამ აღტაცებული იყო კავკასიით და მას შემდეგ, რაც მან „კავკასიის ტყვე“ დაწერა, საქართველო ბევრი ხელოვანისათვის იქცა აღთქმის ქვეყნად, მჩქეფარე ცხოვრების, გაბედულ ოცნებათა ქვეყნად, რომელიც ლამაზი და გმირი ხალხით არის დასახლებული.

რუსული პოლიფონიური მუსიკის მამამთავარი მ. ი. გლინკა აღტაცებული იყო კავკასიის გაცნობით და, ალბათ, პირველად სწორედ მაშინ დაფიქრდა იგი რუსული ხალხური სიმღერისა და აღმოსავლეთის ხალხთა მუსიკის ნათესაობაზე.

ზ. ფალიაშვილს შეიძლება ვუწოდოთ ქართველი ხალხის გლინკა. მისი მუსიკა მღერადია და ხალხური კოლორიტით აღსავსე. მასში ჟღერს მამაცი, მგზნებარე, ამავე დროს სულგრძელი და სტუმართმოყვარე ქართველი ხალხის სულისკვეთება. ქართველი ხალხის ამ ღირსებებს მიუძღვნეს ლექსები და სიმღერები დიდმა პოეტებმა ა. ს. პუშკინმა და მ. ი. ლერმონტოვმა. ამ ლექსებსა და სიმღერებზე დიდმა რუსმა კომპოზიტორებმა შეჰქნეს მუსიკალური ნაწარმოებები, რომლებიც მსოფლიო მუსიკალური კულტურის ოქროს ფონდში შევიდნენ.

დამახასიათებელია, რომ ახლადგახსნილი ოპერისა და ბალეტის თეატრის პირველი სპექტაკლი დიდი რუსი კომპოზიტორის პ. ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინი“ იყო. თვით ჩაიკოვსკის ძლიერ უყვარდა ქართველი ხალხი და მისი კულტურა, კერძოდ, დიდად აფასებდა ქართულ მუსიკას.

ქართველმა ხალხმა გახსნის დღიდანვე ღრმად შეიყვარა ქართული მუსიკალური ხელოვნების ტაძარი — ეროვნული ოპერის თეატრი, რომელსაც შემდეგ ქართული ოპერის ფუძემდებლის ზ. ფალიაშვილის სახელი უწოდა. ქართველი მაყურებელი შეუნელებელი ინტერესით ნახულობს და ისმენს როგორც მის საუკეთესო პირველ სპექტაკლებს „აბესალომ და ეთერსა“ და „დაისს“, ასევე ყოველ ახალ ოპერასა და ბალეტს.

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ოპერის თეატრის პირველ სპექტაკლზე „აბესალომ და ეთერი“ ბათუმის თეატრში ტევა არ იყო. ყველა ბილეთი ადრევე გაიყიდა.

ქართული ოპერისადმი ეს მზარდი ინტერესი სრულიად ბუნებრივია. უკანასკნელ დროს თეატრი შეივსო ნიჭიერი ახალგაზრდობით. პირველ რიგში აღსანიშნავია საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ზ. ანჯაფარიძე. ძნელია საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის სახელგანთქმული მომღერლის დავით ანდღულაძის შემდეგ მაყურებელი მოხიბლო აბესალომის როლში. და მაინც ზ. ანჯაფარიძემ ყურადღება მიიპყრო. მას სიამოვნებით უსმენენ. ეჭვი არ არის, რომ დროთა განმავლობაში მომღერალი განავითარებს კარგ მონაცემებს, და კიდევ უფრო სრულყოფს აბესალომის მომხიბვლელ სახეს.

მშვენივრად მიჰყავს მურმანის როლი საქართველოს სსრ სახალხო არტისტს ბ. კრავეიშვილს. მაყურებელს იპყრობს დიდი შინაგანი ძალით შესრულებული აბესალომისა და მურმანის სცენა. მაგრამ მინდა ვურჩიო სპექტაკლის დირიჟორსა და მსახიობებს ნუ გაიმეორებენ ამ სცენას, რადგან ეს სცენს სპექტაკლის ღირსებას, არღვევს მოქმედებას, რაც სრულიად დაუშვებელია აკადემიურ თეატრში. ოპერა ხომ ესტრადა არ არის!

თ. თაქთაქიშვილი — ეთერის ხმა თანაბარია ყველა რეგისტრში და მსახიობი ძლიერ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. მაროს როლში კი („დაისი“) მსახიობი გვხიბლავს დახვეწილობით და უბედური ქალიშვილის სახის ღრმა გაგებით.

ბათუმელი მაყურებელი დიდად გაახარა

ახალგაზრდა მომღერლის ნოდარ ანდღულაძის შიერ მშვენივრად შესრულებულმა მალხაზის როლმა „დაისში“. იგი შესანიშნავ ვოკალურ მასალას ფლობს, გარეგნობაც ხელს უწყობს და უდაოა, რომ ბეჯითი მუშაობით მისგან დიდი მომღერალი გამოვა.

შესანიშნავი ტემბრის ბარიტონის მქონე საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი პ. ამირანაშვილი შეუდარებელია კიაზოს როლში. წარმატება ხვდათ წილად აგრეთვე საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტებს ვ. ხამაშურიძეს (ცანგალა), შ. ვაშალომიძეს (ტიტო), მსახიობ ა. მურადოვას (ნანო) და სხვ.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტს დ. მირცხულავას საქმის ცოდნით მიჰყავს სპექტაკლი. იგი ხაზს უსვამს ყოველ ნუანსს და ფიორიტურას, რომლებითაც ასე მდიდარია ზ. ფალიაშვილის მუსიკა. მკაფიო, ნათელი დიქციით და უაღრესად ზუსტი ინტონაციით ჟღერს გუნდი (ქორმაისტერი საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ე. ტერიშვილი). ცეკვის დახვეწილობა და სიზუსტე, განსაკუთრებით ეს მამაკაცთა ჯგუფზე ითქმის, ნათლად მეტყველებს, რომ ქართული ბალეტი მეტად ძლიერია.

გასტროლებზე წარმოდგენილი იყო პ. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“. სპექტაკლი კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. დამაკმაყოფილებლად მიჰყავდა ტატიანას პარტია კარგი ხმით დაჯილდოებულ ო. კუზნეცოვას.

კარგია ოლგას როლში ტ. მალიშევა. იგი სცენაზე თავისუფლად გრძნობს თავს, ხოლო მისი ხმა სასიამოვნოდ ჟღერს. საკმაოდ სცენური და კორექტულია რ. გელოვანი ძიძის როლში. გემოვნებით ასრულებს ტრიკეს როლს ზ. სვანიძე. მშვენიერია ა. გრიგორიევი ზარეცკის როლში.

როგორც ხმით, ასევე გარეგნულად მოწოდების სიმაღლეზე დგას თ. მუშკუდიანი (გრემინი). რაც შეეხება ონეგინსა და ლენსკის, მათზე ბოლოსთვის საგანგებოდ შემოვინახეთ სიტყვა. შ. კიკნაძე (ონეგინი) კარგ მასალას ფლობს. მისი ბარიტონი ყველა რეგისტრში თანაბარია, ოღონდ საჭიროა მეტი ყურადღება მიაქციოს მოძრაობის პლასტიკას. იგი ნაკლებად ჰგავს დენდს.

რაც შეეხება თ. ზაალიშვილს (ლენსკი), როგორც ჩანს, იგი ახალბედაა სცენაზე. მიუხედავად ამისა, კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. მას პატარა, მაგრამ სასიამოვნო ლირიკული ტენორი აქვს. უეჭველია, რომ იგი თანდათან შეეჩვევა სცენას, ხმაც დაუდგება და კიდევ ერთი კარგი მომღერალი შეემატება ქართულ ოპერას.

ქართული ოპერის თეატრმა წარმატებით განახორციელა აგრეთვე დასავლეთ ევროპის კლასიკოსთა ოპერები, მხედველობაში მაქვს „ტრავიატა“ და „რიგოლეტო.“

„ტრავიატაში“ პირველ რიგში მინდა აღვნიშნო საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ბ. კრავეიშვილი ჟერმონის როლში. ლამაზად ჟღერს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ნ. ხარაძის (ვიოლეტა) ხმა. სასიამოვნო ტემბრით მღერის საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ა. ჩაკალიდი (ალფრედი).

ქების ღირსია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ვ. ფალიაშვილის დირიჟორობა.

— შესანიშნავია! — ეს სიტყვაც კი ვერ გამოხატავს იმ აღტაცებას, რასაც საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი პ. ამირანაშვილი იწვევს რიგოლეტოს როლში. ევროპის რომელიც გნებავთ თეატრი ბედნიერებად ჩათვლიდა ენახა როლის ასეთი ინტერპრეტაცია და მოესმინა ასეთი ჟღერადობის ხმა.

მსახიობ ნ. ტუღუშს (ჯილდა) აქვს ვერცხლის ელფერის კოლორატურა და სუფთა ინტონაცია, სცენური მიმოხრა — სადა და სასიამოვნო. მას კარგი მომავალი აქვს.

კორექტულად და მონდომებით მიჰყავს ჰერცოგის როლი მსახიობ ა. გაგუას.

მკაფიოდ და ლამაზად ჟღერს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის მ. პოპოვას ხმა მონტერონეს მეტად რთულ პარტიაში.

ბათუმელ მაყურებელს და ბათუმის სტუმრებს დიდხანს ემახსოვრებათ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ბრწყინვალედ ჩატარებული გასტროლები.

სამწუხაროდ, ოპერის თეატრი ბათუმის იშვიათი სტუმარია და კარგი იქნება, თუ უფრო ხშირად ეწვევა მას და გაახარებს ახალ-ახალი წარმატებებით.

**ძსენია კომისაროვა,**
**რსფსრ დამსახურებული არტისტი, ლენინგრადის ლენინის ორდენოსანი აკადემიური ოპერის მცირე თეატრის სოლისტი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აჭარის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის გასტროლები

## მსახიობის დღიურიდან

მივდივართ საგასტროლოდ! — ეს ხომ ჩვენი სანუკვარი ოცნება იყო. ამისთვის დიდხანს ვემზადებოდით. გადავახალისეთ რეპერტუარი, კიდევ უფრო დავხვეწეთ თვითეული სიმღერა თუ ცეკვა.

25 თებერვალს უკვე ბათუმის რკინიგზის სადგურზე ვართ. ვაგზალი გაჭედილია გამცილებლებით. მოაქვთ ცოცხალი ყვავილების თაიგულები. გვეხვევიან მეგობრები და ნათესავები, გვილოცავენ გზას და გვისურვებენ წარმატებებს. მხიარულ განწყობილებას წამიერად არღვევს უკანასკნელი ზარი, ვტოვებთ საყვარელ ქალაქს.

სოხუმი. ბაქანზე ნამდვილი ზეიმი გაიმართა. გულთბილად დაგვიხვდნენ აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის, სახელმწიფო ფილარმონიის, სახელმწიფო თეატრის წარმომადგენლები. მეგობრულ საუბარში შეუმჩნევლად მოაღწია გამგზავრების ჟამმა. ისევ გულთბილი გაცილება, წარმატების სურვილები...

დონბასი, მეშახტეთა ქალაქი ილოვაისკი. აი კულტურის სახლიც. პირველ კონცერტზე იმდენი ხალხი მოვიდა, რომ ათასორასადგილიან დარბაზში ტევა არ იყო.

ფარდა აიხადა, მაყურებელი ტაშით შეხვდა ანსამბლის გამოჩენას.

გუნდმა პირველ ნომრად ქართულ, რუსულ და უკრაინულ ენებზე შეასრულა მისასალმებელი სიმღერა. მაყურებელი მოიხიბლა ქორეოგრაფიული სურათით „საქორწილო“.

პირველივე კონცერტზე დიდი წარმატება ხვდათ მოცეკვავეებს საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს ფ. კობალაძეს, თ. მიქელაძეს, ვ. შალიკაშვილს, გ. მიქაძეს, ს. ჭანტურიშვილს, თ. ჯახუტაშვილს, ხ. დოლიძეს, ვ. ინგოროყვას, დ. სარდანიშვილს, ი. ტრაპაიძეს და სხვ., მომღერლებს ვ. ლომთაძეს, ი. კალანდაძეს, ტ. დავითულიანს, ნ. ჩარექაშვილს, გ. ეგუტიძეს და სხვ., დამკვრელებს ბ. გოგბერიძეს და პ. მოვსესიანს.

3 მარტი. მეორე მეშახტეთა ქალაქი ჩისტიაკოვო. დარბაზში ბუზის გაფრენას გაიგონებ. სულგანაბული გვისმენენ. ყველას სახეზე აღტაცებაა გამოხატული. ფარდა ეშვება, მაგრამ კონცერტი ამით არ მთავრდება. მაყურებლებს სურთ სიტყვით გამოხატონ მდიდარი შთაბეჭდილება. სიტყვა წარმოთქვა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. პილიპასმა. „წილად მხვდა ბედნიერება დავსწრებოდი თქვენი ანსამბლის კონცერტს. არ შემიძლია უზომო აღტაცება არ გამოვთქვა იმ დიდი ოსტატობის გამო, რაც პირველად გვიჩვენეს ქართული კულტურის წარმომადგენლებმა... იმედი გვაქვს მომავალშიც ხშირად გვესტუმრებით...“

ვ. პილიპასმა ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელს მ. ჩხიკვიშვილს გადასცა კოლექტივისადმი მიძღვნილი საპატიო საჩუქარი — საგანგებოდ დამზადებული მაღაროელის ფარანი.

ქალაქი გორლოვკა. ჩვენს ჩასვლას ღირსშესანიშნავი ისტორიული თარიღი დაემთხვა. მეშახტეები ქალაქის ერთ-ერთი უძველესი მაღაროს „კოჩეგარნაიას“ არსებობის 100 წლისთავს ზეიმობდნენ.

დონბასის საზოგადოებრიობა ყველგან დიდი ინტერესით ხვდება ჩვენს გასტროლებს. სადაც არ ჩავედით — ილოვაისკში, ჩისტიაკოვოში, დებალცევოში, სლავიანსკში, კრამატორსკში, კონსტანტინოვკაში, გორლოვკაში, როვენკიში, იასენოვკაში, სტალინოში, ვოროშილოვგრადსა თუ სხვა ქალაქებში, ყველგან სიხარულითა და აღფრთოვანებით მიგვიღეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრმა დონბასელმა პირველად ნახა ტემპერამენტიანი და მიმზიდველი ქართული ცეკვები, მოისმინა საამო სიმღერები. კონცერტებს ყველგან დიდი წარმატება აქვს. მაყურებლები ხანგრძლივი ტაშით გვაჯილდოებენ და რამდენჯერმე გვამეორებინებენ ცალკეულ ნომრებს.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ ჩვენს მიერ უკრაინულ ენაზე შესრულებული სიმღერები „ჰანძია“ და „ბანდურა.“ მათ ხშირად გვამეორებინებენ.

ქორეოგრაფიული ჯგუფი დიდი ოსტატობით ასრულებს ქართულ ხალხურ ცეკვებს „განდაგანს“, „ხორუმს“, „ყაზბეგურს“, „ფარიკაობას“, „მთიულურს,“ ხალხური ჰუმორით გამთბარ „ქართულ ჭიდაობას“, აგრეთვე რუმინულ ქორეოგრაფიულ სუიტას და სხვა ცეკვებს. განსაკუთრებულ აღტაცებას იწვევს „განდაგან“ და „მთიულური“.

ანსამბლის წარმატებას ხელს უწყობს ინსტრუმენტული ჯგუფის მიერ სუფთად და მწყობრად შესრულებული აკომპანემენტი.

ჩვენს კონცერტებს გულთბილად ეხმაურება პრესა. გაზეთი „სოციალისტური დონბასი“ აღნიშნავს: „განსაკუთრებით მელოდიურია ქართული სიმღერები თავისი სიტკბოებით. მომღერლები თანაბარი სიყვარულით ასრულებენ თავის შობლიურ სიმღერებთან ერთად სხვა მოძმე ერებისა და დემოკრატიული ქვეყნების ხალხთა სიმღერებს.

აღმაფრთოვანებელია აგრეთვე ქორეოგრაფიული ჯგუფის დიდი ოსტატობით დემონსტრირებული ცეკვები, ცეცხლოვანი ტემპერამენტითა და ვირტუოზული ტექნიკით, რაც მაყურებლის არნახულ აღტაცებას იწვევს.

დიდი შთაბეჭდილება დატოვა აგრეთვე ეროვნული კოსტიუმების მხატვრობამ.“

ყირიმი. ოლქის ქალაქების საკონცერტო დარბაზებსა და თეატრებში ათ დღეს გრძელდებოდა ჩვენი გამოსვლები. ათივე კონცერტს დიდძალი ხალხი დაესწრო ყველგან — სიმფეროპოლსა და ევპატორიაში, იალტასა და სევასტოპოლში, ფეოდოსიასა თუ ჯანკოიში, ქერჩსა თუ სხვაგან.

კონცერტის მსვლელობის დროს მაყურებლები წერილობით ითხოვენ ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვების „სულიკოს“, „ციცინათელას“, „განდაგანის“, „ხორუმის“ განმეორებით შესრულებას.

იალტა. კონცერტი დამთავრდა. ყირიმის ოლქის კულტურის მუშაკთა სახელით სცენაზე მისასალმებლად ამოვიდნენ რეჟისორი ა. ივანოვი და ყირიმის საოლქო ფილარმონიის დირექტორი ვ. კოროსტინი.

რეჟისორმა ა. ივანოვმა ილაპარაკა რუსი და ქართველი ხალხების კულტურის მჭიდრო კავშირზე. „ქართველი მსახიობების ჩამოსვლა ამაღელვებელი მოვლენაა ყირიმელთა ცხოვრებაში, — თქვა მან. — მაშინ, როდესაც მოსკოვში მიმდინარეობს საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა, დიდმნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში, ჩვენც თქვენი ანსამბლის მეშვეობით დიდი ინტერესით ვეცნობით აჭარაში ქართული სოციალისტური კულტურის განუხრელ აღმავლობას.“

თავისუფალ დროს ვათვალიერებთ ღირსშესანიშნაობებს. ვნახეთ მხატვარ-აკადემიკოსის ი. აივაზოვსკის სამხატვრო გალერეა, სიმფეროპოლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ქერჩის ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი, მთა მითრიდატზე აღმართული „დიდების ობელისკი,“ იალტის ჩეხოვის სახლ-მუზეუმი, ევპატორიაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახვითი ხელოვნების მოძრავი გამოფენა და რუსეთ-ოსმალეთისა და დიდ სამამულო ომთან დაკავშირებული ისტორიული ადგილები.

კიევი. უკრაინის დედაქალაქში ექვსი კონცერტი გავმართეთ.

მივემგზავრებით ხერსონში. ეს ქალაქი სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული ჩვენს მშობლიურ ბათუმთან. სადგურის ბაქანზე ჩვენს შესახვედრად მოვიდნენ კულტურის მუშაკები.

10 აპრილი. ფილარმონიის თეატრში ტევა არ არის. კონცერტს ესწრება ბულგარეთის მეზღვაურთა დელეგაცია. მისასალმებელი სიმღერის შემდეგ გაისმის ზ. ფალიაშვილის „ოქტომბრის რევოლუციის კანტატა“ და დარბაზში ხანგრძლივმა ტაშმა იჭექა.

კონცერტზე შევასრულეთ აგრეთვე მოძმე უკრაინელი ხალხისა და სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების ხალხთა სიმღერები და ცეკვები.

ბულგარელ მეზღვაურებს განსაკუთრებით მოეწონათ ცეკვა „მთიულური.“

კონცერტი დამთავრდა. სცენაზე ამოდის ხერსონის კულტურის საოლქო სამმართველოს უფროსი მ. ბუჩინსკი. მას ცვლის ბულგარელი მეზღვაური პ. სტოიანოვ-რადევი. მან თქვა: „ჩვენ დღეს წილად გვხვდა ბედნიერება დავსწრებოდით ქართული ანსამბლის კონცერტს. არ შემიძლია უაღრესი მადლობა არ გამოვთქვა შესრულების იმ მაღალი ოსტატობის გამო, რომელიც თქვენი შემწეობით ვიხილეთ.“

11 აპრილი. კონცერტი ხერსონის საოლქო ოფიცერთა სახლში. მაყურებელთა შორის იყო ჩვენს მიერ მოწვეული ბელოზერსკის რაიონის სოფელ ბელოსორკაის ბათუმის რაიონის სახელობის კოლმეურნეობის დელეგაცია. დე-

ლეგაციის ყველა წევრმა საგანგებოდ ჩაიცვა უკრაინული ეროვნული ტანსაცმელი. კონცერტის შემდეგ ისინი სცენაზე ამოვიდნენ და უკრაინული სტუმარ-მასპინძლური ჩვეულებების მიხედვით მოგვართვეს „პურ-მარილი“. მაყურებელი მჭუხარე ტაშით შეხვდა ამ ცერემონიალს.

მისასალმებელი სიტყვებით მოგვმართეს ბელოზერსკის რაიონის კომკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენელმა აზა კურსმა და მოწინავე მწველავმა ლიდია კალაბინამ.

კულტურის საოლქო სამმართველოს წარმომადგენელმა გ. ევსეევმა ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს მ. ჩხეიძეს და ქორეოგრაფს საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს ე. ხაბაძეს გადასცა ხერსონის კულტურის საოლქო სამმართველოს საპატიო ქების სიგელი.

ანსამბლის სახელით უკრაინულ ენაზე საპასუხო სიტყვა წარმოთქვა პროგრამის წამყვანმა ი. იალოვეცმა. დასასრულ სტუმრების პატივსაცემად მოცეკვავეებმა ერთხელ კიდევ შეასრულეს „მთიულური.“

პარტიის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს ინიციატივით, კონცერტი გავმართეთ ხერსონის ა. ციურუპას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სააქტო დარბაზში. ეს კონცერტიც ხალხთა ურღვევი მეგობრობის ნიშნით ჩატარდა. დარბაზი, რომელიც ათასხუთას კაცს იტევს, გაჭედილი იყო. ესწრებოდნენ პარტიული და პროფკავშირული აქტივისტები, სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები. აქაც ბევრი ნომერი გაგვამეორებინეს.

კონცერტის დასასრულს მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ უკრაინის კომპარტიის ხერსონის საქალაქო კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე ალექსანდრა ლუკანოვა, ხერსონის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი ალ. ნაუმენკო, ინჟინერი ვ. ბლიუმერი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი მ. დავიდოვი, ბელოზერსკის რაიონის ოქტომბრის 40 წლისთავის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ნ. მაკუშენკო.

ყველა მათგანმა დიდი აღტაცება გამოთქვა. გადმოგვცეს ქების სიგელები და საჩუქრები, სახელდობრ, ქების სიგელები მივიღეთ ხერსონის ა. ციურუპას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისაგან, ხერსონის ოლქის ბელოზერსკის რაიონის ოქტომბრის 40 წლისთავის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობისაგან. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებმა გვიძღვნეს უკრაინული პოეზიის ანთოლოგიის ტომები, ხოლო ხერსონის მშრომელებმა ანსამბლის სოლისტი — უკრაინული სიმღერის „ჰანძიას“ შემსრულებელი ვალენტინა ლომთაძე დაასაჩუქრეს უკრაინელი ქალის ეროვნული ტანსაცმლით.

23 აპრილი. ეს დღე ჩვენთვის დაუვიწყარია. ქართველებისათვის დიდად საყვარელ მირგოროდს — დავით გურამიშვილის მეორე სამშობლოს ვეწვიეთ. გავმართეთ კონცერტი. იმ შთაბეჭდილებაზე, რაც ამ კონცერტმა მოახდინა, მკაფიოდ მეტყველებს უკრაინის კომპარტიის მირგოროდის რაიონული კომიტეტის მდივნისა და რაიაღმასკომის თავმჯდომარის დეპეშა, რომელიც მათ აჭარის საოლქო კომიტეტსა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს გამოუგზავნეს.

„ქართველი ხალხის შესანიშნავმა თვითმყოფმა ხელოვნებამ, რომელიც თქვენმა ნიჭიერმა ანსამბლმა უჩვენა ქალაქ მირგოროდის მშრომელებს, მირგოროდელების დამსახურებული ქება და აღტაცება გამოიწვია. გულითად მადლობას გიძღვნით შესანიშნავი კოლექტივის გამოგზავნისათვის, რომელმაც თავისი უკრაინელი ძმების სიყვარული მოიხვეჭა.“

ვინახულეთ და გვირგვინით შევამკეთ დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის საფლავი. გვირგვინს ასეთი წარწერა ჰქონდა:

„ჩვენს ძვირფას თანამემამულეს დავით გურამიშვილს. რომ შეგეძლოს ჩვენო სასიქადულო პოეტო წუთით თვალების გახელა, ნახავდი როგორი პატივისცემით გეპყრობიან ჩვენი უკრაინელი ძმები, ნახავდი რარიგ ბედნიერია შენი ქართველი ერი საბჭოთა კავშირის ხალხთა თავისუფალ ოჯახში, რომელიც აშენებს კომუნიზმს — კაცობრიობის ბედნიერებას.

აჭარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კოლექტივისაგან.“

გურამიშვილის საფლავთან მიტინგი გახსნა პარტიის მირგოროდის რაიონული კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგემ ნ. გუბერსკიმ. სიტყვებით გამოვიდნენ ანსამბლის დირიჟორი აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი მ. კილაძე, დავით გურამიშვილის სახელობის სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე თამარ კულიკი.

მიტინგის შემდეგ შევასრულეთ დ. გურამიშვილისადმი მიძღვნილი სიმღერა.

უკვე მოლდავეთში ვართ. კონცერტებს ვმართავთ კიშინიოვში, ტირასპოლში, ბელცში, ბენდერსა და სხვა ქალაქებში.

მაყურებლები ყველგან სიხარულითა და აღტაცებით ეგებებიან ქართული ხელოვნების

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმომადგენლებს. ახარებთ ანსამბლის მიერ შესრულებული მოლდავური სიმღერა „კლაუ ჟელკა.“

კიშინიოველი მაყურებლის შთაბეჭდილება გამოთქვა კულტურის სამინისტროს წარმომადგენელმა ი. ჩამოდანმა: „დღევანდელი დღე ყველასათვის დიდად დასამახსოვრებელია. იგი ქართველი და მოლდაველი ხალხების უსაზღვრო მეგობრობის დადასტურებაა. თქვენი ჩამოსვლა მოლდავეთში დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში.“

მივემგზავრებით იმიერ-კარპატებში. უჟგოროდელი მშრომელები დიდი ხანია ემზადებოდნენ ჩვენი ანსამბლის შესახვედრად. ეს იყო ნამდვილად მეგობრული შეხვედრა. მთელ ოლქში ყველა კონცერტის ბილეთები წინასწარ გაიყიდა.

პირველ კონცერტს ვმართავთ ლესია უკრაინკას სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის საზაფხულო თეატრში.

იმიერ-კარპატებში ჩვენი ყოფნისას ჩამოვიდა მოსკოვის კინომსახიობთა ჯგუფი, რომელიც მონაწილეობდა ახალი კინოფილმის „ტისაზე“ გადაღებაში.

ანსამბლის შთაბეჭდილებათა წიგნში სახელმოხვეჭილმა კინომსახიობმა რსფსრ სახალხო არტისტმა სტალინური პრემიის ლაურეატმა ნიკოლოზ კრიუჩკოვმა ჩასწერა:

„საყვარელო მეგობრებო! დიდი კმაყოფილებით ვუყურე და მოვისმინე ქ. ხუსტაში გამართული თქვენი კონცერტი. გულითად მადლობას გიძღვნით სიამოვნებისათვის. ნება მიბოძეთ, მოგილოცოთ დღევანდელი და მომავალი შემოქმედებითი წარმატებანი. თქვენი სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ნიკოლოზ კრიუჩკოვი, 13. 5. 58 წ. ქ. ხუსტა“.

თითქმის ერთი თვე დასავლეთ უკრაინაში ვიყავით. გამოვედით ჩერნოვიცის, ვინიცის, დროგობიჩის, ხმელნიცკის, ჟიტომირის, ვოლინის, ლვოვისა და სხვა ოლქების ქალაქებსა და მუშათა დაბებში.

უკრაინელებს ძალზე მოსწონთ ქართული სიმღერები „მისალმება“, „ჩემი ლამაზი ქვეყანა“, „აჭარა“, უკრაინული სიმღერები „ბანდურა“ და „ჰანძია,“ ცეკვები „საქორწილო“, „ყაზბეგური,“ „სვანური,“ „განდაგან“, „ხორუმი,“ „მთიულური“ და სხვ.

დასავლეთ უკრაინაში გასტროლების გამო გაზეთები დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდნენ. ლვოვის საოლქო გაზეთი „ლვოვსკაია პრავდა“ წერდა:

„ბ. ხმელნიცკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის მწვანე თეატრში გამართა აჭარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტები, რომლებსაც უამრავი ხალხი დაესწრო. ფარდის ახდისას ლვოველმა მაყურებლებმა სცენაზე პირველად ნახეს კავკასიის დათოვლილი მთები, ბარის ბუნება ულამაზესი ველებითა და ხეობებით, მარადმწვანე სუბტროპიკები და თვალუწვდენელი ლურჯი ზღვა.

მაყურებლები არაერთხელ ხანგრძლივი აპლოდისმენტებით აწყვეტინებდნენ სტუმრებს მელოდიურ სიმღერებსა და ტემპერამენტიან ცეკვებს... კონცერტებმა დიდი წარმატებით ჩაიარა.“

შემოქმედებით მუშაობასთან ერთად ქალაქებში ჩერნოვიცაში, დროგობიჩში, უჟგოროდში, ლვოვში მოვაწყვეთ ექსკურსიები მუზეუმებსა და ისტორიულ ადგილებში.

ჩვენს კონცერტებს დიდი ინტერესით შეხვდნენ ბელორუსიაშიც, მათ შორის მინსკში, ვიტებსკში, გომელში.

გამოვედით მინსკის ტელეხედვაში.

ბელორუსიიდან გავემგზავრეთ ლიტვის საბჭოთა რესპუბლიკის დედაქალაქ ვილნიუსში. ბალტიისპირეთში ჩვენი ანსამბლი პირველადაა. მაყურებლები გულწრფელ აღტაცებას გამოთქვამენ: „ანსამბლის მიერ შესრულებულ სიმღერებთან ერთად განსაცვიფრებელია ქორეოგრაფიული ჯგუფის მიერ შესრულებული სანაქებო ცეკვები „განდაგან“, „ხორუმი“, „სვანური“, „ყაზბეგური“, „მთიულური“. ამ ცეკვებში ნათლად ჩანს პირველ ყოვლისა ქართველი ხალხის მამაცობა, უშრეტი ენერგია, არაჩვეულებრივი ცეკვის ტექნიკა, მგზნებარე ტემპერამენტი. დღევანდელმა კონცერტმა ჩვენ ერთმანეთს შეგვახვედრა და სამუდამოდ დაგვამეგობრა.“

გამოვდივართ რესპუბლიკის დიდ საწარმოო ქალაქებში კაუნასსა და შაულიაში.

დაუვიწყარია ანსამბლის გამოსვლა კაუნასის დახურულ სტადიონზე. კონცერტს ათიათასამდე მაყურებელი ესწრება.

შეუნელებელი ინტერესით ესწრებიან ჩვენს კონცერტებს ლატვიაშიც.

რიგაში სატელევიზიო სტუდიისა და მშენებელთა ცენტრალური კლუბის ინიციატივით მოეწყო ანსამბლის შეხვედრა ქალაქის მშენებელთა ორგანიზაციის მოწინავე მუშებთან და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალთან. შეხვედრას ესწრებოდნენ რიგის სატელევიზიო სტუდიის შემოქმედებითი მუშაკები.

საღამო-კონცერტი მთლიანად გადასცეს ტელეხედვით.

საინტერესო იყო ქალაქ ლიეპაიში ბალტიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეზღვაურთათვის გამართული საშეფო კონ-ცერტი. მეზღვაურთა სახელით მადლობა გადაგვიხადა ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის სამხედრო ნაწილის პოლიტგანყოფილების უფროსმა ვ. ტოკუნმა:

„ჩვენ, ფლოტელები, დიდ აღტაცებას გამოვთქვამთ ქართული ხელოვნების დიდი ოსტატობის გამო, რაც დღეს თქვენ პირველად გვიჩვენეთ. უსაზღვროდ მოგვეწონა თქვენი სიმღერები და ტემპერამენტითა და მაღალი ტექნიკით შესრულებული ცეკვები. გიძღვნით ჩვენს ბალტიურ მადლობას, გისურვებთ შემოქმედებით წარმატებებს.“

კონცერტის შემდეგ კოლექტიურად დავათვალიერეთ წყალქვეშა ნავი.

შევხვდით ჩვენს თანამემამულეებს, რომლებიც სამხედრო ვალდებულებას ბალტიისპირეთში იხდიან, მათ შორის ხულოელ დავით შაინიძეს, შუახეველ იოსებ ქათამაძეს, ქედელ ირაკლი ვერძაძეს, ქობულეთელ შოთა ვერულიძეს და სხვ. ისინი თითქმის ყველა კონცერტს ესწრებოდნენ და დიდად ახარებდათ ჩვენი წარმატებები.

* * *

გასტროლები მთავრდება. მივემგზავრებით სოციალისტური სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში.

23 ივნისი. მოსკოვის ძერჟინსკის სახელობის რკინიგზელთა ცენტრალური კლუბი „ავსენ“ მაყურებლით. კონცერტს აგრეთვე ესწრებიან უცხოეთის დელეგაციათა წარმომადგენლები.

სცენაზე ანსამბლის გამოჩენისას დარბაზში მქუხარე ტაშმა იფეთქა. მკაცრი გამოცდა ჩაბარებულია. მოსკოველი მაყურებელი კმაყოფილია ჩვენი ხელოვნებით. ეს მეტად დიდი წარმატებაა და ჩვენი სიხარულიც უსაზღვროა.

ვათვალიერებთ დედაქალაქის ისტორიულ ადგილებს, ვეწვიეთ ლენინისა და სტალინის მავზოლეუმს, ვიყავით კრემლში, საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

და აი ისევ მშობლიური ბათუმი. აქ უკვე მოუღწევია ჩვენი წარმატების ამბავს. აღტაცებით გვეგებებიან, გვილოცავენ. კარგია მოგზაურობა, მაგრამ შინ დაბრუნებას არაფერი სჯობია.

ახლა უკვე შეიძლება შემოქმედებითი მუშაობის შეჯამება: ასამდე კონცერტი ნახა ასორმოცდაათი ათასამდე მაყურებელმა. ეს იმას ნიშნავს, რომ ანსამბლის დაძაბულ შემოქმედებითს მუშაობას, ყველა მონაწილის დაუცხრომელ სწრაფვას — რაც შეიძლება სრულყოფილად გამოევლინებინა ქართული სიმღერისა და ცეკვის მომხიბლაობა, ამაოდ არ ჩაუვლია.

**ვარლამ გაგბისონია,**
**აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როცა იბრძოდნენ საჭადრაკო დაფაზე

ქართული ჭადრაკის მემატიანე ალბათ ჩაიწერს: „1958 წლის სექტემბერი. ბათუმი“. ეს არცთუ უმნიშვნელო თარიღია ჭადრაკის მოყვარულთათვის. მთელი ქალაქის მკვიდრნი და მათი სტუმრები ძლიერ გაიტაცა ჭადრაკმა. ბათუმში პირველად ტარდებოდა საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალთა XX პირველობის ერთ-ერთი ნახევარფინალი. თითქმის სამი კვირის მანძილზე ჩვენი ქვეყნის 14 უძლიერესი მოჭადრაკე ფილარმონიის საზაფხულო თეატრში იბრძოდა პირველი ოთხი ადგილისათვის — ფინალში მონაწილეობის უფლებისათვის. როგორც უკვე ცნობილია, სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლისათვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს ნ. გაფრინდაშვილმა, ვ. ტიხომიროვამ, ა. ჩაიკოვსკაიამ და თ. სტრანდსტრემმა.

ბათუმელებს არასოდეს არ დაავიწყდებათ ეს დღეები, ალბათ, არაერთხელ გასტეხიათ ღამე, ჭადრაკზე თუ თავის ფავორიტზე ფიქრით. თვით მოჭადრაკე ქალებსაც დიდხანს ეხსომებათ ასპარეზობა ბათუმში.

აი რამდენიმე ჩანახატი, რომელიც ნაწილობრივ მაინც აღადგენს საჭადრაკო დაფებზე გამართულ ბრძოლას.

## ჯადოსნური სიტყვები

მაყურებლები ღელავენ, ყრუდ ხმაურობენ, აქა-იქ ისმის შეძახილები. ყველანი გატაცებით ადევნებენ თვალს ავანსცენაზე დადგმულ სადემონსტრაციო დაფას, რომელზედაც ნონა გაფრინდაშვილისა და ვერა ტიხომიროვას პარტიას უჩვენებენ. ჩვეულებრივ ძალზე მოშთმენი და მშვიდი მაყურებლებიც კი წონასწორობიდან გამოიყვანა ნონას მოულოდნელმა კომბინაციამ. მან გაბედულად შეწირა ლაზიერი კუში.

ყოველ სვლაზე დარბაზი სულ უფრო საფუტკრეს ემსგავსებოდა. სულწასული გულშემატკივრები ხმამაღლა უზიარებდნენ თავიანთ შეხედულებას უცნობ მეზობელს, ხოლო თუ თვალს მოჰკრავდნენ ნაცნობს და ისიც მოჭადრაკეს, შურდულივით მიჰქროდნენ მისკენ. მსაჯთა კოლეგიამ არაერთხელ სთხოვა მაყურებლებს, დაწყნარდითო, მაგრამ ამაოდ.

ამ ამბებმა გამახსენა 1956 წელი, როცა თხუთმეტი წლის გაფრინდაშვილი — მაშინ უკვე თბილისისა და საქართველოს ჩემპიონი პირველად მონაწილეობდა ნახევარფინალში და წარმატებით ლიდერობდა. თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში უფრო დიდი ხმაური იდგა. რუსთაველის პროსპექტზე ხშირად ფერხდებოდა ტროლეიბუსისა და ავტობუსის მოძრაობა. გარეთ დარჩენილ ჭადრაკის მოყვარულებს ეკავათ ქუჩის დიდი ნაწილი ახალი ამბის მოლოდინში.

ახლაც ისმოდა შეკითხვები: სწორად შეწირა თუ არა ნონამ ლაზიერი, ნეტავ რა ჩაიფიქრა? მალე ყველაფერი გაირკვა გაფრინდაშვილის სასარგებლოდ, მაგრამ დარბაზი კვლავინდებურად ღელავდა. საჭირო იყო მისი დაწყნარება, თორემ თამაში უნდა შეწყვეტილიყო. მაშინ ტურნირის მთავარმა მსაჯმა ქსენია გოგიავამ, რომელიც არაერთხელ ყოფილა საქართველოს ჩემპიონი, მიმართა გონებამახვილურ ხერხს.

— მეგობრებო, — მიმართა მან ხალხს. — დაწყნარდით, ნონას პარტია მოგებული აქვს და, თუ ხმაურს განაგრძობთ, მოგება არ ჩაეთვლება.

ამ ჯადოსნურმა სიტყვებმა წამსვე გააქვავა დარბაზი. მსაჯს არ ჰქონდა უფლება პარტიის ბედის ასეთი აშკარა განსაზღვრისა, მაგრამ ერთმა დარღვევამ მეორე სიკეთე მოიტანა — მოჭადრაკეებს შეექმნათ თამაშის ნორმალური პირობები.

## ყველაზე პატარა

ტურნირის დაწყებამდე, ვისთვისაც არ უნდა გეკითხათ, თითქმის ყველა პირველი ადგილის მთავარ კანდიდატად ნონა გაფრინდაშვილს ასახელებდა, თუმცა ზოგი ვერა ტიხომიროვას აძლევდა უპირატესობას. ნონასადმი ასეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რწმენის მიზეზი იყო მისი მოკლე, მაგრამ ბელ-ერისმეტყველი სპორტული ბიოგრაფია.

ტურნირის ყველაზე პატარა მონაწილე ნონა გაფრინდაშვილი 17 წლისაა. მან წელს დაამთავრა ვერცხლის მედალზე საშუალო სკოლა და თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში შევიდა.

ახალგაზრდობის მიუხედავად, ნონას მრავალი თვალსაჩინო წარმატება აქვს. იგი ორჯერ მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის პირველობაში და საუცხოო თამაშისათვის შეყვანილია ჩვენი ქვეყნის ნაკრებ გუნდში. ნიჭიერი ქალიშვილის აქტივშია ორი გამარჯვება მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონ ლიუდმილა რუდენკოზე, ორიც — გამოჩენილ ოსტატ ნინო ვოიცეკზე, რუსეთის ოთხგზის ჩემპიონ ვერა ტიხომიროვაზე. დიდი მიღწევებისათვის საჭადრაკო დაფაზე და სკოლაში საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა გ. ჯიბლაძემ ნონა სამახსოვრო ოქროს საათით დააჯილდოვა.

ნონა გაფრინდაშვილი დიდი საჭადრაკო ნიჭითაა დაჯილდოებული. ჭადრაკის თამაში ხუთი წლისამ ისწავლა. სხვათაშორის, მამამისის ტერენტი გაფრინდაშვილის ოჯახში ყველა თამაშობს ჭადრაკს. ნონას სამი უფროსი ძმა პირველთანრიგოსნები არიან, ხოლო უმცროსი ნუგზარი მეხუთე თანრიგისათვის იბრძვის. ჭადრაკით ოჯახის საერთო გატაცებამ დადებითი როლი შეასრულა ნონას ნიჭის გამოვლინებაგანვითარებაში. თერთმეტი წლის ნონა უკვე მონაწილეობდა შეჯიბრებაში და მისმა თამაშმა მიიპყრო ცნობილი მწვრთნელის ვახტანგ ქარსელაძის ყურადღება.

მალე ნონა ზუგდიდიდან გადაჰყავთ თბილისში და იწყებს მეცადინეობას ვ. ქარსელაძესთან პიონერთა სასახლეში. ორი წელი დაძაბული მეცადინეობა და გაფრინდაშვილი გამოდის ვრცელ საჭადრაკო ასპარეზზე. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ბათუმელები მისი გულშემატკივრები გახდნენ და სწამდათ მისი გამარჯვება. ნონამ გაუმართლა მათ იმედები. მან ბრწყინვალედ დაიკავა პირველი ადგილი. ცამეტი შეხვედრიდან ათი გამარჯვებით დააგვირგვინა.

## გულშემატკივრები

უცნაური ხალხია ჭადრაკის გულშემატკივრები. მათ შეუძლიათ 40 წუთი და შეიძლება მეტი დროც გარინდული ელოდონ სადემონტრაციო დაფაზე ერთი სვლის გამოჩენას, როცა ფეხბურთის გულშემატკივარს ამ ხნის მანძილზე ერთი ტაიმის ბევრი სახიფათო მომენტი ექნება უკვე განცდილი. არიან ჭადრაკის გულშემატკივართა შორის სულწასულებიც. მათი სკამზე მიკვრა შეუძლია მხოლოდ ორმაგ კომბინაციებს. ბათუმის ნახევარფინალზე ჩვენ ვიხილეთ გულშემატკივართა ახალი ტიპი, რომლებმაც, მართალია, არ იციან თამაში, მაგრამ საათობით ადევნებენ თვალყურს მის მსვლელობას.

ნახევარფინალის მონაწილეები ვერ დამდურებიან გულშემატკივრებს. ვის არ ნახავდით დარბაზში: აკარის პოეტებსა და მწერლებს, მსახიობებსა და მუსიკოსებს, ბაზრიდან ნავაჭრი სანოვაგით გამოვლილ დიასახლისებს თუ პატარა პიონერებს. ბევრი იყვნენ უცხოელი სტუმრებიც. მათ შეემატნენ ბათუმში საგასტროლოდ ჩამოსული თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობები და მუსიკოსები. საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი პ. ამირანაშვილი, საქართველოს სახალხო არტისტი ბ. კრავეიშვილი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ვ. ხამაშურიძე და შ. კიკნაძე, მსახიობი გ. ტორონჯაძე და სხვები ნონას გულშემატკივრები იყვნენ. ერთხელ, როცა გაფრინდაშვილმა მძიმე პოზიციაში გადასდო პარტია, ბ. კრავეიშვილს მთელი ღამე არ მოუსვენია. მეორე დღეს ეს პარტია ნონამ მოიგო. მაშინ სახალხო არტისტმა უსაყვედურა მას:

— შენ გენაცვალე, თუ მოგებას აპირებდი, ვერ მითხარი გუშინ, რომ გამაწვალე კაციუძინარმა როგორ ვიმღერო?

ნონას გამარჯვებები მის თაყვანისმცემლებს ახარებდათ, ასალისებდათ...

## ბედნიერი, მაგრამ ბოლოს უკმაყოფილო

ლატვიელ მოჭადრაკეთა სიამაყე მილდა ლაუბერტე დინჯი და, როგორც ექიმს შეფერის, ძალზე თავაზიანი ქალია. იგი საბჭოთა მოჭადრაკეებში ერთადერთია, რომელსაც ჰქონდა ბედნიერება შეხვედროდა მსოფლიოს ჩემპიონ ვერა მენჩიკს.

თუ კი სიტყვა მოჭადრაკე ქალებზე ჩამოვარდება, შეუძლებელია გვერდი აუხვიო ვერა მენჩიკს (1906-1944 წ.წ.), რომელიც შვიდგზის მსოფლიო ჩემპიონია. მენჩიკს დამარცხებული ჰყავს გროსმაისტერები და ოსტატები. საკმარისია გავიხსენოთ მისი ცხოვრებიდან ორი ასეთი პიკანტური ამბავი.

ჰასტინგსში 1932 წელს მენჩიკმა კარგი სტილით დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი ჰოლანდიელი გროსმაისტერი მაქს ეივე. ეს ამბავი სწრაფად გახმაურდა. მეორე დღესვე ჰასტინგსს ჩავიდა ეივეს მეუღლე. მაგრამ რაკი იმ დღეს მენჩიკმა ერთ მამაკაცს კიდევ მოუგო, ეივეს მეუღლე დარწმუნდა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი ქმრის დამარცხებაში არ ერია ინტიმური მიზეზები და დამშვიდებული დაუბრუნდა ოჯახს. აი მეორეც. ერთ-ერთ ტურნირზე ოსტატმა ბეკერმა წინადადება შეიტანა დაარსდეს მენჩიკის სახელობის კლუბი, რომლის წევრად მიიღებენ მხოლოდ იმ მამაკაცებს, რომელთაც მენჩიკი მოუგებსო. პირველსავე ტურში მსოფლიო ჩემპიონმა დაამარცხა ბეკერი და საერთო სიცილში იგი აკურთხეს ახალდაარსებული კლუბის პრეზიდენტად.

მენჩიკს უთამაშია მსოფლიოს ჩემპიონებთან ლასკერთან, კაპაბლანკასთან, ალიოხინთან, ბოტვინიკთან და ბევრ სხვა სახელგანთქმულ გროსმაისტერთანაც.

ლაუბერტემ ერთი პარტია მენჩიკთან ყაიმით დაამთავრა. იმ ტურნირში ლატვიელმა ქალიშვილმა (მაშინ ლაუბერტე 21 წლისა იყო) მეექვსე ადგილი დაიკავა. ახლა? ბოლო ადგილი.

—ეს ჩემი ბრალია, — ამბობდა მისი ქალიშვილი მარი, რომელიც ბათუმში ახლდა დედას. — მე დავნავსე დედა, რადგან პირველი პარტიის დემონსტრაცია დამავალეს. ცხადია, ლაუბერტე რიგაში უკმაყოფილო დაბრუნდა.

## შოკოლადების ძალით

ტურნირში მხოლოდ ერთი ბათუმელი მონაწილეობდა — ალა ჩაიკოვსკაია. მან ეს უფლება მოიპოვა საქართველოს პირველობაზე. რასაკვირველია, ბათუმელებს სურდათ მათი ჩემპიონი გამარჯვებულთა შორის ყოფილიყო. სახლში, რომ იტყვიან, კედლებიც კი გვეხმარებიან. მაგრამ ალას გულშემატკივრებიც უწყობდნენ ხელს. ყოველი პარტიის დროს გაზეთ „ბატუმსკი რაბოჩის“ თანამშრომლებს მორიგეობით მოჰქონდათ ალასათვის თითო შოკოლადი. ეს არც მაინცდამაინც გასაკვირი იყო, ალა ხომ მათი გაზეთის სტამბაში მუშაობს ლინოტიპისტად. მზრუნველობით გამხნევებული ალა მესამე ადგილზე გამოვიდა.

—ეს შოკოლადის ძალით მოპოვებული მიღწევაა. — იხუმრა ერთმა ალას თაყვანისცემელმა. — ორ-ორი შოკოლადი რომ მოგვეტანა, იგი, ალბათ, პირველ ადგილსაც აიღებდაო.

წელს ა. ჩაიკოვსკაია პირველად მიიღებს მონაწილეობას საბჭოთა კავშირის პირველობაში. ასრულდა მისი ოცნება. იგი ფინალში დაიკავებს მშობლიური ბათუმის სპორტულ ღირსებას.

**თენგიზ გიორგაძე,**
**ოსტატობის კანდიდატი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ქართველი პარტიზანები ფაშიზმისაგან იტალიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში“

მეორე მსოფლიო ომის პარტიზანული მოძრაობის შესწავლა საპატიო საქმეა. ამ თემაზე ბოლო დროს როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ მრავალი წიგნი დაიწერა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, იტალიაში პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელის ლუიჯი ლონგოს წიგნი „იტალიელი ხალხი ბრძოლაში“, ცნობილი იტალიელი კომუნისტის რ. ბატალიას მეცნიერული ნაშრომი „იტალიაში წინააღმდეგობის მოძრაობის ისტორია“ და სხვ.

ფაშიზმის განადგურების საქმეში გადამწყვეტი როლი სსრ კავშირმა შეასრულა. ძლევამოსილ საბჭოთა არმიასთან ერთად ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პარტიზანულმა მოძრაობამ, რომელიც ფართოდ გაჩაღდა არა მარტო ფაშისტთა მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, არამედ ევროპის სხვა ქვეყნებშიც. იტალიელ, ფრანგ, იუგოსლავ, პოლონელ, უნგრელ, ბერძენ და სხვა პარტიზანებთან ერთად იბრძოდნენ ფაშისტური ტყვეობიდან თავდაღწეული საბჭოთა მეომრები, და მათ შორის ქართველები.

ამ საკითხს ეხება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ნ. ჭეიშვილის ნარკვევი „ქართველი პარტიზანები ფაშიზმისაგან იტალიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში“, რომელიც აჭარის სახელგამმა გამოსცა მიმდინარე წელს.

ნაშრომი მიზნად ისახავს გვიჩვენოს იტალიაში მოქმედი ქართველი პარტიზანების საბრძოლო საქმიანობა.

ნაშრომი დაწერილია უმთავრესად იტალიიდან ჩამოტანილი დოკუმენტური მასალების, იტალიაში მებრძოლ ქართველ პარტიზანთა დღიურებისა და პირად მოგონებათა საფუძველზე, რომელიც ნ. ჭეიშვილმა შეაგროვა და დაამუშავა. მასალები ამჟამად ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში.

სარეცენზიო ნაშრომში გარკვეულია, თუ როგორ აღწევდნენ თავს გერმანელთა ტყვეობას ქართველი მებრძოლები, როგორ უერთდებოდნენ ისინი იტალიაში მოქმედ პარტიზანულ რაზმებს, როგორ შეჰქმნეს ქართული პარტიზანული რაზმები იტალიელ პარტიზანებთან ერთად. იტალიაში მებრძოლი ქართველი პარტიზანები უმთავრესად გაერთიანებული იყვნენ ი. ბ. სტალინის სახელობისა და კ. ე. ვოროშილოვის სახელობის პარტიზანულ რაზმებში, რომლებიც შედიოდნენ იტალიელი ხალხის ლეგენდარული გმირის გარიბალდის სახელობის დივიზიაში. იტალიელ თანამებრძოლებთან მხარდამხარ ქართველი პარტიზანები გმირულად ებრძოდნენ ფაშისტებს. მათ დამპყრობლებისაგან გაათავისუფლეს იტალიის ბევრი ქალაქი და სოფელი.

ნარკვევში ნაჩვენებია ცალკეული ქართველი პარტიზანების გმირული ბრძოლის არა ერთი ეპიზოდი. ქართველმა პარტიზანებმა მონაწილეობა მიიღეს მუსოლინის დაპატიმრებასა და სიკვდილით დასჯაში, ჩამოაყალიბეს სამხედრო ლაზარეთი, რომელსაც მაქსიმ გორკის სახელი უწოდეს, და სხვ.

ქართველმა პარტიზანებმა თავიანთი გმირული და თავდადებული ბრძოლებით იტალიის მშრომელთა დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს. სარეცენზიო წიგნში მოცემულია მდიდარი ფაქტიური მასალა იმის შესახებ, თუ როგორ აღფრთოვანებული ეგებებოდა ქართველ პარტიზანებს ფაშისტთა უღლისაგან განთავისუფლებული იტალიის მოსახლეობა.

წიგნს დართული აქვს იტალიაში მებრძოლ ქართველ პარტიზანთა საქმიანობის ამსახველი ფოტოსურათები და ილუსტრაციები, რაც მის ღირსებას კიდევ უფრო ზრდის.

ნარკვევი იმ მხრივაც არის საყურადღებო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მასში გამოქვეყნებულია იტალიაში მყოფ ქართველ პარტიზანთა საყურადღებო მოგონებანი და დოკუმენტები.

სარეცენზიო ნარკვევს გააჩნია ზოგიერთი ნაკლიც.

ნაშრომის ერთ-ერთი ნაკლი ის არის, რომ მასში არაა ნაჩვენები იტალიის პოლიტიკური მდგომარეობა მუსოლინის ფაშისტური დიქტატურის უკანასკნელ პერიოდში.

სასურველი იყო ავტორს სარეცენზიო ნაშრომში ზოგიერთი საკითხი განეხილა უფრო ფართოდ სხვა მოვლენებთან დაკავშირებით.

ნარკვევში გვხვდება აგრეთვე ფაქტების მეორება (გვ. 20, 21, 40, 41).

წიგნი არ არის დაზღვეული აგრეთვე ზოგიერთი სტილისტურ-კორექტურული შეცდომისაგან.

საერთოდ, ნ. ჭეიშვილის სარეცენზიო ნარკვევი „ქართველი პარტიზანები ფაშიზმისაგან იტალიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში“ წარმოადგენს ქართული ისტორიოგრაფიის საყურადღებო შენაძენს.

**მიხეილ სვანიძე,**

**ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.**

# საინტერესო საბავშვო წიგნები

ამ ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საბავშვო ლიტერატურის გამოცემა. ბავშვებისათვის სულ უფრო მეტი რაოდენობით გამოდის ლექსები, პოემები, მოთხრობები, ხალხური სიტყვიერების ნიმუშები, იგავ-არაკები, ზღაპრები და სხვ. მათში უმთავრესად ასახულია საბჭოთა ხალხის პატრიოტული შრომა, პრწყინვალე გამარჯვება დიდ სამამულო ომში, მშვიდობისათვის ბრძოლა, სსრ კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობა და სხვა ისეთი მოვლენები, იდეები, გრძნობები, განცდები, რომლებიც უშუალოდ შეესაბამებიან ბავშვის ბუნებას, მის აღზრდას კომუნისტური სულისკვეთებით.

სასიხარულოა აღინიშნოს, რომ საბავშვო ლიტერატურაში ამ ბოლო დროს თავიანთი წვლილი შეაქვთ ქუთაისელ მწერლებსაც, რომლებმაც უკვე გამოაქვეყნეს რამდენიმე საინტერესო საბავშვო წიგნი.

მათგან ყურადღებას იპყრობს გიორგი სამხარაძის „სიხარულის ბარათები“. მასში ბევრია მიმზიდველად, საინტერესოდ დაწერილი ლექსი.

ლექსი „სიხარულის ბარათები“ მშვენივრად გადმოგვცემს პატარა მოსწავლის სიხარულს, რაც მასში აღუძრავს კიეველი მეგობრებისაგან გამოგზავნილ ბარათს:

„მოგვწერეთ სკოლის ცხოვრება
და დღეებს როგორ ატარებთ,
ძალიან გვაინტერესებს
ჩვენ აქ კიეველ პატარებს“.

ქართველმა პიონერებმა კიევს აფრინეს საპასუხო წერილი, გაუგზავნეს საჩუქრები. მოსწავლეებმა მოძმე უკრაინელ პიონერებს უამბეს წარჩინებული სწავლისა და კულტურული დასვენება-გართობის შესახებ. ახლა ისინი კვლავ სიხარულით ელიან ახალ ბარათს:

„რა დაგვაძინებს, გვახარებს
ის დილა, ის ალიონი,
რომ გამოჩნდება ბარათით
კეთილი ფოსტალიონი“.

როგორც გ. სამხარაძის საბავშვო ნაწარმოებთა უმრავლესობა, ეს ლექსიც უშუალოდ, სადად გადმოგვცემს ჩვენი საყვარელი ბავშვების სიხარულსა და განცდებს. მათში არაა განყენებული, მშრალი დიდაქტიკა, მომაბეზრებელი დარიგება, უსიცოცხლო რიტორიკა.

ასეთივე უშუალობით არის დაწერილი ლექსი „მანანა და ყვავილები“. აქ ქართული ხალხური ლექსის („ჟუჟუნა წვიმა მოვიდა“) მოტივების შორეული გახმიანება გამოყენებულია ბავშვისა და ყვავილების სიყვარულის გამოსახატავად. აი ეს ლექსიც:

„შხაპუნა წვიმა მოვიდა,
ვარდ-ყვავილები გაბანა,
ბაღში ლურჯთვალა მეგობარს
ისევ ეწვია მანანა.
დაკრიფა იის კონები,
და შემოაკრა ზონარი,
— რა კარგი თვეა მაისი,
რა ტკბილად მოსაგონარი!
ვარდის ბუჩქნარი ჩურჩულებს,
ხან ნიავია, ხან არა,
ყვავილი მორცხვობს, ქანაობს,
ხან იშლება და ხან არა.
ლურჯკაბა ია ეძახის:
— ჩემთან იყავი მანანა!“

მთლიანად ეს ლექსი ადვილი დასამახსოვრე-

ბელია. ამ თვისებას მას აძლევს ლექსის დასაწყისი („შხაპუნა წვიმა მოვიდა, ვარდ-ყვავილები გაბანა“) და დასასრული, ლურჯაბა იას შეძახილი და მიპატიჟება-მიწვევა („ჩემთან იყავი, მანანა!“). ამ ლექსის წყობა და ზომა (რვა მარცვალი) ბავშვის გონებისათვის ადვილი ასათვისებელია. გარემოც ხომ ბავშვისათვის ნაცნობია: ვარდის ბუჩქნარი, ნიავი, ყვავილი, კონა... ყოველივე ამან (რა თქმა უნდა, მხატვრულ ნაწარმოებში ერთად მოცემულმა) შეაპირობა ლექსის სისადავე, რითაც იგი გადავიდა ბავშვებში და დამსახურებული პოპულარობა მოიპოვა.

უშუალობით, გრძნობის სიფაქიზით გამოირჩევიან სხვა საბავშვო ლექსებიც: „წერილი დეიდას“, „გამარჯვებული ნათელა“, „მარინე“, „ნაკადული“, „მთამსვლელები“ და სხვ.

გ. სამხარაძის საბავშვო ლექსებს ახასიათებს ნაკლოვანებებიც. ზოგიერთ ლექსს აკლია მხატვრული დახვეწა. ლექსში „მამაცი პიონერი“ ავტორი უკვე მრავალგზის ცნობილ ამბავს გადმოგვცემს: პიონერმა თავისი წითელი ყელსახვევი მოიხსნა, მაღლა ააფრიალა და მატარებელი დაღუპვას გადაარჩინა. ზოგიერთი ლექსი კი სქემატურ იერს ატარებს. გვხვდება მთელი რიგი ბუნდოვანი, მხატვრულად სუსტი ადგილები:

„ბუჩქზე ვარდი აელვარდა,
როგორც თედოს ბაირაღი“.
„ვტკბები, ვყნოსავ, მიტოვება...
ოი, როგორ მენანება!“
(„გაზაფხული“)
„რა მედგარი ძმა მყოლია,
სხვებიც რომ გაიყოლია“
(„ჩემი ძმა“)
„იგია ერთგულ დარაჯად მდგარი,
რომ არ მიადგეს უბანს ზიანი“
(„ხალხის მსახური“)
„მღიმარ თვალით შემოგხედავს,
თავს დაგიქნევს და მიხვდები“
(„მისალმება“)

ამ ნაკლოვანებათა მიუხედავად, გიორგი სამ-ხარაძის საბავშვო ლექსები გულწრფელად მიიღო და შეიყვარა მოზარდთა თაობამ და ნათელი კვალი გაავლო მათს ცნობიერებაში.

* * *

„ორდიშევის ტყეში“—ასე ეწოდება ქუთაისელი მწერლის დავით კვიცარიძის წიგნს, რომელიც საინტერესოდ მოგვითხრობს დიდი სამამულო ომის მღელვარე დღეებზე.

დავით კვიცარიძე სახელოვანი საბჭოთა არმიის რიგითი მებრძოლი იყო, თავის გმირ ამხანაგებთან ერთად იარაღით ხელში იცავდა საბჭოთა სამშობლოს. შემდეგ იგი პარტიზანობდა და დაიმსახურა მთავრობის ჯილდოები. მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება, რომ მისი მოთხრობა შეუნელებელი ინტერესით იკითხება და ღრმად დამაჯერებელია.

მოთხრობა სულ ცამეტი თავისაგან შედგება და შესავალ ნაწილთან ერთად პარტიზანების საბრძოლო ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდს მოგვითხრობს. მკითხველს იზიდავს სახელოვანი პარტიზანები ვასილ ბოიკო, ანა ბელკოვსკაია, კონსტანტინე ზასლონოვი, კოლია მალენიკოვი, ანტონ სუხოდოვი, ვასილ სტელმახი, გიორგი გრებელნიკოვი, ფედია კადო და სხვ. ყველა მხატვრულ სახეს ფესვები ცხოვრების წიაღში აქვს და ეს კიდევ უფრო ზრდის წიგნის ღირსებას. ამავე დროს ავტორი ყოველ ამბავს გადმოგვცემს შეუფერავად, რეალისტურად, დამაჯერებლად. ამდენად დავით კვიცარიძის წიგნი მოკლებული არ არის სერიოზულ აღმზრდელობითსა და შემეცნებითს მნიშვნელობას.

დავით კვიცარიძე ახალგაზრდა მწერალია. დაძაბული შემოქმედებითი მუშაობით, ხალხის ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირით მას შეუძლია მომავალში შექმნას კიდევ უფრო მაღალიდეური მხატვრული ნაწარმოებები.

**ᲞᲐᲕᲚᲔ ᲮᲛᲐᲚᲐᲫᲔ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ მოდებაძე

# ცოლის სადღეგრძელო

სასაუზმის კარები გაიღო. კუთხეში დიმიტრის წამოსიებული ცხვირი და ჭოტივით დაშტიმული თვალები გამოჩნდა. ცხვირზე ჩამოვარდნილი სათვალე შეისწორა და ქუჩაში მოსეირნე ხალხს თვალი მოავლო. გუშინ ცოლმა უკანასკნელად გააფრთხილა — გახსოვდეს, სახლში ბარბაცით შემოსული არ დაგინახო, თორემ...

დიმიტრიმ ფიცი დასდო — ყელსაც არ გავისველებო, მაგრამ ამ ერთი საათის წინ ნაცნობები შეხვდა, ასი გრამი არაყი დაალევინეს, შემდეგ მადა გაეხსნა და აბა რა ექნა — ცოტა დააყოლა, ცოტას კიდევ ცოტა დაუმატა და, ბოლოსდაბოლოს, ხე ხომ არ იყო, ფეხი აერია...

ქუჩაში ბორძიკით მიდიოდა და თავისთვის ლუღლუღებდა. თავი გაქექილ საყელოში ჩაერგო და ზოგჯერ გამვლელთ მხრით ედებოდა.

— ბოდიში... უნებლიედ... — წუხდა დიმიტრი. ხან თითქოს რაღაც მოაგონდებოდა, აინთებოდა და გაცოფებული შეიყვირებდა — „ჰაიტ! ეს მე ვარ დიმიტრი გლახუნოვიჩი!“ თითქოს ამ შეძახილით ვიღაცას აშინებდა.

მაგრამ ყველაზე საშინელი მაინც ცოლის მოგონება იყო. მან დაბინდული თვალები ხელით ამოიფშვნიტა, თითქოს საკუთარ მხედველობას არ უჯერებდა... თვალწინ ცოლის ანთებული სახე ედგა. შეეცადა მოეშორებინა, მაგრამ ყოველივე ამაო იყო. მეუღლის გაკაპასებული სახე არ შორდებოდა, თითქოს ეს-ეს არის გაანჩხლებული მისკენ გამოექანა.

დიმიტრი შედგა. ცხვირის წინ ხელები ჰაერში მოაფათურა და შიშისაგან საბრალოდ ამოილუღლუღა:

— კარგი რა, ნინა, ეს ერთი მაპატიე, ქალო... ეს ერთი, მეტი არა!

— მოქალაქევ, გაიარეთ! — მიმართა მილიციელმა.

დიმიტრი შიშისგან გამოერკვა. გზას გაჰყვა. მაგრამ არ იქნა, ცოლის გაკაპასებული სახე ისევ თვალწინ ედგა, თითქოს განგებ არ შორდებოდა და ჩასძახოდა — „აი შე უსინდისო, კიდევ გაილუშე, კიდევ?!“

— კარგი, შენ გენაცვალოს დიმიტრი! რა მოხდა ასეთი? — ბურდღუნებდა დიმიტრი. — ამ ქვეყნად მარტო მე ხომ არ ვსვამ? რა... რა ...რა... იქნა, ქალო, დამშვიდდი... სხვა რომ არ იყოს, ჩემი პირველი სიყვარული ხარ... ნინა, ნუთუ მეტად არ უნდა გავუგოთ ერთმანეთს? აა... კარგი, კარგი შენ შემოგევლე!

დიმიტრის ვედრებამ არ გასჭრა, არ მოხერხდა, ნინას შემართული ხელი ვერ დააშვებინა და, აი, უეცრად მოეჩვენა, თითქოს მისმა ერთგულმა ცოლმა ხელი მოიქნია და უნდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წამოდექით, ამხანაგო! — მიმართა უცნობმა და მუხლებში ჩაკეცილი დიმიტრი წამოაყენა.

დიმიტრი მიხვდა, რომ კვლავ ქუჩაში იყო და სახლისაკენ წალასლასდა.

ეზოს რომ მიუახლოვდა, ფანჯრებში სინათლე შენიშნა. „ჯერ არ სძინავს“, — გაიფიქრა და უეცრად ნინას აღშფოთებული სახე ისევ მის წინ აღიმართა:

— კარგი რა, ნინა, ნუ მაწვალებ. ხომ გესმის! ამხანაგებმა დამპატიჟეს-მეთქი. შენც იცი ჩემი კეთილი ხასიათი. რა მექნა, მეც კაცი ვარ... ნინა, ეს ერთი მაპატიე, ქალო! — ცრემლი წასკდა სახლის შესასვლელთან მისულ დიმიტრის.

კარები შეაღო. სახლში ჭაჭანება ისმოდა. გამეფებულმა სიმშვიდემ თითქოს შეაშინა კიდეც. ამღვრეული თვალი ოთახს მოავლო და ნაბიჯი უფრო ფრთხილად გადადგა. შუა ოთახში შედგა, ცოლის უსიამოვნო შეხვედრას მოელოდა. სმენა გაამახვილა. ოთახში კვლავ მყუდროება იყო. დიმიტრიმ ძალა მოიკრიბა და საწოლს კისერწაგრძელებული მიუახლოვდა.

— ოჰ, ღმერთო! — აღმოხდა დიმიტრის, — კიდევ კარგი!

ნინა მეზობლისას წვეულებაში წასულიყო.

დიმიტრიმ ბუფეტის თაროდან არაყი გადმოიღო და საყვარელი ცოლის სადღეგრძელო ზედიზედ გადაჰკრა.

ბათუმის სახ. საჯ. საბიბლიოთეკა
საჯარო ბიბლიოთეკა
ბ ა თ უ მ ი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/X 58 წ. საბეჭდ ფორმათა რაოდენობა 6. შეკვეთის № 4913 ემ 00705. ქაღალდის ზომა 70X108. ტირაჟი 3000.

* * *

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფსამმართველოს
სტამბა-ლითოგრაფია (ბათუმი, ლუქსემბურგის, 22)

Батумская типолитография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР
Батуми, ул. Р. Люксембург, 22.

ᲬᲚᲘᲡ 4 ᲬᲚᲘ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

*„Литературули Аджара"*

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ